# კვირის პალიტრა

№ 45 (454) ◆ 10 – 16 ნოემბერი. 2003 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## ყველას დიდი დაფიქრება გვმართებს...

გვ.2,3,5,6,7

„დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები“(!)

## „ხომ ხედავენ, რომ ცოცხლები ვართ. ადგნენ და ყური დაგვიგდონ“



## მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს! რა იქნება ხვალ?!

## სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი

გვ.4

„დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული პროცესები სცილდება პოლიტიკის ფარგლებს და თანდათან იძენს სამოქალაქო დაპირისპირების საშიშ სახეს. ამიტომაც მივმართავთ ხელისუფლებას, ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას და პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოს მოსახლეობას...“





ხომ არ შეიძლება ვინმემ სარჩელი მხოლოდ პირადი მოსაზრებების საფუძველზე აღძრას? ოფიციალური მონაცემების მიხედვით მომზადებული სარჩელის განხილვის შემდეგ კი საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დარღვევების შემთხვევაში არჩევნები ბათილად ცნოს ერთ რომელიმე ოლქში, ან მთლიანად საქართველოში.

**ჯონი ხეცურიანი**

## დრო, როცა „დუმილი ოქრო“ არ არის... და არც ჟამია „ქვათა სროლისა“

აბა, რისი დრო-ჟამი ჩამოდგა საქართველოში, რომელიც ამდენი „კაი ყმის“ სამშობლოა და მაინც ასე უჭირს?!

ხალხის დრო დამდგარა, ბატონებო, ხალხისა, რომელიც დგას და ელის... ხალხი ითმენს და იმედი აქვს, რომ ჩვენ ყველანი ერთად ავცდებით მოლიპულ გზებს...

გზა კი მართლაც მოლიპა და სარისკო გახდა. დავფიქრდეთ, უარი ვთქვათ „ქვათა სროლაზე“ და გადავდგათ ნაბიჯი ერთმანეთისკენ — თქვენ, ბატონო ხელისუფალნო, თქვენ, ბატონო ოპოზიციონერებო, თქვენ, ქართველებო!.. ჩვენ ყველამ ერთად — გონიერებით, დინჯად, დიალოგით, ადათ-წესით, შენჩემობის, სიფიცხის, უდიერობისა და განკითხვის გარეშე ვუსმინოთ ერთმანეთს, გავნელდეთ, გზის გამოსაჩენად ურემს ნუ გადავაბრუნებთ. ვნებაა ახლა ჩვენ შორის ჩამდგარი და გამოცდაა ჩვენი (უკვე მერამდენედ) — შევიძლოთ ღვთისგან ბოძებულ ამ ერთადერთ მამულში — ჩვენ და ჩვენ, თქვენ და თქვენ — ყველამ ერთად შევიძლოთ, ყური ვუგდოთ ერთმანეთს და მერე ყველამ ქვეყანას მივაყურადოთ, მას ხომ ჩვენს მეტი შვილები არ ჰყავს!..

— შვილებო! მოვუაროთ საქართველოს!

**„კვირის პალიტრა“**

## უშიშარი კოლხი ქალები და „უშიშარი“ პოლიცია

გვ.5

ბოლოს ხალხს რამდენიმე უშიშარი მამაკაცი გამოეყო და როცა შეიარაღებული ნიღბოსნები ავტომატებს მჭიდს უცვლიდნენ, მაშინ დააცხრნენ მათ და შებოჭეს. ხალხის რისხვასა და ჩაქოლვას ისინი თავიანთი „კოლეგების“ ავტომატის ჯერმა გადაარჩინა. გასაოცარი იყო ზოგიერთი ქალბატონის გაბედულება და მამაცობა.

სად იყო ამ დროს „უშიშარი პოლიცია“, უშიშროება, სპეცრაზმები, რატომ ვერ დააკავეს ვერც ერთი ბანდიტი და რატომ არ გადაკეტეს ზუგდიდში შესასვლელ-გასასვლელები, რომ ვინმე მაინც შეეპყროთ? ან ძალა არ შესწევთ, ან არ უნდოდათ. ორივე ძალზე სამწუხაროა და დამაფიქრებელი.



**„კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო**

გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს.
გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ გვ.13

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

### რას წერენ ჩვენზე:

გვ.14

## ოპოზიცია შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდის

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ მაილსმა პრეზიდენტ შევარდნაძეს განუცხადა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სასწრაფოდ უნდა გადათვალოს მთელი ხმები ისე, რომ ყურადღება მიექცეს დარღვევებს. არჩევნები დარღვევების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამჟამად ლაპარაკია ძალზე სერიოზულ დარღვევებზე.

**ნიუ-იორკ ტაიმსი**

### სამხედრო თემაზე:

## ვინ არიან „ბეტმენები“

**პრეზიდენტს უხელფასო პოლიციელები იცავენ**

თურქ ჟანდარმთა ნაწყალობევ პლასტმასის ჟილეტებში გამოწყობილი შინაგანი ჯარების ოცეულები.

გვ.8



## მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## მთა „მუჰამედებთან“ მივიდა

„შევარდნაძემ არჩევნები გააყალბა. ჩვენ დავიცავთ ჩვენს ხმებს, ჩვენ არაფრის გვეშინია... თუ შევარდნაძე არ გადადგამს გონივრულ ნაბიჯს, თუ შევარდნაძე ახლა მაინც არ განიმსჭვალება პასუხისმგებლობით, ის მოიმკის იმას, რასაც იმსახურებს ხალხისაგან!“ — ამ მოწოდებებით ბურჯანაძე-დემოკრატებმა და ნაციონალებმა ოპოზიციის ერთიანი ფრონტი შექმნეს და ხელისუფლებასა და პრეზიდენტს შეუტიეს. ყოველივეს მიზეზი კი ცესკოს მიერ გამოქვეყნებული არჩევნების შედეგები შეიქნა. ოპოზიციურმა პარტიებმა საპროტესტო აქციები დაიწყეს. პირველი თავყრილობები მერიის წინ გაიმართა, კვირის ბოლოსთვის კი მომიტინგეებმა პარლამენტის შენობასთან გადაინაცვლეს და 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების ჩაშლილად გამოცხადება და პრეზიდენტის გადადგომა მოითხოვეს. ედუარდ შევარდნაძემ ოპოზიციის ლიდერებს მოლაპარაკება შესთავაზა, მაგრამ ამაოდ...

9 ნოემბერს კი, დილით, პარლამენტის შენობის წინ შეკრებილ მომიტინგეებს პრეზიდენტი შევარდნაძე თვითონ ეწვია. იგი ბურჯანაძე-დემოკრატების ერთ-ერთ ლიდერს, ნინო ბურჯანაძეს შეხვდა. რამდენიმეწუთიანი დიალოგის დროს პრეზიდენტმა ერთხელ კიდევ მოისმინა პროტესტანტთა მოთხოვნები — „არჩევნები ჩაშლილად გამოცხადდეს, დაისაჯონ გამყალბებლები და თავიდან დაინიშნოს საპარლამენტო არჩევნები. პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ სთხოვა მომიტინგე პოლიტიკოს ლიდერებს მოსალაპარაკებლად კანცელარიაში მისვლა, რის პასუხადაც სააკაშვილისგან მიიღო — ჩვენ თქვენ არ გეახლებით, თვითონ მობრძანდით ჩვენთანო...

## მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს!

საღამოს დიდი ვნებათაღელვის შემდეგ ოპოზიციის წინააღმდეგობის ფრონტსა და პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის ყინული დროებით გალღვა (რატომღაც ეს მხოლოდ მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა პრეზიდენტებს, შევარდნაძესა და პუტინს შორის სატელეფონო საუბარი და საქართველოში რუსეთის ელჩთან, ვლადიმირ ჩხიკვიშვილთან შეხვედრა შედგა(?!)).

ნაციონალების ლიდერი სააკაშვილი, ბურჯანაძე-დემოკრატების ლიდერები: ზურაბ ჟვანია და ნინო ბურჯანაძე ედუარდ შევარდნაძეს კრწანისის რეზიდენციაში, თაღიანი ბუხრის დარბაზში შეხვდნენ. შეხვედრას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები არ დასწრებიან.

მოლაპარაკების დაწყებიდან რამდენიმე ხანში მიხეილ სააკაშვილმა პროტესტის ნიშნად დატოვა შეხვედრა და განაცხადა, რომ პრეზიდენტმა მასთან საუბარი არ ისურვა(?!). ნაციონალების ლიდერმა ტელეინტერვიუში თავის მხარდამჭერებს მოუწოდა, რომ ორშაბათიდან კიდევ უფრო გააძლიერონ საპროტესტო აქციები. სააკაშვილს ფეხდაფეხ მიჰყვნენ ნინო ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანია, რომლებმაც გეზი პარლამენტისკენ აიღეს.

მოგვიანებით გაირკვა, რომ შევარდნაძე-ჟვანია-ბურჯანაძის შეხვედრა შესაძლოა გაგრძელდეს. ეს ინიციატივა პრეზიდენტს ეკუთვნოდა. შეხვედრის შემდეგ შევარდნაძემ გამოთქვა სურვილი, შეიქმნას საინიციატივო ჯგუფი, რათა ნათელი მოეფინოს ყველა იმ სადავო საკითხს, რომლებიც ოპოზიციას აწუხებს.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, პრეზიდენტსა და სააკაშვილს შორის კამათი მოულოდნელად დაიწყო, რის შემდეგაც ბურჯანაძე-დემოკრატების ლიდერები პრეზიდენტთან მცირე ხნით შეყოვნდნენ და შევარდნაძის თხოვნაზე კონსულტაციების გაგრძელების შესახებ, უარით არ უპასუხიათ. მაგრამ ჟვანიას თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტთან კონსულტაციები შესაძლოა გაგრძელდეს კიდეც, საპროტესტო აქცია არ შეწყდება. ზურაბ ჟვანია სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ ედუარდ შევარდნაძემ ოპოზიციის არც ერთი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

ქართველ საზოგადოებას რჩება იმედი, რომ პოლიტიკოსები გონიერებას გამოიჩენენ და ქვეყნისთვის ასე დრამატულ ვითარებაში კონსულტაციებს განაგრძობენ.

## მანამდე კი...

მიუხედავად იმისა, რომ ბურჯანაძე-დემოკრატებმა 2 ნოემბრის არჩევნებს ფარსი და ხელისუფლების მიერ დადგმული სპექტაკლი უწოდეს და ახალარჩეულ პარლამენტში მუშაობაზეც უარი თქვეს, კულუარებში ხუმრობენ: — ჟვანიას პარლამენტში ქუდს თუ შეუგდებენ, მის დასახურად და იქ დასარჩენად ისე შევა, თვალსაც არ დაახამხამებსო.

თავის მხრივ, ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკი, რომელმაც 7%-იანი ბარიერიც გადალახა და ნინო ბურჯანაძის მაჟორიტარობა ქუთაისში ფეიერვერკით აღნიშნა, კატეგორიულად გამორიცხავდა მომავალ პარლამენტთან თანამშრომლობას. ბლოკი საპროტესტო აქციას აგრძელებს. ბლოკის წარმომადგენლები ნაციონალებთან ერთად კვლავ კატეგორიულად მოითხოვენ ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების ჩაშლილად გამოცხადებას და მის თავიდან დანიშვნას(!).

## აბაშიძე-სააკაშვილის კონფლიქტი გრძელდება

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში „აღორძინების“ მიერ ხმების 90%-ის მოგროვება, რამაც 2 ნოემბრის არჩევნების შედეგები კარდინალურად შეცვალა და ბლოკი პირველ ადგილზე აღმოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის ლიდერმა მიხეილ სააკაშვილმა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობად შეაფასა. ნაციონალთა ლიდერმა აბაშიძეს ფეოდალური მმართველი უწოდა და მას გადადგომა ურჩია — „ჩაჯდეს აბაშიძე მანქანაში და სარფის გავლით 10 წუთში დატოვოს საქართველო!“ „აღორძინების“ წარმომადგენლების თქმით, სააკაშვილს ურჩევნია თვითონ ჩაჯდეს მანქანაში და საქართველოს დასატოვებლად კურსი სწორედ სარფისკენ აიღოს.

## „ახლები“ ქუჩაში არ გამოვიდნენ...

„ახალი მემარჯვენეები“ საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად ქუჩაში გამოსვლას არ აპირებენ. როგორც „ახლების“ ლიდერმა დავით გამყრელიძემ საგანგებოდ მოწვეულ ბრიფინგზე განაცხადა, მისი პარტია ნაციონალურ მოძრაობასა და ბურჯანაძე-დემოკრატების ინიციატივას არ აჰყვება და არჩევნების შედეგების გაყალბების საბაბით მასობრივ მანიფესტაციებში მონაწილეობას არ მიიღებს.

„პროტესტის ნაცვლად პარლამენტში ჩვენი წარმომადგენლების მხარდამჭერების მომავალზე უნდა ვიფიქროთ“, — განაცხადა გამყრელიძემ. ამ ფრაზას მისი პოლიტიკური ოპონენტების ირონიული რეპლიკა მოჰყვა — გამყრელიძეს ნამდვილად არ ესმის, რას ნიშნავს იყო ავად, მაინც მიხვიდე არჩევნებზე და სიებში შენი სახელი და გვარი ვერ ნახო, ან არჩევნები ჩაიშალოსო.

## აფეთქება ასპინძაში

ასპინძის რაიონში, სოფელ ადალაში აფეთქების შედეგად კვირას, 9 ნოემბერს, ადგილობრივი საავადმყოფოს შენობა ჩამოინგრა. ნგრევას, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია, რადგან აფეთქება გვიან ღამით მოხდა და ამ დროს შენობაში არავინ იმყოფებოდა.

ექსპერტების განცხადებით, აფეთქდა 800 გრამი ტროტილი ან ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა. სამართალდამცველები მომხდარზე ჯერჯერობით ვერაფერს ამბობენ. არ არსებობენ აფეთქებაში ეჭვმიტანილებიც.

საავადმყოფო „ახალი მემარჯვენეების“ მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, მალხაზ სანდროშვილის შემწეობით გარემონტდა, იგი აფეთქებას მის წინააღმდეგ მიმართულ აქციად მიიჩნევს. გამოძიებას ამ ფაქტთან დაკავშირებით ასპინძის რაიონის პოლიცია აწარმოებს. უახლოეს ხანში ეს უკვე მეორე აფეთქებაა ამ რაიონში.

## „ბოიკოტი სამართლებრივად გაუგებარია“

„ახალი მემარჯვენეების“ წევრი ვახტანგ ხმალაძე სამართლებრივად გაუგებარს უწოდებს ბლოკ ბურჯანაძე-დემოკრატების მიერ არჩევნებისთვის გამოცხადებულ ბოიკოტს და მიაჩნია, რომ ამას განსაზღვრული პოლიტიკური მიზანი აქვს, თუმცა ხმალაძე არ აკონკრეტებს ოპოზიციონერთა საბოლოო მიზნებს. „ის, რომ ბურჯანაძე-დემოკრატები უსამართლო არჩევნების გამო პროტესტს გამოთქვამენ, გასაგებია, მაგრამ თუ არჩევნები ბათილად არ არის გამოცხადებული, დეპუტატის მანდატზე უარის თქმა სამართლებრივად არასწორია. ბლოკი ბურჯანაძე-დემოკრატები ვალდებულია კანონებს დაემორჩილოს“, — აღნიშნა ვახტანგ ხმალაძემ.

## „თქვენ მხოლოდ ჩემს გვამს მიიღებთ...“

ურთიერთგანსხვავებული საპროტესტო წინადადებებით მომიტინგე ნაციონალებსა და ბურჯანაძე-დემოკრატებს „ახალი მემარჯვენეებივით“ და „მრეწველებივით“ ზურგი აქციეს ლეიბორისტებმაც. შალვა ნათელაშვილი კატეგორიულად უარს ამბობს „ქუჩის აქციონერების“ გვერდით დგომაზე და მათ ეროვნულობისაგან დაცლილ და სისხლმოწყურებულ ძალებს უწოდებს. იგი ასევე ეჭვს გამოთქვამს, რომ მომიტინგე ძალები მთავრობასთან არიან შეკრული და ჭეშმარიტ ოპოზიციას ებრძვიან. „ჭეშმარიტ ოპოზიციაში“ კი შალვა ნათელაშვილი საკუთარ თავს გულისხმობს. „არაჭეშმარიტებს“ კი „უთვლის“ — ვერ ეღირსებით იმას, რომ ცოცხალი ნათელაშვილი თქვენ გვერდით დადგეს. თქვენ მხოლოდ ჩემს გვამს მიიღებთო!..

## თბილისის საკრებულო განახლდება

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ თბილისის საკრებულო განახლებული შემადგენლობით ამოქმედდება, თუ რა თქმა უნდა, საპარლამენტო არჩევნები ჩაშლილად არ გამოცხადდება.

საკრებულოს 49 დეპუტატიდან 14 ახალი მოწვევის პარლამენტში შესვლის პერსპექტივის წინაშე დგას. მათ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების სიით მომდევნო თანაპარტიელები შეცვლიან. ცვლილებები მოხდება როგორც ნაციონალებში, ისე ლეიბორისტებსა და „ახლებშიც“. თუმცა „ახალ მემარჯვენეებს“ ჯერაც არ დაუზუსტებიათ, ვინ შეცვლის საკრებულოში მათი ფრაქციის ყოფილ წევრებს, რადგან საარჩევნო სიის მომდევნო კანდიდატებმა საკრებულოში მუშაობაზე შესაძლოა უარი განაცხადონ.

## ციხეში საქმე უკვე მოგვარებული ჰქონია

ცესკოს თავმჯდომარე საოლქო კომისიების მიერ შედგენილი ოქმების გადაკეთებას არ აპირებს. „არც მუქარისა და არც ციხეში ჩასმის არ მეშინია“, — განაცხადა ცესკოს თავმჯდომარემ, ნანა დევდარიანმა ოპოზიციური პარტიების მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ, რომლებიც აღნიშნავენ, რომ არჩევნების გაყალბებისთვის ცესკოს ყველა წევრი დაისჯება.

„ციხეში უკვე საქმე მოგვარებული მაქვს“, — თქვა დევდარიანმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რას გულისხმობდა საქმის მოგვარებაში. „გაყალბდა თუ არა არჩევნები, ამის დამტკიცება კანონიერი გზით შეიძლება და პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ, შეუძლიათ სასამართლოს მიმართონ,“ — განაცხადა ნანა დევდარიანმა.

## არეულობა ზუგდიდში

არჩევნების შემდეგ ნაციონალებისა და მათი ლიდერის, მიხეილ სააკაშვილის ზუგდიდში ჩასვლა კინაღამ მსხვერპლით დამთავრდა. ნაციონალების მიერ ქალაქის ცენტრში გამართულ მიტინგს შეიარაღებული მოწინააღმდეგეები გამოუჩნდა. ნიღბოსანთა ჯგუფი სტიქიურად ისროდა სააკაშვილის მომხრეთა მიმართულებით, რასაც სისხლის ღვრა მოჰყვა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დაჭრილია ორი ნაციონალი, რომლებიც სასწაულებრივად გადაურჩნენ სიკვდილს. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, შეიარაღებული თავდამსხმელები ადგილობრივი ხელისუფლების სპეცრაზმის წევრები არიან და არა ტყეში გახიზნული ზვიადისტები. გავრცელდა ხმები, რომ ზუგდიდის მაჟორიტარმა დეპუტატობის კანდიდატმა გოჩა ფიფიამ პოლიტიკოსებს მოუწოდა, სამეგრელოში აღურიცხავი იარაღის არსებობისა და დაძაბული ვითარების გამო რეგიონში ჩასვლასა და პროვოკაციების მოწყობას თავი აარიდონ (ვრცლად იხ. გვ. 5).

## სეპარატისტები შიშობენ

„აფსნიპრესისათვის“ მიცემულ ინტერვიუში სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა აცხადებს, რომ აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლება დაინტერესებულია მეზობელი საქართველოს(?!) პოლიტიკური სტაბილურობით. მისი თქმით, სწორედ პოლიტიკურმა არასტაბილურობამ გამოიწვია ომი აფხაზეთში. „ახლა, როცა აფხაზებსა და ქართველებს შორის კონფლიქტის დარეგულირების პროცესი მიმდინარეობს, ჩვენ დაინტერესებულნი ვართ საქმე გვქონდეს სტაბილურ ხელისუფლებასთან, რომელიც პასუხისმგებელი იქნება მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამიტომ ჩვენ არ შეიძლება, არ გვაღელვებდეს საქართველოში ამჟამად მიმდინარე პროცესები“, — განაცხადა შამბამ.

ზუგდიდში ნაციონალების მიტინგის დარბევის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. ქართულ-აფხაზური საზღვრის გადალახვა ქართული მხრიდან არავის უცდია, აფხაზებმა სასაზღვრო დაცვის რეჟიმი გაამკაცრეს, ხოლო ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალებმა გააძლიერეს საომარი სიტუაციისათვის მზადყოფნა.

## აფხაზებისთვის ხეობა მიუვალი გახდა

კოდორის ხეობაში მომხდარმა წყალდიდობამ მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა გულრიფშის რაიონსაც. აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პრემიერმა საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირად წარმომადგენელს შესჩივლა, რომ წყალდიდობამ ჩახერგა კოდორის ხეობისკენ მიმავალი ერთადერთი საავტომობილო გზა და ხეობა ფაქტობრივად მიუდგომელი გახადა.

გაეროს სამხედრო დამკვირვებლების ექსპერტთა ჯგუფის მონაცემებით, მდინარე კოდორის ადიდება გამოიწვია ნაპირების გასამაგრებელი ჯებირების მწყობრიდან გამოსვლამ. კოდორისკენ მიმავალი საავტომობილო გზის გარემონტებას დაახლოებით 500.000 დოლარი სჭირდება, რისი გაღებაც ალბათ აფხაზურ ხელისუფლებას ან მათ მეგობარ რუსებს მოუწევთ.

## ოსები „ამორძალების“ არმიას ქმნიან

ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების თავდაცვის სამინისტრომ ქალთა სამხედრო ქვედანაყოფი შექმნა. მასში 40 ქალია გაწევრებული. ახალგამომცხვარმა „ამორძალებმა“ ქალაქის ცენტრში საზეიმოდ დადეს ფიცი. თვითგამოცხადებული რესპუბლიკის სამხედრო ჩინოსნების განცხადებით, ეს ქალთა პირველი ოსური სამხედრო შენაერთია.

ოსები, როგორც ჩანს, მხოლოდ „ამორძალების“ აღზრდით არ შემოიფარგლებიან. ცხინვალში მოქმედი ორგანიზაცია „ალანების სიტყვის“ ხელმძღვანელის, რობერტ გაგლოევის თქმით, სასწრაფოდ უნდა გატარდეს ოსური ენის ქართულ ენასთან შერწყმის აღსაკვეთი ღონისძიებები. გაგლოევი ამ „პრობლემის“ მიზეზად ქსნის ხეობის სოფლებში მცხოვრები ოსების ქართველ მოსახლეობასთან ურთიერთობას მიიჩნევს და იმისათვის, რომ ოსებმა ქართულ ენასთან ერთად მათი ტრადიციებიც და წეს-ჩვეულებებიც არ შეითვისონ, ე. წ. სამხრეთი ოსეთის ჩრდილო ოსეთთან სასწრაფოდ შეერთებას მოითხოვს.

## შესაძლოა სასწავლო პროცესი შეწყდეს

განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის, კობა სუჯაშვილის განცხადებით, ბოლო დროს მთაწმინდისა და ვერის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მოსწავლეთა დასწრება მინიმალურია.

2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შექმნილი დაძაბულობის გამო მშობლები შვილებს სკოლებში არ უშვებენ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილის, ვენერა ჩიფჩიურის თქმით, თუ დაძაბულობა არ განიმუხტა, შესაძლოა თბილისში სასწავლო პროცესი 10 ნოემბრიდან დროებით შეწყდეს და გაცდენილი დღეები საახალწლო ან საგაზაფხულო არდადეგების ხარჯზე ანაზღაურდეს(?!).

## საარჩევნო სუბიექტებს დააჯარიმებენ...

საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში თავად საარჩევნო სუბიექტებმა უნდა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების, წინასაარჩევნო პლაკატებისა და ბილბორდების ჩამოხსნა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ დაწესებული ჯარიმის გარდა, მათ ქალაქისთვის მიყენებული ზარალის გამო გადასახადიც დაეკისრებათ. ქალაქისთვის მიყენებულ ზარალს შეაჯამებენ რაიონული გამგეობების ის სამსახურები, რომლებიც თბილისში განთავსებული სააგიტაციო მასალების ჩამოხსნას ითავებენ.

## სუფსის ტერმინალი საფრთხეშია...

სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის კოტროლგარეშე დარჩენილ სუფსის ტერმინალს შესაძლოა ვერც საქართველოს ნავთობის კორპორაცია დაეხმაროს. დეპარტამენტის სანაპირო დაცვის მთავარი სამმართველოდან კორპორაციაში გაგზავნილი წერილი (რომელშიც სამმართველო ტერმინალის დაცვის განხორციელებისთვის აუცილებელი საწვავის გამოყოფასა და ელექტროენერგიის გადასახადის დაფარვაში დახმარებას ითხოვს) გიორგი ჭანტურიას უწყებიდან განსახილველად საერთაშორისო ნავთობკომპანია ბი-პი-ში გადააგზავნეს.

ნავთობის საერთაშორისო კორპორაციაში აცხადებენ, რომ ასეთ საკითხებზე გადაწყვეტილება ბი-პი-მ უნდა მიიღოს. თუმცა შესაძლოა ამ ორგანიზაციამ დახმარებაზე კი არა, წერილის განხილვაზეც კი უარი თქვას, რადგან ხელშეკრულების თანახმად, ნავთობსადენის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა საქართველოს ეკისრება. საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სანაპირო დაცვის სამსახურს ორი თვეა, რაც საწვავი არ მიუღია, ელექტროენერგიის მიწოდება კი დავალიანების გამო შეუწყდა. სანაპირო დაცვის სამსახურის კუთვნილი ტექნიკა პარალიზებულია და ტერმინალის კონტროლი ვიზუალურად — ჭოგრიტებით ხორციელდება(?!).

## ძველი თბილისი ინგრევა

ამ ცოტა ხნის წინ პუშკინის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლის ჩამონგრევას, სადაც საბედნიეროდ არავინ დაშავებულა, კიდევ ერთი ნგრევა მოჰყვა. ამჯერად ლეონიძის ქუჩაზე სახლის ნანგრევებქვეშ ფეხმძიმე ქალი მოექცა, რომელიც ქვედა კიდურის მოტეხილობის დიაგნოზით საავადმყოფოში მოათავსეს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ის სახლები ინგრევა, რომლებიც საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ განსაკუთრებული დაცვისა და მფარველობის ქვეშ იმყოფებიან.




## პუტინი შეჩერებას არ აპირებს... არც ხოდორკოვსკი

რომში ევროკავშირის წარმომადგენლებთან შეხვედრისას პუტინმა არ გამორიცხა, რომ რუსეთში ბიზნესმენების დაპატიმრების სერია გაგრძელდება. პუტინის თქმით, ხელისუფლების მიზანია არა კონკრეტული პირების „შეწუხება“, არამედ ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ და ქვეყანაში წესრიგის დამყარება.

როგორც ჩანს, რუსეთის მთავრობა არ აპირებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში მხოლოდ „იუკოსის“ ყოფილი ლიდერის, მიხაილ ხოდორკოვსკის დაპატიმრებას დასჯერდეს. „იუკოსის“ ლიდერმა კი შესაძლოა ბედი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებში სცადოს. საბჭოთა კავშირის ექსმეთაური მიხაილ გორბაჩოვი სიმპათიებს გამოხატავს რუსი მილიარდერის მიმართ, თუმცა მისი გაპრეზიდენტება საეჭვოდ მიაჩნია. „წარმოუდგენელია, რომ რუსეთმა მილიონერი პრეზიდენტად აირჩიოს“, — აცხადებს გორბაჩოვი.

# შევარდნაძე გარემოცვის, ოპოზიციისა და აღორძინების სამკუთხედში გაიჭედა...

სხვა რომ არაფერი ვთქვათ, გულსატკენია, როდესაც აღმასრულებელი ხელისუფლება სავარძლის შესანარჩუნებლად უკან არაფერზე იხევს და ტოტალური გაყალბების შედეგად საპარლამენტო არჩევნებს დიდ საცირკო სანახაობად აქცევს, სადაც თამაშობს ერთადერთი კლოუნი — ხალხი... ხალხი, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, კვლავაც მოწოდების სიმაღლეზე დარჩა და თავისი მოქალაქეობრივი ვალის მოსახდელად — ხმის მისაცემად — დილიდან საღამომდე საარჩევნო უბნებთან რიგში იდგა. უფრო გულსატკენია, როდესაც იურისტებით დაკომპლექტებულ ოპოზიციას აღარც წესი ახსოვს, აღარც კანონი და აღმასრულებელ ხელისუფლებას სიმართლე მუშტების ბრახუნით სურს შეაგნებინოს და დედაქალაქში ხმაურიან მანიფესტაციას მართავს. თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, ამის გაკეთების საფუძველი ოპოზიციას ბოლოდროინდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, ნამდვილად ჰქონდა. როგორც ჩანს, მათაც გადაწყვიტეს, ყველა პრობლემისთვის ერთი ხელის მოსმით მოეღოთ ბოლო და ჯერ მერიის, შემდეგ კი პარლამენტის შენობის წინ შეკრებილი ხალხის მოთხოვნა სამართლიანი არჩევნების თაობაზე თანდათან პრეზიდენტის გადადგომის სკანდირებაში გადაიზარდა. მაგრამ ყველაფერი არც ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. ჯერ ერთი, საქართველოს კონსტიტუცია პრეზიდენტის გადადგომის შემთხვევაში, მისი დროებითი შემცვლელისთვის — პარლამენტის თავმჯდომარისთვის პრეზიდენტის ყველა პრივილეგიისა და უფლებამოსილების სრულ გადაცემას არ ითვალისწინებს. მათ შორის, არ ითვალისწინებს მინისტრების, გუბერნატორების და არც პოლიციის უფროსების შეცვლას. თუ გავითვალისწინებთ, რომ კორუფციით გაჯერებულ ჩვენს ქვეყანაში „ყველაფერი გაყოფილი და განაწილებულია“, ბუნებრივია, იოლად არავინ არაფერს დათმობს და თავის შესაძლებლობებს ყველა მაქსიმალურად გამოიყენებს, რათა სიტუაცია უმართავი გახდეს. არის მეორე ფაქტორიც — ოპოზიციის დაქსაქსულობა — მემარჯვენეები აქციას თავიდანვე გაემიჯნენ, ისევე, როგორც ლეიბორისტები. აღარაფერს ვამბობთ აღორძინებაზე, რომლის ლიდერმაც თავი უმაღლეს სამხედრო და პოლიტიკურ მთავარსარდლად გამოაცხადა და საკუთარი ჯარის შექმნაც დაიკანონა. დღეს ძნელი სათქმელია, აბაშიძემ თავი ზემოთ ნახსენები არეულობებისგან დაიზღვია, თუ შევარდნაძეს მიანიშნა — თუკი ოპოზიციასთან გარიგებას ჩემ მიერ მოპოვებული ხმების ხარჯზე მოაწყობ, „უსიამოვნება“ არ აგცდებაო. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აღორძინება საკუთარი პოზიციების განმტკიცებას დედაქალაქში პარალელური მანიფესტაციების გამართვითაც შეეცდება. ეს კი სამოქალაქო დაპირისპირების ძალიან დიდ საფრთხეს შექმნის — ხალხის გამოყვანა ხომ სხვა პარტიებსა და პოლიტიკოსებსაც შეუძლიათ... მესამე და მთავარი ფაქტორი თავად შევარდნაძის გარემოცვა გახლავთ. პრეზიდენტი შექმნილი ვითარების მძევალი ხდება. კულუარული ინფორმაციით, მისი გარემოცვის ერთი ნაწილი კატეგორიულად მოითხოვდა მიტინგის დაშლას და აქტიურ ქმედებებზე გადასვლას მანიფესტანტების წინააღმდეგ (როგორც ჩანს, ეს ის ძალები არიან, რომელთაც სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, დაუსჯელად დარჩენის არანაირი შანსი არა აქვთ). თუმცა, პრეზიდენტმა ტრადიციულად, შეძლო სიტუაციის მაქსიმალური კონტროლი და პარლამენტის წინ მყოფ მანიფესტანტებთან ჩავიდა. პრეზიდენტის მოღვაწეობაზე აუგის თქმაში ჩვენთან გაჯიბრება ალბათ ბევრს გაუჭირდება. მაგრამ მოლაპარაკებაზე მოსული ადამიანის, „სტუმრის“ („თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა“), სტვენით გაგდება მაინცდამაინც მისაღები არ უნდა იყოს (თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ საშუალება მივცეთ ხელისუფლებას გამოასწოროს დაშვებული შეცდომები და აღიაროს არჩევნების სამართლიანი შედეგები). ასე თუ ისე, ყინული დაიძრა. მიუხედავად მომიტინგეთა რადიკალური განცხადებებისა, შევარდნაძისა და ოპოზიციის მოლაპარაკება შედგა. საგულისხმოა ცესკოს თავმჯდომარის, ნანა დევდარიანის განცხადებაც იმის თაობაზე, რომ ყველა ოლქში კენჭისყრის შედეგებისა და სამართლიანობის დეტალური გადამოწმება დაიწყება. ალბათ, შექმნილ ვითარებაში საუკეთესო გამოსავალი კონსტიტუციური სამართლიანობის აღდგენისთვის ისევ და ისევ კონსტიტუციური მეთოდები უნდა იყოს. როდესაც ხალხის ნების განსახორციელებლად ქვეყანაში ყველა სამართლებრივი რესურსი ამოიწურება, იგი მხოლოდ მაშინ გადის ქუჩაში, რათა ეს ნება პირადად აღასრულოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, რევოლუციები დაჩქარებით და მხოლოდ ორგანიზებით არ ხდება — რაც არ უნდა მაღალ დონეზე იყოს იგი დაგეგმილი. ამ მოვლენას სხვა სახელი ჰქვია და ამ დროს ხალხის ერთი ნაწილი ჩვეულებრივად საქმიანობს, მეორე კი იარაღით ხელში „სიმართლისთვის იბრძვის“. ასეთი ბრძოლა საქართველომ ერთხელ უკვე ნახა. როდესაც თბილისის ცენტრში ჰაუბიცები ისროდნენ და გარეუბნებში ხალხი დომინოს თამაშობდა. ამას რაც მოჰყვა, ესეც კარგად უნდა გვახსოვდეს — ყველაფერი ხომ არც ისე შორეულ წარსულში ხდებოდა და თუ მოჯადოებული წრისთვის ვართ განწირულნი, თუკი ნებისმიერი სახელმწიფო მნიშვნელობის კონფლიქტისას ქუჩაში უნდა გავცვივდეთ და ავტომატები ვაკაკანოთ, თავს რაღად ვიტყუებთ — რაღად გვინდა პარლამენტი, სასამართლო, სახელმწიფო რეგალიები. დავრჩეთ ქუჩაში და კონსტიტუციის ნაცვლად, ქვეყნის ბედი „კალაშნიკოვით“ გადავწყვიტოთ...

ესოდენ მტკივნეულ და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც არის არჩევნების შედეგების გადამოწმება, მათი ბათილად ცნობა, ან ხელახალი არჩევნების დანიშვნა, სასაუბროდ — ქვეყნის უმაღლესი სასამართლო ინსტანციის, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე **ჯონი ხეცურიანი** შევარჩიეთ.



**— სულ რამდენიმე წლის შემდეგ ქართული პოლიტიკური სპექტრი სიმართლის დასადგენად კვლავ ქუჩაში აღმოჩნდა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ მოჯადოებულ წრეში ვტრიალებთ.**

— ასეც ნუ ვიტყვით, რადგან ქართული სახელმწიფოებრიობა მსოფლიოს სამართლებრივ სივრცეში ფაქტობრივად არსებობს — კონსტიტუციით, ხელისუფლების დანაწილებით, ატრიბუტიკითა და რეგალიებით. უბრალოდ, ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოებაა გასათვალისწინებელი: ჩვენ ხომ ძალიან ახალგაზრდა სახელმწიფო ვართ. ის საზოგადოებრივი ინსტიტუტები და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე საუკუნეებს ითვლიან, ჩვენთან მხოლოდ ათი წლისაა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ფაქტობრივად, 1801 წლის შემდეგ საკუთარი, სუვერენული სახელმწიფოებრიობა არ გვქონია. მანამდე კი, მოგეხსენებათ, საქართველოში აბსოლუტური მონარქია იყო და ქვეყანას ერთპიროვნუ-

## შესაძლებელია თუ არა არჩევნების ხელახლა ჩატარება

ლად მართავდა მეფე. ჩვენი უმთავრესი პრობლემაც სწორედ ამაში მდგომარეობს — 200 წლის მანძილზე არათუ გადაეჩვია, ხალხს არც ჰქონია საკუთარი ნების გამოვლენისა და განხორციელების სურვილი იმ დემოკრატიული მეთოდებითა და მექანიზმებით, როგორიც თანამედროვე მსოფლიოშია. ყოველივე ამას ჩვენ ახლა, გზადაგზა, ვსწავლობთ... სხვადასხვა, გარე თუ შიდაძალების გამოისობით კი, ეს პროცესი ძალიან ჯანჯლდება. თუმცა, გვაქვს ერთი მთავარი პრივილეგიაც — ჩვენ ხომ ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ გვიხდება — ის უკვე არსებობს და მისი „ავტორები“, ევროპა-ამერიკის სახით, მზად არიან, ყველაფერში დაგვეხმარონ, რადგან ჩვენს გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს ადგილზე უსახური, სახელმწიფოს მიმგვანებული მასის ნახვა მათთვის ხელსაყრელი არ არის. ოღონდ იქაური გამოცდილება ბრმად, ჩვენი ტრადიციებისა და სახელმწიფო ინტერესების გაუთვალისწინებლად არ უნდა გადმოვიტანოთ. მე ვენეციის კომისიის წევრიც გახლავართ — შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ევროსაბჭოს უმნიშვნელოვანესი სტრუქტურა, რომელიც საჯაროობისა და დემოკრატიის პროცესებს ადევნებს თვალყურს, ამზადებს საერთო ევროპული მნიშვნელობის დასკვნებსა და რეკომენდაციებს. მინდა გითხრათ, რომ მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ გაცილებით უფრო განსხვავებულია, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების შემთხვევაში. ისინი ჩვენგან უფრო მეტს მოითხოვენ და მოელიან კიდეც.

> **გვაქვს ერთი მთავარი პრივილეგიაც — ჩვენ ხომ ველოსიპედის თავიდან გამოგონება არ გვიხდება — ის უკვე არსებობს და მისი „ავტორები“, ევროპა-ამერიკის სახით, მზად არიან, ყველაფერში დაგვეხმარონ, რადგან ჩვენს გეოპოლიტიკურ რეალობაში საქართველოს ადგილზე უსახური, სახელმწიფოს მიმგვანებული მასის ნახვა მათთვის ხელსაყრელი არ არის.**

ნუ შევედრებით დასავლეთ ევროპას და ამერიკას. აღმოსავლეთ ევროპის და იმავე ბალტიისპირეთის ქვეყნების მაგალითზე ვიმსჯელოთ. რამ განაპირობა მათი დაწინაურება დემოკრატიული და სრულყოფილი სახელმწიფოს შენების გზაზე? უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეობრივი შეგნების ამაღლებამ და კანონის უზენაესობამ, რომელიც ყველასთვის შეუვალი უნდა იყოს. ჩვენ კი სწორედ ამ უკანასკნელში გვიჭირს ყველაზე მეტად. ამ შემთხვევაში პირველი ხელშემწყობი ფაქტორი ალბათ ხელისუფლების ნება უნდა იყოს და აქ ერთნაირად იგულისხმება როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი ხელისუფლება. კანონის უზენაესობის მიღწევა ერთ დღეში, დეკლარაციის გამოცხადებით, შეუძლებელია. ეს თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს და განხორციელდეს პირველ რიგში, აღმასრულებელი ხელისუფლების ჩინოსანთა მტკიცე ნებით, რადგან დემოკრატიული სახელმწიფო სუსტ სახელმწიფოს არანაირად არ ნიშნავს. უბრალოდ, ეს ნება კონსტიტუციით უნდა იყოს შებოჭილი, რათა მავანმა, ხალხის საზიანოდ, ბოროტად არ გამოიყენოს. ჩვენთან კანონზე მაღლა ამა თუ იმ პიროვნების ნება და ამბიცია არ უნდა იდგეს. მოსახლეობას, ხალხს გათავისებული აქვს, რომ მის მდგომარეობას არა გამართულად მომუშავე სახელმწიფო მოწყობის სისტემა, არამედ კონკრეტული პიროვნება — ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი გააუმჯობესებს, რომ მისი უფლებები არა კანონის უზენაესობის, არამედ კონკრეტული პიროვნების ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ იქნება დაცული. ეს ხომ აბსურდია. ასეთი გზა უკან — ფეოდალურ წყობაში დაბრუნებას გვიქადის.

**— მაგრამ ხალხის პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებაზე ხომ ისევ პოლიტიკოსებმა უნდა იზრუნონ...**

— რასაკვირველია. მაგრამ არსებობს კი პოლიტიკური კულტურა საქართველოში? პოლიტიკური პარტია, მისი სახე და რეიტინგი მის პოლიტიკურ დოქტრინასთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ათეული წლების მანძილზე უცვლელი რჩება, ერთ გენერალურ ხაზს ავითარებს და მისი მეშვეობით ცდილობს ქვეყნის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ყოველ შემთხვევაში, ასეა მიღებული იმ ქვეყნებში, სადაც პოლიტიკური პარტიების ისტორია იღებს სათავეს. ჩვენთან პარტია მის ლიდერს, ანუ ერთ კაცს ნიშნავს. ეს ერთი კაცი დღეს შეიძლება მემარცხენე იყოს, ხვალ მემარჯვენეობა დაუჯდეს ჭკუაში, ზეგ კი ცენტრისტობა მოუნდეს. რატომ? ერთი მარტივი მიზეზის გამო: ჩვენთან ხშირ შემთხვევაში, ჯერ საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრობენ და მერე ქვეყნისაზე... პარტია არ არის ერთი კაცი და არც პარტიული კონკურენცია გახლავთ „ორთაბრძოლა წესების გარეშე“. როდესაც იუსტიციის მინისტრი გახლდით, 125 პარტია იყო რეგისტრირებული. დღეს ეს მონაცემები მოვიკითხე. უკვე 164 გვყოლია! ასეთი კურიოზიც მახსოვს — ერთ-ერთი მოქალაქე მოვიდა ჩემთან და დაჟინებით მოითხოვდა „უპარტიოთა პარტიის“ რეგისტრაციას. ხვდებით, სადამდე მივდივართ? სხვათა შორის, ზუსტად ამგვარი სიტუაცია იყო 1918-21 წლების საქართველოში. ანალოგიური დასახელების პარტია მაშინდელი არქივის კვლევების დროსაც შემხვდა. მას შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ცხოვრების კულტურამ განვითარება ვერც მოასწრო, რადგან, როგორც გითხარით, ეს სახელმწიფო განვითარების თანმხლები საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია.

სანამ ქვეყანა დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა, ბრძოლის იდეა და მიზანი ერთი იყო. დამოუკიდებლობის შემდეგ კი ქვეყნის შენებაზე აზრები გაიყო — ზოგი ყველაფერს პირად გამორჩენაზე აგებს, ზოგს სამართლიანობა სურს, მაგრამ, საბოლოოდ, ქვეყნისთვის მაინც საზიანო, მცდარი გზა აქვს არჩეული, ზოგიც სწორ გზას ადგას. როგორ გავერკვეთ სიმართლეში, როდესაც ყველა თავგამოდებით ამტკიცებს თავის წილ სიმართლეს? მექანიზმი მარტივია. ხალხი ირჩევს პარლამენტს, პარლამენტი კი ადგენს კანონებს. შესაძლებელია ამა თუ იმ პიროვნებას ქვეყნის განვითარების მისეული გზა ჰქონდეს, მაგრამ ეს გზა აუცილებლად უნდა მოთავსდეს კანონისა და კონსტიტუციის ჩარჩოებში. ასეთ შემთხვევაში ცდომილებისგან დაზღვეულნი ვიქნებით.

**— მაგრამ როგორც ირკვევა, არც პარლამენტის არჩევაა იოლი. პოლიტიკოსები ხალხის ნებას ნაკლებად ითვალისწინებენ და ნებისმიერი ხერხებით ცდილობენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას. აქ კი, უკვე თქვენ მიერ დასახული სახელმწიფო პირამიდის სათავეში იმღვრევა წყალი და ქაოსის პირას ვდგებით...**

— იოლი არაფერია. მაგრამ იმას ნუ გავაკეთებთ, რომ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ყოველ საპარლამენტო არჩევნებზე, თავიდან დაიწყოს სახელმწიფო მშენებლობის ათვლა. ხომ არსებობს კონსტიტუცია, სახელმწიფო მართვის ინსტიტუტები. დღეს მავანნი, შესაძლოა, ლაპარაკობდნენ მათ გაუმართაობაზე, კონსტიტუციისა და კანონმდებლობის ხარვეზებზე, მაგრამ მარტივი ჭეშმარიტებაა — ესა თუ ის ნივთი თუ არ გამოვიყენეთ, მარტო დათვალიერებით ვერ მიხვდებით, როგორ შეიძლება მისი გადაკეთება ისე, რომ ყოველდღიურად გამოვიყენოთ. დღეს ჩვენ უბრალოდ, ვათვალიერებთ კანონებს, სასამართლო უწყებებს, შემდეგ ზეპირად ვაკრიტიკებთ მის შესაძლებლობებს და... საკუთარი შეხედულებისამებრ ვიქცევით. ეს გზა ხომ არარაობამდე, არაფრობამდე მიგვიყვანს. ხე ერთ დღეში არ გაიზრდება, რაც არ უნდა ბევრი წყალი დავუსხათ. არც სახელმწიფო აშენდება ერთ დღეში. მით უმეტეს, არ აშენდება თავისით. ყველაფერს დრო და მუხლჩაუხრელი შრომა უნდა. შეუძლებელია, ქუჩაში რაიმე გადაწყდეს. ეს ხომ ყოველგვარ წარმოდგენას არღვევს არა მხოლოდ არჩევნებზე, არამედ ნორმალური სახელმწიფოს არსებობაზე. თუ ამ ცესკოს არ ენდობოდნენ, რატომ აირჩიეს? ყველამ ვიცით, მის შედგენაზე რა დრო და ენერგია დაიხარჯა. ვთქვათ, მისი გადაწყვეტილება რომელიმე პარტიისთვის მისაღები არ აღმოჩნდა — მიმართონ სასამართლოს. მით უმეტეს, თუ ახლავე აცხადებენ, რომ გაყალბების დამადასტურებელი უტყუარი საბუთები აქვთ. რა საჭიროა ამ რესურსების გვერდის ავლით, პირდაპირ ქუჩაში გამოსვლა? გასულ არჩევნებზე საკონსტიტუციო სასამართლომ 4 ოლქში არჩევნების შედეგები გაუქმებულად გამოაცხადა. სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ მაშინ ოთხივე ოლქში მოქალაქეთა კავშირის დეპუტატებმა დაკარგეს უფლებამოსილება. იყო ზარებიც, ზეწოლაც, საკმაოდ უხეში ფორმებით, მაგრამ ჩვენ გადაწყვეტილება არ შეგვიცვლია. გავაუქმეთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში წინასწარი დაკავების ზედმეტი ვადა; გავაუქმეთ ელექტროენერგიაზე უსამართლოდ მომატებული ტარიფი; გავაუქმეთ კანონის ის ნორმა, რომელიც მანიფესტაციების და მიტინგების გამართვის თავისუფლებას ზღუდავდა; გავაუქმეთ ლტოლვილებთან დაკავშირებული საკითხი, რომელიც მათ, რეგისტრაციის შემთხვევაში, ლტოლვილობის სტატუსს უუქმებდა... რომელი ერთი ჩამოვთვალო იმ საკითხებიდან, რომლებიც საკონსტიტუციო სასამართლომ ერთი, კონკრეტული პირის ან პირების კი არა, სიმართლის სასარგებლოდ გადაწყვიტა. მაშინ რის საფუძველზე გაკეთდა არჩევანი ქუჩაზე? ყველაფერი მუშტებით უნდა გადაწყდეს, ვინ უფრო ძლიერია? თუ ასეა, მაშინ არც სასამართლო, არც პარლამენტი და არც კონსტიტუცია არაფერ შუაშია — გამოვიდნენ ქუჩაში და ომით გადაწყვიტონ სახელმწიფო მართვის საკითხებიც. ამის გამოა ჩემთვის მიუღებელი ის, რაც ვთქვი, თორემ მანიფესტაცია, შეკრება, პროტესტის გამოხატვა — ეს პარტიებისთვის ჩვეულებრივი, დამახასიათებელი მოვლენა გახლავთ, მაგრამ ვიმეორებ: არა ისე და იმ მიზეზებით, რომ ყველაფერი ქაოსით და არეულობით დამთავრდეს — რომლის შედეგიც უშედეგობა იქნება. კიდევ ერთს ვფიქრობ: ისინი, ვინც დღევანდელ გამოსვლებში უფრო მეტად აქტიურობენ და სიმართლის დადგენა ქუჩის აქციებით სურთ, ძალიან ახალგაზრდები, 20-22 წლისანი არიან. გამოდის, რომ ამ 11 წლის წინ, სამოქალაქო ომის დროს, ეს გოგო-ბიჭები სულ 10-12 წლისანი იყვნენ. ბუნებრივია, მათ არ ეხსომებათ, არ უგრძნიათ და ვერც გააცნობიერეს უბედურება და ტკივილი. მაგრამ ნუთუ ეს საშინელება რომ აღარ განმეორდეს, აუცილებელია, ყველა თაობამ საკუთარ თავზე გამოსცადოს? როგორ ჰგონიათ, ძალით მოსული ადამიანი დაიცავს სხვა ადამიანების უფლებებს და დემოკრატიას? შესაძლოა, ძალიან უნდოდეს, მაგრამ ვერ დაიცავს, რადგან უახლოესი წარსულის გამოცდილება გვიჩვენებს — თუნდაც უკეთესი მომავლისთვის, წარმატებით განხორციელებული ძალადობა საზოგადოებაში ანალოგიურ, ძალადობრივ იმპულსებს იწვევს — რახან შენთვის შეიძლება, მისთვისაც შეიძლება, ის დემორალიზებულია თუ ამორტიზებული. ავად თუ კარგად, დღეს კრიმინოგენულ ვითარებას სამართალდამცველები მაინც აკონტროლებენ. ხელისუფლების ძალით შეცვლის პირველსავე დღეს მათ ანგარიშს აღარავინ გაუწევს — თუნდაც ნახსენები დემორალიზებისა და „ამორტიზაციის“ გამო და ქვეყანაში უმართავი პროცესები დაიწყება. მერე კი (თქვენი ნათქვამისა არ იყოს) მოჯადოებულ წრეში მოვექცევით — რამდენიმეწლიანი სამოქალაქო დაპირისპირება, ქაოსი, მერე დაიწყება წვალებითა და ვაი-ვაგლახოთ სიტუაციის დალაგება, სახელმწიფო ინსტიტუტების თავიდან შექმნა; მერე საპარლამენტო არჩევნები; მერე ისევ რომელიმე პარტიისა თუ გაერთიანების უკმაყოფილება და ასე, დაუსრულებლად...

> **ხომ არ შეიძლება, ვინმემ სარჩელი მხოლოდ პირადი მოსაზრებების საფუძველზე აღძრას? ოფიციალური მონაცემების მიხედვით მომზადებული სარჩელის განხილვის შე მდეგ კი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დარღვევების შემთხვევაში არჩევნები ბათილად ცნოს ერთ რომელიმე ოლქში, ან მთლიანად საქართველოში. ამის შემდეგ კი ჩვეულებრივი პროცედურა დაიწყება — პრეზიდენტი დანიშნავს ახალ ვადას, ცესკო კი საორგანიზაციო გეგმას შეადგენს... ეს არის და ეს.**

**— ძალიან რთული პროცედურებია გასავლელი არჩევნების ხელახლა დასანიშნად?**

— არც ისე რთული. ამისთვის პირველ რიგში საჭიროა, ცესკოს მონაცემები გამოქვეყნდეს — ხომ არ შეიძლება, ვინმემ სარჩელი მხოლოდ პირადი მოსაზრებების საფუძველზე აღძრას? ოფიციალური მონაცემების მიხედვით მომზადებული სარჩელის განხილვის შემდეგ კი, საკონსტიტუციო სასამართლო უფლებამოსილია დარღვევების შემთხვევაში არჩევნები ბათილად ცნოს ერთ რომელიმე ოლქში, ან მთლიანად საქართველოში. ამის შემდეგ კი ჩვეულებრივი პროცედურა დაიწყება — პრეზიდენტი დანიშნავს ახალ ვადას, ცესკო კი საორგანიზაციო გეგმას შეადგენს... ეს არის და ეს.

***დაჩი გრძელიშვილი***

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მიმართვა სრულიად საქართველოსადმი



დღეს უკვე ნათლად იკვეთება, რომ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული პროცესები სცილდება პოლიტიკის ფარგლებს და თანდათან იძენს სამოქალაქო დაპირისპირების საშიშ სახეს. ამიტომაც მივმართავთ ხელისუფლებას, ყველა პოლიტიკურ გაერთიანებას და პოლიტიკურ პარტიებს, საქართველოს მოსახლეობას, ყველაფერი გააკეთონ, რათა თავიდან იქნას აცილებული ხალხის ურთიერთდაპირისპირება. თითოეული თქვენგანი ჩვენი სულიერი შვილია და თქვენი ტკივილი ჩვენთვის ახლობელია, მაგრამ არის რეალური საშიშროება უმართავი პროცესების განვითარებისა.

ყველამ უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ეს მდგომარეობა შეიძლება გამოყენებულ იქნას გარეშე მტრული ძალების მიერ და შეიქმნას ისეთი სიტუაცია, რომლის შედეგების გამოსწორება მეტად ძნელი იქნება ქვეყნისათვის.

ეკლესია ყოველთვის იყო და არის მქადაგებელი ერის ერთიანობისა, სიყვარულისა, ურთიერთგაგებისა და შერიგებისა. რამდენადაც ძნელი არ უნდა იყოს თქვენთვის, ახლაც ყველას მოგიწოდებთ ერთმანეთისკენ ნაბიჯების გადადგმისა და მშვიდობის შენარჩუნებისაკენ. ეს არის ერთადერთი გამოსავალი და ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

ღმერთი მშვიდობისა და სიყვარულისა იყოს თქვენ შორის. ამინ!

*სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი*
*7.XI.2003*

# „ჟამი“ — სენი, სახელად, დაცემული საზოგადოება

5 ნოემბერს, კინოს სახლში შედგა **ზაზა ილურიძის** ფილმის, „ჟამის“, პრემიერა. ფილმი, რომლის სცენარი თამაზ ბიბილურის რომანის, „ჟამი კითხულისა“ მიხედვით, თავად რეჟისორმა შექმნა, ათი წლის წინ არის გადაღებული; მაგრამ გიჩნდება შეგრძნება, რომ ფილმზე მუშაობისას რეჟისორი — ჭეშმარიტი პროფესიონალი — სწორედ დღევანდელ დღეზე ფიქრობდა. დიდი ტრაგიზმი, რომელიც ეკრანიდან მოდის, იმ სიამოვნების განცდას გიკარგავს, კარგი ფილმის ნახვისას რომ უჩნდება ადამიანს. თხემით ტერფამდე შეძრული უყურებ თითქმის ირეალურ ქვეყანას, რომელშიც ყველაფერი იმდენად რეალურია, რომ გაშინებს... ხალხური ზღაპარი გამახსენდა. წმ. გიორგიმ რომ უთხრა მის წინაშე წარმდგარს: პური რად არ მაჭამეო. — კი მაგრამ, ჩემთვის არასოდეს მოგითხოვია პური... ხიდთან რომ მათხოვარი შეგხვდა, ის ვიყავი მეო... ფილმში „ჟამი“ თითქოს მტვერმიყრილი, დავიწყებას მიცემული კიდობნიდან ამოფარფატდნენ უბედურებანი, რომელთაც შეგნებულად ვარიდებდით მზერას. არ გვინდოდა და არ ვიჯერებდით, რომ ომში სარგებლის მოსახვეჭადაც მიდიოდნენ მეომრები (ეს მარტო XX საუკუნის ჟამი, ანუ სენი არ არის), რომ ის, ვინც სიცოცხლის გადამრჩენელი გვგონია, ხშირად მოღალატე და ბევრი უბედურების სათავეა. არ ვფიქრობდით იმაზე, რომ ერთი კაცის ერთგულებაში დაეჭვების შემდეგ თითქოს მთელი კაცობრიობა ხდება არასაიმედო, არ ვფიქრობდით, რადგან ამაზე ფიქრი მძიმეა და საშინელი.



ის, ვინც კითხულია (ვისაც ხალხი ეკითხება, როგორ იცხოვროს), ყოველთვის მარტოა, ყოველთვის დამნაშავეა და „ჟამითაც“ არის ავად. მის ჟამს — დაცემული საზოგადოება ჰქვია. ეს უკურნებელი სენია. როგორც არ უნდა ეცადო, რომ არ დაინახო, თავს მაინც დაგანახვებს; დაგანახვებს რომ ისტორიაში ერთეულები მიათრევდნენ მხრებით ეთიკის, ზნეობის, თუნდაც ძლიერებისა და სახელმწიფოს ინტერესების „მარხილს“. დანარჩენები ამ მარხილზე ისხდნენ, ერთობოდნენ და ათასი უწმინდურებით კიდევ უფრო აუტანელს ხდიდნენ ერთეულთა მხრებზე მძიმე მარხილის თრევით გაჩენილი იარის ტკივილს.

რა თქმა უნდა, ბოლოკეთილი ზღაპრის მოსმენა უფრო ადვილია, ვიდრე ამაზე ფიქრი...

„ჟამის“ ნახვის შემდეგ კინოდარბაზიდან გამოსულებს (არა მარტო მე, ბევრ სხვა მაყურებელსაც) ძალიან მოგვინდა რეჟისორთან მისვლა, მადლობის გადახდა, მაგრამ ბატონი ზაზა არც დარბაზში, არც ფოიეში არ დაგვხვდა. ის ალბათ ისევ თავის დიდ ტკივილთან იყო განმარტოებული, ტკივილთან, რომელიც ასე საჭიროა ჩვენი სულების „გასაფხავებლად“. „ჟამიც“ მისი ანარეკლია.

*ლელა ჯიყაშვილი*

# უგულო ადამიანის გამო ახალგაზრდა კაცი სიკვდილს ებრძვის

ყველაფერი შეიძლება შეგემთხვეს კაცს, მაგრამ ღირსება არ უნდა დაკარგო და უნებლიე უყურადღებობით აკიდებული ცოდვის გამოსწორებას თუ არა, მონანიებას მაინც შეეცადო. მსგავსი შემთხვევა, რომელზეც ქვემოთ გიამბობთ, საუბედუროდ, არაერთი მომხდარა. კიდევ უფრო სამწუხაროა, რომ ყველას როდი ჰყოფნის ვაჟკაცობა, უმძიმეს ვითარებაში დაზარალებულს მხარში ამოუდგეს და კურდღელივით არ მიიმალოს. 31 ოქტომბერს, ღამით, სასტუმრო „აჭარასთან“ მდებარე კაფე „პრინცის“ წინ, ქუჩაზე გადასვლისას გამსახურდიას



გამზირიდან დიდი სისწრაფით მიმავალი მუქი ფერის „ოპელ-ასტრას“ მარკის ავტომობილი ჟურნალისტ **ვასიკო სილაგაძეს** დაეჯახა. თვითმხილველთა თქმით, დარტყმა იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ჰაერში ააგდო და რამდენიმე მეტრის მოშორებით მოისროლა. როგორც მშიშარა და უგულო ადამიანებს სჩვევიათ, მძღოლმა ავტომობილი არც კი გააჩერა. იმ დროს, როცა „მსხვერპლის“ სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა, დამნაშავე სწრაფად გაეცალა იქაურობას. არც კი უფიქრია, რომ დაზარალებული ექიმის კარამდე მაინც მიეყვანა. ვასიკო სილაგაძე ამჟამად რესპუბლიკური საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში წევს და კომატოზურ მდგომარეობაში სიკვდილს ებრძვის. ავტოავარია ალბათ უფრო შემთხვევით მოხდა. არც გვინდა დავიჯეროთ, რომ იგი შეგნებულად, გამიზნულად მოაწყო ვიღაცამ. თუმცა, ვასიკოს ხანგრძლივი ჟურნალისტური მოღვაწეობა საამისო ეჭვის საფუძველსაც იძლევა. იგი ხომ ერთ-ერთი იმ ობიექტურ ჟურნალისტთაგანია, რომელიც დაუფარავად ამხელდა ჩვენი ხელისუფლების კორუმპირებულ ჩინოვნიკთა შავბნელ საქმიანობას. ალბათ მკითხველს ახსოვს კიდეც, ამის გამო რამდენიმე წლის წინ როგორ გაუსწორდნენ ერთ-ერთი ძალოვანი უწყების წარმომადგენლები. ცემით რომ გული იჯერეს, აბა, რომელი თითებით დაწერე სტატიაო და მარჯვენა ხელის ცერი და საჩვენებელი თითები დაუსერეს. დღეს კი, როგორც აღვნიშნეთ, ვასიკოს მდგომარეობა უმძიმესია. თუმცა ექიმთა თქმით, არცთუ უიმედო. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მას თბილისის საგამოძიებო სამმართველოს ავტოსაგზაო შემთხვევათა სპეციალიზებული განყოფილების გამომძიებელი ირაკლი მაღნარაძე იძიებს. ჩვენ დავუკავშირდით ბატონ ირაკლის და საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ.

ირაკლი მაღნარაძე: — მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემები გაგვაჩნია, თუმცა ოფიციალურად ექსპერტიზის დასკვნა ჯერ არ მიგვიღია. გვაქვს შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მანქანის დეტალები. მისი მარკა უკვე ცნობილია, ეს არის მუქი ფერის „ოპელ-ასტრა“, ხოლო კონკრეტულად ფერის დადგენის შემდეგ შევძლებთ ავტომობილის მფლობელის ვინაობის გარკვევასაც.

— **თვითმხილველები თუ დაჰკითხეთ?**

— კი, მაგრამ მეუბნებიან, რომ, მათ მხოლოდ დაჯახების ხმა გაიგონეს და დაინახეს, რომ მანქანა მუქი ფერის იყო, ნომერი ვერავინ დაიმახსოვრა, რადგან ფიზიკურად დაჯახების მომენტში ახლოს არავინ იმყოფებოდა.

— **რამდენ ხანში ვარაუდობთ მფლობელის დადგენას?**

— ექსპერტიზის დასკვნა ერთ კვირაში მექნება და მანქანის ფერსაც დავადგენთ, თუ მანამდე რამე ახალი სამხილი არ გამოჩნდა.

— **საქმე რა მუხლით არის აღძრული?**

— 276-ის პირველი ნაწილით. თუ დაზარალებულს მძიმე დაზიანებები აღმოაჩნდა(?!), ავტომატურად გადავა ამ მუხლის მესამე ნაწილზე. იგი 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. მერწმუნეთ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ საქმე გაიხსნას.

რაც შეეხება ვასიკო სილაგაძის ჯანმრთელობას, გვეიმედება და გვჯერა, რომ იგი მალე ფეხზე დადგება. ამჟამად მას საკმაოდ ძვირად ღირებული მკურნალობა უტარდება, რომელიც სავარაუდოდ 6 ათას ლარამდე ჯდება. ცხადია, ერთი ჩვეულებრივი, პატიოსანი ოჯახისათვის ეს საკმაოდ დიდი თანხაა. ამის გამო **„თბილუნივერსალბანკის“ საბურთალოს ფილიალში გახსნილია ანგარიში, რომლის ნომერია 3601000441.** დაზარალებულის ოჯახი წინასწარ უხდის მადლობას (ჩვენც ვუერთდებით) იმ გულისხმიერ ადამიანებს, ვინც გაითვალისწინებს ახალგაზრდა კაცის მდგომარეობას და ნებისმიერი სახის დახმარებას გაუწევს გასაჭირში ჩავარდნილს.

*მამუკა ხუციშვილი*

# „ნუ დავივიწყებთ, ვისი გორისა ვართ“



*კეთილგანწყობამ გაიმარჯვა (მადლობა უფალს). ორი ერთმანეთის მიმართ დაპირისპირებული მხარე — ოპოზიციის წინააღმდეგობრივი ფრონტი და საქართველოს პრეზიდენტი ერთმანეთს შეხვდნენ, რათა ერთად გაიმარჯვონ პოლიტიკურ ამბიციებზე და ერის სასიკეთოდ გადადგან ნაბიჯი...*

*ქვეყანა აწეწ-დაწეწვას გადაურჩა.*

*რა ხდებოდა მანამდე... მანამდე კი მტკივნეული იყო იმ ხალხის განცდაც, ვინც ქუჩაში არ გამოსულა და შინიდან ადევნებდა თვალყურს მიმდინარე პროცესებს.*

**თემურ წიკლაური:** — ამ დაპირისპირებაში არც ერთი მხარისა არ მესმის და ყველას მოვუწოდებ, სადმე ბუშმენების ტომიდან მოვიყვანოთ ვინმე ბელადი, დამიჯერეთ, ის უკეთ მოუვლის ქვეყანას, ვიდრე ეს გადარეული ხელისუფლება და ოპოზიცია. ნუ ავყვებით მათ, ვაკეთოთ ჩვენი საქმე, ნუ დავივიწყებთ, ვისი გორისა ვართ და ყველაფერი კარგად იქნება...

**მედეა ჩახავა:** — ყველაფერი კარგისკენ უნდა შეიცვალოს, მაგრამ არა ასე, ქუჩა-ქუჩა სიარულით. ალბათ არ ფიქრობენ, რომ ამას შეიძლება უბედურება მოჰყვეს. ალბათ მიტინგზე შეკრებილი ახალგაზრდები ჯერ მშობლები არ არიან და ამიტომაც ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას ისე ვერ გრძნობენ, როგორც შვილების პატრონები, რომლებიც შეშინებული ვართ — ნუთუ ისევ უნდა დაინგრეს ქვეყანა, რომ რომელიმე პარტიამ გაიმარჯვოს... მე არც ერთი პარტიის მომხრე არა ვარ, ერთადერთი, აღმშენებლობის მომხრე ვარ.

— **თქვენ იყავით მიტინგზე?**

— მე ტკივილს შინ ვატარებ და არა საქვეყნოდ. არსებობს კანონი და მისი საშუალებით უნდა მოხდეს ყველანაირი სვლა უკეთესობისკენ, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ კანონებს არავინ სცემს პატივს. მას, ვინც მეტისმეტად ეგზალტირებულია, მართებს თავშეკავება, სიბრძნე, სხვისი პატივისცემა და ა.შ. საუკუნეების განმავლობაში უამრავი უბედურება გადავიტანეთ და დღემდე მოვედით, იმიტომ, რომ ბრძნული მოთმინების უნარი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს, დავიოკოთ ტემპერამენტი, კვლავაც გონებას მოვუხმოთ. ხომ არ დავხოცავთ ერთმანეთს. ნუ მივცემთ უბედურებას ჩვენზე გაბატონების ნებას. და ვის უფრო უყვარს საქართველო, ამის დამტკიცება მოკრძალებულად, საქმით შეიძლება.

**ნოდარ მგალობლიშვილი:** — რა გითხრათ. ეს დღე დიდი ხანია მზადდებოდა, კიდევ ერთხელ გააწნეს სილა იმ ხალხს, ვინც საქართველოში ცხოვრობს. ვეღარ ითმენს ხალხი ასეთ დაცინვას, ნიჰილიზმს, უპატივცემულობას, სისასტიკეს ერის მიმართ. ვფიქრობ, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს პერიოდი, როცა რომელიმე მეფეს ან იმპერატორს ისეთი ნაბიჯები გადაედგას თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის საწინააღმდეგოდ, როგორც ეს საქართველოს დღევანდელმა ხელისუფალმა „შეძლო“. ხალხი იმ ზომამდე მიიყვანეს, რომ იმას კი არ ამბობს, 14 ლარი არ მეკუთვნის პენსიაო, არამედ იხვეწებიან, ის 14 ლარი მომეცითო. არადა, მინიმალური საარსებო წყარო ერთ კაცზე 115 ლარი ყოფილა და 14 ლარი როგორ უნდა ეყოს ადამიანს, ერთი გამაგებინეთ... ამაზე მეტი ცინიზმი არსებობს? ამიტომ როგორ შეიძლება ამ მთავრობის საქებრად ენა მომიბრუნდეს. სისხლის ღვრის და აგრესიის წინააღმდეგი ვარ და არ შემიძლია კიდევ ვნახო, რამაც ერთხელ უკვე შემზარა... მაგრამ ამაზე მეტი ლახვრის ჩაცემა საკუთარი ხალხის მიმართ, არა მგონია, სხვა რამ იყოს. ყოველ ორშაბათს გვატყუებს პრეზიდენტი, ეკონომიკური მაჩვენებლები იზრდებაო. ვის ატყუებს, ვის? მონობა პირველ ეტაპზეა აგრესიის გამომწვევი, მეორე ეტაპზე ადამიანი ურიგდება და მესამე ეტაპზე უტკბება კიდეც. მაგრამ ამის შემდეგ მოდის სიმწარე, — როცა ვეღარ იტანს კაცი მონობას. ასეთი ეტაპი დგას ახლა და რატომ უკვირთ, ვინ მიიყვანა ხალხი აქამდე?

**თენგიზ არჩვაძე:** — ძალიან დიდი ტალღა აზვირთდა, სიფრთხილე გვმართებს. ავაშენებინოთ სიყვარულს მტრობით დანგრეული ხიდი, ურთიერთობები და ნუ დავაქცევთ ქვეყანას, თორემ ყველა ერთიანად მოვყვებით ნანგრევებში. ეს მოვლენები მაგონებს წარსულს, რომელსაც კარგი არაფერი მოუტანია და ნუ გავიმეორებთ შეცდომებს, სულ გამოუცდელები ხომ არ უნდა ვიყოთ. ბოლოს და ბოლოს, ხომ შეიძლება ძველ გამოცდილებებზე ვისწავლოთ.

*ეკა ლომიძე*

## მკითხველის პრემია ✱ მკითხველის პრემია

**ეს თქვენი გაზეთია და რადგან ასეა, „კვირის პალიტრის“ ჟურნალისტებს თქვენ ანიჭებთ ყოველკვირეულ პრემიას. შეაფასეთ ამ ნომრის მასალები, აღნიშნეთ რეიტინგის ქვითარში თქვენი აზრით, ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი. იმ მასალის ავტორს, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს თქვენგან, მკითხველის სახელით, რედაქცია პრემიას — 50 ლარს გადასცემს. გამარჯვებული ჟურნალისტის ვინაობას მომდევნო ნომერში შეიტყობთ.** *რეიტინგის ქვითარი იხ. 35-ე გვერდზე.*

## წინა ნომრის მკითხველის პრემიის შედეგები ასეთია:

1-2. **ზვიად ჩაკვეტაძე** — „რა ღირს პირადი უსაფრთხოების ერთი დღე საქართველოში...“ — 64 ხმა

1-2. **ვაჟა გავაშელი** — „სამართლებრივი ნონსენსი“ — 64

3. **ინგა ჯაყელი** — „თუ დამჭირდა, ტერორისტკამიკაძედაც ვიქცევი!“ — 49

4. **იზო რიკაძე, დაჩი გრძელიშვილი** — „ვინ რას გეგმავდა და ვინ რაში შეცდა“ — 41





როგორც ვხედავთ, ხმათა ზუსტად ერთნაირი რაოდენობით ლიდერობენ **ზვიად ჩაკვეტაძე** და **ვაჟა გავაშელი**, რომლებიც თქვენს პრემიას თანაბრად გაიყოფენ.

*მკითხველის პრემიის მფლობელი 350-მა რესპონდენტმა გამოავლინა*

# ყველას დიდი დაფიქრება მართებს...



## ასლან აბაშიძე აჭარის უმაღლესი სამხედრო პირი გახდა(?!)



რამდენიმე დღის წინ, ავად თუ კარგად, საქართველომ თავისი არჩევანი გააკეთა. „მერე რა“, რომ ბევრს თავისი მოქალაქეობრივი ვალი, სურვილის მიუხედავად, მოუხდელი დარჩა. სიაში მოუხვედრელთა კატეგორიას, როგორც ჩანს, ხმა სამომავლოდ, სხვა საქმისთვის შეანახვინეს(?!).

ხმაწართმეულთა ქომაგობა ხმებმოპარულმა ოპოზიციამ იტვირთა... მაგრამ მარტო ეს არ კმარა. როდესაც ათასგზის შეურაცხყოფილი და ღირსებაწართმეული ხალხი ხმას იმაღლებს, მას უთუოდ ხელისუფლებამ უნდა მოუსმინოს (იმის მიუხედავად, უნდა თუ არა ასეთი სამდურავის მოსმენა). ხალხი ბრბოა, იმან რა იცისო, — იტყვის მავანი, ასე არ არის... ხალხი ბრძენია და გონიერი, მაგრამ მეტისმეტად მომთმენი (ეს არის მისი „ნაკლი“), მეტისმეტად ბევრს რომ აპატიებს ხოლმე და ეს ღირსება „ნაკლად“ არ უნდა ჩათვალოს ხელისუფალმა. დაჩაგრულსა და განაწამებს ღირსებასაც (ხმის უფლებას) რომ წაართმევ, ცეცხლზე ნავთს რომ დაასხამ, რაღა ხელისუფლება გქვია, გაგიწევს ვინმე ასეთ ხელისუფალს ანგარიშს?

ხალხის სიყვარული კი ჰაიჰარად და თავისით არასდროს მოდის, მას მოპოვება უნდა. შენკენ საყვედურის სათქმელად წამოსულს რომ გზას გადაუკეტავ, ტყვიას დაუშენ და ფეხით ატარებ დედაქალაქამდე (ცუდის გაგონება არ მინდაო), ასეთი ეყვარები ვინმეს? დარდის გასამხელად რომ გეახლება და ხელს აუქნევ, სწორად იქცევი? არ იტყვის ხალხი, მზრუნველი და ჩემზე მოფიქრალი ამქვეყნად არავინ დამრჩენიაო?.. ასეთ ხელისუფლებას გაჰყვება ვინმე?..

დღეს გონიერება ოპოზიციასაც მართებს. მართალია, ზვარაკივით თავის დახრას არავინ სთხოვს, მაგრამ სიფრთხილე მასაც სჭირდება. იოლი არ არის, ამდენი ხალხის მხარდაჭერა იტვირთო. დაე იომეთ, იბრძოლეთ, კუთვნილი დაიცავით, ოღონდ ომამდე ქვეყანას ნუ მიიყვანთ. თქვენს მოქმედებას კონკრეტული და რეალური (შესრულებადი) გეგმა უნდა ამყარებდეს (რაც ჩემი აზრით, ხელისუფლების წინაშე კონკრეტული პეტიციებითა და რეალური წინადადებებით წარდგომას ნიშნავს, იმიტომ რომ შევარდნაძე, მოწოდებებით — გადადექიო, არ გადადგება და ხალხის აღტკინებასაც დროთა განმავლობაში ძალა დაეკარგება, — ი.რ.) და არა გაუაზრებელი ყვირილი. თუ ასე მოხდა, სამართალი პურს მაინც ჭამს და ჩვენი „დემოკრატი“ პრეზიდენტიც ალბათ ისე მოიქცევა, დასავლეთს რომ თვალი გაუსწოროს...

დღეს ხელისუფლება და ოპოზიცია ერთმანეთს ხმების გამო ედავებიან. ახალგაზრდები ხანდაზმულ პრეზიდენტს არადემოკრატიულობას სწამებენ და უყიჟინებენ — რაკი ხმები მოგვპარე, წადი, დაგვეხსენიო. პრეზიდენტი კი ცამდე მართალის პოზაში დგას და მშვიდად აცხადებს: — ყველაზე გამჭვირვალე და დემოკრატიული არჩევნები მე ჩავატარე, რაზე მედავებითო... თუკი ასეა და ხელისუფლება სამართლიანია, მაშინ ვაჟკაცობაც უნდა ეყოს და ოპოზიციის გამარჯვება აღიაროს, ბრძნულად განჭვრიტოს. პრეზიდენტი უნდა შეეგუოს რეალობას და დათმოს ის, რაც დასათმობია. ბრძენნი ხომ ყოველთვის თმობდნენ... ოპოზიციასაც მართებს იმის ცოდნა, რომ მაქსიმუმის მიღწევა მხოლოდ რევოლუციით არ ხდება...

2 ნოემბერი ასე თუ ისე გადავაგორეთ და რომ გვეგონა, ახლა მაინც დაწყნარდება ქვეყანა, ნერვულ-პოლიტიკური დაძაბულობისგან გავთავისუფლდებით, ამოვისუნთქავთო, სწორედ მაშინ აირია მონასტერი... ნანატრი სიმშვიდის ნაცვლად, უკვე მშვიდობა გაგვიხდა სანატრელი (ქვეყნის ამჟამინდელ მდგომარეობას ფსიქოლოგებმა უკვე დაუსვეს დიაგნოზი — ახლა ნევროტულ-რევოლუციური ვითარებაა).

დღეს მთლად ისე არ არის საქმე რომ ვთქვათ — „დედა შვილს არ აიყვანს ხელშიო“, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უკვე რამდენიმე ქალაქში გავარდა ტყვია, სისხლიც იღვრება, რატომ? იქნებ ახლავე სჯობდეს ყველაფრისთვის თავისი სახელი დაგვერქმია და სიმართლე გვეთქვა ყველას ერთმანეთისთვის... მაგრამ, როგორც ჩანს, სიმართლის თქმა არავის უნდა ერთადერთი არგუმენტით (ეს ამას წინათ ერთმა პოლიტიკოსმა გაგვიმხილა) — სიმართლეს მხოლოდ გიჟები ლაპარაკობენო. ვითომ ასეა?

ომი გრიგალს ჰგავს: მეხთატეხასავით უეცრად დაგატყდება თავს და ყველაფერს ჰგვის პირისაგან მიწისა. ომი (თვით სამართლიანიც კი) ყოველთვის უსამართლოა, რადგან უსმართლოდ დაჩაგრულთა მსხვერპლი მოაქვს.

ხალხმა არჩევანი გააკეთა და მავანმა კეთილი უნდა ინებოს და აღიაროს ეს შედეგები. არჩევნების წინ გამოკითხვებში შალვა ნათელაშვილი ლიდერობდა, ალბათ იმიტომ, რომ ხალხი მასში ქომაგს ხედავდა. თუმცა, როგორც ჩანს, გამარჯვებისთვის „ხალხის ქომაგობა“ არასაკმარისი აღმოჩნდა... ნათელაშვილმა მთელ საქართველოში მშვიდობიანი, ღიმილიანი მსვლელობა მოაწყო, მხარდაჭერასაც დაჰპირდნენ, მაგრამ... პირველობისთვის განწყობილი ლეიბორისტები მეოთხე ადგილზე აღმოჩნდნენ.

ზოგიერთის თქმით, ამის მიზეზი ნაადრევად გაცხადებული საპრეზიდენტო ამბიციები გახდა, ზოგი კი ნათელაშვილის წარუმატებლობის მიზეზს იმაში ხედავს, რომ არჩევნების წინა პერიოდში მის მინდორზე სააკაშვილი თამაშობდა, თანაც უფრო შემტევად და შეუპოვრად. ნათელაშვილისგან განსხვავებით, საკრებულოს თავმჯდომარეს ხმა არ ჩახლეჩია — არჩევნებამდე მიჰყვა და ხალხს 2 ნოემბრამდე არწმუნებდა, — პენსიებს გავაორმაგებ, მეწარმეებს გადასახადებისგან გავათავისუფლებო. ხმაჩახლეჩილი ნათელაშვილისგან განსხვავებით, სააკაშვილმა აგრესიული, შემტევი წინასაარჩევნო კამპანია აირჩია. ჯერ კახეთში მეზვრიშვილს დაუფრთხო ძილი, შემდეგ კი ბოლნისსა და აჭარაში გადახდილი ომებით მოიწონა თავი. ამით იგი ბევრისთვის უსამართლობასთან მებრძოლ გმირთან გაიგივდა. თან ხუმრობა ხომ არ არის, ემოციას ბ-ნმა მიხეილმა სანახაობაც მოაყოლა (ბოლნისსა და აჭარაში), იომა. წინა არჩევნებში დაჩაგრულმა შალვა ნათელაშვილმა, სააკაშვილისგან განსხვავებით, სტრასბურგში იბრძოლა, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ ეს შორეულ ევროპაში მოხდა. ქართველობას ნათელაშვილი შინა ომში არ უნახავს. სააკაშვილმა კი აქ, მათ ცხვირწინ იომა, ხალხმა მისი ბრძოლა ნახა, მოეწონა და ხმაც მისცა.

ბურჯანაძე-დემოკრატების არცთუ შთამბეჭდავმა წარმატებამ (მიუხედავად ბურჯანაძის მაღალი რეიტინგისა) ცხადი გახადა, რომ არჩევნებში გადამწყვეტ ხმას ჯერ ისევ მრავალრიცხოვანი ხელმოკლე ელექტორატი ფლობს და არა სამეცნიერო თუ კულტურული ელიტა. „დემოკრატებმა“ ეს შეჭირვებული ფენა ვერც მემარჯვენე ცენტრისტული იდეებით მოხიბლეს, ვერც ზომიერებით და ვერც დემოკრატიაზე ლაპარაკით...

ახლებისა და მრეწველების „ბარიერზე თამაშმა“ კი უკვე დაგვანახვა, რომ ქვეყანაში, სადაც საშუალო ფენა ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ფულიანი კაცი არ უყვართ... მერე რა, რომ გოგი თოფაძე კარგი კაცია, მერე რა, რომ გამყრელიძე და გაჩეჩილაძე „კაი ბიჭები“ არიან... ისინი ხალხისთვის უბრალოდ მდიდრები არიან, რომლებიც მათ გასაჭირს ბოლომდე ვერ გაითავისებენ... ამიტომ აირჩიეს მათ თავიანთ ენაზე მოლაპარაკე სააკაშვილი და ნათელაშვილი... ოპოზიციამ ათასგზის მოტყუებული, განაწყენებული ხალხი იარაღად აქცია და ხელისუფლებას დაუპირისპირა. ასეთი ვითარება კი შიდასამოქალაქო არეულობის კონტურებს ხაზავს — არ იცოდა ხელისუფლებამ, რომ ხალხის ხმა თუ დაიკარგა, ის — დამცირებული და შეურაცხყოფილი ქუჩაში გამოვა და ხელისუფლებას შეუტევს, — ერთი ხმა მქონდა და ისიც მომპარეთო... (მავანთ რომ ცოტა გააზრებულად ეჭამათ და ხალხისთვისაც „დაეყარათ“, ზედმეტად არ გადასუქდებოდნენ, და არც საკუთარ დასაკლავ დანას ალესავდნენ)...

ამ არჩევნებში რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, ხმები ამ არაპოპულარულმა ხელისუფლებამაც მიიღო. არაქართველი მოსახლეობის გარდა, ხელისუფლებას საკუთარი თაყვანისმცემლები და მუდმივი მხარდამჭერები ქართველებშიც ჰყავს. ეს კანონმორჩილი, თვინიერი ხალხია, რომელიც უარესი მომავლის შიშით დღევანდელ „ყოფას“ სჯერდება და ეგუება. მათ დღევანდელი კვერცხი ურჩევნიათ ხვალინდელ ქათამს და ვერც შეედავები... ბოლოს და ბოლოს, კვერცხისა და ქათმის არჩევა ხომ გემოვნების საქმეა...

ასე რომ, საქართველოში ყველა პოლიტიკურ ძალას თავის ფანი ჰყავს: მაგრამ რა გააკეთა ამ სიტუაციაში ასლან აბაშიძემ ანუ საითკენ არის ამ დროს აღორძინება? ის ზოგადი ქართული პოლიტიკური სპექტრის ვერც ერთ სიბრტყეში ვერ ჯდება, არავინ არ ელოდა (თვით ცესკოც კი) იმას, რაც მოხდა — აღორძინებამ დრო გაჭიმა, დანარჩენი საქართველოს შედეგებს დაელოდა და თბილისში გამოაგზავნა იმდენი ხმა, რომ უეცრად პირველ ადგილზე აღმოჩენილიყო (იქმნება შთაბეჭდილება, რომ რამდენიც საჭირო იქნებოდა, იმდენი ხმა ჩამოვიდოდა ბათუმიდან(?!)

სულაც არ იყო გასაკვირი, რომ სახელისუფლებო ბლოკმა წარმატება მოიპოვა — მე გავლენა და ავტორიტეტი მაქვს — აცხადებდა პრეზიდენტი, სანამ საარჩევნო ტაბლო აღორძინების პირველობას გვაუწყებდა (მოგვიანებით აღორძინებამ მეორე ადგილზე გადაიწია). გამოჩნდა, რომ ავტორიტეტი აბაშიძესაც ჰქონია და შევარდნაძეზე არცთუ ნაკლები. ბათუმში უკვე ამბობენ — საქართველოს აღორძინების ხანა აჭარიდან დაიწყოო. ეს უკვე აბაშიძის მიერ გაცხადებული ამბიციაა საპრეზიდენტო სავარძელზე. „არჩევნებში წარმატებულ“ საქართველოს პრეზიდენტს სუსტი პოზიცია აჭარის მხარდაჭერამ მოუმაგრა. აბაშიძემ ხელისუფლებას მხარი კი დაუჭირა, მაგრამ თავისი ულტიმატუმიც დაიკმაყოფილა — აჭარის უმაღლესი სამხედრო პირი გახდა. ფეოდალად მონათლული აბაშიძე მართლაც განდგომილი ფეოდალივით იქცევა და „საბრძანებლის“ დაცვას საკუთარი ჯარით ფიქრობს(?!).

P.S. ამ სიტუაციაში, ვფიქრობთ, ყველა მხარეს (მათ შორის, მედიასაც) დიდი დაფიქრება მართებს, რომ დაძაბული სიტუაცია პროვოკატორების სათარეშოდ არ იქცეს და ჩვენი ნატანჯი ქვეყანა 90-იან წლებში არ დააბრუნოს. აკი იყო კიდევაც ამის გამოვლინება, როცა ავტომატიანები ხალხის მასაში აუღელვებლად შეიჭრნენ და სროლა ატეხეს(!!!) ამიტომაც მოულოდნელი არაფერია....

***იზო რუკაძე***

## 15 კაცი ქალაქის ცენტრში სროლა-სროლით დადიოდა(?!)



სად იყო „უშიშარი პოლიცია“?

ავტომატიდან ნასროლმა ტყვიების პირველმა უწყვეტმა რიგმა ზუგდიდის ცენტრში, ასწლოვანი ჭადრის წვერი გასხიპა. ნაციონალების მიტინგის მომლოდინე ხალხში თხუთმეტამდე კბილებამდე შეიარაღებული ნიღბიანი შეიჭრა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან უწესრიგო სროლა ატეხა(!).

მანამდე კი ქალაქის ცენტრში ხალხი მშვიდობიან მიტინგზე დასასწრებად ემზადებოდა და ვერავინ იფიქრებდა, რომ რამდენიმე წუთში ყველაფერი თავდაყირა დადგებოდა, ათასობით ადამიანის წინააღმდეგ ვიღაც ტყვიების ჯერის მიშვებას გაბედავდა და უკვე მერამდენედ ქართველი ქართველის სისხლს დაღვრიდა. 7 ნოემბერს, როგორც ჩანს, განგებამ ერთხელ კიდევ დაგვინდო, თორემ...

ცენტრალურ ადგილას, იქ სადაც ზვიად გამსახურდიას სკულპტურაა აღმართული, დღის 11 საათზე, ხალხი უკვე ნაციონალების დროშების ფონზე, მიტინგის დაწყების მოლოდინში ბულვარში მშვიდად დასეირნობდა. აქა-იქ სკამებზე ჩამომსხდარი მასპინძლები ორი ნოემბრის არჩევნების შედეგებზე კამათობდნენ. თავშეყრის ადგილას თანდათან პოლიციელებიც გამოჩნდნენ. ისინიც, მოქალაქეთა დარად, ერთმანეთში საუბრით იყვნენ გართულნი.

ხალხი ამ საშინელებას არ ელოდა. ჯერ მომხდარით გაოგნდა. რაც მართალია მართალია, პირველად გონს პოლიციელები მოეგნენ, რომლებმაც ნიღბოსანი თავდამსხმელების ხალხზე პირველი შეტევისთანავე კუდი ამოიძუეს, სირბილით თავი შეაფარეს პოლიციის სამმართველოს შენობას, და იქიდან უცქერდნენ ხალხის დაწიოკებას. ზოგიერთი პოლიციელი ვერც მიხვდა, ვინ და რატომ ისროდა და სანამ გაერკვეოდნენ, რა ხდებოდა, ცოტა ხანს შეყოვნდნენ. ხალხს ოდნავ იმედი მიეცა, მაგრამ მალე დაინახა, რომ ამ პოლიციელებმაც გაქცევით უშველეს თავს. რამდენიმე ჟურნალისტი უკან გამოეკიდა: საით გარბიხართ, არ გრცხვენიათო? პოლიციელებს ტემპი ოდნავადაც არ შეუნელებიათ, პირიქით, უკანმოუხედავად გარბოდნენ. ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს შენობა შემთხვევის ადგილიდან რამდენიმე ათეული მეტრითაა მოშორებული, შენობის მეორე სართულზეა სამხარეო უშიშროების ოფისიც, მაგრამ იქიდან ცხვირიც არავის გამოუყვია(?!). ხალხს, იმის იმედი, რომ პოლიცია იარაღის ასაღებად გაიქცა და ნიღბიან თავდამსხმელებს საკადრის პასუხს გასცემდა, საბოლოოდ მას შემდეგ დაეკარგა, რაც პოლიციის სამმართველოს ეზოს რკინის უზარმაზარი კარი ჩაკეტეს. ამით უდანაშაულო ადამიანებს პოლიციის სამმართველოს ეზოში თავის შეფარების იმედიც მოუსპეს.

მერე კი ყველაფერი ერთმანეთში აირია; ზოგი გულწასული დაეცა ძირს, ზოგმა გაქცევით უშველა თავს. ერთი მანდილოსანი კი განწირული კივილით მივარდა მოძალადეს, ნიღბის ჩამოგლეჯასაც შეეცადა და თავდამსხმელს უყვიროდა: „შენი არ მეშინია, აბა, თუ ბიჭი ხარ მესროლე, შე ლაჩარო“. არადა, ნიღბოსნები სროლას განუწყვეტლივ აგრძელებდნენ. ზოგიერთი იმდენად გათავხედდა, რომ საბრძოლო ვაზნებით, დატენილი ავტომატის ჯერი პირდაპირ ხალხის თავზე რამდენჯერმე გადაატარა.

ჩემთვის, როგორც მოქალაქისათვის, ყველაზე შემზარავი მანდილოსნების სულისშემძვრელი კივილი იყო. იგი ადამიანს აზროვნების უნარსაც კი ართმევდა. თანაც ეს წივილ-კივილი ავტომატების კაკაფონიის მთელი დროის მანძილზე გრძელდებოდა. ბოლოს ხალხს რამდენიმე უშიშარი მამაკაცი გამოეყო და როცა შეიარაღებული ნიღბოსნები ავტომატებს მჭიდს უცვლიდნენ, მაშინ დააცხრნენ მათ და შებოჭეს. ხალხის რისხვასა და ჩაქოლვას ისინი თავიანთი „კოლეგების“ ავტომატის ჯერმა გადაარჩინა. გასაოცარი იყო ზოგიერთი ქალბატონის გაბედულება და მამაცობა. ბოლოს თავდამსხმელებს ფუჭად სროლა მოსწყინდათ, თუმცა ორი ადამიანი სასიკვდილოდ მაინც გაიმეტეს. საბედნიეროდ, განგებამ ისინი გადაარჩინა და მხოლოდ დაიჭრნენ.

ჩემი ყურადღება ერთმა თავდამსხმელმა მიიპყრო. იგი მედიდურად დადიოდა და ავტომატიდან წამდაუწუმ ისროდა, ისე, რომ სახეზე ნიღაბიც არ ჰქონდა ჩამოფხატული. ზუგდიდელებმა ყველაფერი უცებ გააანალიზეს. ჩემი არ იყოს, უყურადღებოდ არც უნიღბო თავდამსხმელი დაუტოვებიათ, მაგრამ უნიღბო თავდამსხმელში მაინც ვერავინ შეიცნეს. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ეს უნიღბო ზუგდიდელი არ იყო. ადგილობრივი მოსახლეობის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ხელისუფლებამ დასაშინებლად სამიტინგოდ გამზადებულ ხალხს სამხარეო სპეცრაზმი მიუსია. შენიღბულებიც იმიტომ იყვნენ, რომ არავის ეცნო.

15 კაცი ქალაქის ცენტრში ნახევარი საათი სროლა-სროლით დადიოდა(?!). სად იყო ამ დროს „უშიშარი პოლიცია“, უშიშროება, სპეცრაზმები, თუ ისინი მხოლოდ მშვიდობიან მოსახლეობასთან არიან მიჩვეული „ბრძოლას“? რატომ ვერ დააკავეს ვერც ერთი ბანდიტი და რატომ არ გადაკეტეს ზუგდიდში შესასვლელ-გასასვლელები, რომ ვინმე მაინც შეეპყროთ? ან ძალა არ შესწევთ, ან არ უნდოდათ. ორივე ძალზე სამწუხაროა და დამაფიქრებული.

შეიარაღებულმა „მამაცმა პოლიციელებმა“ ქალაქში გამოსვლა მხოლოდ თავდამსხმელების გაუჩინარების შემდეგ გაბედეს...

***რატი ახალაძე***

# მე ქართველი ვარ და სხვა სამშობლო არა მაქვს!..

## ყველა რეგიონი ცალკე იქნება და თავიანთი „ნაპოლეონჩიკები“ ეყოლება



*როგორ დამთავრდება ხელისუფლების და ოპოზიციის „რქათა ჭიდილი“? ეს ვითარება ბოლო დღეების განმავლობაში მთელ საქართველოს უკარგავს მოსვენებას და გაუთავებელ დაპირისპირებაში იმის საშიშროებაც იგრძნობა, რომ ქვეყანაში შესაძლო დესტაბილიზაციის შემთხვევაში, ვერც წითელი ვერძი დარჩება მოგებული და ვერც თეთრი. გამარჯვება შესაძლოა, სულაც „მგელს“ დარჩეს (ღმერთმა არა ქნას).*

*იმის შესახებ, რა საშიშროებას ხედავს დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი და რას აპირებენ სამართალდამცავები ამ სიტუაციაში, ვესაუბრებით* **ავთო იოსელიანს:**

— მთელი მსოფლიო მასხრად აგვიგდებს, სირცხვილია, საქართველოში ერთი პრეზიდენტი სისხლის ღვრით ჩამოაგდეს, ახლა მეორესაც იმავეს უპირებენ? რისიც, მე როგორც ქართველს, არანაირი სურვილი არა მაქვს, არ მინდა საქართველო ისევ ნაწილებად დაიყოს და ჟირინოვსკი და მისნაირები გაახაროს. ამიტომ მოვუწოდებ ყველა ქართველს, რომ კაცურად მოვიქცეთ, მოლაპარაკების გზით ვეცადოთ საქმის მოგვარება. თანაც, ჯერ ხომ არ დამთავრებულა არჩევნები, არ გამოქვეყნებულა საბოლოო მონაცემები. რატომ ვჩქარობთ? გაირკვეს ყველაფერი. თუ გაყალბდა არჩევნები, გამყალბებლები გამოავლინოს პროკურატურამ, რის შემდეგაც ისინი აუცილებლად უნდა დაისაჯონ (მე ვიძლევი იმის პირობას, რომ ასეთ ხალხს გამოვავლენ) კანონის მთელი სიმკაცრით, იმის გამო, რომ ქვეყანა ასეთ საშიშ ზღვრამდე მიიყვანეს(!).

— **თუ გქონდათ ურთიერთდაპირისპირებულ პოლიტიკურ სუბიექტებთან მოლაპარაკების მცდელობა, რომ როგორმე მრგვალ მაგიდას მიუსხდნენ და დაძაბულობა თავიდან აიცილონ...**

— ჯერ ერთი, ჩემი სამსახურის გამო არ მევალება ოპოზიციასთან ან პოზიციასთან „საქმეების გარჩევა“. ეს პოლიტიკოსებმა თვითონ უნდა იკისრონ, თუ პროფესიონალებად თვლიან თავს. თანაც, მათთან ლაპარაკის სურვილიც არ მაქვს, რადგან ვგრძნობ, რომ შედეგი იქნება უარყოფითი.

— **ალბათ დაგიკავშირდებოდნენ თქვენი კოლეგები უცხოეთიდან. როგორია მათი პოზიცია, კომენტარები.**

— ყველას უკვირს, როგორ შეიძლება გაუთავებლად ერთმანეთს ვეომოთ, მაშინ, როცა საერთო გარეშე მტერი უამრავი გვყავს და იმ მტერს ვახარებთ, რომელიც მარტო რუსეთში კი არა, სხვა ქვეყნებშიც გვყავს, რომელთაც ვერ დავასახელებ. შეიძლება მათი მთავრობა ჩვენდამი კარგად არის განწყობილი, მაგრამ იქ არიან ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევთ დაწყნარებული საქართველო. ამას რომ ვაცხადებ პოლიტიკურ ისტებლიშმენტში, რატომღაც ზოგს ჰგონია, რომ ლოზუნგებს ვისვრი — ავთო ლექციებს გვიკითხავსო!.. ჩემს უცხოელ კოლეგებსაც და მეც, უკვე გვიჩნდება ეჭვი, რომ საქართველო ქართველების უმრავლესობას არ უყვარს. ყველაფერს აქვს საზღვარი და თუ ასე გაგრძელდა, მაშინ ჩვენც ვიტყვით ჩვენს სიტყვას.

— **რას გულისხმობთ?**

— ამას წინათ ტელეინტერვიუთი განვაცხადე, რომ თუ დაიძაბება სიტუაცია და დაიწყება გაუთავებელი ჩხუბი, მიტინგები და მისვლა-მოსვლა, ეს ძალიან ცუდად დამთავრდება, რაც ჩვენს მტრებს გაახარებს. ეს თუ არ გვესმის დღეს, ძალიან ცუდია. როგორ შეიძლება ქართველი ქართველს ვერ დაელაპარაკოს, რაც მაშინებს და მაოცებს. რა უბედურება გვჭირს?! ამიტომაც მე კი არ მიგანიშნებთ რამეს, არამედ ვაცხადებ, რომ ჩვენც ვიტყვით სათქმელს. მე ქართველი ვარ და სხვა სამშობლო არა მაქვს, როგორც ზოგიერთს აქვს — ბერძნებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს... ვინც აქ ცხოვრობს, თავისი სამშობლოც აქვთ, საქართველოს გარდა და თუ ქვეყანა აირევა, წავლენ. ავთო იოსელიანს კი სხვა სამშობლო არა აქვს და ჩემი ჭკუის ხალხი ბევრია საქართველოში. ამ სამსახურს სულაც თავს დავანებებ და ჩემს სამშობლოს დავიცავ... არ დავაჯიჯგნინებ არც შინაურს და არც გარეულს. დღეს მცირე იმედი მაქვს, რომ პოლიტიკოსები დიალოგს გამართავენ, რომ ქვეყანას არ არევენ. თუ ეს არ მოხდა, 10 წელია ომის და უბედურების მეტი არაფერი გვინახავს და მივხედავთ ამ საქმესაც(?!).

— **მაინც რას გულისხმობთ, არ აკონკრეტებთ. ზუგდიდში სააკაშვილის ჩასვლასთან დაკავშირებით ქუჩებში მოთარეშე ავტომატიანებმა მთელი საქართველო შეაძრწუნეს, თქვენ რა კომენტარს გააკეთებთ?**

— განა შეიძლება ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება არ მივცე? მთელმა საქართველომ, მსოფლიომ უყურა იმ ამაზრზენ კადრებს. ეს თავის მოჭრაა. კაციშვილი ხმას არ სცემდა. ვგულისხმობ იმათ, ვისაც ეს ევალებოდა. სად იყვნენ ისინი?.. არა მგონია, ადგილობრივებს არ ეცნოთ უნიღბო მოთარეშეები, სასწრაფოდ უნდა დადგინდეს მათი ვინაობა და სათანადოდ დაისაჯონ...

— **როგორ ფიქრობთ, რა პოზიცია უნდა ჰქონდეთ მიმდინარე პროცესებში ქართულ ძალოვან უწყებებს?**

— უშიშროების სამინისტროს რა პოზიციაც აქვს — ნეიტრალური, ეგეთი პოზიცია უნდა ჰქონდეს. თუ პარტიები ერთმანეთში ვერ რიგდებიან, ეს სტრუქტურა მაგათ საქმეში ვერ ჩაერევა. სხვათა შორის, ჩემთვის გაურკვეველია ის პოზიცია, როცა ჩვენ — უშიშროება, დაზვერვა, შსს, თავდაცვა დეპოლიტიზებულები ვართ და ამავე დროს გვეუბნებიან, არჩევნებში მიიღეთ მონაწილეობა, ამის უფლება გაქვთო. თუ დეპოლიტიზებულნი ვართ, მაშინ ამ პოლიტიკურ უფლებას რატომ გვაძლევენ? ვიცი, რომ უშიშროების სამინისტრო ცდილობს, ორივე მხარესთან მოაგვაროს სიტუაცია, რასაც არც მალავს და არც ყვირის ამის შესახებ და სწორადაც იქცევა. ასევეა შსს-ც, რაც ევალება პოლიციას, იმას აკეთებს, — უნდათ წესრიგი დაიცვან და უბედურება არ მოხდეს. რაც შეგვეხება ჩვენ და თავდაცვის სამინისტროს, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში ვმოქმედებთ და არავის ფიქრადაც არ მოსდის სისხლის ღვრა.

ამის დაშვება არ შეიძლება, შედეგი საშინელი იქნება. ქვეყანა დაიშლება. ყველა რეგიონი ცალკე იქნება და თავიანთი „ნაპოლეონჩიკები“ ეყოლებათ. არ მინდა პესიმისტურად დავამთავრო თქვენთან საუბარი... მჯერა ქართველის და იმ მრავალეროვანი ხალხისა, ვინაც საქართველოში ცხოვრობს და საქართველო უყვარს. მჯერა, ყველა გონს მოვა და უბედურებას თავიდან ავიცილებთ.

***ეკა ლომიძე***

---

*არჩევნების შემდეგ მოსალოდნელი სიმშვიდის ნაცვლად საქართველო ქაოსსა და დაპირისპირების მორევში ჩაიძირა. „ხმაწართმეული“ და არჩევნების შედეგებით შეურაცხყოფილი ოპოზიციონერები — სააკაშვილი, ჟვანია და ბურჯანაძე წინააღმდეგობის ფრონტს ქმნიან და „მთავარი გამყალბებლის“ — შევარდნაძის გადადგომას ითხოვენ. გამარჯვებული სააკაშვილი განაწყენებულია, ბარიერგადალახული დემოკრატები პარლამენტში შესვლას არ ფიქრობენ. პრეზიდენტი კი, რომელიც თავს იწონებდა, — სამართლიანი არჩევნები ჩავატარეო, დღეს ძალზე (რბილად რომ ვთქვათ) უხერხულ მდგომარეობაშია. მით უმეტეს, რომ ოპოზიციონერები უკვე საკუთარ ბანაკშიც გაუჩნდნენ.*

სახელისუფლებო ბლოკის სპიკერმა პრეზიდენტი ოპოზიციასთან „თანამშრომლობაში ამხილა“ და ულტიმატუმი წაუყენა, — თუკი ოპოზიციასთან ჟღურტულს აპირებ, სახელისუფლებო ბანაკს დავტოვებო. ირინა სარიშვილს მხარი სხვებმაც აუბეს და პრეზიდენტს დათმობაზე ხელი ააღებინეს... სახელისუფლებო ბლოკის სპიკერს მხარი **ვახტანგ რჩეულიშვილმაც** დაუჭირა, რომელ-

# „საშიშროება ჯერაც არ ამოწურულა“

## ყველა მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის



საც შექმნილ ვითარებაზე კომენტარი ვთხოვეთ:

— ოპოზიციური პარტიების ქუჩაქუჩა სირბილი, ფაქტობრივად, საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადებაა. ამ არჩევნებს ყველა პარტია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა გამოკვეთილი მხოლოდ 4 პოლიტიკური ლიდერია: ასლან აბაშიძე, მიხეილ სააკაშვილი, შალვა ნათელაშვილი და ის პიროვნება, რომელსაც სახელისუფლებო ბლოკი და შევარდნაძე პრეზიდენტობის კანდიდატად დაასახელებენ. დანარჩენების მცდელობა უპერსპექტივო ფაციფუცია. იმ პოლიტიკური ძალის ლიდერს, რომელიც 7%-საც ვერ მოაგროვებს, როგორ უნდა ჰქონდეს პრეზიდენტობის ამბიცია?! ჟვანია-ბურჯანაძის 10-კაციანი ფრაქციის შესვლას პარლამენტში, რომელსაც სააკაშვილის სატელიტობა მოუწევს, აზრი არა აქვს. ამიტომ ცდილობენ, რომ ექსტრავაგანტური ჟესტებით მიიქციონ მსოფლიოს ყურადღება. ასეთი ქმედებით მათ ფაქტობრივად, თავი გაიწირეს. როგორც ჩანს, ხალხი არ მოტყუვდა და ნინო ბურჯანაძის ავტორიტეტის მიუხედავად, ჟვანიას ხმა არ მისცა.

— **დემოკრატებმა ნებაყოფლობით თქვეს უარი საპარლამენტო მოღვაწეობაზე იმის გამო, რომ ხმები მოგვპარესო...**

— არ მგონია, ნათქვამი აასრულონ. ისინი მაინც შევლენ პარლამენტში, თუნდაც იმიტომ, რომ ბარამიძესა და მაჭავარიანზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ჩემზე თავდასხმის გამო, მათ იმუნიტეტი აუცილებლად სჭირდებათ... არ ვარ მათი დასჯის მომხრე, მაგრამ ერთი რამ ცხადია, პარლამენტში „დემოკრატებს“ ძალიან გაუჭირდებათ და ამიტომ ცდილობენ, რევოლუცია გამოიწვიონ. არაფერი გამოუვათ. ჟვანია არ არის ისეთი ადამიანი, რომელიც დამარცხებას ეგუება, ამიტომ ის უთუოდ ეცდება ვითარების გამწვავებას.

— **ირინა სარიშვილი ოპოზიციასა და პრეზიდენტს შორის თანამშრომლობაზე როდესაც ლაპარაკობდა, რას გულისხმობდა?**

— იმას, რომ დემოკრატები სთხოვენ პრეზიდენტს, — ხმები დაგვიმატეთო, ისევე როგორც ჟვანია ვაჭრობდა სხვა ოპოზიციურ ძალებთან თავისი ძლევამოსილების დროს. ზოგს უმატებდა ხმებს, ზოგს აკლებდა. პრეზიდენტმა მათი თხოვნა რომ დააკმაყოფილოს, ეს ფაქტობრივად, არჩევნების გაყალბება იქნება, რასაც პრეზიდენტი არ დაუშვებს... ოპოზიციის მიზანია, ხელი შეუშალოს არჩევნების შედეგების საჯაროობას, შემდეგ კი გაუქმებულად გამოაცხადოს ეს შედეგები, შევარდნაძე აიძულოს, რომ გადადგეს და თვითონ ჩაატაროს არჩევნები. ეს არ მოხდება... 2 წლის წინ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობას ჟვანია გადაჰყვა, ახლაც გადაჰყვება თავის ავანტიურას და ვფიქრობ, საერთოდ ჩამოსცილდება პოლიტიკურ არენას.

— **მაგრამ გამარჯვებული სააკაშვილიც ხელისუფლების გადადგომის მომხრეა.**

— მისი პროპაგანდის მეთოდი ყვირილია. მას წყნარი მუშაობა არ შეუძლია. მინისტრობის დროსაც და ახლაც, უზარმაზარ სახელმწიფო თანხებს პიარზე ხარჯავს. ამიტომ არის მოგების შემდეგაც სასამართლოში რომ გარბის (ადგილობრივ არჩევნებში გამარჯვების შემდეგაც ასე მოიქცა და ახლაც იმავეს აკეთებს).

— **თქვენ უარყოფთ, რომ შეიძლება ოპოზიციამ კუთვნილი ხმები დაკარგოს?!**

— არავინ არაფერს არ დაკარგავს და ყველა მიიღებს იმას, რაც ეკუთვნის, მაგრამ ვიმეორებ — თუ ვინმეს თავისი სცენარის გათამაშება უნდა, ეს არ გამოუვა.

— **რომელ სცენარს გულისხმობთ?**

— მათ უნდათ არჩევნები ნინოს დაანიშვნინონ, შევარდნაძეს წასვლა აიძულონ, მიშა გახდეს პრეზიდენტი, ჟვანია — პრემიერ-მინისტრი, ნინო კი ისევ პარლამენტის თავმჯდომარედ დარჩეს. აშანტაჟებენ შევარდნაძეს — სამოქალაქო ომს ავაგორებთ, რისიც შენ გეშინია, ჩვენ კი — არაო. ჟვანია ნებისმიერ ნაბიჯზე წავა, ოღონდ თავისი ამბიციები დაიკმაყოფილოს. საშიშროება ჯერაც არ ამოწურულა, მაგრამ პრეზიდენტი არ დაუშვებს რევოლუციის მოწყობას. თვით ოპოზიციაც არ უჭერს მათ მხარს. მათი ქმედება შალვა ნათელაშვილმაც დაგმო, „ახლებიც“ არ არიან მათ გვერდით...

დღევანდელი საქართველო 10 წლის წინანდელს არ ჰგავს. დღეს ყველა შესაძლებლობა აქვს ხელისუფლებას, რომ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა აღკვეთოს.

— **პრეზიდენტი დათმობაზე აპირებს წასვლას? ყოველ შემთხვევაში, ის კატეგორიულ განცხადებებს არ აკეთებს.**

— ის ხისტად არ მოქმედებს იმიტომ, რომ სისხლის ღვრა არ უნდა. მაგრამ დათმობასა და მოთმინებასაც აქვს ზღვარი. ამ ზღვარს იქით ის უკან აღარ დაიხევს. ჩვენ პრეზიდენტთან გვქონდა ლაპარაკი. ვუთხარით, ოპოზიციასთან კომპრომისისთვის მზად ვართ, ოღონდ არა პრინციპების დათმობის ხარჯზე, ისიც ასე ფიქრობს.

***იზო რიკაძე***

---

# მინდა გავაწბილო რჩეულიშვილი

## „თუ დასაჭერი ვარ — დამიჭირონ“



განაწყენებული დემოკრატები პროტესტის უჩვეულო ფორმას მიმართავენ და პარლამენტში შესვლაზე უარს ამბობენ. **მიხეილ მაჭავარიანი,** „დემოკრატები“:

— იმ ფარსში მონაწილეობას არ მივიღებთ, რომელსაც პარლამენტის არჩევნებს კი არა, პარლამენტის წევრების დანიშვნას ვუწოდებთ. ჩვენი ოქმებით და გაანგარიშებით არჩევნებში მონაწილეობა 1,5 მლნ-მა ადამიანმა მიიღო. ეს ციფრი ხელისუფლების გულმოდგინე მცდელობის შემდეგ 2 მლნ-მდე გაიზარდა. აჭარიდან ყალბი ხმები ჩამოვიდა, ხელისუფლების მხარდამჭერთა ხმების რაოდენობა უბნებიდან გამოსვლის შემდეგ უჩვეულოდ გაიზარდა, ჩვენი ხმები კი რატომღაც გზაში დაიკარგა. საზღვარგარეთ 11 ათასი ხმა მივიღეთ. ეს რაოდენობა სათანადო ოქმებითაც გვაქვს დადასტურებული, მაგრამ ცესკომდე მხოლოდ 3 ათასმა ხმამ „მოაღწია“.

არ გვინდა ამომრჩეველი გავაწბილოთ და პარლამენტის დანიშვნის სამარცხვინო პროცესში მივიღოთ მონაწილეობა. ჩვენმა ამომრჩეველმა იცის, რომ იქ იმუნიტეტისთვის, ბინძური საქმეებისა და ფულისთვის არ მივდიოდით. ჩვენ ნამდვილად გვსურს ხალხის სამსახური, მაგრამ ხაზარაძესთან და მისნაირებთან საქვეყნო საქმეს ვერ გავაკეთებთ.

— **პარლამენტში თუ არ შედიხართ, ე.ი. თქვენს მანდატებს სხვებს უთმობთ?**

— ჩვენს მანდატებს არავის დავუთმობთ, უბრალოდ ჯერჯერობით, თავს ვიკავებთ ახალი პარლამენტის უფლებამოსილების ცნობაზე. საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს ისეთ წესს, რომ მანდატი წამართვან და ვინმეს გადასცენ. სანამ ხმები სამართლიანად არ დაითვლება, დროებით ვამბობთ უარს დეპუტატის სტატუსზე.

— **ეს არის მიზანმიმართული ზეწოლა ცესკოსა და ხელისუფლებაზე?**

— დიახ, ეს არის ზეწოლა ხელისუფლებაზე (და არა ცესკოზე)...

— **რჩეულიშვილი ამბობს, რომ მისი გალახვის გამო თქვენზე სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. სხვათა შორის, რჩეულიშვილმა ისიც თქვა, მაჭავარიანს იმუნიტეტი ჰაერივით სჭირდება და მასზე უარს არაფრით იტყვის, ტყუილად იმუქრებაო.**

— მინდა გავაწბილო რჩეულიშვილი, ჯერ არ შევალ პარლამენტში. თუ დასაჭერი ვარ, დამიჭირონ. არ მეშინია და არც დეპუტატის იმუნიტეტს ამოვფარებივარ არასდროს. პროკურატურას ჩვენება მივეცი და არც ძიებისთვის შემიქმნია პრობლემა. რჩეულიშვილს ტყუილად ჰგონია, რომ პარლამენტში იმიტომ მივდივარ, თითქოს დაჭერის მეშინია. მე დეპუტატად არ დავბადებულვარ, მუშადაც მიმუშავია. დღესაც რომ მუშა ვიყო, ჩემს საქმეში პირველი ვიქნებოდი.

დემოკრატები და ნაციონალები ერთმანეთის გვერდით დავდგებით, ჩვენს ხმას დავიცავთ და ხელისუფლებას თავში არ წამოვარტყმევინებთ.

ამბობენ, ქუჩის გამოსვლები და მიტინგები შეიძლება თავის მიზნებისთვის უცხო ძალამ გამოიყენოსო. რომელი უცხო ძალით გვაშინებენ. რუსეთით? რუსეთის ამბები ისევ თავის რჩეულიშვილს ჰკითხოს ხელისუფლებამ.

***მარი ზანდუკელი***

---

**ვაჟკაცობა ის არის, მტერი მოკეთედ გაიხადოს, თორო მოკეთე რო გადაიმტეროს, ეგ რა ბიჭობაა...**

*ვაჟა-ფშაველა*

CMYK

# „სიმართლე დღეს საქართველოს სჭირდება“

*რამდენიმე თვის წინ ჩვენთვის, ქართველებისთვის, არჩევნების სამართლიანად ჩატარების სწავლება მეგობარმა ამერიკელებმა სცადეს და მასწავლებლად ყოფილი სახელმწიფო მდივანი, ჩვენი პრეზიდენტის მეგობარი (იფიქრეს, შევარდნაძე მას უფრო დაუჯერებსო) ბეიკერი გამოგვიგზავნეს. ბეიკერი აქ ტყუილად არ ჩამოსულა, მიდგა-მოდგა, ვითარებას გაეცნო და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების „საიდუმლოც“ გაგვანდო. საქართველოს მეგობარმა სამართლიანი არჩევნების მთავარ პირობად ხმების პარალელურად დათვლის მექანიზმის დამკვიდრება დაგვითქვა (რაც დემოკრატიულობით ცნობილ ამერიკაშიც დემოკრატიული არჩევნების გარანტია), — ეს პრინციპი დაიცავით და გეშველებათო...*

2 ნოემბერს „სამართლიანი არჩევნები“ ქვეყნის საარჩევნო უბნებზე შერჩევით აწარმოებდა ხმების პარალელურ დათვლას. როგორც ჩანს, ისინი მავანთათვის არასასურველი პერსონები აღმოჩნდნენ, ზოგიერთი უბნიდან ისინი გამოყარეს კიდეც. ტყიბულში კი, საკუთარი უსაფრთხოების მიზნით, სამართლიანი არჩევნების წარმომადგენლები იძულებულნი გამხდარან თავიანთი უნიფორმა — მწვანე ქურთუკებიც კი გაეხადათ. აჭარამ ნამეტანი ქნა და ერთ-ერთ „არასასურველ“ დამკვირვებელს თავი ციხეში უკრეს...

ვესაუბრებით სამართლიანი არჩევნების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დირექტორს **თამარ ჟვანიას**.

— ხმების პარალელურ დათვლას საქართველოს ყველა საარჩევნო ოლქში უბნების 20%-ზე ვაწარმოებდით. ამ მეთოდით ხმების დათვლა ზუსტ, რეალურ სურათს იძლევა. ნათელი ხდება ცალკეული ოლქის მონაცემები. ჩვენ მიერ შედგენილი 1800 ოქმი კომპიუტერულ ცენტრში არსებულ მონაცემებს შევადარეთ და აბსოლუტურად იდენტური სურათი მივიღეთ

— **თქვენი მონაცემებით, რომელმა პარტიამ რამდენი პროცენტი აიღო ამ არჩევნებში?**

— ნაციონალებმა აიღეს 26,26%, ბლოკმა „ახალი საქართველოსთვის“ — 18,92%, ლეიბორისტებმა — 17,36, ბურჯანაძე-დემოკრატებმა — 10, 15%, ახალმა მემარჯვენეებმა — 7,98%, მრეწველებმა — 5,2%.

— **თუმც ცესკოში სხვა მაჩვენებლები გამოქვეყნდა, რით იყო გამოწვეული ეს ცდომილება?**

— ხდებოდა თავდაპირველი ოქმების გადაკეთება, ანუ ცესკოში სულ სხვა ოქმები მიდიოდა. ამის მიზეზი ბევრი რამ შეიძლებოდა გამხდარიყო. ცდომილების მიზეზი შეიძლება ყოფილიყო ისიც, რაც აჭარაში მოხდა.

საოლქო მონაცემები აჭარაში აბსოლუტურად გაყალბდა. იქ ხელოვნურად გაიზარდა მოსახლეობის აქტივობის მაჩვენებელი. ჩვენი მონაცემებით, არჩევნებზე ამომრჩეველთა 54% მივიდა, ოფიციალურად კი გამოცხადდა, რომ თავიანთ რჩეულებს 90%-ზე მეტმა მისცა ხმა.

— **ზოგადად, 2 ნოემბრის არჩევნებზე როგორია „სამართლიანი არჩევნების“ დასკვნა?**

— საქართველოში არსებობს რეგიონები — აჭარა, ბოლნისისა და მარნეულის რაიონები, სადაც სერიოზული, არნახული გაყალბებები მოხდა. სამართლიანი არჩევნები ყველანაირად ეცდება, რომ ეს ფაქტები რეაგირების გარეშე არ დატოვოს. რაც შეეხება აჭარის პრობლემას, იურიდიული რეაგირების ფარგლებს სცდება და პოლიტიკურად გადასაწყვეტი საკითხია. მძიმე ვითარება იყო ტყიბულშიც. ამის მიზეზი არჩევნებში მონაწილე სუბიექტების დაპირისპირება გახდა. თუმცა უნდა ვთქვა, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები ხალხის ნების გამოხატულება იყო. ახლა მთავარია, ეს ნება აისახოს ცესკოს მონაცემებში. თუ ამას მივაღწიეთ, მაშინ მიიღებს „სამართლიანი არჩევნები“ ოფიციალურ ძალას. ხმების პარალელური დათვლის უზრუნველყოფა ბეიკერის დოკუმენტით იყო გარანტირებული. ვეცდებით, იმ დარღვევებს, რომელიც ჩვენ მიერ იყო აღმოჩენილი, სათანადო შეფასება მიეცეს. სულ 700-მდე სარჩელი შევადგინეთ და ვეცდებით, ხალხს მათ მიერ გაკეთებული სამართლიანი არჩევანი შევუნარჩუნოთ. ჩვენი ერთადერთი ბერკეტი სიმართლის თქმაა, სიმართლე დღეს საქართველოს სჭირდება და მას უთუოდ ვიტყვით.

***იზო რიკაძე***

# „ხომ ხედავენ, რომ ცოცხლები ვართ. ადგნენ და ყური დაგვიგდონ“

## „დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები“(!)



„ნაციონალური მოძრაობისა“ და „ბურჯანაძე-დემოკრატების“ მიერ მერიასთან მიწვეულმა „მრევლმა“ პარლამენტის წინ გადაინაცვლა. მოგვიანებით, მომიტინგეებს ციური წარმომადგენელი — წვიმაც შეუერთდა, რომელიც მანიფესტანტებმა მყისვე შევარდნაძის მომხრედ ჩათვალეს და ხუმრობით „სახელისუფლებო ბლოკის“ წარმომადგენელიც კი უწოდეს. „პოლიცია არ გვიშლის ხელს და წვიმა დაშლით გვემუქრება, მაგრამ ვერაფერს გახდებაო“, — აცხადებდნენ უზარმაზარი ცელოფანებისა და ქოლგების ქვეშ გაერთიანებული ქართველები. თან ისე აგუგუნებდნენ „შავლეგოს“, რომ თავი სახელდახელო „ტრიბუნიდან“ ომში მიმავალთა გასაცილებელ შეკრებაზე გეგონებოდა, მიტინგის ორგანიზატორთა საპროტესტო მოწოდებები რომ არ მოჰფენოდა იქაურობას. პარლამენტის წინ შეკრებილ ოპოზიციონერებს პოლიციისა და სხვადასხვა სპეცსამსახურის წარმომადგენლები ადევნებდნენ თვალყურს, თანაც სახეზე აშკარად ეწერათ — ემანდ არაფერი იეშმაკოთ, არაფერი დააშავოთ, ნუ დაგვღალეთ, სახლში წადით, თქვე დალოცვილებოო. სხვათა შორის, მომიტინგეთაგან რიგითი მოქალაქეები აშკარად საუბრის და პოლემიკის ეშხზე იყვნენ მოსული, მაგრამ ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლებივით დიქტოფონის დანახვაზე ნირს იცვლიდნენ და ვინაობის დაკონკრეტებას ერიდებოდნენ. სამაგიეროდ, ჟურნალისტების კითხვებს დაუზარებლად პასუხობდნენ პოლიტიკოსები.

სანამ ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან მივაღწევდი, ოციოდე წლის ბიჭს გავესაუბრე. — დავიღალე, აღარ შემიძლია ამდენი დაძაბულობის ატანაო, — მითხრა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, პოლიტიკოსები ხელოვნურად ქმნიან პრობლემებს და მოსვენებას არ გვაძლევენ. დღემდე არ მიფიქრია, მაგრამ ახლა ტვინში სულ ის მიტრიალებს, მეც სხვაგან წავიდე. როგორც ჩანს, საქართველოში ახალგაზრდას თავისი ნიჭისა და უნარის გამოვლენის საშუალება კარგა ხანს არ ექნება, ამიტომ აქ ყოფნას აზრი არა აქვს. ამ გულგატეხილი ბიჭისგან განსხვავებით „კვირის პალიტრას“ **ნინო ბურჯანაძემ** განუცხადა:

— ხელისუფლების პროვოკაციული მოქმედების გამო ჩაიშალა 2003 წლის 2 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნები, მაგრამ მოვითხოვთ დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები. თუ ხელისუფლება ამაზე არ წავა, ვითარება ძალიან გამწვავდება. თქვენ აქ უამრავ ხალხს ხედავთ, მერწმუნეთ, ასეთი რაოდენობით ხალხის თავმოყრა, არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ შეუძლია. ჩვენ ეს შევძელით. ამ ხალხს ჩვენი სჯერა. რომ არ სჯეროდეს, არ დადგება ღამით წვიმასა და სიცივეში პარლამენტის წინ. მინდა თქვენი მეშვეობით კიდევ ერთხელ მივმართო საქართველოს ხელისუფლებას და პრეზიდენტს, შეისმინოს ამ ადამიანების მოთხოვნები.

— **რაც ალბათ მოვლენების ტრაგიკულად განვითარების საფრთხეს აგვაცილებს?**

— დღეს ხელისუფლება თუ თავის მიერ დაშვებულ შეცდომას აღიარებს, ამაში ტრაგიკული ნამდვილად არაფერი იქნება. ამით თავიდან ავიცილებთ დაპირისპირებას და არც ვითარება გამწვავდება. პრეზიდენტს მიეცემა შესაძლებლობა ვადის გასვლამდე მართოს ქვეყანა. თუ, რა თქმა უნდა, დასჯის იმათ, ვინც ტოტალურად გააყალბა არჩევნები, ჩაშალა იგი და ხალხს ქუჩაში გამოსვლა აიძულა. ჩვენ არაფრის გამწვავებას არ ვაპირებთ. ვართ მშვიდობიანი მეთოდებით პრობლემების მოგვარების მომხრე. თუმცა, ცხადია, როცა ამდენი ადამიანი იკრიბება პროვოკაცია გამორიცხული არ არის. ამიტომაც ვამბობ: რაც უფრო მალე გადაწყდება ჩვენი მოთხოვნები და მალე დამთავრდება სამშვიდობო პროტესტი, მით უკეთესი იქნება ხელისუფლებისთვისაც და ხალხისთვისაც. ხელისუფლება უკვე უნდა გვიჩვენებდეს, რომ სასწრაფოდ ეძებს გამოსავალს. ეს კი ნამდვილად არ იგრძნობა.

— **თუ გქონდათ საუბარი, თუნდაც სატელეფონო, ან პრეზიდენტთან ან ხელისუფლების სხვა პირებთან?**

— არ მქონია. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ დღეს ეს საუბარი შედგეს. პრეზიდენტმა დეტალურად იცის, რა ხდება პარლამენტის წინ და რა შეიძლება მოჰყვეს იმას, თუ ხელისუფლება ადეკვატურ ნაბიჯებს არ გადადგამს.

— **გაქვთ ამის იმედი?**

— არ ვიცი, რაზე წამოვა პრეზიდენტი, მაგრამ ჩვენ ხმამაღლა ვამბობთ იმას, რასაც ვფიქრობთ.

— **თუ პრეზიდენტი გადადგება, როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?**

— ეს პრეზიდენტზეა დამოკიდებული. თუ ის არჩევნებს ჩაშლილად გამოაცხადებს, დასჯის არჩევნების გამყალბებლებს და არჩევნებს თავიდან დანიშნავს, მას ექნება შესაძლებლობა გააკეთოს ყველაფერი მორიგი არჩევნების ნორმალურად ჩასატარებლად. თუ არა და მაშინ, ვერ წარმომიდგენია, როგორ უნდა ელაპარაკოს პრეზიდენტი საკუთარ ხალხს.

— **ე.ი. პრეზიდენტის გადადგომას რადიკალურად არ მოითხოვთ. თუ ის დათმობებზე წავა, თანახმა ხართ საპრეზიდენტო ვადის გასრულებამდე დარჩეს თანამდებობაზე?**

— ჩვენ არ ვითხოვთ მისგან დათმობას. ვითხოვთ ხელისუფლების შეცდომის გამოსწორებას, რაც სწორედ პრეზიდენტს ევალება.

თუ პარლამენტის წინ მიტინგი 2 დღეზე მეტხანს გაგრძელდა, მერე მართლა შეიძლება უმართავი გახდეს სიტუაცია, — ამბობს გლდანელი ნაციონალების მომხრე ინკოგნიტო რესპონდენტი. იგი პარლამენტის წინ იმიტომ მოსულა, რომ ის ხმა დაიცვას, რომელიც 2 ნოემბერს ფავორიტ პოლიტიკურ სუბიექტს მისცა, — პროგნოზების გაკეთება რთულია, თუ პრეზიდენტი დათმობაზე არ წავიდა, ხალხი აგრესიული გახდება და მერე მცირე პროვოკაციაც საკმარისი იქნება იმისთვის, რომ სიტუაცია უმართავი გახდეს. მე აქ ვიდგები ბოლომდე, სანამ ხელისუფლება ოპოზიციის გამარჯვებას არ აღიარებს — აფიქსირებს იგი თავის შეხედულებას.



შაბათს პარლამენტის წინ მარტო ნაციონალების და ბურჯანაძე-დემოკრატების მხარდამჭერები არ იყვნენ. არჩევნების დროს საკუთარი წარუმატებლობით განაწყენებული მცხეთის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით ზეიკიძე, ხელისუფლების მიმართ თავის პოზიციას ახალგაზრდა სამართალდამცველებთან, მსუბუქი „ხიპიშით“ გამოხატავდა და მათ წამდაუწუმ შეახსენებდა: — ბიჭო, არაფერი შეგეშალოთ, გენერალი კაცი ვარო. ხელმოცარული გენერლის გარდა, პარლამენტის წინ იყვნენ აფხაზეთიდან დევნილი ქალბატონებიც, რომლებმაც ხმამაღლა გამოხატეს თავიანთი გულისწყრომა: ან პრეზიდენტი გადაბრძანდეს თანამდებობიდან ან დაგვიბრუნოს მშობლიური აფხაზეთიო.



მომიტინგეთა უმრავლესობისგან განსხვავებით, ცელოფანებსა და ქოლგებში წვიმას არ ემალებოდა პოეტი **დავით მაღრაძე**, რომელმაც სიტყვით გამოსვლისას კინაღამ ხმა დაკარგა — „ხელისუფლებამ უნდა აღიაროს, რომ კი არ გააყალბა, არამედ არ ჩაატარა არჩევნები. ბოდიში მოუხადოს ხალხს, არჩევნები ჩატარდეს ისე, რომ ჩვენი ნება სამართლიანად აირეკლოს მის შედეგებზე, ასე არ შეიძლება. ჩვენ არჩევანს ვაკეთებდეთ და ის არავის აინტერესებდეს. დანიშნონ თავიდან არჩევნები. აღიარონ, რომ ცა და ქვეყანა მოატყუეს, რომ ჩვენ, ხალხი, მკვდარი ვეგონეთ. ხომ ხედავენ, რომ ცოცხლები ვართ, ადგნენ და ყური დაგვიგდონ“.



— **ასეთ წვიმაში აქ ბოლომდე დარჩებით?**

— (ეცინება) რთული ბიოგრაფია მაქვს, წვიმაზე უარესისთვის გამიძლია. ჟუჟუნა წვიმა ვერ შეგვაჩერებს.

— **როგორი გაგრძელება ექნება ამ მოვლენებს?** — *კითხვაზე ორიგინალურად გაგვცა პასუხი ნაციონალმა* ***მაია ნადირაძემ***.

— გმადლობთ, კარგი, — მოგვიგო ღიმილით, — რასაც სამართლიანობა ითხოვს, ყველაფერი ისე იქნება. ფიქრი იმაზე, რომ ვინმე მოგვერევა, სიჩლუნგეა.

— **რას და როდემდე ელოდებით?**

— ადრე თუ გვიან გამოაქვეყნებენ არჩევნების სამართლიან შედეგებს, რომელსაც ალბათ სიზმრებში ხედავენ. აი, მაშინ მივიღებთ რადიკალურ გადაწყვეტილებებს. დაველოდებით, ჩვენ არსად გვეჩქარება.

— **თქვენი მხარდამჭერები თბილისისკენ მომავალ გზებზე არიან დაკავებული, პოლიციელები ხალხს არ უშვებენ, მათ „გამოსახსნელად“ თუ მოქმედებთ?**

— ტალღა რომ მოდის, იმას არაფერი შეაჩერებს. აქამდე არ უნდა მიეყვანა ხელისუფლებას საქმე. მაგათ სერიოზული კონტროლი სჭირდებათ, აი, იმ დონეზე, გიჟის ხალათები რომაა. თუ რამე მოხდება, მე პასუხს ვერაფერზე ვაგებ, რადგან მათგან ყველაფერია მოსალოდნელი.

მანიფესტაციაზე ისეთებსაც ნახავდით, რომლებიც გაყურსული ადევნებდნენ თვალს მოვლენათა მიმდინარეობას და ერთმანეთში მსჯელობდნენ:

— რაც შეეხება ხალხს, სისხლი არ დაიღვრება, ეს კარგად არის გათვლილი ხელისუფლებისა და ოპოზიციის მხრიდან. ამიტომაც არ შეკრიბეს ხალხი კანცელარიასთან. იქ შეიძლება რაღაც მომხდარიყო. გამორიცხული არ იქნებოდა სერიოზული პროვოკაცია. ეს პირველ რიგში, ოპოზიციას არ აძლევს ხელს. კარგია, რომ ასე გაუხურეს ხელისუფლებას. მაგათ ყომარბაზობას წერტილი უნდა დაესვას, მაგრამ ესენიც არ უნდა „განაგლდნენ“.

პარლამენტის წინ მიმდინარე რეპორტაჟს ქაშუეთის მოპირდაპირე მხარეს, წვიმისგან ხის ქვეშ შეფარებულ ლაშა ბულაძესთან დავასრულებ, რომელმაც შაბათ საღამოს ასეთი კომენტარი გააკეთა:

— ამინდი საპროტესტო აქციების განწყობას არ ქმნის, მაგრამ როგორც ჩანს, ხალხს რომანტიკას მიტინგი ურჩევნია და ამიტომაც დგანან წვიმაში და არ იშლებიან. ვფიქრობ, საარჩევნო სიებში შეტანილი გარდაცვლილები დაგვქვითინებენ ახლა ზეციური საქართველოდან. ისინიც უერთდებიან ჩვენს პროტესტს. ჩვენი აქ დგომა პრინციპის საქმეა. თუ ხელისუფლებისგან კიდევ ერთი შეურაცხყოფა გადავყლაპეთ, მაშინ მეტის ღირსი ვყოფილვართ და ეს არ უნდა დავუშვათ. დიდი ცვლილებები ტკბილად არ განხორციელდება, მაგრამ არც სამოქალაქო დაპირისპირებაა მისაღები და არც მოხდება, რადგან ხელისუფლების მხარდამჭერნი ფიზიკურად არ არსებობენ, თუ არ ჩავთვლით მათ მიერ სიებში „გაცოცხლებულ მიცვალებულებს“(?!).

***ეკა ლომიძე***

# „ქაჯეთის ციხე“ ნამდვილ ციხესიმაგრეს დაემსგავსა

## პრეზიდენტს უხელფასო პოლიციელები იცავენ



„ბეტმენები“

„ქაჯეთის ციხედ“ მონათლული კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, ანუ დღევანდელი კანცელარიის შენობის მაშენებლები ნამდვილად ვერ იფიქრებდნენ, თუ მის ბინადართ მართლაც „ალყაშემორტყმული ციხესიმაგრის“ გამაგრებაზე ზრუნვა მოუწევდათ.

საბჭოთა პერიოდში პარტიულ შენობებს გარეშე მტრის საჰაერო დაბომბვისგან თავდასაცავად სქელი კედლებით აგებდნენ და არც ბომბსაფრის და საიდუმლო გვირაბების გაყვანა ავიწყდებოდათ.

ბომბსაფარი და მეტროს სადგურამდე საიდუმლო გვირაბი კანცელარიას არ აკლია, თუმცა მშვიდობიანი მომიტინგეებისგან „დასაცავად“ პრეზიდენტის გარემოცვას ახალი ტაქტიკის შემუშავება დასჭირდა.

მთელი თბილისიდან მობილიზებული ფორმიანი თუ უფორმო პოლიციელები კანცელარიის შენობამდე მისასვლელ გზებს საიმედოდ სდარაჯობდნენ. განსაკუთრებით საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი ინგოროყვას ქუჩა, სადაც ალუმინისფარიან და მეხანძრისჩაფხუტიან პოლიციელებს მხარს „მძიმე არტილერია“ — მძლავრი წყალმტყორცნით აღჭურვილი უცხოური სახანძრო მანქანები უმაგრებდნენ (ისე, უცხოელი მეხანძრეები, როდესაც ქართველ კოლეგებს ამ ძვირად ღირებულ სპეცმანქანებს ჩუქნიდნენ, ფიქრობდნენ, რომ მათ თბილისში პირდაპირი დანიშნულებით — ხანძრის ჩასაქრობად გამოიყენებდნენ).

შენობაში „გამაგრებულნი“ სათოფურების მსგავსი ფანჯრებიდან ყოველ წუთს ზვერავდნენ არემარეს — ემანდ, ოპოზიციის ნაკადმა მართლაც ალყაში არ მოგვაქციოსო.

დიდი იმედი ჰქონდათ შინაგანი ჯარების ოცეულებისა, რომლებიც ფარებითა და რეზინის ხელჯოხებით აღჭურვილნი იდგნენ „თავდაცვის მეორე ზღუდეზე“ — თუკი პოლიციელთა კორდონს ხალხი გაარღვევდა, მათ უნდა შეეჩერებინათ.

შინაგანი ჯარების ოცეულებში განსაკუთრებით გამოირჩეოდა ერთი დანაყოფი, რომლის ჯარისკაცებიც თურქ ჟანდარმთა ნაწყალობევი პლასტმასის ჟილეტებითა და უცხო ფორმის ჩაჩქნებით იყვნენ შემოსილნი, რის გამოც მათ ხალხმა უმალვე შეარქვა „ბეტმენები“.

სხვათა შორის, ბაქოში ამასწინანდელი შეტაკებების დროს აზერბაიჯანის შინაგანი ჯარების დანაყოფებიც თურქების ნაჩუქარი ამგვარივე ჟილეტებითა და ჩაჩქნებით იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი.

გასაოცარი იყო პოლიციელების საქციელი. შინაგანი ჯარების დანაყოფებისგან განსხვავებით, რომლებსაც წინა დღეს დაურიგეს ერთი თვის ხელფასი, კანცელარიის წინ მდგომ პოლიციელთა უმრავლესობისთვის სახელმწიფოს მარტო წლევანდელი ორი-სამი თვის ხელფასი ემართა, რომ აღარაფერი ვთქვათ, გასული წლების 10-12 თვის გაყინულ ჯამაგირებზე.

საინტერესოა, მართლაც რომ დაიწყოს დაპირისპირება ოპოზიციის გულშემატკივარ ხალხსა და კანცელარიის დამცველ პოლიციელებს შორის, ეს უკანასკნელნი ბოლომდე იდგებიან მცველებად?

ცოტა საეჭვოა, რადგან კანცელარიის წინ, წვიმაში, ზაფხულის ფორმით მდგარი, აკანკალებული პოლიციელები ალმაცერად შეხედავდნენ კანცელარიის განათებული ფანჯრებიდან, თბილი კაბინეტებიდან მომზირალ ჩინოსნებს და არცთუ ხმადაბლა ჩაიბურტყუნებდნენ — აქ ჩამოდით და გვერდზე დაგვიდექით, თუ მაგრები ხართო!

დღევანდელი მთავრობა კარგად ხვდება, რომ მარტო პოლიციელთა იმედად ვერ შეინარჩუნებს ხელისუფლებას, მას დიდი იმედი არც არმიისა აქვს, რადგან შეიარაღებული ძალების საბრძოლო ამოცანებში არ შედის მშვიდობიან მომიტინგეთა დაშლა, ამიტომაც მთავარი აქცენტი სწორედ შინაგან ჯარზე კეთდება.

საერთოდ, შინაგანი ჯარი ყოველთვის იყო ერთგვარი „სახანძრო მანქანა“, რომელსაც კანცელარია იქით გადაისროდა, სადაც ყველაზე მეტად უჭირდა საქართველოს. ასე იყო 1998 წლის მაისში გალში და 2002 წლის აგვისტოში პანკისში.

მაგრამ დღეს ჩინოსნებს თავიანთი სკამების შესანარჩუნებლად სურთ შინაგანი ჯარი თავისსავე ხალხს დაუპირისპირონ, მით უმეტეს, რომ ამ უკანასკნელის დებულებაში წერია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, მასობრივი არეულობების ლიკვიდაცია და, რაც მთავარია, სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების დაცვა.

ხელისუფლება ხალხის უკმაყოფილებას, რა თქმა უნდა, მასობრივ არეულობად მონათლავს, ხოლო კანცელარიასთან მომიტინგეთა მშვიდობიან მსვლელობას — კანცელარიის დაპყრობის სურვილად, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ უკვე მომზადებულია ბრძანება შინაგანი ჯარების ამოქმედებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგანი ჯარების ოფიცერთა და ზემდეგთა დიდი ნაწილი საღად მსჯელობს და სულაც არ სურს ხალხთან დაპირისპირება, ეს შეიძლება მათ ხელმძღვანელობამ აიძულოს.

და ერთიც — მომიტინგეთა ერთ-ერთი ლიდერის დაცვის უფროსი წლების განმავლობაში შინაგანი ჯარების საპატრულო პოლკის მეთაური გახლდათ, რომელსაც სწორედ მომიტინგეთა დაშლა ევალებოდა. ამიტომაც სავარაუდოა, რომ მომიტინგეთა ხელმძღვანელობამაც კარგად იცის, რა შეიძლება დაუპირისპიროს მათ ხელისუფლებამ.

# გენერლების კიდევ ერთი „მბეჭდავი“

## ბათუმი ცენტრალიზებულ სამხედრო ინფრასტრუქტურას ძირს უთხრის(?!)

თითქოს ის არ გვეყოფოდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა — უმაღლესმა მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ დღემდე ასამდე გენერალი გამოაცხო (როგორც შეიარაღებულ ძალებში, ისე სხვადასხვა სპეცსამსახურსა თუ სამართალდამცავ ორგანოში), რომ მას „პატარა ბაბუმაც“ — აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერმა ასლან აბაშიძემაც მიჰბაძა.

თუმცა ნურას უკაცრავად — გასული კვირიდან აჭარის უმაღლესი საბჭოს საგანგებო სხდომის შემდეგ აჭარის ლიდერი ბევრად უფრო სოლიდურად მოიხსენიება — აჭარის პოლიტიკური და სამხედრო მეთაური.

ამბობენ, ასლან აბაშიძეს საბჭოთა თუ რუსული არმიის გენერლის წოდება აქვსო. ამიერიდან, შევარდნაძისა არ იყოს, მასაც შეუძლია სამხედრო წოდებების აქეთ-იქით დარიგება თვით ბრიგადის გენერლის ჩათვლით.

მაგრამ მთავარი ის კი არ არის, რომ ასლან აბაშიძის კეთილგანწყობის შედეგად რამდენიმე ბრიგადის გენერალი შეგვემატება, არამედ ის, რომ ბათუმი ოფიციალურად იკანონებს აჭარის ტერიტორიაზე დისლოცირებულ ცენტრალური დაქვემდებარების სამხედრო შენაერთებს. ასეთებს კი განეკუთვნება თავდაცვის სამინისტროს 25-ე კადრირებული მოტომსროლელი ბრიგადა, შინაგანი ჯარების ბათუმის ცალკეული მოტომსროლელი ბატალიონი და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების აჭარის რეგიონული სამმართველო, აგრეთვე სანაპირო დაცვის აჭარის რეგიონული განყოფილება მასში შემავალი სასაზღვრო კატარღებით.

სიმართლე რომ ითქვას, აჭარის ლიდერი ცენტრის ანუ შევარდნაძის დაუკითხავად (რომ აღარაფერი ვთქვათ თავდაცვის მინისტრზე, შინაგანი ჯარების სარდალსა თუ სასაზღვრო დეპარტამენტის თავმჯდომარეზე), ისე მართავდა აჭარაში დისლოცირებულ ზემოხსენებულ დანაყოფებს, როგორც სურდა. ეს ბათუმში „ნაციონალების“ მიტინგის დარბევისასაც გამომჟღავნდა.

უბრალოდ, აჭარის ლიდერმა ოფიციალურად დაიდასტურა მის მფლობელობაში არსებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განთავსებულ ცენტრალური დაქვემდებარების სამხედრო შენაერთებსა და დანაყოფებზე ერთპიროვნული მმართველობა.



# 309-ე დღემდე არ პასუხობს...

## ანუ როგორ გაიტაცეს 10 წლის წინ 6 მლნ დოლარად ღირებული ქართული მოიერიშე თვითმფრინავი სომხეთში



**სომხეთში დაშვებისთანავე „პირატი“ სასწრაფოდ ანგარში შეაგორეს და სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების კომუფლირებულ ფერებში გადაღებეს**

„309-ე, მიპასუხე... 309-ე“... 1996 წლის ბოლოს „კვირის პალიტრაში“ ამ სათაურით დაიბეჭდა ჟურნალისტური გამოძიება საქართველოდან 1993 წლის 15 ნოემბერს გატაცებული Су-25k ტიპის მოიერიშე თვითმფრინავის შესახებ. ეს მოიერიშე თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო ძალებს ეკუთვნოდა. მოგვიანებით დავადგინეთ, რომ სომხეთის ტერიტორიაზე დაშვებისთანავე ქართული მოიერიშე ანგარში შეაგორეს და მიმალეს.

უფრო მოგვიანებით, სომხეთის თავდაცვის სამინისტროში ოფიციალური ვიზიტის დროს, ამ სტატიის ავტორს მაღალჩინოსანმა სომეხმა ოფიცერმა გადაკვრით დაუდასტურა ქართული მოიერიშის „მითვისების“ ფაქტი და დაუმატა, — რასაც თქვენ ვერ მოუარეთ, ახლა უკვე ჩვენიაო.

შარშან, ერევანში ყოფნისას, სომხური არასამთავრობო სტრუქტურის წარმომადგენელმა (რომელსაც მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავისი ქვეყნის სამხედროებთან), პირად საუბარში თქვა, — ქართული საბრძოლო თვითმფრინავის მოსაპარავად რუსი პილოტი აზერბაიჯანელებმა მოისყიდეს, მაგრამ სომხურმა სპეცსამსახურებმა უფრო მეტი გადაუხადეს და მოიერიშე სომხეთში დაასმევინესო.

ამ თემასთან დაკავშირებით, ბოლო ინფორმაციად შეიძლება ჩაითვალოს ამ სტატიის ავტორის მიერ 6 ნოემბერს, „კავკასიელ ჟურნალისტთა ქსელის“ დახმარებით, სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის სპიკერის, ბ-ნ **არტურ ბაღდასარიანისთვის** დასმული შეკითხვა:

— 15 ნოემბერს სრულდება ათი წელი, რაც რუსმა პილოტმა ჟიტნიკოვმა მოსტაცა საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებს კუთვნილი Су-25 ტიპის მოიერიშე და ზვართნოცის აეროპორტში დასვა. „კვირის პალიტრის“ მკითხველს აინტერესებს, მიმდინარეობს თუ არა მოლაპარაკება სომხეთსა და საქართველოს შორის ამ საკითხზე და აპირებს თუ არა სომხეთი დაუბრუნოს საქართველოს მოიერიშე?

სპიკერმა გვიპასუხა, — სამწუხაროდ, ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ ინფორმაცია არა გვაქვსო.

მიუხედავად სომხეთის მეორე პირის უარისა, აშკარაა, რომ ათი წლის წინ გატაცებული ქართული თვითმფრინავი კვლავ სომხეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაშია ამ ქვეყნის კუთვნილ ხუთ Су-25-თან ერთად.

ერთადერთი სანუგეშო ამ საკითხთან დაკავშირებით ის არის, რომ ქართულ სპეცსამსახურებს არ შეუწყვეტიათ რუსი პილოტის, სერგეი ლეონიდეს ძე ჟიტნიკოვის ძებნა და, როგორც ამბობენ, შეიძლება მალე დააკავონ კიდეც.

ჩვენს მკითხველს შევახსენებთ მართლაც დეტექტიურ ამბავს, თუ როგორ მოჰპარეს ქართველ სამხედროებს 6 მლნ დოლარად ღირებული საბრძოლო თვითმფრინავი.

1993 წლის 25 ივლისს, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო-საჰაერო და ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ძალების მთავარ სამმართველოში გამოცხადდა ახალგაზრდა კაცი, დამხვდურთ თავი მფრინავად გააცნო და ქართული სამხედრო ავიაციის რიგებში ჩარიცხვა ითხოვა.

ეს ახალგაზრდა გახლდათ 1962 წლის 27 ნოემბერს, ჩრდილოეთ კავკასიის ქ. ტიხორეცკში დაბადებული სერგეი ლეონიდეს ძე ჟიტნიკოვი.

მან მხოლოდ საბჭოთა ოფიცრის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ არც დაბადების მოწმობა ჰქონდა და არც პილოტის საფრენოსნო წიგნაკი, რომელშიც ზუსტად იქნებოდა აღნუსხული მის მიერ ნაფრენი საათები. ჟიტნიკოვი ქართული სამხედრო ავიაციის ხელმძღვანელობამ სიხარულით მიიღო.

მაშინდელი თავდაცვის სამინისტროს პოზიცია შეიძლება იმით აიხსნას, რომ იმ პერიოდისთვის ქართულ ავიაციას უკვე დაკარგული ჰყავდა ხუთი მოიერიშე თვითმფრინავი, ორი პილოტი დაღუპული იყო, ერთიც დატყვევებული და ახალი მფრინავი ჰაერივით სჭირდებოდათ.

შემდეგ გამოჩენილი ახალი ფაქტებით დასტურდება, რომ ჟიტნიკოვს საავიაციო ნავთის სუნი და ცაში განავარდება კი არ მონატრებია (როგორც თვითონ ამბობდა), არამედ საქართველოს სამხედრო-საჰაერო ძალებში საბრძოლო თვითმფრინავის გასატაცებლად შევიდა.

და მას ამ საქმეში თავდაცვის სამინისტროს ზოგიერთი მაღალჩინოსანი ქართველი ოფიცერიც ეხმარებოდა!

ჟიტნიკოვმა 15 ნოემბრამდე შვიდი საბრძოლო გაფრენა მოასწრო, ოღონდ არა აფხაზების, არამედ დასავლეთ საქართველოში მყოფი ზვიადისტების წინააღმდეგ. შუა ნოემბერში შეიარაღებული ოპოზიცია ქუთაისთან, კოპიტნარის სამხედრო აეროდრომს მიუახლოვდა. იქ მდგარი თავდაცვის სამინისტროს ორი Су-25 მოიერიშე თვითმფრინავი მათ ხელში რომ არ ჩაეგდოთ, გადაწყდა, ისინი თბილისში, საავიაციო ქარხნის აეროდრომზე გადმოეფრინათ.

ამისათვის ორი მფრინავი შეირჩა: უფროსი ლეიტენანტი ზვიად ბექაური და ლეიტენანტი ლადო ავლოხაშვილი. უამინდობის გამო გადაფრენა 13 ნოემბრამდე გადაიდო. საღამოს თბილისიდან ლადო ავლოხაშვილს დედის ავადმყოფობის ამბავი შეატყობინეს. იგი მეორე დილით, 14 ნოემბერს, თბილისში გაემგზავრა. მის ნაცვლად კაპიტანი ჟიტნიკოვი შეირჩა. იმ დღეს ტექნიკურმა პერსონალმა ვერ მოასწრო თვითმფრინავების გასაფრენად მომზადება. მაგრამ სწორედ 14 ნოემბერს მოხდა საინტერესო ფაქტი: ჟიტნიკოვმა ბექაურს სთხოვა, — საათი არა მაქვს და ამიტომ ახალი მოიერიშით მე გავფრინდებიო. ორი მოიერიშიდან ერთი — საბორტე ნომრით „07“, ავღანეთში ნაბრძოლი იყო და მის კაბინაში საათი არ მუშაობდა, მეორე კი, რომელსაც ჯერ საბორტე ნომრებიც არ ჰქონდა მიწერილი, ახალთახალი გახლდათ. მას მფრინავები ალერსით „პირატს“ ეძახდნენ.

15 ნოემბერს ჯერ ბექაური უნდა გაფრენილიყო თბილისისაკენ და მას კუდში ჟიტნიკოვი გაჰყვებოდა 800 მ-ის დაშორებით.

მაგრამ, აფრენის წინ, თბილისიდან ფრენების ხელმძღვანელმა სამხედრო-საჰაერო ძალების მეთაურების ბრძანებით, ამ ორ თვითმფრინავს შორის დისტანცია თითქმის ასჯერ გაზარდა და ჟიტნიკოვს უბრძანა, ბექაურის თვითმფრინავს ათი წუთის დაგვიანებით გაჰყოლოდა.

ბექაური კოპიტნარიდან თბილისში ზუსტად 17 წუთში ჩაფრინდა. ის ნახევარი საათი ამაოდ ელოდა კოლეგის დაფრენას. „ველის“ აეროდრომის რადიოლოკატორმა სომხეთისკენ მფრენი ობიექტი დააფიქსირა. ზვიად ბექაური და მაიორი ოლეგ ცატიაშვილი ორადგილიანი Су-25УБ-ით სასწრაფოდ აფრინდნენ ჟიტნიკოვის თვითმფრინავის მოსაძებნად.

**ზვიად ბექაური** იხსენებს: — იმ დროს საჰაერო სივრცეების დარღვევა ჩვეულებრივი მოვლენა იყო და ამიტომაც ცატიაშვილი და მე არ მოვერიდეთ სომხეთის საჰაერო სივრცეში შესვლას და თითქმის სევანის ტბამდე ვიფრინეთ. ვეძებდით ჩვენს „პირატს“, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ აღმოვაჩინეთ. თავიდან გვეგონა, ჟიტნიკოვმა კატასტროფა განიცადა. ფრენების ხელმძღვანელი ამაოდ უხმობდა რადიოეთერში 309-ეს (ჟიტნიკოვის რადიოსახმობი ნიშანი). მალე დავრწმუნდით, რომ მან მოგვპარა ახალთახალი საბრძოლო თვითმფრინავი. მხოლოდ ამის შემდეგ მივხვდით, რატომ უნდოდა ჟიტნიკოვს, გაუფასურებული კუპონების მიუხედავად, ჩვენთან მუშაობა. გამახსენდა, ერთხელ ბიჭები ჟიტნიკოვის ოთახში შევცვივდით. გვინდოდა, გვეხარებინა ჩვენი ერთ-ერთი ჩამოგდებული პილოტის გადარჩენის ამბავი. ავტომატებით რომ დაგვინახა, ნახევრად მძინარე ჟიტნიკოვს ნირი წაუხდა, აკანკალდა, მაგრამ მაშინ ამას, სამწუხაროდ, ყურადღება არ მივაქციეთ. იგი კოპიტნარიდან ხშირად ღამ-ღამობით მიდიოდა. გვეუბნებოდა, ქუთაისში შეყვარებული მელოდებაო. ამ დროს მას ვერავინ აკონტროლებდა.

მოგვიანებით, თავდაცვის სამინისტროს სამხედრო დაზვერვამ ოპერატიული თანამშრომლები გაგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში, ქ. არმავირში, ჟიტნიკოვის ოჯახის დასაკითხად, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ჟიტნიკოვმა ჯერ კიდევ 5 აგვისტოს აცნობა თავისიანებს, მოსკოვში გახიზნულიყვნენ.

თავდაცვის სამინისტრო ყოველმხრივ ცდილობდა, დაემალა თავისი დოყლაპიობის ამბავი, რის გამოც სისხლის სამართლის საქმე, თვითმფრინავის გატაცებასთან დაკავშირებით, ერთი წლით გვიან, 1994 წლის 20 ოქტომბერს აღიძრა და ისიც მას შემდეგ, რაც ეს ამბავი სამხედრო პროკურატურამ შემთხვევით გაიგო!

ამ, ჩვენთვის მართლაც სამარცხვინო შემთხვევიდან ათი წელი გავიდა, მაგრამ კანონიერება ჯერ კიდევ ვერ აღდგა — არც ჟიტნიკოვია დაპატიმრებული და არც საბრძოლო თვითმფრინავი დაუბრუნებიათ მეზობლებს.



*დოსიე: სერგეი ლეონიდეს ძე ჟიტნიკოვი, ეროვნებით რუსი, დაიბადა 1962 წლის 27 ნოემბერს ჩრდილო-კავკასიაში, ქ. ტიხორეცკში. 1984 წ. დაამთავრა არმავირის მფრინავთა უმაღლესი სამხედრო-საჰაერო სასწავლებელი. ცოლიანი, ჰყავს ორი ვაჟი — ალექსანდრე (დაბ. 1985 წ.) და ალექსეი (დაბ. 1986 წ.). კაპიტანი, პირველი კლასის მფრინავი, დამოუკიდებლად ნაფრენი ჰქონდა 800 სთ, აქედან, 357 სთ — МИГ-29 ტიპის გამანადგურებლით.*

*ნამსახურობის სია: 1984 წლის ნოემბრიდან — 1987 წლის ივნისამდე ბელორუსის სამხედრო ოლქში დაფრინავდა, მოგვიანებით, 1987 წლიდან 1991 წლის თებერვლამდე — ჯარების ცენტრალურ ჯგუფში (ЦГВ) — ჩეხოსლოვაკიაში მსახურობდა, თებერვალში ჟიტნიკოვი გადაყვანილ იქნა კარპატისპირეთის სამხედრო ოლქში, სადაც 1992 წლის აგვისტომდე დაჰყო.*

**ჩვენი დოსიე: „პირატი“ Су-25K თბილისის საავიაციო საწარმოო გაერთიანებამ 1993 წლის 8 მარტს გამოუშვა და გატაცებამდე სულ 3 სთ და 39 წთ ჰქონდა ნაფრენი. კოპიტნარიდან აფრენისას „პირატის“ ავზებში ესხა 4200 ლ საავიაციო ნავთი, რაც მას საფრენად დაახლოებით საათნახევარს ეყოფოდა.**

# სამხედრო კალეიდოსკოპი

## ებრაელმა მერაკეტეებმა შეცდომით ტელეშოუ მოაწყვეს

ასეთი შეცდომა ისრაელის სახელმწიფოს დიდი ხანია არ მოსვლია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ როგორ ჩქმალავენ თავიანთ სამხედრო საიდუმლოებებს ებრაელები და სწორედ ამიტომ გამოჩნდა სკანდალურად 5 ნოემბრის დილას, ღია ტელეეთერში ნაჩვენები კადრები, რომელთა ნახვა ებრაელების გარდა, მილიონობით არაბსაც შეეძლო!

იმ ღამით ისრაელის ავიამშენებელი კონცერნი საიდუმლოდ ცდიდა ახალი რაკეტის მორიგ მოდელს. რაკეტის გასაშვები მოედნიდან ტელეკადრები გადაეცემოდა შენობაში მდგარ ტელემონიტორებს იმ სპეციალისტებისთვის, რომლებსაც რაკეტის სტარტისა და ფრენის პარამეტრებისთვის თვალი უნდა ედევნებინათ.

ტექნიკოსები, ეტყობა, გათვლაში შეცდნენ, რის გამოც ამ საიდუმლო კადრებს „ღია ეთერში“ უყურეს არა მარტო კონცერნის სპეციალისტებმა, არამედ ყველა იმ მოქალაქემ, ვისაც შინ თანამგზავრული ანტენა ჰქონდა.

ასე იქცა მორიგი ებრაული საიდუმლო არაბთა საჭორაო, თანაც გამოსაცდელი რაკეტა სტარტიდან ორიოდ წუთში აფეთქდა! ახლა თელ-ავივი საგანგებო გამოძიებას აწარმოებს იმის დასადგენად, თუ რატომ გამჟღავნდა მათი საიდუმლო.

სხვათა შორის, რამდენიმე წლის წინ, ყოფილი იუგოსლავიის მოქალაქენი ძალზე საინტერესო მოვლენების მხილველნი გახდნენ — მათი სათანამგზავრო ანტენები ტელევიზორებში აჩვენებდნენ მათსავე სახლებს, ოღონდ დიდი სიმაღლიდან გადაღებულს. როგორც გაირკვა, ბელგრადის თავზე მფრენი ამერიკული მზვერავი უპილოტო თვითმფრინავები ტელეკამერებით სადაზვერვო კადრებს იღებდნენ და მათ მზვერავი-თანამგზავრის საშუალებით შტაბს აწვდიდნენ. ტელეკადრები დაშიფრული არ აღმოჩნდა, რის გამოც მისი ყურება ჩვეულებრივი მოქალაქეებისთვისაც გახდა შესაძლებელი.

## ბასაევზე „ალიგატორები“ ინადირებენ?

მალე ჩეჩნეთის ცაში შეიძლება უცნაური კონსტრუქციის ახალი რუსული შვეულმფრენები გამოჩნდნენ, რომლებიც მთებში მიმალული ბასაევისა და მასხადოვის რაზმებზე დაიწყებენ ნადირობას.

მოსკოვი აპირებს 2003 წლის დეკემბერსა და 2004 წლის იანვარში არმიის შეიარაღებას გადასცეს 12 ერთეული Ка-52 „ალიგატორის“ ტიპის საბრძოლო შვეულმფრენი. ეს ძალიან გასაკვირია, რადგან დღემდე რუსეთის საარმიო ავიაციის შეიარაღებაში სულ ორ ათეულამდე ახალი Ка-50 „შავი ზვიგენია“. „ალიგატორი“ „შავი ზვიგენის“ ორადგილიანი მოდიფიკაციაა („კვირის პალიტრა“ მას პირველად 1997 წელს, ქ. ჟუკოვსკში დეტალურად გაეცნო) და უფრო თანამედროვე რადიოელექტრონული აპარატურა გააჩნია, რაც „ალიგატორს“ საშუალებას აძლევს, ღამითაც შეასრულოს საბრძოლო ამოცანა. არადა ჩეჩენი მებრძოლები უმთავრესად სწორედ ღამით მიმოდიან და მოულოდნელ დარტყმებს აყენებენ რუს ფედერალებს. თუკი მოსკოვმა მართლაც შეძლო „შავი ზვიგენებისა“ და, მით უმეტეს, „ალიგატორების“ ფართოდ გამოყენება ჩეჩნეთში, მაშინ ჩეჩენი პარტიზანების მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდება.

# ჯვრის მონასტრის „საგანძური“

## ბუნკერში საბრძოლო საჭურვლის გარდა ბევრად მნიშვნელოვანი რამ აღმოჩნდა

მაშინ, როდესაც მთელი საქართველო არჩევნების ციებ-ცხელებით იყო შეპყრობილი, სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლებმა ჯვრის მონასტრის მიდამოებში საიდუმლო ბუნკერი აღმოაჩინეს, რომელიც საბრძოლო საჭურვლით იყო სავსე.

მიწისქვეშა საცავი ზემოდან ბეტონის ფილებით იყო დაფარული და მისი მოძებნა საკმაოდ გაჭირდა, თუმცა უშიშროების თანამშრომლებს მათმა აგენტმა მიაწოდა ინფორმაცია ბუნკერის ადგილმდებარეობის შესახებ.

ბუნკერში აღმოჩნდა ასაფეთქებლად გამზადებული ორი ხელყუმბარა, რომლის ამფეთქებლებზეც მიბმული იყო დაჭიმული წვრილი მავთული. ამოღებული იქნა „კალაშნიკოვის“ სისტემის ავტომატისთვის განკუთვნილი ორი კალიბრის (7,62 მმ და 5,45 მმ) ვაზნებით სავსე 26 ყუთი, 72 ერთეული ხელყუმბარა РГД-5 და РГ-42; 9 ცალი ტანკსაწინააღმდეგო კუმულაციური ხელყუმბარა РГК-3, ავტომატის ლულისქვეშა ყუმბარსატყორცნის, ГП-25-ის, 15 ერთეული ყუმბარა ВОГ-25, 48 ცალი ქვეითსაწინააღმდეგო ნაღმი ПМН და ПМН-2, ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარსატყორცნის, РПГ-7-ის, 53 ცალი რეაქტიული ჭურვი ПГ-7, ასევე, ერთი ცალი РПГ-7 და, რაც მთავარია, 22,8 კგ საერთო მასის ტრინიტროტოლუოლის ანუ ტროტილის ბრიკეტები და 2 კგ ამონალი.

ბუნკერში ეყარა ნესტით დაზიანებული რამდენიმე ათეული ავტომატის მჭიდი.

იარაღი სპეცსამსახურებსა და სამართალდამცავებს არაერთხელ აღმოუჩენიათ და ეს რაიმე პოლიტიკურ ფაქტთან დაუკავშირებიათ. ხშირად ერთი და იმავე იარაღის პარტიას რამდენჯერმე „აღმოაჩენდნენ“ და ტელევიზიით მსხვილ კადრებს აჩვენებდნენ, რათა რომელიმე ახალი პოლიტიკური ზეწოლის დასაწყისისთვის საინფორმაციო მხარდაჭერა განეხორციელებინათ.

აქედან გამომდინარე, ცხადია, გაჩნდა ეჭვი, რომ უშიშროების სამინისტრომ არჩევნების დღეს ერთგვარი კოჭი გაუგორა ხელისუფლებას.

თუმცა უშიშროების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის ბიუროს დირექტორი, პოლკოვნიკი **ნიკა ლალიაშვილი** ასე არ თვლის, — ჩვენ გვქონდა ინფორმაცია, რომ გარკვეულ პოლიტიკურ ძალებთან დაკავშირებული შეიარაღებული ჯგუფები არჩევნების პროცესის ბოლოსთვის აპირებდნენ ხელყუმბარის შეგდებას ერთ-ერთ საარჩევნო უბანში, რაც შემდგომში პოლიტიკურ დაპირისპირებასა და შეიარაღებულ გამოსვლებში შეიძლება გადაზრდილიყო. ამიტომ არჩევნების დღესვე გავმართეთ პრესკონფერენცია და ჟურნალისტებს ვუჩვენეთ ამოღებული არსენალი, რითაც პროვოკატორები გავაფრთხილეთ. ამ წმინდა პრევენციულმა სვლამ გაამართლა.

სხვათა შორის, უშიშროების სამინისტრო დაახლოებით იმავე ტერიტორიაზე კიდევ ერთ ბუნკერს ეძებს, რომელშიც უფრო ცეცხლსასროლი იარაღი უნდა ინახებოდეს.



აღმოჩენილ ბუნკერში ხელყუმბარებისა და ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვების გარდა (სხვათა შორის, 1998 წლის 9 თებერვალს თბილისის ცენტრში პრეზიდენტ შევარდნაძის კორტეჟზე თავდასხმაში სწორედ ПГ-7 ტიპის ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ჭურვები და РКГ-3-ის ტიპის ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარები იქნა გამოყენებული) ინახებოდა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი (სპეცსამსახურებისთვის) ნივთები, კერძოდ კი დოკუმენტები. მათ რაოდენობასა და სახეს, სამწუხაროდ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ვერ დავასახელებთ, მაგრამ ფაქტია, რომ ყოველივე ეს უთუოდ დაეხმარება გამომძიებლებს ბუნკერის პატრონების მოძებნაში (თუკი სულაც სპეციალურად, კვალის აბნევის მიზნით, არ შეინახეს ეს დოკუმენტები ბუნკერში).

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# რატომ იღვრება უდანაშაულო სისხლი საქართველოში




***ორი წლის წინ, ზაფხულში მთელი რესპუბლიკა შეძრა ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებში მომხდარმა ამაზრზენმა მკვლელობამ. იქ, მდინარე სუფსაში, დანით დაჩეხილი ადამიანის გვამი იპოვეს. მწირი ინფორმაციის მიუხედავად, რაც ბოლომდე გაუხსნელი დანაშაულის თანამდევი მოვლენაა, რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ერთსულოვნად გამოეხმაურნენ ამ ამბავს. იყო განსხვავებული მოსაზრებები, ვარაუდები, მათ შორის, სინამდვილესთან მიახლოებული ვერსიებიც. მხოლოდ ობიექტურ, მიუკერძოებელ გამოძიებას უნდა გაეცა პასუხი და მადლობა ღმერთს, ამ შემთხვევაში მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა პოლიციაც, პროკურატურაც და სასამართლოც. ასე რომ, ამჯერად ვარაუდების დონეზე აღარ მოგვიწევს საუბარი.***

ტობახჩოელმა ოთარ ახალაძემ იმ ზაფხულსაც თავისი საქონლის მთაში, ალპურ საძოვრებზე გარეკვა გადაწყვიტა, მეუღლეს საგზალი მოამზადებინა და ხურჯინით რამდენიმე ლიტრი ღვინო და ცოტაოდენი არაყიც გაიყოლა მწყემსებისათვის, ვისთანაც საქონელი მიჰყავდა. უღელი ხარი და ჯიშიანი ძროხა წინ გაირეკა და დარახტული ცხენით უკან გაჰყვა. სურებიდან წამოსულ მურთაზ არველაძესა და ომარ თვალაბეიშვილს, რომელთაც მაინცდამაინც მთვრალები არ ეთქმოდათ, იგი კოწურის ხიდთან გადაეყარა. მართალია, ასაქცევი ადგილი აქ საკმარისად იყო, მაგრამ ნაპატივებ ხარებზე, ჯიშიან ძროხაზე და ცეკვით მიმავალ ფაშატზე შურის თვალით მაცქერალმა ამ წყვილმა ოთარს გზა გადაუღობა და ჩამოქვეითება მოსთხოვა. ვაჟკაცმა კაცმა იუკადრისა და მკაცრად მოსთხოვა — გზა გამიხსენითო. არველაძე და თვალაბეიშვილი აქეთ-იქიდან ჩამოეკიდნენ ოთარს. ძიძგილაობის შედეგად სამივე მიწაზე აღმოჩნდა. აქ კი თავდამსხმელებმა აშკარად იგრძნეს, ჯან-ღონით სავსე ოთარის მომრევები არ იყვნენ. როგორც იყო, ომარ თვალაბეიშვილმა ოთარს ხელები გაუკავა, მურთაზ არველაძემ დანა გახსნა და...

გვამი სუფსაში გადააგდეს. ცხენი თავის ხურჯინიანად ხელს გააყოლეს. ხარ-ძროხა ტყეში შეცვივდა და მათ წასხმაზე ხელი აიღეს. სამი დღის შემდეგ, როცა გვამი შემთხვევით ნახეს, ექიმმა-ექსპერტმა დანის მრავლობითი ჭრილობა დათვალა.

ნაყაჩაღარი ცხენი და მისი აღკაზმულობა ვანში, სოფელ ყუმურში, თვალაბეიშვილის სახლში დატოვა მურთაზ არველაძემ, მაგრამ მანამდე მოკლულის ხურჯინში ჩალაგებული საგზლით დაიცხრეს შიმშილი და მურთაზი თავის გზას გაუყვა. თუმცა, როგორც ჩანს, ავმა წინათგრძნობამ უკარნახა, უკან დაბრუნდა და ომარს უთხრა — ცხენი მოკალი, საშაროა. უნაგირი და მისი აღკაზმულობა კი აგერ, იმ თივის ზვინში ჩამალე, ეზოში რომ გიდგასო და იქაურობას გაეცალა.

— კი, მაგრამ ის კაცი ამ ცხენისათვის მოვკალით. ახლა ცხენიც რომ მოვკლა, გამოვა, რომ ტყუილად მოგვიკლავს ადამიანი, — თავისთვის დაასკვნა ომარმა და მეორე დღესვე ცხენი სამტრედიის გზას გაუყენა... პირველსავე შემხვედრს ჯაგლაგ ულაყში გაუცვალა ეს მოცეკვავე ფაშატი და ამით თითქოს სამხილიც მოიშორა, მაგრამ იმავე დღეს დააპატიმრეს და ბრალიც წაუყენეს. მურთაზ არველაძე სადღაც გადაიკარგა.

დიდი ხნის შემდეგ სურების ტყეში ერთ მშიერ-ტიტველ, ძონძებში გახვეულ წვერმოშვებულ მაწანწალას გადაეყარნენ იქაური ბიჭები. კითხვაზე — ვინ ხარ და აქ რას დაეხეტებიო, — მაწანწალამ თავი შეაცოდა, — სამტრედიაში ბინა გავტეხე, პოლიცია მეძებს. აქ ვიმალები და მთელი კვირაა არაფერი მიჭამიაო. თავიდანვე არ მოეწონათ ეს უცნაური ტყიური, მაგრამ მშიერი მაინც არ დატოვეს და დააპურეს. მერე ამ გლახაკს ვანისაკენ მიმავალი გზაც ასწავლეს და ისიც თითქოს წავიდა, მაგრამ სურებელმა ახალგაზრდებმა მანამდეც იეჭვეს, რომ ამ საფრთხობელას ქურდობაზე მეტი ცოდვა ჰქონდა ჩადენილი, კვალში ჩაუდგნენ, გაქაჩეს და ყველაფერი დაამღერებინეს. მერე კი, ფირალების შემნახავმა გურულებმა ეს არაკაცი დაუნანებლად ჩააბარეს პოლიციას. ამ დროისთვის ომარ თვალაბეიშვილს ისეთი აღიარება აქვს მიცემული გამომძიებლისთვის, როგორც იტყვიან, წყალი არ გაუვა, მაგრამ მურთაზ არველაძე მაინც ცდილობს თავის დაძვრენას. ახლა საჭიროა როგორმე დაუკავშირდეს თვალაბეიშვილს, რომ მან ჩვენება მურთაზის სასარგებლოდ შეცვალოს. აკი თვითონ კატეგორიულად უარყო მკვლელობაში მონაწილეობა და განაცხადა, სოფლიდან წამოსვლის შემდეგ გზაში ვეჩხუბე თვალაბეიშვილს და სხვადასხვა გზით წავედით. კაცი თუ მოკლა, პასუხიც აგოს, ჩემგან რას ითხოვთო. გამომძიებელს შეშფოთების საბაბი ჰქონდა — ვაითუ, თვალაბეიშვილს დაუკავშირდეს და მანაც რომ დაიჟინოს, არველაძე ჩემთან არ ყოფილაო, უეჭველად დაუძვრებოდა ხელიდან, რადგან ჯერჯერობით, ყველაფერი თვალაბეიშვილის აღიარებით ჩვენებაზე იდგა. დანაშაულის თვითმხილველი კი არავინ იყო. არც იარაღი, ის ავადსახსენებელი დანა ჩანდა სადმე. ახლა რომ თვალაბეიშვილმა თავისი ჩვენება უარყოს, ყველაფერი თავიდან დასაწყები გახდება. ჩვენ პირდაპირი, მამხილებელი მტკიცებულებები არ გვაქვს. რაღაც უნდა ვიღონოთ, თორემ ორივე გასაშვები გაგვიხდებაო, შესჩივლა გამომძიებელმა პოლიციის უფროსს. ერთადერთი იმედი ისღა იყო, რომ იმ დროისთვის, როცა მურთაზი დააკავეს, ომარი უკვე ბათუმის ციხეში ჰყავდათ გადაყვანილი და ჩოხატაურის პოლიციაში ისინი ერთმანეთს ვერ შეხვდებოდნენ. თუმცა შეეძლო წერილი მიეწერა და საქმეც „მოეყომარებინა“. პოლიციის უფროსმა — ჩვენ ჩვენსას ვეცადოთ, ვნახოთ, რა გამოვაო...

მეორე დღეს, ინსტრუქციის თანახმად, წინასწარი დაკავების საკნიდან გისოსებით შემოზღუდულ სასეირნო ეზოში გამოიყვანეს პატიმარი. მერე ჯერ მისი საკანი გაჩხრიკეს, შემდეგ კი თვითონ პატიმარი და... არის, არის, უფროსო! წერილი ამოვუღე შარვლის ჯიბიდანო, — სულს ძლივს ითქვამდა პოლიციის ახალგაზრდა თანამშრომელი. წერილში კი აი, რა ეწერა (იგი უცვლელად მოგვყავს): „ომარა, მგონი გასაგებია შენთვის რაც მოხდა და მგონი არაფელია გასაკვირი. სუდის საქმე ისე უნდა წაიყვანო, რომ მე შენთან საერთოდ არ ვყოფილვარ... თუ რამე გითხრან, პირველი ჩხუბიდან დავშორდით ერთმანეთს. ასე უნდა ილაპარაკო სასამართლოზე, თუ არა, მე მაინც ვარზე წავალ, ის კარგად იცი, რომ შენი და შენი ოჯახის ბრალია, ვინც დაგითანხმა ცხენის გაყიდვაზე. როგორც გახსენი საქმე, ისე აიღე თავზე. ველი პასუხს. ზუსტად დაწერე“.

გამოძიებამ შვებით ამოისუნთქა — წერილში არველაძე ფაქტობრივად, აღიარებდა დანაშაულში თავის მონაწილეობას.

> **— ცხენი მოკალი, საშაროა. უნაგირი და მისი აღკაზმულობა კი აგერ, იმ თივის ზვინში ჩამალე.**
> **— კი, მაგრამ ის კაცი ამ ცხენისათვის მოვკალით. ახლა ცხენიც რომ მოვკლა, გამოვა, რომ ტყუილად მოგვიკლავს ადამიანი...**

**ნატო თვალაბეიშვილი,** მოწმე: „იმ დღეს, როცა ჩემი მეუღლე ომარი და მურთაზი დაბრუნდნენ, თან მოიყვანეს ცხენი, რომელზეც მურთაზმა უთხრა ომარს, არ გინდა ეს ცხენი, მოკალიო. მე კი დანა გადმომცა და მთხოვა — ცუდი სიმთვრალე მაქვს, მეშინია, შარს არ გადავეყარო და უმჯობესია, შენთან იყოსო. შევნიშნე, რომ პერანგის საყელო სისხლით ჰქონდა დასვრილი და ვკითხე, ეს რა არის-თქო. ტყეში წავიქეცი და ცხვირიდან სისხლი წამსკდაო, — მიპასუხა. ამას გარდა, მგონი თივის ზვინში დამალეს რაღაც იმან და ჩემმა ქმარმა. შემიძლია გაჩვენოთ“. როგორც უკვე ვიცით, იქ ცხენის აღკაზმულობა იმალებოდა. ხოლო დანა, იურიდიულ ენაზე დანაშაულის იარაღი, ბუხრის თავზე, აგურების ღრიჭოში გადაემალა თადარიგიან დიასახლისს... მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე ყველაფერი სახეზეა, არველაძე ერთს კიდევ გაიბრძოლებს, მისთვის სასურველი ჩვენება რომ მისცეს თვალაბეიშვილმა, მაგრამ ამაოდ. თუმცა ამაზე ქვემოთ.

## დასასრულის დასაწყისი

მურთაზ არველაძე პირველად 1992 წელს, მაშინ ჯერ კიდევ ოცდაერთი წლისა გაასამართლეს. ხუთი წელი მიუსაჯეს, მერე შეიწყალეს, პირობით გაათავისუფლეს, მაგრამ ისევ ქურდობა ამჯობინა და მეორე სასჯელი მაშინ აიკიდა, როცა პირველიც მოუხდელი ჰქონდა.

იმ დროისათვის საქართველოში თითქმის აღარაფერი იყო მოსაპარავი. ერთხელაც, მურთაზმა რაიონული სასამართლოს შენობას დაადგა თვალი. იცოდა, შიგ გამოუსადეგარი ქაღალდების მეტი არაფერი იქნებოდა, მაგრამ გარედან, მზის სინათლეზე ისე თვალისმომჭრელად ელვარებდნენ ალუმინის მილები, საწვიმარი ღარებისთვის რომ შეედგათ ქვემოდან, იფიქრა, საკბილო აგერ მქონია, რაღა ღობე-ყორეს ვედებიო და, ღამით, როგორც კი ფეხის ხმა მიწყდა, გრძელი კიბე და მავთულის საკვნეტელა წაიღო და უპატრონოდ მიგდებულ შენობას მიადგა. ისე მარჯვედ ჩამოხსნა მილები, კაციშვილს არ გაუგია. მერე ნაჯახით დაკუწა და ფერადი ლითონის მიმღებ პუნქტს ჩააბარა.

როგორც ზემოთ ითქვა, ეს ყველაფერი ძიებითაა დადგენილი. სტატიის ავტორს კი ინკოგნიტო რესპონდენტის ინფორმაცია აქვს იმის თაობაზე, რომ მურთაზ არველაძის „საგმირო საქმეებიდან“ რამდენიმემ ასახვა ვერ პოვა ვერც გამოძიებაში და შესაბამისად, ვერც სასამართლო განაჩენში, რადგან მათ შესახებ დაზარალებულებს არ განუცხადებიათ. ამ ეპიზოდებიდან ერთი იმდენად საყურადღებოდ ჩავთვალეთ, რომ ვეცდებით, შეულამაზებლად მოვუთხროთ მკითხველს.

იმ წელს გაზაფხული ისე ერთბაშად ჩამოდგა პალიასტომის ნაპირებზე, ისე დაცხა, რომ კალენდარში ჩაუხედავ ადამიანს იოლად დააჯერებდით, შუა ზაფხულიაო. არადა ფრინველების გადაფრენა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო და პალიასტომსაც მრავლად სტუმრობდა გარეული იხვი და ბატი. არ უყვარდა მურთაზს პალიასტომზე ჩასვლა. მოსაპარი არაფერი ეგულებოდა და იმიტომ. მაგრამ იმ დღეს იფიქრა, იქნებ ვინმეს სანადირო თოფი ავწაპნოო და თავისი ნაქურდალი ველოსიპედით დილაბნელში დაუყვა ტბისკენ. ის იყო ოდნავ იჭიატა, ლელიანში რომ შერგო თავი და ტბაზე გასასვლელ ბილიკს დაუწყო ძებნა, რომ იქით, სიღრმიდან, შეყვარებულების ჟღურტულს მოჰკრა ყური — ქალვაჟი გასაშლელ კარავში შეყუჟულიყვნენ. მიხვდა, მთელი ღამე იქ გაეთენებინათ, ესენი ხომ უტრანსპორტოდ არ იქნებიანო და გადაწყვიტა, — რაც არის, არის, ამ ერთხელ მანქანას მოვიპარავ, მერე დავშლი და ნაწილ-ნაწილ გავყიდიო. მაგრამ მანქანა არსად ჩანდა. სამაგიეროდ, იქვე, ნაპირთან, წყალში ლივლივებდა ახალთახალი მოტორიანი ნავი, რომელიც სახელდახელოდ მიებათ ვეებერთელა თხემლის ხეზე.

ნავის ახსნა რომ დააპირა, სიო შეიგრძნო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია. მერე, როცა ნავს ერთადერთი ნიჩბით წყლის სიღრმეში მიაცურებდა, სიომ კი არა, ერთბაშად ქარმა დაქროლა, მაგრამ უმალვე მიწყდა. ეს ცუდად ენიშნა, მაგრამ იფიქრა, ნაპირს იმდენზე დავშორდები, მოტორის ხმა რომ არ მისწვდეთ კარავში შეფარებულებს და სწრაფად გადავკვეთ ტბას, რომ ღელვამ ვერ მომისწროსო. მერე ის იყო, თავი სამშვიდობოს დაიგულა და ძრავის დაქოქვა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა — ბენზინის ბაკი ცარიელი აღმოჩნდა. ჯანდაბას მაგის თავი, ეს ქარი რომ არ ძლიერდებოდეს, უბენზინოდაც როგორღაც ნახავდა მოსაფარებელ ადგილს, მაგრამ ახლა ტალღები ისე აიქოჩრნენ, რომ ნავი ნიჩაბს აღარ ემორჩილებოდა და ტბის შუაგულისკენ მიექანებოდა. ტალღებიც ისე მოზვავდნენ, რომ რამდენიმე უკვე თავზეც გადაევლო. ახლაღა შენიშნა, რომ ის ერთადერთი ნიჩაბიც წყალს ჩაეყლაპა. ბაგირი წელზე შემოიხვია, რადგან იცოდა, ამ კონსტრუქციის ნავები წყალში არ იძირებიან და თუმცა გადარჩენის იმედი აღარ ჰქონდა, მაინც ხავსს ეჭიდებოდა. წამით ჰორიზონტზე, მოზრდილ კატერს მოჰკრა თვალი, რომელიც იმავე წამს სიღრმეში გაუჩინარდა, მაგრამ კვლავაც ამოტივტივდა და მის ნავს გვერდიდან ისე მძლავრად შეეხეთქა, იფიქრა, ნავი გაიხლიჩაო. მაგრამ ნავიც გადარჩა და თვითონაც. ვიღაცის ღონიერმა მარჯვენამ ნავის ბორტი ისე მძლავრად დაქაჩა, რომ ერთბაშად კატერზე მიაყინა, ცოტაც და მურთაზიც კატერში აღმოჩნდა... როცა გონს მოეგო და კატერზე მყოფთ დააკვირდა, მიხვდა — ესენი მეზღვაურები კი არა, საზღვაო პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, რომლებიც ტბაში, ჩვეულებრივ, ბრაკონიერებზე ნადირობდნენ ხოლმე. ერთ წამს გაიფიქრა — ასეთ გადარჩენას ისევ დახრჩობა მერჩივნაო. მაგრამ მის დაჭერას არავინ აპირებდა. მას ხომ არც ბადე, არც მსხვილ თევზზე სანადირო ჩანგლები ჰქონია. მაშასადამე, ის ბრაკონიერი არ იყო და თუ ნავის ქურდობაზე მიდგებოდა საქმე, ბოლოს და ბოლოს, ნავიც ხომ საზღვაო აკვატორიაში კი არა, იქით, პალიასტომის ლანჩხუთის სანაპიროზე მოიპარა. მაგრამ პოლიციელებმა ნაპირზე ისე გადასვეს, სახელიც არავის უკითხავს. არავინ იცის, რა ბედი ეწია იმ ნავს, მაგრამ მურთაზ არველაძე იმ დღეს მშვიდობიანად დაბრუნდა შინ.

მერე კი ის ავბედითი ოცდაერთი ივნისი გათენდა და არველაძე ყაჩაღისა და მკვლელის სახელით შევიდა ციხეში. თუ ადრე ყველაფერს უარყოფდა, ახლა მარტომ აიღო თავზე ეს დანაშაული. „კვირის პალიტრის“ წინა ნომერში ვწერდით — ციხე დახელოვნების სკოლაა-თქო. როგორც ჩანს, სწორედ იქ „გაანათლეს“ ბოროტმოქმედი, ჯგუფურ ყაჩაღობასა და მკვლელობას (ორი კაცი კანონით უკვე ჯგუფია. — ვ.გ.), სჯობს ისევ მარტომ, შენს თავზე აიღო დანაშაული, ნაკლებ სასჯელს მიიღებ. მით უფრო, შეგიძლია ამტკიცო, თავდაცვის მიზნით ვიხმარე დანაო.

მურთაზმა, როგორც ჩანს, ამჯერად მაინც მოახერხა თვალაბეიშვილთან დაკავშირება და მანაც დაუდასტურა, — აქამდე სულ ტყუილს ვამბობდი, სინამდვილეში მე არაფერ შუაში ვარ, მაგან რომ კაცი მოკლა, მე ის თვალითაც არ მინახავსო. მაგრამ არ დაუჯერეს და უზენაესმა სასამართლომ მურთაზ არველაძეს ოცდაოთხი წელი მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით, ომარ თვალაბეიშვილს კი — თოთხმეტი. განაჩენი საკასაციო პალატამაც ძალაში დატოვა.

## კიდევ ერთი მკვლელობის შესახებ

ორი წლის წინ სამტრედიის რაიონის სოფელ მელაურში ისეთი ცინიზმით მოკლეს სოხუმიდან ლტოლვილი სოსო ჯოჯუა, რომ მოთმინებადაკარგული მისი ახლობლები და დასავლეთ საქართველოში მცხოვრები ლტოლვილები მზად იყვნენ, ნაცარტუტად ექციათ ის ოჯახი, ვისმა შვილებმაც ეს მკვლელობა ჩაიდინეს და ეს თუ არ მოხდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მოკლულის მეუღლეს ქალბატონ შორენა ჯოჯუას (ვის თვალწინაც მოხდა ეს ამაზრზენი ფაქტი) ეყო გონიერება და ცხელ გულზე არ გაამხილა მკვლელები. ის ახალგაზრდები, ვისაც მარტო გარეგნობით კი არა, სახელებითაც იცნობდა. ლტოლვილებმა თავიანთი აღშფოთება ქუჩების გადაკეტვით გამოხატეს და ხელისუფლებისაგან მოითხოვეს აემოქმედებინათ ის კანონები, რომლებიც ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ პარლამენტმა მათი კარნახით მიიღო და რომლთაც მათი უფლებები უნდა დაეცვა. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ სიცოცხლის გადარჩენის იმედით გადმოვიდნენ ისინი ენგურის გამოღმა და თუ აქაც სიკვდილი ელით, რაღა აზრი აქვს მათ აქ ყოფნას. აფხაზეთში ის შანსი მაინც ჰქონდათ, რომ საგვარეულო სასაფლაოზე დაკრძალავდნენ. ეს ახალგაზრდა სოხუმელი კაცი კი სადღაც აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოში დამარხეს.

მაისის თვეში სამტრედიის რაიონის სოფლებში მარწყვი შემოდის და ამ დამშეულ წუთისოფელში ცოტა სულს იბრუნებენ იქაურები. ფოთში მცხოვრები სოხუმელი ლტოლვილები სოსო და შორენა თავიანთი „ჟიგულით“ წლების მანძილზე დადიოდნენ მარწყვის სეზონზე სოფელ მელაურში და იქ შეძენილ პროდუქტს ხან ბათუმის, ხან ფოთის ბაზარზე ყიდდნენ. ამას კი ის გაუსაძლისი ყოფა აიძულებდა, რაშიც უნიათო, კორუმპირებული მთავრობის წყალობით აღმოჩნდა ჩვენი ხალხი. მით უმეტეს, სხვის ჭერქვეშ შეფარებული ლტოლვილები. სოფელში მათ ყველა იცნობდა. თვითონაც ყველასთან მეგობრობდნენ და იმ საღამოსაც, როცა მათ ძირითად მომმარაგებელს თემურ ხუჭუას თვითონ არ აღმოაჩნდა საჭირო რაოდენობის მარწყვი, არ დაიზარა და მეზობლებში გაჰყვა. შვიდი კალათა შეაგროვეს იმ საღამოს. საბარგული ერთიანად გაივსო, მაგრამ მანქანის უკანა სალონში, კიდევ ერთი სავსე კალათის ჩამატება იყო საჭირო, რათა გზაში არ დაზიანებულიყო. ღამის თერთმეტ საათზე გაირკვა, რომ სოფელში მარწყვი აღარავის ჰქონდა. ცოლ-ქმარი სოფლელებს დაემშვიდობა და დანგრეული გზას ტაატით გაუყვა. ორმოცდაათი მეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, უკნიდან სტვენა რომ შემოესმათ.

— გააჩერე, ალბათ თემურია, შეიძლება ის ერთი კალათა მარწყვიც გამოჩნდა, ბარემ სალონსაც შევავსებთ, თორემ ასე თუ იყანყალეს კალათებმა, ერთიანად ჩაიჭყლიტება, — გადაულაპარაკა გახარებულმა შორენამ ქმარს და ის იყო კარი უნდა გაეღო, რომ სოსოს მხარეს ორი ახალგაზრდა, მათ შორის ერთი ავტომატიანი აისვეტა და მძღოლს მანქანიდან ჩამოსვლა მოსთხოვეს. ქალმა უმალ იცნო იმუბნელი ვლადიმერ ბოკელავაძე და ზურაბ ხუჭუა. იფიქრა, რომ გამოვეცნაურო, უარესი არ მოხდეს, მით უმეტეს, ბიჭები ნასვამები არიანო და დუმილი არჩია. ამასობაში შორენას მხარეს უცნობი ახალგაზრდა მიადგა (როგორც შემდეგ გაირკვა, იმუბნელი ელგუჯა ხუჭუა ყოფილა). თუმცა ამ ორისგან განსხვავებით, რომლებიც მეტისმეტად აგრესიულად იყვნენ განწყობილნი, ეს შედარებით მშვიდი ჩანდა. ის კი არა, ქალი დაამშვიდა კიდეც: — ნუ ინერვიულებთ, ქალბატონო, არაფერს დაგიშავებთო. სოსო მანქანიდან ჩამოსვეს, საჭეს კი ავტომატიანი ზურაბ ხუჭუა მიუჯდა და მანქანის გასაღები მოითხოვა. უბედური სოსო იხვეწებოდა, გასაღები მანქანაშია, ოღონდ ფულს ნუ მომთხოვთ, არა გვაქვს, თავი დაგვანებეთ და მანქანა წაიყვანოთო. — შენი მანქანა ვის უნდა, უკან ჩაჯექი და ხმა არ ამოიღო, თორემ!.. ბოკელავაძე სოსოს მარწყვიანი კალათებით სავსე სალონში აიძულებდა ჩაჯდომას. სოსომ — აქ როგორ ჩავჯდე, არც დასაჯდომია და ერთიანად კალათებითაა სავსე. მაშინ ეს კალათები მაინც ჩამოვაწყოთო. ვლადიმერი, როგორც იქნა დარწმუნდა, რომ უკანა სალონში მართლაც არ იყო დასაჯდომი ადგილი.

*(გაგრძელება იხ. გვ. 13)*

# ყვავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო

## — ანუ თავახდილი ჭები თბილისში და „დანაღმული“ ჯართი

***ორიოდე კვირის წინ საზღვაო-სასაზღვრო სამსახურის მიერ დაკავებულ თურქულ გემზე აღმოჩენილი აფხაზური პასპორტების თაობაზე „კვირის პალიტრაში“ გამოქვეყნებულ სტატიასთან დაკავშირებით, ერთ-ერთი სპეცსამსახურის თანამშრომელი დაგვიკავშირდა. მას რამდენიმე დეტალი აინტერესებდა აღნიშნულ ოპერაციასთან დაკავშირებით, რომლის თვითმხილველიც „კვირის პალიტრა“ გახდა. საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა და მოულოდნელად, სპეცსამსახურის თანამშრომელმა მეტად საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა, რაც ჩვენი სტატიის დღევანდელი თემა გახდა.***

*სპეცსამსახურის თანამშრომელს მოსვენება არ მივეცი და რამდენიმე დღის განმავლობაში დაჟინებით ვთხოვდი, ჯართის მიმღები ის პუნქტი ეჩვენებინა, სადაც მისი ინფორმაციით, ზარბაზნის რამდენიმე ძველი ჭურვი ინახებოდა. ბოლოს, მაინც ჩემი გავიტანე და დავითანხმე, ოღონდ ერთი პირობით — მისი უწყება თურმე შესაბამისი ოპერაციის ჩატარებას აპირებდა, მანამდე კი, უახლოეს დღეებში, მოსალოდნელი ყოფილა იმ პუნქტში ჭურვების დიდი პარტიის შეტანა. ამიტომაც, ჯართის მიმღები პუნქტის ადგილმდებარეობა საიდუმლოდ უნდა შემენახა...*

*გვიან ღამით, ჩამქრალი ფარებით, რამდენიმე წუთი ვიარეთ უკუნეთ სიბნელეში. ბოლოს მან ავტომობილის ძრავაც ჩააქრო და ასამდე მეტრი ინერციით ვიარეთ. მანქანა გაჩერდა.*

— ახლა უხმაუროდ გადადი მანქანიდან, კარი არ მოაჯახუნო, სიგარეტი არ მოსწიო და მომყევი. სანამ არ გავჩერდები, ხმა არ ამოიღო, — *გამაფრთხილა სპეცსამსახურის წარმომადგენელმა, მანქანიდან გადმოვიდა, თავი მხრებში ჩარგო და სწრაფი ნაბიჯით, თითქმის სირბილით გაუყვა ღობეს. სხვა გზა არ მქონდა. მეც მოვიხარე წელში და ძუნძულით მივყევი. მალე ქოშინი ამივარდა. ჩემი მეგზური შემობრუნდა და კბილებში გამოსცრა:* — ჩუმად ისუნთქე, ეზოში ძაღლები ჰყავთ და ხმაური რომ გაიგონ, ისეთ ყეფას ატეხენ, ჯართის პუნქტის ყარაულებს გააღვიძებენ და ხელმოცარული მოგვიწევს უკან დაბრუნებაო. *ბოლოს და ბოლოს, როგორც იქნა, შეჩერდა ჩემი მეგზური, ეკლიან მავთულებს შორის უხმაუროდ გაძვრა და ჯართის გროვაში ერთ ძველ, გვერდზე გადაქცეულ ჟანგიან ცისტერნას დაადგა თავს, სახურავი ახადა და ცისტერნაში თითქმის ნახევრამდე შეძვრა. რამდენიმე წამის შემდეგ ცისტერნიდან საბრძოლო ჭურვი ამოიღო:* — აი, რომ არ მიჯერებდი. ახლა ხომ დარწმუნდი, რომ არ გატყუებდი. შიგნით კიდევ სამი ცალია. თუ გინდა, იმასაც ამოვიღებ. ეს ჭურვები ისეთი მძიმეა, აშკარად ეტყობა არავის გაუსვრია. მერე ეს ჭურვები გემზე მოხვდება და რა გარანტიაა, რომ მანამდე არ აფეთქდეს, ვიდრე ვინმე აღმოაჩენს, — *და ის იყო ჭურვი გამომიწოდა, რომ გამზადებული ფოტოაპარატით (პროფესიას ვერ ვუღალატე), „ვსპიშკის“ თანხლებით, ორი კადრის გადაღება მოვასწარი. სურათი გადამიღო, თან „ვსპიშკითო“... ეტყობოდა, ასეთ „მუხანათურ“ ქცევას ჩემგან არ ელოდა. აშკარად გავიგონე სიბრაზისაგან როგორ გააღრჭიალა კბილები. ძაღლებმა ყეფა დაიწყეს. ჭურვი ისევ ძველ ადგილზე დადო და მანქანისაკენ ისევ ძუნძულით გავუყევით. რამდენიმე წუთი სულს ძლივს ვითქვამდი, თან მის ლანძღვას ვისმენდი. ბოლოს მანქანა დავქოქეთ და როცა თავი სამშვიდობოს დავიგულეთ, ორივეს სიცილი აგვიტყდა. მანამდე კი სპეცსამსახურის თანამშრომელმა მიამბო:*

— საქართველოში უამრავი ჯართის მიმღები პუნქტია გახსნილი. ამ პუნქტების მუშაობას არავინ აკონტროლებს, თუნდაც იმიტომ, რომ მათი რეალური მფლობელები ან თავად ყოვლისშემძლე სახელმწიფო ჩინოვნიკები არიან, ან პუნქტის მფლობელებს მფარველობენ. როგორ მუშაობენ, რა სახის ჯართს იბარებენ ისინი და საიდან მოდის ეს ჯართი, თითქმის არავინ ინტერესდება. სწორედ მათი დამსახურებაა ის, რომ საქართველოში დღეს განადგურებულია ერთ დროს საუკეთესო სარწყავი და წყალსადენი სისტემები. რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში ხშირად შეხვდებით რამდენიმეკილომეტრიან თხრილებს, სადაც ერთ დროს სარწყავი სისტემის ან სასმელი წყლის ფოლადის მსხვილი დიამეტრის მილები გადიოდა. ეს მილები რამდენიმე ათეული წელი კიდევ მშვენივრად იმუშავებდა, მაგრამ ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ზოგიერთმა წარმომადგენელმა, თითქოსდა მათი ამორტიზების საბაბით, ჩამოწერეს თავისსავე ბალანსზე მყოფი ეს სისტემები. თითქმის ახალი მილები უმნიშვნელო ფასად დაუთმეს სხვადასხვა შპს-ს, რომლებმაც ისინი ამოთხარეს, დაჭრეს და ჯართის პუნქტებში ჩააბარეს(?!). შემდეგ პუნქტებმა ჯართის სახით, ეს მილები საზღვარგარეთ გაიტანეს და გაყიდეს. ასეთივე ბედი ეწია ელექტროგადამცემ ხაზებს, ქარხნების დაზგა-დანადგარებს, ტრამვაის რელსებს და სხვ. მაგრამ ეს საკითხის ერთი, ჩრდილოვანი მხარეა. უფრო დიდი უბედურება კი ის გახლავთ, რომ ჯართში ხშირად საბრძოლო მასალას აბარებენ, მაგალითად, საავიაციო ბომბებს, ზარბაზნის ჭურვებს და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებს(?!). სწორედ ამის გამო მტკივა გული. ჩემი აზრით, ყველა ჯართის მიმღები პუნქტი უნდა გაუქმდეს და ერთხელ და სამუდამოდ აიკრძალოს საქართველოდან ჯართის გატანა საზღვარგარეთ... ახლა კი სამი დღე დაიცადე და, მერე რაც გინდა, ის დაწერე.



ცისტერნიდან ჭურვი ეს-ესაა ამოიღეს

**— თურქებმა ჭკუა ისწავლეს და საქართველოდან და აზერბაიჯანიდან შეტანილ ჯართს დეტალურად ამოწმებენ, რომ მარტენის ღუმელში საავიაციო ბომბი არ მოხვდეს. აი, ირანი კი თავს არ იწუხებდა ამისთვის და ჩვენგან შეძენილ ჯართში შეპარებულმა ბომბებმა თავისი შავი საქმე გააკეთეს. რამდენჯერმე ისეთი მძლავრი აფეთქება მოხდა ირანის მარტენის ღუმელებში, რომ თითქმის მთელი საამქრო დაინგრა. ამ რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ქართული ჯართის გადამტან ერთ-ერთ გემზე ძლიერი აფეთქება მოხდა...**

*ჩვენ დავუკავშირდით საქართველოს უშიშროების სამინისტროს, მაგრამ დღეს საქართველოში მიმდინარე მოვლენების გამო ჩვენთან საუბარი არავინ ისურვა. ბოლოს, მაინც შევძელით საქართველოს ერთ-ერთი ქალაქის უშიშროების სამსახურის უფროსთან გასაუბრება, ოღონდ (ბუნებრივია) მან თავისი სახელის გამოქვეყნება გაზეთში არ ისურვა. მისი განცხადებით:*

— ეს პრობლემა ახალი არ არის. არის შემთხვევები, თუმცა არც ისე ხშირად, როდესაც ჯართის მიმღებ პუნქტებში საბრძოლო ჭურვებს, საავიაციო ბომბებს და წარმოიდგინეთ, რაკეტებსაც კი აბარებენ. არ დაგიმალავთ და ჩემმა ერთმა მეგობარმა სომხეთიდან მთელი ვაგონი გასროლილი ზარბაზნის ჭურვების ჰილზები ჩამოიტანა. პოლიგონზე უგროვებია, სადაც სომხეთის არმიის არტილერისტები გადიოდნენ წვრთნას. მარტოოდენ ჰილზი, რა თქმა უნდა, სახიფათო არ არის, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ სამხედრო წვრთნის დროს ჭურვის ამფეთქი მოწყობილობა ხშირად მოქმედებაში არ მოდის. ჯარისკაცები „ბრაკ“ ჭურვს იქვე აგდებენ. სწორედ იმ ვაგონში, რომელიც სომხეთიდან ჩამოიტანეს, რამდენიმე ასეთი „ბრაკი“ ჭურვი აღმოვაჩინე და მის განადგურებაში დავეხმარე. ეს ამბავი, კაცურად რომ გითხრა, არ გამიხმაურებია. ვფიქრობ, ჩვენი სამხედროებიც სომეხი არტილერისტებივით იქცევიან და სწორედ ამიტომ ხვდება ჯართში, ერთი შეხედვით წუნიანი ჭურვები, რომელიც ზარბაზანმა ვერ გაისროლა. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ იგი სხვა ფიზიკური ან თბური ზემოქმედების შემდეგ არ აფეთქდეს.

— **ამბობენ, რომ ჯართის მიმღებ პუნქტებში ასეთ წუნიან ჭურვებს შლიან და საბრძოლო ფეთქებადი მასალა ამოაქვთ, მათ შორის, ტროტილიც, რომელსაც შემდეგ საკმაოდ ძვირად ყიდულობენ ჩეჩენ ბოევიკთა ემისრები.**

— მართალი ბრძანდებით, ჩეჩენ ბოევიკებს ყველგან და მათ შორის, საქართველოშიც ჰყავთ თავიანთი ე.წ. ემისრები, რომლებიც მათთვის იარაღს და საბრძოლო მასალას სხვადასხვა უკანონო გზით იძენენ. მაგრამ იმაში ვერ დაგეთანხმებით, რომ ჭურვიდან ამოღებულ ტროტილს ან დენთს ჯართის პუნქტებში იბარებენ. გარწმუნებთ, რომ ჭურვი ან სხვა სახის ყუმბარა ჯართის პუნქტში მხოლოდ ლითონის და მისი დიდი წონის გამო ბარდება. სხვა მიზანი არ აქვს. თუმცა, ერთ ინფორმაციასაც მოგაწვდით. ჯართი საქართველოდან მარტო თურქეთში კი არა, ირანშიც გადის. თურქებმა ჭკუა ისწავლეს და საქართველოდან და აზერბაიჯანიდან შეტანილ ჯართს დეტალურად ამოწმებენ, რომ მარტენის ღუმელში საავიაციო ბომბი არ მოხვდეს. აი, ირანი კი თავს არ იწუხებდა ამისთვის და ჩვენგან შეძენილ ჯართში შეპარებულმა ბომბებმა თავისი შავი საქმე გააკეთეს. რამდენჯერმე ისეთი მძლავრი აფეთქება მოხდა ირანის მარტენის ღუმელებში, რომ თითქმის მთელი საამქრო დაინგრა. ამ რამდენიმე კვირის წინ მივიღეთ ინფორმაცია, რომ ქართული ჯართის გადამტან ერთ-ერთ გემზე ძლიერი აფეთქება მოხდა, მაგრამ საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ ეს ინფორმაცია არ დაადასტურა.

*ჩვენ საქართველოს საზღვაო ადმინისტრაციის უფროსის მოადგილეს* ***რეზო ბერიძეს*** *შევხვდით და კომენტარი ვთხოვეთ, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ „უმნიშვნელო“ პრობლემის გამო რომ შევაწუხეთ, ფრიად გაუკვირდა და განაცხადა:*

— ჩვენს სამსახურს მხოლოდ ნაოსნობის პოლიტიკის სწორად წარმართვა, კანონების, აქტებისა და დებულებების შემუშავება ევალება და ჯართში მოხვედრილი საბრძოლო მასალების დევნა საზღვაო ადმინისტრაციის კომპეტენცია არ გახლავთ.

— **ხომალდის უსაფრთხოება თქვენ არ გაღელვებთ? ხომ შეიძლება გემზე ჯართში გადამალული ბომბი მოხვდეს?**

— ხომალდების უსაფრთხოება ნავსადგურის საკაპიტნო სამსახურის პრეროგატივაა. სწორედ ეს სამსახური აგებს პასუხს ხომალდების უსაფრთხოებაზე. ამასთან, ნავსადგურს ჰყავს ოპერატორი, რომელმაც იცის, რა სახის ტვირთის გატანა შეიძლება და რისი გატანაა აკრძალული კანონის ფარგლებში. არსებობს საერთაშორისო საზღვაო-სანაოსნო გადაზიდვების ნორმები და შესაბამისი ინსტრუქცია, რომლის მიხედვითაც მოქმედებს ნავსადგურის ოპერატორი. სხვათა შორის, ინსტრუქციაში არ წერია, რომ გემით ბომბების გადატანა არ შეიძლება და ეს არც უნდა ეწეროს, რადგან იარაღის უკანონო გადატანა სისხლის სამართლის დანაშაულია. მიმართეთ ნებისმიერი ნავსადგურის საკაპიტნო სამსახურს.

*ასეც მოვიქეცით და ფოთის ნავსადგურის საკაპიტნო სამსახურის უფროსს* ***თამაზ ჩხარტიშვილს*** *დავუკავშირდით. მან კი გვითხრა:*

— ბომბი მოხვდება გემზე თუ ჯართი, ჩემი საქმე არ არის. ამაზე პასუხისმგებელი ნავსადგურის კომერციული სამსახურია. ჩემს სამსახურს მხოლოდ ზღვაში გემების უსაფრთხო მიმოსვლა ევალება(?!).

*ნავსადგურის კომერციული სამსახურის თანამშრომელმა ამ საკითხთან დაკავშირებით კომენტარის გაკეთება არ ისურვა.*

*არადა სარწმუნო წყაროს ცნობით, ბათუმის და ფოთის ნავსადგურებში რამდენიმე წლის მანძილზე აურაცხელი რაოდენობის საშიში ტვირთი დაგროვდა. ეს საშიში ტვირთი, ძირითადად, აუფეთქებელი ე.წ. „ბრაკიანი“ საავიაციო ბომბები, საარტილერიო ჭურვები და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმებია, რომლებიც წლების მანძილზე შემთხვევით, ჯართის გროვებიდან იქნა ამოღებული, ამჟამად კი ნავსადგურების ტერიტორიაზე ინახება და საქართველოს შავიზღვისპირა ქალაქების მაცხოვრებლებს მშვიდად ძილის საშუალებას არ აძლევს.*

*საქართველოდან საზღვარგარეთ ჯართის გატანაზე მორატორიუმის შეჩერება, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის დაჟინებული მოთხოვნით და ქართველი კორუმპირებული ჩინოვნიკების მხარდაჭერით მოხდა, არამარტო საქართველოს ნავსადგურებს და ხომალდებს უქმნის საშიშროებას. საზღვარგარეთ ჯართის გატანის განახლებამ უამრავი საკომუნიკაციო საშუალება დააზარალა. აღარაფერს ვიტყვით ქარხანა-ფაბრიკებზე. კერძოდ, არცთუ იშვიათად, ავტოკატასტროფის მიზეზი სხვადასხვა საკომუნიკაციო ჭების თუჯის თავსახურების მოპარვა და ჭების ღიად დატოვება გამხდარა.*

*გვესაუბრება თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს — სანიაღვრე მეურნეობის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე* ***ნოდარ ზარდიაშვილი:***

— თბილისში სანიაღვრე მეურნეობის დედაქალაქის წყლების შემკრებ კოლექტორს 11 ათასი ჭა გააჩნია. თითოეული ჭის თუჯის თავსახური 80 კგ-ს იწონის. ამიტომაც, ჯართის შემგროვებლები სიამოვნებით იპარავენ, ხოლო ჯართის ჩამბარებლები ასევე სიამოვნებით იბარებენ. ამის გამო დღეს, მარტო ჩემს მეურნეობაში არსებული ნიაღვრის მიმღები 600 ჭა სახურავის გარეშეა დარჩენილი. რა თქმა უნდა, ჭების მოპარულ თავსახურებს ახლებით ვცვლით, მაგრამ მეორე დღეს სხვაგან გვხვდება თავსახურის გარეშე დარჩენილი ჭა. თუ ამას დავუმატებთ თბილწყალკანალის და თბილკანალიზაციის კოლექტორის ღიად დარჩენილი ჭების რაოდენობას, ქალაქში საშუალოდ 1500 თავღია სამი-ხუთი მეტრი სიღრმის ჭა არსებობს. ეს რეალურ საშიშროებას უქმნის, როგორც ფეხით მოსიარულეებს, ასევე ავტოტრანსპორტს. ჭების თავსახურების ქურდობა, ძირითადად, ღამით ხდება. ავტომფლობელები, რომლებმაც დილით იმ გზაზე უხიფათოდ გაიარეს, ღამით, როდესაც სამსახურიდან ბრუნდებიან ნაცნობი, ჩვეული გზით (თანაც გაითვალისწინეთ ახლა, ადრე ღამდება) ავტომობილის საბურავი ღია ჭაში უვარდებათ.

**(გაგრძელება იხ. გვ. 13)**






# ატირდა მზე და თვალდახრილმა იცრუა უფლის წინაშე...

იყო და არა იყო რა... საქართველოზე უფრო ლამაზი აბა, ქვეყნად რა იქნებოდა?!. მისი ლაჟვარდოვანი ცის ტატნობზე მზეც ყოველთვის სხვაგვარად ილიმებოდა და თუ რამე ეწყინებოდა, ღრუბლებს ამოფარებული ტირილით თვალებს ჩაიმუქებდა. მზემ თუ არა, აბა, ვინ იცოდა, უფალს გამორჩეულად, განსაკუთრებულად რომ უყვარდა ქართველები. ისიც იცოდა მზემ, როგორ განიცდიდა ღმერთი ქართველთა შეცდომებს, დაუფიქრებელ ნაბიჯებს თუ გამიზნულად ჩადენილ ბოროტებას. ქვეყნიერების შემოვლის შემდეგ, ღამით შინ მიბრუნებულ მზეს ყოველთვის ეშინოდა უფალთან შეხვედრა: ვაითუ, ჩემმა მიტანილმა ამბებმა გული ატკინოს და ადამიანებზე განაწყენებულმა ქვეყნისთვის სიკეთე აღარ ინდომოსო?!.

ზოგჯერ მზე უფალს სიმართლეს უმალავდა... უფრო სწორად, მზე ამაოდ ცდილობდა სიმართლის დამალვას. უფალი რის უფალია, ტყუილ-მართალი ვერ გაარჩიოს და „მატყუარა“ მზეს სასტიკად სჯიდა — ერთი, ორი ან სულაც მთელი კვირით ქვეყნიერებას განარიდებდა და მის ნაცვლად ცაზე ლეგა ღრუბლების ჯარს გაუშვებდა...



ამიტომ მზე იშვიათად იტყუებოდა...

არც უყვარდა მზეს ტყუილი!..

ის შემთხვევა კი, რომლის შესახებაც ახლა უნდა გიამბოთ, მზეს არასოდეს დაავიწყდება. ასეთი ამბების დავიწყება შეუძლებელია და იმიტომ...

...როგორც იქნა, იმძლავრა გაზაფხულმა და ადამიანებმა თავი დააღწიეს ზამთრის მარწუხებს, უშნო სამოსი მოიცილეს და ლამაზი სხეულები გამოაჩინეს. მერედა როგორ უყვარდა მზეს ქართველების აღნაგობა, სინარნარე, სიმსუბუქე!..

ყველას მოეფერა მნათობი, ქალწულებს მხრები და ღაწვები დაუკოცნა, ჭორფლის წინწკლებად დატოვა ალერსის ნაკვალევი... ბიჭებს კისრები ჩაუმუქდათ მიწასთან ჭიდილში თავდახრილებს!... ქართველების დანახვაზე სიცოცხლე ემატებოდა და უხანგრძლივდებოდა მზეს, ფრთებშესხმული სულ უფრო და უფრო მაღლა იწევდა, ცას გულმკერდზე თბილ კვალს უტოვებდა...

არავინ დავიწყებია მზეს, ყველა მოიკითხა, ყველას უწილადა თავისი სხივების სითბო და... მხოლოდ პატარა იამზე ვერ იპოვა ვერსად. ამაოდ უვლიდა ირგვლივ მისი სახლის კარ-ფანჯარას. დევებს დამსგავსებოდნენ იამზეს ძმები და მამა, თითქოს ღიმილი დავიწყებოდათ და პირგამეხებულები მკერდში მჯიღებს იცემდნენ, ვიღაცას მოკვლით ემუქრებოდნენ...

ცნობისმოყვარეობამ გააგიჟა მზე. ჭორიკანა დედაკაცივით ჭუჭრუტანებში დაიწყო ჭვრეტა, მაგრამ სულ ამაოდ — იამზეს ვერსად მიაგნო და რომ არა ღამის დედოფალი — მთვარე, რომელსაც წამიერად თუ შეხვდებოდა დღე-ღამის გზაგასაყარზე, ვერც ის საშინელი ამბავი გაეგო იქნება და გულიც არ დახანჯვლოდა...

...შეყვარებულს მოეტყუებინა იამზე და ფეხმძიმე მიეტოვებინა, უკვალოდ გამქრალიყო ჯანდაბაში არსაიდან მოსული ქალაქელი ბიჭი... არ დაინდეს ძმებმა და გამეტებით სცემეს. ჯერ კიდევ პატარა გოგოს, წარმოდგენაც რომ არ ჰქონდა ღალატსა და ორგულობაზე, ჯერ კიდევ დაუბადებელ პატარაზე უარი ვერ ათქმევინეს, მაგრამ დაბადებული წაართვეს, არ შეისმინეს მისი ხვეწნა-მუდარა: გამიშვით, გადავიკარგები ჩემს შვილთან ერთად, არასოდეს შეგახსენებთ თავს, არ შეგაწუხებთო!..

...ძველმანებში გახვეული პატარა ღამით გამოიყვანა უფროსმა ბიძამ, ტყე-ტყე ატარა და უკაცრიელ ადგილზე დააგდო, სასიკვდილოდ გაიმეტა და „მძიმე ტვირთისგან“ გათავისუფლებული, შინ „დამშვიდებული“ დაბრუნდა.

გაოგნებულ მთვარეს ლამის დაავიწყდა, რომ ღამე ჰქონდა გასავლელი, კარგა ხანს იდგა გაშეშებული ცის თავანზე და გამეტებულ, მძინარე პატარას მონუსხულივით დაჰყურებდა... კიდევ კარგი, ურმის ჭრიალმა გამოაფხიზლა. იცნო ღარიბი გლეხი თანდილა, გაჭირვებას შეშისთვის უდროო დროს რომ გამოეგდო ტყეში და მუშაობაში გართულს დაღამება ვერ გაეგო... ისიც იცოდა, შვიდ შვილს გაჭირვებით რომ ზრდიდა კაცი, თუმცა მაინც სიხარულით ხვდებოდა თითოეულის დაბადებას: „დაიზრდებიან სიხარულები, იმედებად იქცევიან და ერთმანეთს არაფერს გაუჭირვებენ და-ძმები, ქვეყანასაც შეეხიდებიანო!..“ თანდილა თუ გადაარჩენდა ჯერ კიდევ უსახელო, გამეტებულ პატარას, მაგრამ როგორ მიეხვედრებინა მთვარეს კაცი, რომ იქით გადაეხვია, როგორ აეძულებინა, გზა გაემრუდებინა ისედაც დაგვიანებულს...

აწრიალდა მთვარე და ღმერთს შეჰღაღადა: „ოღონდ ახლა მიშველე და ჩემთვის არასოდეს არაფერს გთხოვო!..“

ურემი ლოდს წამოედო და ღერძი გატყდა — „ჩემი ბედისა რა ვთქვიო“ — თანდილამ და საბალახოდ მიუშვა, სანამ თავად ღერძის გამოცვლას ლამობდა... „კიდევ კარგი მთვარიანიაო!“ — ცას მადლიერების გრძნობით ახედა კაცმა.

...უცნაურად დაიზმუვლა ხარმა და „ნაპოვნს“ ცხელი სუნთქვა შეაფრქვია. შეშინებულმა რქენაც დაუპირა, მაგრამ კისერი გაუშეშა მოულოდნელმა ტკივილმა, თითქოს რკინის ჯოხი დაახვედრა ვილაც უხილავმა, კიდევ უფრო მწარედ დაიბღავლა და იდუმალმა ძალამ წინა ფეხებზე წააჩოქა. „რა მოგივიდა, ლაბავ?!“ — გამოსძახა თანდილამ ხარს და მის კვალს გამოჰყვა... წაჩოქილი ხარის დანახვაზე ლამის გული გაუსკდა და თავადაც მის გვერდით ჩაიმუხლა დამფრთხალმა...

მთვარემ პატარას თვალებში ჩააჭყიტა და გამოაფხიზლა, აატირა... შეკრთა თანდილა და კარგა ხანს ვერ დაიჯერა, რომ ადამიანის შვილი იყო მის წინ, ბარძაყზეც იჩქმიტა — „თუ მძინავს, დროზე მაინც გამეღვიძოს!..“ არ ეძინა, აღარც პატარას ეძინა და ღონივრად ატირდა, მგლებიც კი გააღვიძა და ყმუილით მისცეს ბანი დაუპატიჟებელ სტუმარს... შეშინდა თანდილა და პატარას დაუყვავა, მკერდზე მიიკრა, გაჩუმება სთხოვა — მერე სასწრაფოდ შეაბა ხარი სახელდახელოდ შეკეთებულ-შეკოწიწებულ ურემში, სიმწრით მოჭრილი შეშის ნაწილს შეელია და იქვე დატოვა... სითბოს მომლოდინე შვილებს ისედაც მწირი ლუკმის გამყოფი მიუყვანა შინ და დარცხვენილმა უთხრა ცოლს: — ოღონდ ახლა მიეცი ძუძუ, ნუ მოკლავ მშიერს და დილით რაიმეს მოვიფიქრებთო!.. დილით კი ბავშვი ვეღარ გაიმეტა მართამ, თანდილას ცოლმა, რომელმაც ორიოდე თვის წინ მკვდარი ბავშვი შობა და მისი წილი რძე ტკივილად ჩაუცხვა ძუძუებში, გულისპირს უსველებდა პატრონის მოლოდინში: ღმერთმა გამომიგზავნა საკუთარის სანაცვლოდო! — ეჭვიც არ შეჰპარვია ქალს და ნაპოვ ბიჭუნას ღვთისო დაარქვეს სახელად. იგი მერვე შვილად იქცა თანდილას ღარიბ ოჯახში, ორი ქალისა და ხუთი ვაჟის შემდეგ.

გულდამშვიდებულმა მთვარემ გათენებამდე მოასწრო შინ დაბრუნება. როგორც გითხარით, დღე-ღამის გასაყარზე შეხვდა მზეს და უამბო ყველაფერი, შეეხვეწა: „ღვთისოს მიმიხედე, სითბო არ მოაკლდესო!..“

...მთელ დღეს თანდილას ეზოში გაატარებდა მზე, პატარა ღვთისოს და მისი და-ძმების ალერსში, საშინელ სანახაობას რომ არ მიეპყრო მისი ყურადღება: შვილწართმეულ იამზეს დარდისთვის ვერ გაეძლო და აყვავებულ ვაშლის ხეზე ჩამოეხრჩო თავი. ღაწვებს იხოკდა დედა, გაოგნებულები იდგნენ მამა და ძმები და თვალს ვერ უსწორებდნენ ერთმანეთს...

ატირდა მზე და ულრუბლო ციდან წვიმა წამოვიდა. შეწუხებული დაბრუნდა შინ საღამოს და უფალს თვალდახრილმა უთხრა: „განსაკუთრებული არაფერი მინახავსო!“ —

ღმერთმა კი უკვე ყველაფერი იცოდა (როგორც ყოველთვის!..), ტყუილი არ შეიმჩნია, პირიქით, მისი დამშვიდება სცადა: — ნუ გეშინია, ღვთისოს მე ვუპატრონებო.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. დროც შეიცვალა და ადამიანებიც, მხოლოდ მზე და მთვარე დარჩნენ შეუცვლელები და უბერებელნი... ეს ამბავი უკვე გაჭაღარავებულმა ძია ღვთისომ თავად მიამბო:

— არ მიგრძნია, რომ ნაშვილები ვიყავი, თუმცა კი თანდილას და მართას ძალიან უჭირდათ რვა შვილის გამოკვება და პატრონობა...

ძია ღვთისო 1940 წლის გაზაფხულზე იპოვა თანდილამ ტყეში. ერთ წელიწადში ომი დაიწყო და უფროსი ძმა — ვასილი პირველსავე დღეს გაიწვიეს, ის-ის იყო 18 წელი შეუსრულდა და... აღარც დაბრუნებულა, უგზო-უკვლოდ დაიკარგა. სევასტოპოლში დაიღუპა მისი მომდევნო ალექსანდრე. მისი დაღუპვის ამბავი რომ მოვიდა, მართას გული გაუსკდა და დანარჩენ შვილებთან ერთად თანდილაც დააობლა. ერთგული მეუღლის გარეშე ისე დაჩიავდა და გამოიფიტა კაცი, ომის დამთავრებას ველარ მოესწრო.

პატარა, ხელმეორედ დაობლებული ღვთისო დებმა გაზარდეს.

— 18 წლის გათხოვდა უფროსი და ნათელა და მისი ერთადერთი მზითევი მე ვიყავიო! — სევდიანი ღიმილით იხსენებს ძია ღვთისო. იქვე თვალცრემლიანი ღიმილით იხსენებს სიძეს — ცხონებული, კარგი კაცი იყო, ვეცოდებოდი, შვილებზე წინ მაყენებდა ყოველთვის!...

— ძია ღვთისო, ყველაზე საინტერესო ის არის, რომ საბოლოოდ მაინც ნამდვილი დედის, იამზეს ოჯახში დაბრუნდით და აალორძინეთ კერა...

— ნათელა და მისი ქმარი არაფერს მაკლებდნენ და ქალაქშიც მათი ხელშეწყობით წავედი, ინსტიტუტიც დავამთავრე და ექიმის დიპლომით მშობლიურ რაიონში დავბრუნდი. შეყვარებულიც მყავდა, თანაკურსელი მზეო, მაგრამ ცოლად მოყვანის სურვილს ვერ ვუმხელდი. აბა, ნათელასთვის და მისი ქმრისთვის სარჩენად კიდევ როგორ მიმემატებინა ახალი წევრი... სწორედ მაშინ გამოჩნდა ბიძაჩემი, დედაჩემის — იამზეს უმცროსი ძმა...

— როგორ გიპოვათ?!

— სოფელში არაფერი იმალება და ხმა რომ გავარდა, თანდილამ ბავშვი იპოვაო, მიხვდნენ, რომ ეს მათ მიერ გამეტებული ბავშვი იყო. მაგრამ აბა, გამხელას როგორ გაბედავდნენ?!. იამზეს სამი ძმა ჰყავდა, რომელთაგან ორი უფროსი ომში დაიღუპა, არც ერთს არ დარჩენია შვილები. ბებიაჩემი მალე მიჰყოლია იამზეს და არც ბაბუას უცოცხლია დიდხანს, სინანულს და დარდს მოუღია მისთვის ბოლო, სიკვდილის წინ კი ბიძაჩემისთვის უთხოვია: — მოძებნე ის ბიჭი და პატიება სთხოვე ყველას სახელით, დაბრუნდეს, მშვიდობაში მოიხმაროს ჩვენი ქონება და ნაშრომი, ტყუილად არ გადაშენდა ჩვენი ოჯახი უშვილძიროდ, შენი უბედურებაც არაა შემთხვევითი, ყველაფერი ღვთისოს ცოდვით მოგვივიდაო!..

— ბიძათქვენს რაღა უბედურება სჭირდა, ძია ღვთისო?

— უშვილო იყო... უბედური შემთხვევის შემდეგ დასაჭურისდა და უნაყოფო გახდა!..

— ადვილად აპატიეთ?!.

— არ შეიძლებოდა არ მეპატიებინა ბავშვივით ატირებული კაცისთვის, რომელიც მუხლებში ჩამივარდა — ჩემი ძმის სიკვდილის შემდეგ მაინც აგვხსენი ცოდვის სიმძიმეო.

ღრმად მოხუცებული ბიძაჩემი ახლაც ცოცხალია და როცა ჩემი შვილები და შვილიშვილები ეფერებიან, აცრემლებული სულ იმეორებს: — „ღმერთო, დაილოცა შენი სამართალიო...“

— ძია ღვთისო, ნამდვილი მამისა არაფერი იცით?!.

— როგორ არა, ისიც ომში დაღუპულა და არც მას დარჩენია ჩემს მეტი შვილი. მამიდაშვილებმა მისი სურათი მიჩვენეს (მათაც თავად მომძებნეს) და ჩემი სურათი მეგონა, გაჭრილი ვაშლივით ვგავარ მამას...

— გაოცებული გისმენთ, ძია ღვთისო!..

— დავბერდი და მეც ეგრე გაკვირვებული ვუცქერ წუთისოფელს, საოცარია უფლის სამართალი, ობლის კვერის ამბავიც არ ყოფილა ტყუილი, საკუთარ ტყავზე გამოვცადე!...

...სხვა რაღა დავამატო, ჩემო მკითხველო?!.

ჰო, არ დამავიწყდეს: „ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა!..“ — და სანამ ასეთია წეს-კანონი, ანუ სანამ ღმერთია ჩვენთან, სულაც აღარ მეშინია კაცთა უგულობის...

***ინგა ჯაყელი***



## რას გვეტყვი, მამაო?

— **ხომ არ ითვლება წინათგრძნობა ცოდვად და როგორ უნდა ვილოცოთ ამ ცოდვის მოსაშორებლად?..**

— წინათგრძნობის მცირეოდენი უნარი ყოველ ადამიანს გააჩნია და იგი, ისევე, როგორც სხვა თანდაყოლილი შესაძლებლობანი ადამიანისა, ღვთის მიერ არის ბოძებული. თუმცაღა, ჩვეულებრივი მიწიერი ცხოვრებით მცხოვრებს, ეს უნარი ისე არ უვითარდება, რომ მასზე დაყრდნობა შეიძლებოდეს: ბევრჯერ ხდება, ცუდს ველით და ამის ნაცვლად სიხარულს ვიღებთ... ანდა, პირიქით... ამიტომაც წინათგრძნობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიანიჭოთ. წინათგრძნობის უნარი განვითარებული ჰქონდათ იმ წმინდანებს, რომლებიც თავისუფალნი იყვნენ მიწიერი ცხოვრებისაგან. ისინი მოვლენებს წინ უსწრებდნენ, ნათელხილვის ნიჭი ეძლეოდათ და შეეძლოთ განჭვრეტა იმისა, თუ მომავალში რა მოხდებოდა...

— **ვიპოვე წმინდა გიორგის ხატი. ცოდვად ხომ არ ჩამეთვლება, რომ გავყიდო?**

— ჩვენ შეგვიძლია გირჩიოთ: თუ ხატს შინ დაიტოვებთ და მასზე ილოცებთ, უფრო მეტი მადლი და სიკეთე მოგეცემათ, ვიდრე მისი გაყიდვით ნაშოვნი ფულით მიიღებთ. ხატის პოვნა ღვთის განგებულებაა... ილოცეთ ამ ხატის წინაშე, შესთხოვეთ წარმატება და ჯანმრთელობა. გულწრფელი ლოცვით მიღებული ღვთის წყალობა ყოველგვარ თანხაზე უფრო მეტია.

— **ჯანმრთელობაში პრობლემის გამო, დავიწყე მამა გაბრიელის სასწაულმოქმედი ზეთის მიღება. აღთქმა დავდე, რომ მისი მიღების პერიოდში სასმელს არ დავლევდი... წინ ისეთი დღე მაქვს, როცა ერთი ჭიქა ღვინით მაინც უნდა დავლოცო ოჯახი. როგორ მოვიქცე?**

— აღუსრულე უფალს ნათქვამი შენიო, — გვასწავლის წმინდა წერილი. ეს იმას ნიშნავს, რომ უფალს არ უთხოვია, რაიმე პირობა მიგეცა და რახან ეს პირობა თვითონ, შენი ცხოვრების გათვალისწინებით დადე, უნდა შეასრულო კიდეც — ასეთია უფლის სწავლება... მაგრამ ადამიანი სუსტია და ზოგჯერ აღთქმის შესრულება მის ძალებს აღემატება, უფალი ამასაც ითვალისწინებს... ამიტომაც არსებობს მოძღვარი. უნდა მიბრძანდეთ ეკლესიაში მოძღვართან და უამბოთ, რა გიჭირთ. ის თქვენი სულიერი ძალების გათვალისწინებით დაგეხმარებათ აღთქმის შესრულებაში, ანდა გაგათავისუფლებთ მისგან... მოძღვართან და ეკლესიასთან სიახლოვე სხვა სულიერი შეჭირვების მოხსნასა და გამოჯანმრთელებაშიც დაგეხმარებათ.

— **ამას წინათ, დასავლეთ საქართველოში ყოფნისას, საფლავებზე მიცვალებულთა ფეხებთან დამაგრებული ჯვარი ვნახე... ეს ქრისტიანული წესია?**

— არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, საფლავზე ჯვარი სად იქნება დამაგრებული — მიცვალებულის თავთან თუ ფეხებთან. ჯვარი მიცვალებულის თავთან სიმბოლურად იმას ნიშნავს, რომ ქრისტიანის სული ჯვრით არის დაცული. ხოლო ფეხებთან — იმას, რომ მიცვალებული ჯვარს შეჰყურებს, ჯვრით სასოებს და მასზე ლოცულობს. საფლავზე აღმოსავლეთით, ფეხებთან დამაგრებული ჯვარი ერთგვარი სიმბოლოა ტაძარში აღმოსავლეთით მდებარე საკურთხევლისა. ქართული ტრადიციით, მიცვალებულს გულზე ადებდნენ ლოდს, რომლის შუაგულშიც ჯვარია ამოკვეთილი.

— **გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ 100.000 ქართველი მოწამის შესახებ. როდისაა მათი ხსენების დღე?**

— 1227 წელს ხვარაზმთა სამეფოს უძლიერესი შაჰი ჯალალედინი თავს დაესხა საქართველოს. მრავალი ქვეყნის ამაოხრებელი ლაშქარი თბილისს მოადგა. ქართველებმა ბრძოლის პირველ დღეს გმირულად მოიგერიეს, მაგრამ იმავე ღამეს ქალაქში მცხოვრებმა მოღალატე სპარსელებმა შაჰს ქალაქის კარი გაუხსნეს. მემატიანის ცნობით, სიტყვები უძლურია გადმოსცეს, თუ რა ხდებოდა იმ დღეს ქალაქში... ჩვილებს დედების თვალწინ მიწაზე ანარცხებდნენ, სახლებს ერთიმეორის მიყოლებით წვავდნენ. ძალადობა და სიკვდილი მეფობდა ირგვლივ. შაჰმა სიონიდან ჯვრის ჩამოხსნა ბრძანა... მისივე ბრძანებით, ტაძრიდან მაცხოვარისა და ღვთისმშობლის ხატები გამოიტანეს, მტკვარზე გადებული ხიდის შუაში დადეს და ქრისტიანებს ზედ გადავლა უბრძანეს. სიცოცხლის შენარჩუნებას შეჰპირდნენ მათ, ვინც ამას გააკეთებდა. 100.000-მა თბილისელმა უარი თქვა უფლისა და დედაღვთისმშობლის ხატების შეურაცხყოფაზე... ყველას თავი მოჰკვეთეს და სხეულები ადიდებულ მტკვარში გადაყარეს... 1000.000 ქართველი მოწამის მოხსენიების დღე 31 ოქტომბერია (ძვ.სტ. 13 ნოემბერი).

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36.***

***მკითხველთა შეკითხვებზე უპასუხებენ მართლმადიდებელი მამები.***

# ყვაავს რა ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო

## – ანუ თავახდილი ჭები თბილისში და „დანაღმული“ ჯართი



ჯართის შემგროვებელმა ვერ მოასწრო ნადავლის წაღება

**– ლუდისა და თევზის მოყვარულების ერთი ნაწილი სანაპიროზე მდებარე საკომუნიკაციო საშუალებების ჭების თუჯის თავსახურებს იპარავს და იქვე, ელიავას ბაზრობაზე, სანტექნიკის სექციაში გადამყიდველებთან 20-25 ლარად აბარებს. თევზის ფულიც აქვთ და ლუდისაც, მაგრამ იმას აღარ ფიქრობენ, რომ მეორე დღეს თავლიად დარჩენილ ჭაში შეიძლება თვითონვე ჩავარდნენ...**

*(დასაწყისი იხ. გვ. 11)*

მაღალი სიჩქარით მიმავალი ავტომობილი იმწამსვე ამოტრიალდება და ავტოშემთხვევას ადამიანთა სიცოცხლე ეწირება. ამიტომ ვთხოვ, ვემუდარები ჯართის შემგროვებლებს, თავი გაანებონ კოლექტორის ჭების თუჯის სახურავებს და სანამ ჭას თავსახურს მოხდიან, კიდევ ერთხელ დაფიქრდნენ. ისინი ისე გათავხედდნენ, რომ უკვე დღისითაც არ ერიდებიან ქურდობას. თუ ადრე ჭების თავსახურების ქურდობა თბილისის მიყრუებულ ქუჩებში ხდებოდა, ახლა უკვე ცენტრალურ გზებზეც გავიდნენ. მეტსაც გეტყვით, ზაფხულის პერიოდში, ლუდისა და თევზის მოყვარულების ერთი ნაწილი სანაპიროზე მდებარე საკომუნიკაციო საშუალებების ჭების თუჯის თავსახურებს იპარავს და იქვე, ელიავას ბაზრობაზე, სანტექნიკის სექციაში გადამყიდველებთან 20-25 ლარად აბარებს. თევზის ფულიც აქვთ და ლუდისაც, მაგრამ იმას აღარ ფიქრობენ, რომ მეორე დღეს თავლიად დარჩენილ ჭაში შეიძლება თვითონვე ჩავარდნენ. ჩვენ კი, ერთი ჭის ახალი თავსახურის შეძენა წყალხელსაწყოს ქარხანაში დღგ-ის გათვალისწინებით 120 ლარი გვიჯდება. ჩვენ ბიუჯეტიდან ვფინანსდებით და იმხელა თანხა არ გვაქვს, რომ დღეს უსახურავოდ დარჩენილი ჭებისთვის ახალი სახურავები ვიყიდოთ. იძულებულნი ვართ, ისევ ელიავას ბაზრობაზე მივიდეთ და სანტექნიკის სექციიდან ჩვენთვის მოპარული ჭების სახურავები უკვე 30-35 ლარად შევიძინოთ. თუმცა ხშირად იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ გადამყიდველებს ეს თანხა გადავუხადოთ. მოკლედ, მათ დაბრუნებას ამ გზით გაჭირვებით ვახერხებთ. მაგრამ როდესაც ჯართის შემგროვებელი თავსახურს აზიანებს და ისე აბარებს ჯართის მიმღებ პუნქტში, უკვე ახლის ყიდვა გვიხდება.

**— პოლიციას თუ მიმართეთ?**

— მრავალჯერ... ოფიციალურადაც და სიტყვიერადაც. ერთი-ორი კაცი დაიჭირეს, მაგრამ გაუშვეს. ორი ქურდი მე თვითონ მივიყვანე პოლიციაში, მაგრამ პოლიციელებს „შეებრალათ“ ჭის ქურდები და ისე გაუშვეს, რომ ზარალის ანაზღაურებაც კი არავის გახსენებია(?!).

*ჩვენ ნოდარ ზარდიაშვილის ნაამბობი გადავამოწმეთ და ელიავას ბაზრობის სანტექნიკოსების რიგს, საკომუნიკაციო ჭების ქურდებად გავაცანით თავი. გადამყიდველს, ვინმე გრიშას, ოცი ცალი თუჯის სახურავი შევთავაზეთ. ის პირდაპირ ვაჭრობაზე გადავიდა:*

— მალადეც, ბიჭებო, მაგრად გიმუშავიათ ამ ღამით. რა იყო, თავნი გაქვთ ჩასაბარებელი თუ წამლის ფული დაგჭირდათ? — *ეჭვიც არ შეჰპარვია ჩვენს პროფესიაში გადამყიდველს. დროებით შევიფერეთ ახალი „პროფესია“ და როლსაც კარგად მოვერგეთ.*

— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ოცივე „კრიშკის“ ამღები თუ ხარ, გვითხარი და მორჩი ზედმეტ ბაზარს.

— კი, გენაცვალე. რატომ ბრაზობთ, ცუდი ხომ არაფერი არ მითქვია. ოცივეში, ძმებო, 200 ლარს მოგვემთ. რა ვქნა, მეტს არ მიხდიან მენიაღვრეები. ახლა წყალკანალის ხალხმაც დაიწყო „ჟოშკობა“ და ერთ „კრიშკაზე“ 5 ლარი ხომ მაინც უნდა დამრჩეს.

— ბევრს ნუ ახურებ. ძალიან კარგად ვიცი, 35 ლარს გიხდიან ცალში და 15 ლარს გვიტეხავ. მოკლედ, თითოში 25 ლარი ეგრევე მოგვეცი და ერთ არაყსაც გიკისრებთ.

— კარგი, თქვენი ხათრიზა არაფერს არ მოვიგებ. აგერ ურიკას გამოგაყოლებთ. სამგზობაზე მოიტანს და მანამდე ფულს გაგიმზადებთ.

*ასეთივე ექსპერიმენტი მოსკოვის პროსპექტზე მდებარე ჯართის მიმღებ პუნქტებშიც გავიმეორეთ. სხვათა შორის, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობის გვერდით ათი ჯართის მიმღები პუნქტი მოქმედებს. ჩვენ ერთ-ერთი ჯართის მიმღები ჯიხურის თანამშრომელს, ვინმე საბას შევთავაზეთ ჯართი, ოღონდ ჭის სახურავების ნაცვლად ჭურვები დავასახელეთ. ჩვენმა წინადადებამ ძალიან მოხიბლა საბა:*

— ძალიან კარგი, მაგრამ უნდა შევამოწმოთ, რომელიმე ჭურვი არ აგვიფეთქდეს. არ დაგიმალავთ, ბომბების მიღება ძალიან მეშინია. რაღაც ორი კაპიკისთვის ციხეში ხომ არ წავალ. თუ ჭურვის ჰილზებია, რამდენიც გინდათ, მომიტანეთ. მით უმეტეს, თუ „ლატუნისგანაა“ ჰილზები დამზადებული. როგორც შავ ლითონს, ისე კი არ მივიღებ, ფერად ლითონად ჩაგითვლით. ფერად ჯართს კი, ძმაო, კილოგრამს ორ დოლარად ვიღებ. ამაზე მეტს არავინ მოგცემს. თანაც, თქვენ ხუთი ტონა ჰილზი გქონიათ. ასეთ დროს ჩამბარებელს კანონით ჰილზების წარმოშობის სერტიფიკატს სთხოვენ. ისე, ვარიანტი არ არის, ვინმემ ჯართი მიიღოს, თანაც ჰილზები. ამ სერტიფიკატის აღებას მე ვკისრულობ. მერე კიდევ სხვა საბუთებია საჭირო. მათაც ფული უნდა და რა გინდათ, ამ ხარჯსაც მე ვკისრულობ. თქვენ სუფთა ორი დოლარი გრჩებათ.

*ბოლოს ჩვენ საქართველოს ეკონომიკის, მრეწველობის და ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და მომსახურების რეგულირების პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელს* ***ვილი ალავიძეს*** *დავუკავშირდით, რომელმაც განაცხადა:*

— საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოდან ჯართის, მათ შორის, ფერადი ლითონის ჯართის გატანა საზღვარგარეთ დაშვებულია. ოღონდ ჯართი რომ საზღვარგარეთ გაიტანო, საჭიროა იქონიო მისი წარმოშობის სერტიფიკატი ანუ იმის დამადასტურებელი საბუთი, რომ ჯართი კანონიერი გზით არის მოპოვებული. ამ საბუთის საფუძველზე ჩვენი დეპარტამენტი შესაბამის ნებართვას გასცემს საზღვარგარეთ ჯართის გატანაზე.

**— და რა ღირს ეს ნებართვა?**

— არაფერი. მხოლოდ წარმოშობის სერტიფიკატია საჭირო.

*ვილი ალავიძის მტკიცების მიუხედავად, ჯართის პუნქტების მფლობელებთან საუბარმა უფლება მოგვცა გვეთქვა, რომ ჯართის წარმოშობის სერტიფიკატის შოვნა, თუნდაც ჯართი უკანონო გზებით იყოს მოპოვებული, პრობლემას არ წარმოადგენს. იმავე ჯართის მიმღები პუნქტების მფლობელების მტკიცებით, 10 ტონა ჯართის წარმოშობის სერტიფიკატი არაოფიციალურად 500 დოლარი ღირს ანუ ერთი ტონა ჯართის სერტიფიკატის ხელში ჩასაგდებად 50 დოლარის გადახდაა საჭირო. ასეთი ტარიფებია ე.წ. შავი ლითონის ჯართის სერტიფიკატზე. რაც შეეხება ფერადი ლითონის ჯართს, აქ სერტიფიკატის არაოფიციალური ღირებულება ორჯერ იზრდება.*

P.S. უკვე წინა მოწვევის პარლამენტში საქართველოდან საზღვარგარეთ ჯართის გატანის ბიზნესს კორუმპირებული დეპუტატები უჭერდნენ მხარს, თუმცა მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ საქართველოში ჯართი უკვე კარგა ხანია აღარ არსებობს და საზღვარგარეთ ჯართის სახით მხოლოდ მოპარული ლითონი გადის. სამწუხაროდ, ყველაფერი იქით მიდის, რომ ახალი მოწვევის პარლამენტშიც უამრავი იქნება ხალხის მიერ, უფრო სწორად, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დანიშნული პარლამენტარი, რომელიც ალბათ წარმატებით გააგრძელებს თავიანთი წინამორბედების დაწყებულ ანტიეროვნულ საქმიანობას. რო-დემ-დე?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# რატომ იღვრება უდანაშაულო სისხლი საქართველოში

*(დასაწყისი იხ. გვ. 10)*

მაშინ მან საბარგულში მოინდომა მანქანის პატრონის ჩატენვა, არყით გონებადაბინდული თავისი ბრძანების უპირობო შესრულებას მოითხოვდა და კიდევ უფრო აგრესიული ხდებოდა: — ეს რამდენს ლაპარაკობს, ჩაჩუმდი შენიო, — და დასაკეცი დანა გაშალა. თუმცა მერე გადაიფიქრა და ავტომატიან ზურაბ ხუჭუას უბრძანა: — ესროლე, ამის დედაც. თორემ იცოდე, დანით დავჩეხავო. ისიც ადგა და ორჯერ, ზედიზედ ესროლა.

**შორენა ჯოჯუა:** — ჯერ მეგონა, უბრალოდ ჰაერში ისროლეს შესაშინებლად-მეთქი, მაგრამ როცა სოსოს ხმა შემომესმა: — რა ქენით, მომკალით, ბიჭებოო, — დავრწმუნდი, რომ დაჭრილი იყო და ვიკივლე — გვხოცავენ-მეთქი. იმ ბიჭმა, რომელიც ჩემს კართან იდგა, პირზე ხელი ამაფარა, ბოკელავაძე აღარ ცხრებოდა, ზურაბს მოსთხოვა კიდევ ესროლე, თორემ დანით დავჩეხავო. ზურაბმა ფეხი წაჰკრა წაქცეულს და ბოკელავაძეს უთხრა — აღარაა საჭირო, ესეც საკმარისიაო. ამის შემდეგ ისინი ყანების მიმართულებით წავიდნენ. მანქანას კი სოფლელები შემოეხვივნენ...

**ვიტალი ხუჭუა:** — სოსო დაჭრილი იყო, ბონდო ხუჭუა მომეხმარა და მის ეზოში ტახტზე დავაწვინეთ, მაგრამ როცა სასწრაფო დახმარების მანქანა მოვიდა, ექიმმა ჩიქოვანმა განგვიცხადა — უკვე მკვდარიაო.

აი ასე, ყოველგვარი საბაბის გარეშე მოკლეს კაცი. აშკარაა, რომ ისინი მანქანის გატაცებას არ აპირებდნენ. უბრალოდ, ადგილამდე უნდოდათ მისვლა. ძნელი სავარაუდოა, რომ ზურაბ ხუჭუას და ვლადიმერ ბოკელავაძეს სოსო ჯოჯუას მკვლელობა ჰქონდათ ჩაფიქრებული. არადა, ფაქტი სახეზეა — ადამიანი იმისთვის მოკლეს, რომ კალათებით სავსე მანქანის სალონში ვერ ჩაჯდა. ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა? სწორედ ამის შემდეგ იყო ლტოლვილების რისხვამ რომ იფეთქა, მაგრამ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შორენა ჯოჯუამ „თავისიანები“ დაზოგა და კანონს არ დაუპირისპირა — იმ კანონს, რომელსაც ასე ფეხქვეშ თელავენ კრიმინალები. გონიერმა ქალბატონმა მხოლოდ მას მერე დაასახელა მკვლელები, როცა ვნებები რამდენადმე ჩაცხრა. მალევე დააკავეს მანამდე ორჯერ ნასამართლევი ვლადიმერ ბოკელავაძე და ელგუჯა ხუჭუა. სასამართლომ ბოკელავაძეს თვრამეტი წლით პატიმრობა შეუფარდა. ხოლო ელგუჯა ხუჭუას, რომელმაც ლმობიერება გამოიჩინა, შემწყნარებლობის მოტივით სამი წელი აკმარა. ზურაბ ხუჭუას ძებნა კვლავაც გრძელდება. ვარაუდობენ, რომ მან თავი სარატოვის ოლქს შეაფარა, სადაც ამჟამად მამამისი ცხოვრობს. თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ იქ ჩააკითხონ სამართალდამცავებმა. ჩვენს პოლიციას ხომ ფული მხოლოდ საკუთარი უზრუნველი მომავლის მოსაწყობად სჭირდება (ბუნებრივია, მაღალჩინოსნებს ვგულისხმობ) და ამგვარ საქმეებზე სამივლინებო ხარჯებს ვინ გაიღებს?! ამჟამად ათასობით ქართველი და არაქართველი ძებნილი იმალება (ან კი რატომ იმალება, ძალიან კარგადაც ცხოვრობენ) რუსეთში და თუ ჩვენი ბიუჯეტის მასშტაბებით ვიმსჯელებთ, ვეჭვობთ, ახლო მომავალში მათი ჩამოყვანა მოხერხდეს. ეს გარემოება კი დაუსჯელობის სინდრომს წარმოშობს, რითაც დაავადებულია ქართული კრიმინალური თუ მასთან მიტმასნილი სამყარო. შედეგიც სახეზეა.

***ვაჟა გავაშელი***

## „კვირის პალიტრა“ თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

**გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს. გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების საშუალებით**

**წინასწარ მადლობას მოგახსენებთ დახმარებისათვის**

**1. თქვენი სქესი**
- ☐ ქალი
- ☐ კაცი

**2. ასაკი**
- ☐ 18 წლამდე
- ☐ 18-24
- ☐ 25-34
- ☐ 35-44
- ☐ 45-54
- ☐ 55-64
- ☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
- ☐ არასრული საშუალო
- ☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
- ☐ არასრული უმაღლესი
- ☐ უმაღლესი
- ☐ სამეცნიერო ხარისხი

**4. ძირითადი სამუშაო, საქმიანობა**
- ☐ ხელმძღვანელი/მენეჯერი
- ☐ მოსამსახურე
- ☐ მუშა
- ☐ თვითდასაქმებული
- ☐ სტუდენტი/ასპირანტი
- ☐ მოსწავლე
- ☐ დროებით უმუშევარი
- ☐ დიასახლისი
- ☐ პენსიონერი

**5. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**
- ☐ 50 ლარამდე
- ☐ 50-200
- ☐ 200-700
- ☐ 700-1500
- ☐ 1500-ზე მეტი

**6. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**7. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
- ☐ მხოლოდ მე
- ____ *(ჩაწერეთ რაოდენობა)* ადამიანი

**8. „კვირის პალიტრის“ გარდა, რომელ ჟურნალ-გაზეთებს კითხულობთ სისტემატურად?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*

1. ____________
2. ____________
3. ____________

**9. რამდენად ხშირად კითხულობთ თქვენ მიერ I რიგში დასახელებულ სხვა გამოცემას?**
- ☐ ყოველ ნომერს
- ☐ ხშირად
- ☐ ხანდახან
- ☐ იშვიათად

**10. ზოგადად, რა სამი უმთავრესი ფაქტორია გადამწყვეტი თქვენთვის გაზეთის/ჟურნალის არჩევისას?**
- ☐ ფასი
- ☐ შეჩვევა
- ☐ სტატიების სიმძაფრე
- ☐ გვერდების რაოდენობა
- ☐ პოლიგრაფიული ხარისხი
- ☐ ოპერატიულობა
- ☐ დიზაინი
- ☐ ზომიერება
- ☐ მრავალფეროვნება
- ☐ იმიჯი
- ☐ ობიექტურობა/არატენდენციურობა

სხვა *(დაასახელეთ)* ____________

**11. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას“?**
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
- ☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
- ☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**12. დაახლოებით, რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
- ☐ ეს პირველი ნომერია
- ☐ 1-3 თვე
- ☐ 3-12 თვე
- ☐ 1-2 წელი
- ☐ 2-5 წელი
- ☐ დაარსებიდან

**13. როგორ ფიქრობთ, „კვირის პალიტრა“ ადრე უფრო საინტერესო იყო თუ ახლა?**
- ☐ ადრე უფრო საინტერესო იყო
- ☐ ახლა უფრო საინტერესოა
- ☐ მიჭირს პასუხის გაცემა

**14. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**

____________

**15. რომელი რუბრიკაა თქვენთვის ყველაზე ნაკლებად საინტერესო?**

____________

**16. რა სიახლეს შესთავაზებდით „კვირის პალიტრას“?**

____________

____________

____________

**17. მიუთითეთ ქალაქი (რაიონი, სოფელი), სადაც ცხოვრობთ**

____________

☒ შესაბამისი უჯრა გადახაზეთ

*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**

CMYK

# შევარდნაძეს ალარავინ ენდობა

მსოფლიოში „კავკასიური მელას“ სახელით ცნობილმა საქართველოს პრეზიდენტმა თავის ქვეყანაში საპარლამენტო არჩევნები ფარსად აქცია. იმედგაცრუებული ეუთოს მეთვალყურეები დიპლომატიური სიფრთხილით აფიქსირებდნენ, რომ ხმის მიცემა „საერთაშორისო სტანდარტების დონესთან მიახლოებულიც კი არ იყო“. თუ პირდაპირ ვიტყვით, არჩევნების შედეგები მეტისმეტად გაყალბდა. არადა ევროსაბჭომ და აშშ-მა არჩევნების გამჭვირვალედ და პატიოსნად ჩასატარებლად ცოტა ფული როდი გაიღეს. ყოფილი საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი კბილებითაა ჩაფრენილი ხელისუფლებას, რომელიც წესით, 2005 წელს უნდა დათმოს; მაგრამ მანამდე უნდა მოასწროს მემკვიდრის მომზადება, რომელიც მისი ოჯახური კლანისთვის მისაღები იქნება. ამასობაში კი პოლიტიკასა და ეკონომიკაში მოპარპაშე მისი საგვარეულო დაუბრკოლებლად განაგრძობს სარფიან ბიზნესს. ***მაგალითად, მისი ქალიშვილი მანანა შევარდნაძე ქვეყნის კინოს და ტელევიზიას აკონტროლებს, მანანას მეუღლე გიორგი ფიქრური სატელეფონო კომპანია Magti GSM-ის მესამედის პატრონია, ძმისშვილი ნუგზარ შევარდნაძე გაზისა და ნავთობის სფეროში საქმიანობს.***

მას შემდეგ, რაც 90-იან წლებში შევარდნაძე თბილისში დაბრუნდა, კავკასიის არც ერთ ქვეყანას არ მიუღია ევროპიდან და ამერიკიდან იმდენი კრედიტი, რაც საქართველომ. მისი უმეტესი ნაწილი არსად ჩანს, ქვეყნისთვის არავითარი სარგებელი არ მოუტანია. საქართველოს აშშ-ის 2 მლრდ დოლარი მართებს და აქამდე გაკოტრდებოდა, ვაშინგტონი ყოველწლიურად 150 მლნ დოლარს რომ არ აძლევდეს. საკუთარი ფინანსური და მორალური კრედიტი ქვეყანაში გაბატონებულმა ცუდმა მმართველმა ედუარდ შევარდნაძემ უკვე ამოწურა და, მიუხედავად ამისა, დასავლეთი მაინც ეხმარება საქართველოს — სტრატეგიული მდებარეობისა და ერთი შემაშფოთებელი კითხვის გამო: რა მოხდება შევარდნაძის ჩამოგდების შემდეგ?

***დი ველტი***

# საქართველოს ბედი „ედიკოს კომპლექსის“ (ЭДИКОВ КОМПЛЕКС) დაძლევაზეა დამოკიდებული

საქართველოში საპარლამენტო არჩევნებს დამკვირვებლები 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების რეპეტიციად თვლიან. ამ არჩევნების შედეგით ცხადი გახდება, რა გზით წავა საქართველო.

თუ ედუარდ შევარდნაძის ძველი პარტიული თანამებრძოლის, მიხაილ გორბაჩოვის „პერესტროიკის“ დროინდელ ფრთიან გამოთქმას — „პროცესი დაიძრა“ — მოვიშველიებთ, საქართველოშიც დაიძრა პროცესი. თერმოდინამიკის მეორე კანონი გვასწავლის, რომ ოდესმე ყველაფერი მთავრდება. საქართველო ინსტინქტურად მიემართება გარდაქმნისკენ და ის აუცილებლად მივა ედუარდ ამბროსევიჩის დაუსრულებელი ეპოქის დასასრულამდე. ეს პოლიტიკოსი რაც არ უნდა ჩაეჭიდოს თავის სკამს, დრო არავის ინდობს.

ფაქტია, რომ დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკა თავიდან ბოლომდე „შევარდნაძეცენტრული“ იყო, მრავალი წლის მანძილზე ეს ქვეყანა აღიქმებოდა, როგორც შევარდნაძის დანამატი და ამბიციებისა და ჭირვეულობის შემსრულებელი.

***დაუძლურებული სახელმწიფო, რომლის შიგნით არის „სახელმწიფოები სახელმწიფოში“ — მეამბოხე აფხაზეთის და ჩუმჩუმელა აჭარის სახით, სახელისუფლებო სტრუქტურებში პატრონ-კლიენტური ურთიერთობა, ლიბერალური ეკონომიკური რეფორმების და სტრატეგიული განვითარების გეგმის უქონლობა და რუსეთთან გაუთავებელი კინკლაობა — აი, რა ხვდება მემკვიდრეობად ახალ პარლამენტს, ხოლო 2005 წლის აპრილში კი — მომავალ პრეზიდენტს...***

თუ რამდენად სწრაფად მოიშორებს ის „ედიკოს კომპლექსს“, საქართველოს მომავალი ამაზე იქნება დამოკიდებული.

***კომერსანტი №201***




# ოპოზიცია შევარდნაძის წინააღმდეგ გამოდის



ქართული ოპოზიცია ცდილობს, განახორციელოს თავისი ჩანაფიქრი — საპარლამენტო არჩევნების გაყალბების გამო გადააყენოს პრეზიდენტი შევარდნაძე. ზუგდიდში ჩასულ ოპოზიციის ლიდერს მიხეილ სააკაშვილს, მის მომხრეებს და ქუჩაში თავმოყრილ მშვიდობიან მოსახლეობას ადგილობრივმა ომონმა ცეცხლი გაუხსნა. 3 კაცი დაიჭრა, ერთი — მძიმედ. ეგზიტპოლის თანახმად, ბატონმა სააკაშვილმა გაიმარჯვა, მაგრამ ცესკოს მონაცემებით — ნაციონალური მოძრაობა მხოლოდ და მხოლოდ მესამე ადგილზე გავიდა. ამ ნუსხაში ლიდერობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერის, ასლან აბაშიძის პარტია „აღორძინება“. ბატონ აბაშიძის გამარჯვებამ სახელისუფლებო ბლოკი მეორე ადგილზე გადაიყვანა. ბატონ შევარდნაძეს პრეზიდენტობის ვადა 2005 წელს უმთავრდება. ვინ იქნებიან პრეზიდენტობის კანდიდატები: ნინო ბურჯანაძე თუ ზურაბ ჟვანია, ამჟამინდელი და ყოფილი პარლამენტის სპიკერები?

ბატონმა სააკაშვილმა თავის მხარდამჭერებს განუცხადა: „თუ შევარდნაძეს სურს რევოლუცია, ის მიიღებს მას“. ძალოვანმა მინისტრმა კობა ნარჩემაშვილმა ტელევიზიით თქვა, — არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა, მაგრამ რადგან ზოგიერთებს სურთ არეულობა ქვეყანაში, თუ საჭიროება მოითხოვს, მზად ვართ გავუმკლავდეთო.

***ფეინენშელ ტაიმსი***

# არჩევანი რჩეულთა შორის

საქართველოში მიმდინარე არჩევნების შედეგების კომენტირებისას ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, — მზად ვარ ვითანამშრომლო ყველა პოლიტიკურ პარტიასთანო და ხაზგასმით აღნიშნა, — ახალარჩეულმა პარლამენტმა ისტორიული მისია უნდა შეასრულოს — განახორციელოს კონსტიტუციური რეფორმა, რომლის აუცილებლობა აშკარააო. სწორედ ეს განცხადება მეტყველებს იმაზე, თუ რას ელის პარლამენტისგან საქართველოს ლიდერი. როგორც ეტყობა, შევარდნაძე აპირებს ისარგებლოს იმ პოლიტიკური დაპირისპირებებით, რომელიც ასეთ ჭრელ პარლამენტში აუცილებლად წარმოიქმნება, რათა მერე „უმაღლეს არბიტრად“ და პოლიტიკური ბალანსის გარანტად აღიარონ, შეუნარჩუნონ უფლებამოსილების გარკვეული ნაწილი 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც. შესაძლებელია, ეს სენატის თავმჯდომარის და სამუდამო სენატორის პოსტი იყოს. სწორედ ორპალატიანი პარლამენტის ინსტიტუტის შემოღებას ითვალისწინებს პრეზიდენტის მიერ ჯერ კიდევ შარშანწინ პარლამენტში შეტანილი კონსტიტუციური რეფორმის პროექტი.

***დღევანდელ პრეზიდენტს ხელს აძლევს მომავალი პრეზიდენტობის შესაძლო კანდიდატებს შორის ბრძოლა. სერიოზული პრეტენზიები აქვთ პრეზიდენტობაზე ვახტანგ რჩეულიშვილს, ვაჟა ლორთქიფანიძეს, შალვა ნათელაშვილსა და მიხეილ სააკაშვილს. რასაკვირველია, ყოველი მათგანი ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერას ელის.*** მაგრამ ჯერჯერობით ის არ ასახელებს მემკვიდრეს — ახლა რომ ვთქვა, ვინ დაიკავებს 2005 წელს უმაღლეს პოსტს, ნაჩქარევი და არასწორი იქნებაო. ამით ხაზს უსვამს იმას, რომ მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება, იმავდროულად, „ოთხეულს“ შორის განხეთქილების ვაშლს აგდებს — ყოველი მათგანი გულში ფიქრობს, ნამდვილად მე მგულისხმობდაო.

ტყუილად კი არ უწოდეს ამ არჩევნებს „საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების პირველი ტური“.

***იზვესტია.რუ***

# სოჭიდან ერევნამდე შორი გზაა

აფხაზეთის აუღიარებელი რესპუბლიკის ხელისუფლებამ მოსკოვს აფხაზეთის მონაკვეთზე რკინიგზის აღსადგენად სარკინიგზო ჯარების გაგზავნა სთხოვა. მოსკოვში საიდუმლო ვიზიტით იყო ჩასული აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი რაულ ჰაჯიმბა, თუმცა პრემიერმა თქვა, — მოსკოვში ეკონომიკური საკითხების მოსაგვარებლად ვიყავიო. სოხუმის საინფორმაციო წყაროების ცნობით, მოლაპარაკების უმთავრესი საკითხი იყო ტრანსკავკასიური სარკინიგზო ხაზის — სოჭი-თბილისი-ერევანი — მშენებლობა. როგორც ცნობილია, ამაზე იყო ლაპარაკი მარტში პუტინის, საქართველოსა და აფხაზეთის ლიდერების შეხვედრაზე. რუსეთის სარკინიგზო ჯარების წარმომადგენლები კი აფხაზეთში რკინიგზის მდგომარეობის შესწავლის და მისი აღდგენის პერსპექტივების შესასწავლად ჩავიდნენ.

ჰაჯიმბამ მოსკოვს ენგურჰესის რეკონსტრუქციის გეგმაც შეუთანხმა. ამ ჰესის აღდგენით ოფიციალური თბილისიც დაინტერესებულია. რეაბილიტაციაში „რაო ეეს როსიას“ სპეციალისტები მიიღებენ მონაწილეობას. მოსალოდნელია, რომ ჰესის რეაბილიტაციასთან ერთად აღდგება ენგურის სარკინიგზო ხიდი. ასე რომ, ამიერკავკასიაში მიმავალი რკინიგზის ნაწილობრივი აღდგენა მალე დაიწყება. უკვე აღდგა საქართველოსა და სომხეთს შორის მიმოსვლა. სწორედ ამის წყალობით დამთავრდა საგარეჯოდან ამიერკავკასიის რუსული სამხედრო დაჯგუფების საინჟინრო საწყობის საბოლოო გატანა.

რუსეთი დაინტერესებულია სოჭიდან სომხეთში მიმავალი რკინიგზის გახსნით, რადგან აქ თავმოყრილია ამიერკავკასიაში მდგარი რუსული ჯარები.

ტრანსკავკასიური მაგისტრალის ორი მონაკვეთი უკვე მოქმედებს: სოჭიდან ოჩამჩირემდე (ხაზი ტყვარჩელამდეც მიდის) და თბილისიდან ერევნამდე, თუმცა ცალკეული მონაკვეთი ძვირად ღირებულ კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. არაოფიციალური მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე რკინიგზის სრულ აღდგენას 2 მლრდ დოლარი დასჭირდება, ნაწილობრივს — 900 მლნ. ასეთი თანხა ჯერ არ არის და არც 2004 წლის ბიუჯეტითაა გათვალისწინებული.

***ნეზავისიმაია გაზეტა №235***

# ამონარიდი დასავლური პრესიდან

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა რიჩარდ მაილსმა პრეზიდენტ შევარდნაძეს განუცხადა, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სასწრაფოდ უნდა გადათვალოს მთელი ხმები ისე, რომ ყურადღება მიექცეს დარღვევებს. არჩევნები დარღვევების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამჟამად ლაპარაკია ძალზე სერიოზულ დარღვევებზე.

***ნიუ იორკ ტაიმსი***

საქართველოს პრეზიდენტს, ედუარდ შევარდნაძეს, განრისხებულმა ოპოზიციამ ულტიმატუმი წაუყენა: სამთავრობო ბლოკმა პირველ რიგში უნდა აღიაროს არჩევნების გაყალბება, თავი წაგებულად ცნოს და გადადგეს. ათასობით პროტესტანტი იმუქრება, რომ შტურმით აიღებს თბილისის მთავრობის შენობას, თუ პრეზიდენტი შევარდნაძე არ აღიარებს ოპოზიციის გამარჯვებას.

არა მარტო დედაქალაქში, არამედ თითქმის მთელ რესპუბლიკაში მობილიზებულია ჯარი, სპეცრაზმები და პოლიცია. მაგრამ ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ ეს მხოლოდ მზადყოფნაა მოსალოდნელი ექსცესების ჩასაწყნარებლად. თუმცა, ერთ-ერთმა მათგანმა აღნიშნა, თუ საჭიროება მოითხოვს, ძალასაც ვიხმართო.

***ტელეგრაფი***

საქართველოს დედაქალაქში ქუჩაში გამოსვლით პროტესტი გამოხატა 5000-ზე მეტმა ადამიანმა. „მინდა ვუთხრა პრეზიდენტს, რომ მის მხარეს არავინ არის, სამთავრობო ბლოკის რამდენიმე წევრის გარდა. ხალხი — ერი აქ არის, ის პროტესტს გამოთქვამს. ვინ არის იქ? პრეზიდენტი და მისი 400 ძაღლი!“ — განაცხადა ბატონმა მიხეილ სააკაშვილმა, ნაციონალური პარტიის ლიდერმა და მთავარმა ოპოზიციონერმა. ოპოზიციის აზრით, შევარდნაძე უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე, ქართველი ხალხის წინააღმდეგ გალაშქრებისთვის.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ბატონი რიჩარდ მაილსი ესაუბრა პრეზიდენტ შევარდნაძეს და შემდეგ იმედი გამოთქვა, რომ პრეზიდენტი ისეთ ნაბიჯს გადადგამს, რომლის კმაყოფილიც დარჩება ოპოზიციაო.

***გარდიანი***



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!

კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარების გენიოსობა

5 წლის **მარი ლომიაშვილი** მამას ეკითხება:

— მამიკო, ჩვენ რასაც ვაკეთებთ, ღმერთი ყველაფერს ხედავს?

— კი, შვილო, გინდა კარგი გააკეთო, გინდა ცუდი, ღმერთი ხედავს და აუცილებლად გადაგიხდის.

— ღმერთი მართლა ცაში ცხოვრობს?

— კი.

— აუ, მამიკო, ღმერთს რამხელა სახლი აქვს, არა?

* * *

დედამ პატარა ლავაშები იყიდა და **8 წლის თამთა თუჯიშვილს** უთხრა, ამას „დედა პურს" ეძახიანო.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა ძმამ მაღაზიიდან მრგვალი (ე.წ. ქარხნული) პური მოიტანა, თამთამ განაცხადა:

— მე არ მომწონს მამა პური!

* * *

— დედა, ჩიტები იწველებიან? — ეკითხება **4 წლის ანა ჯერვალიძე.** დედას

— არა, შვილო.

— აბა, ჩიტის რძეს რომ ყიდულობ ხოლმე?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელ ჰორიზონტალურ რიგში მიიღებ შემდეგი გამოცანის პასუხს: „მუდამ შენს ირგვლივ ვტრიალებ, მგრძნობ, მაგრამ ვერა მხედავ, უჩემოდ ვერ იარსებებ, მე ვარ სიცოცხლის დედა.".

IV



## I ანა, გამოიცანი

**1) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელია პორტუგალიის დედაქალაქი?**

ა) ბოგოტა; ბ) ლისაბონი; გ) ოსლო; დ) ბუქარესტი.

**2) გამორიცხე ზედმეტი სიტყვა:**

ა) მინდორი; ბ) ველი; გ) ხრიოკი; დ) მოლი.

**3) საქონლის გატანა საზღვარგარეთ არის:**

ა) ექსპრესი; ბ) ექსპორტი; გ) იმპორტი; დ) ექსპრომტი.

**4) ანდაზის მიხედვით, ვინ დაეპატრონებიან უპატრონო ეკლესიას?**

ა) ეშმაკები; ბ) ქაჯები; გ) ავი სულები; დ) დემონები.

**5) ქვემოთ ჩამოთვლილთაგან, რომელი ქვეყნის დროშა არ შედგება მხოლოდ ორი ფერისაგან?**

ა) უკრაინის; ბ) მონაკოს; გ) პოლონეთის; დ) საფრანგეთის.

**6) ვის ეკუთვნის სიტყვები: „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო, ჩემო სამშობლო მხარეო, შენი ვარ, შენთვის მოვკვდები, შენზედვე მგლოვიარეო".**

ა) ვაჟა-ფშაველას; ბ) აკაკი წერეთელს; გ) რაფიელ ერისთავს; დ) იაკობ გოგებაშვილს.

**7) ვინ მეფობდა ქრისტეს დაბადების ჟამს იერუსალიმში?**

ა) სოლომონი; ბ) ჰეროდე; გ) დავითი; დ) საული.

**8) რომელი უფრო გვიან მეფობდა?**

ა) ერეკლე ; ბ) ვახტანგ გორგასალი; გ) თამარ მეფე; დ) დავით ალმაშენებელი.

## იპოვე 10 განსხვავება



II




გამოიცანი, რომელი ფოთოლი, რომელი ტოტიდან არის ჩამოვარდნილი?

## რა დროიდან ემსახურება ძაღლი ადამიანს

ლეგენდა

ცხოვრობდა ქვეყნად ძაღლი. არ იცოდა, ვისთვის გაეწია მეგობრობა და სამსახური. ერთხელ ძაღლი ტურას შეხვდა და ერთად გაუდგნენ გზას.

უცებ ტყეში მგლის ნაკვალევი დაინახეს.

— ვისია ეს ნაკვალევიო? — ეკითხება ძაღლი ტურას.

— ისეთი მხეცის, რომელიც ორივეს მოგვახრჩობს, თუ შემოგვხვდა სადმეო.

ძაღლმა ტურას თავი გაანება და მგლის კვალს გაჰყვა. დაინახა მგელმა და ეკითხება:

— ვინა ხარო?

— შენი მონა-მორჩილიო, — უთხრა ძაღლმა.

— მაშ, წამოდი, ერთად ვიაროთო.

წავიდნენ ერთად.

გზაზე დათვის ნაკვალევი ნახეს.

— ვისია ეს ნაკვალევიო? — ეკითხება ძაღლი მგელს.

— ო, ეს ისეთი მხეცისაა, რომელიც ერთი დაკვრით მოგვისპობს სიცოცხლეს ორივესო.

გაანება ძაღლმა თავი მგელს და გაჰყვა დათვის კვალს.

— ვინა ხარო? — ეკითხება დათვი.

— შენი მონა-მორჩილიო, — უთხრა დათვმა და ერთად გასწიეს ტყისაკენ. გზაზე ადამიანის ნაკვალევი შეამჩნია ძაღლმა.

— ვისია ეს კვალი? — იკითხა ძაღლმა.

— ო, ეს ისეთი მხეცისაა, რომლის მომრევი ქვეყანაზე არავინ არისო, — მიუგო დათვმა.

გაანება ძაღლმა დათვს თავი და ადამიანი მოძებნა.

მას შემდეგ მასთან ცხოვრობს და ერთგულად ემსახურება.

## როგორ გაჩნდა ქვეყანაზე მთები და ხევები

ღმერთმა თურმე დედამიწა ცაზე უფრო დიდი გააჩინა. არ მოერგო ცა დედამიწას, ვერ ესარქველებოდა.

მაშინ ეშმაკმა ურჩია თურმე ღმერთს: მოუჭირე მიწას შენი ძლიერი მკლავები და ცა ზარფუშივით დაიხურებაო.

მართლაც, ღმერთმა დაუჯერა ეშმაკს, მოუჭირა დედამიწას მკლავები... ცა დაესარქველა, მაგრამ მიწა კი შეიზნიქა და აქა-იქ ამოიბურცა გორებად, მთებად და გაჩნდა ხევები.

პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა




ზღაპრების შეძენა შეგიძლიათ „კვირის პალიტრის" საგაზეთო ჯიხურებში, აგრეთვე პრესის სხვა გამავრცელებლებთან და წიგნის მაღაზიებში. ერთი წიგნი-ზღაპარი 1 ლარი და 20 თეთრი ღირს

# გაიღეთ ხმა თქვე კაიდედმამიშვილებო, ვერ ხედავთ, ჭილყვავები დაეპატრონნენ საქართველოს?!



მას შემდეგ, რაც შემოქმედის ორლობეებს ოზურგეთის პარასკეობაზე ნაყიდი მრავალი წუღა შეაცვითა, მოულოდნელად ფიზიკოსი გახდა. იმდენად კარგად და გულმოდგინედ სწავლობდა ბუნების კანონებს, უნივერსიტეტში კათედრაზე დატოვეს... ცოტა ხანში კანონების წესრიგიანობა მოჰბეზრდა, მოსკოვის კინემატოგრაფიულ ინსტიტუტში გასტუდენტდა და რუსები იმით გააოცა, რომ ფიზიკოსი ნიჭიერ რეჟისორად გარდაიქმნა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ „ნეილონის ნაძვის ხე“ გადაიღო... ამ ფილმში, დანჯღრეულ ავტობუსში ერთად იმდენი „შებერტყილი“ ქართველი ჩასვა — შენ სამშობლო არ გიყვარსო, უთხრეს. არადა, კაცი გადაჭარბებულად ნაციონალისტია (პარტიულობას არ ვგულისხმობ)... მხოლოდ ხელოვანის „მეექვსე გრძნობა“ აქვს გამახვილებული და კარგად მიხვდა, საითაც მივხრიგინობდით — სულ ცოტა ხანში მთელმა საქართველომ იმ მოგიჟიანებულ ავტობუსში ამოვყავით თავი და ერთმანეთს დავერიეთ...

სხვათა შორის, კარგი მსახიობია... შეუძლია საკუთარ ცხვირზე ბუზის თვალთვალი ბრწყინვალე კინოროლად აქციოს... ფილმებს შორის პაუზებში წერს ლექსებს და ხატავს, მოშვებული აქვს წვერი და დროდადრო, ბავშვობის რეზო ესაძეს სტუმრობს გურულ ოდაში, სადაც ბუხართან ბებიის ფაჩუჩები აწყვია გასაშრობად. რამდენიმე წლის წინ გულმა უღალატა. ოპერაციის შემდეგ მოიარა უწონადო (თვითონ ასე უწოდებს) სივრცე და დაწერა: „შენს ნაკვალევზე ვიარე, ცისკენ მეჭირა თვალები, ო მაცხოვარო, მამაო, საუკუნეა წამები...“

შეიძლება ითქვას, რომ ცხოვრება ნიჭიერ უცნაურობათა დამკვიდრებისთვის ომში გაიარა... ამჟამად ყველაზე უფრო თავისი ქვეყნის მდგომარეობას განიცდის და დროდადრო საშინლად აღშფოთდება ხოლმე.

— მიდი ერთი, ნახე რა უქნიათ ამ უტვინოებს? — ამდგარან კაცო და გალაკტიონის სახლ-მუზეუმში იმისი ხელშენახები ფანჯრები ჩამოუხსნიათ! ვინ არიან, რა ხალხია? ეთქვათ ჩემთვის. წამოვიღებდი იმ ფანჯრებს, ჩარჩოს გავუკეთებდი და სახლში ჩამოვკიდებდი კედელზე!..

**— სადღა დატევდით ბატონო რეზო — კედლები სულ ნახატებით გაქვთ სავსე. რეჟისორმა ამდენი როდის ხატეთ?**

— ფილმებს შორის ვსაზრდოობ ამ ამბებით, — ვხატავ და ვწერ. ლექსების ორი წიგნი გამოვეცი და მოვხატე. აი ნახე, ეს ბებიაჩემის ფაჩუჩებია, ეს ჩემი სოფლის უსაყვარლესი წისქვილი. უყურე, რას ვწერ! — „ბებერ წისქვილთან სუნია შარის, სიცხიან ბარის, ნესტიან ჭერხოს, სურნელება დგას ბარდის ეკალის, ისმის წანწკარი დაწრეტილ ღარის“... კაია არა? — გინდა ბაბუაჩემის შინელს შევხებოდე. იცი, რა სუნი ასდიოდა იმ შინელს? — ჩვენი ლაბაია ხარის, ბალახის, მზის, მიწის... ახლა უყურე, წისქვილთან რომ გზაა დახატული, იქ რას ხედავ?

**— ბიჭს, მოკლე შარვალი აცვია...**

— სწორია. ის შარვალი კიდევ, გახეულია...

**— რატომ? უჭირდა იმ ბიჭს?**

— უჭირდა, მარა სამაგიეროდ, სულიერი საუნჯე ჰქონდა, აურაცხელი მეზობლები ჰყავდა გურიაში, ბებია-ბაბუა ჰყავდა იმისთანა, უშარვლობას ავიწყებდა. დამიგდე ყური და მოგიყვები, რა ხალხი იყო... აი მაგალითად, ჩემი ბაბუა: დილაუთენია მივდივართ მე და ის ოზურგეთში, კიდია ბაბუას გოდორი, — თავრუჯულა მსხალი გვქონდა ერთი ძირი და ის მსხალი უყრია შიგ. უნდა გაყიდოს და წუღები მიყიდოს, რომ პირველ სექტემბერს წავიდე სკოლაში. მსხალი ერთნაირადაა დარჩეული, ერთი ზომის. ჯერ ოქროს თივაა ჩაფენილი გოდორში, მერე მსხალი აწყვია, მერე კიდევ თივა, მერე — მსხალი (რომ აუჩემებიათ, უცხოეთში ერთი ზომის ხილი იყიდებაო, იმისთანა ხილს ჩვენი ბებიები და ბაბუები ყიდდნენ)... ჰოდა, მივდივართ და თენდება, მამლები ყივიან. გავიხედოთ, ეზოში ჭიშკარი დარჩენიათ ღია. შესულან შიგ ღორები და ანადგურებენ — შეწუხდა ბაბუა, ეტყობა, შინაურებს სძინავთ, არ ივარგებს, ასე რომ ჩოვუაროთ, მომეხმარე ერთი გოდორი ყორეზე ჩამომადგმევინეო... შევიდა ეზოში, მორეკავს ამ ღორებს, იცი რანაირად — აცე, აცეო ჩურჩულით გამოჰყავს, ფრთხილობს, არ უნდა ოჯახიშვილები გაალვიძოს... გამორეკა, დაკეტა ჭიშკარი და მოვდივართ ისევ. გავედით 1905 წლის ქუჩაზე — მოკლეზე ტალახია და შორიდან უნდა შევიდეთ ბაზარში... იქ აბრეშუმის ქარხანასთან სამხედრო ნაწილია, ჯარისკაცები არიან გამოსულები... რას ყიდი ბაბუაო — ეკითხებიან... მსხალსო, — პასუხობს ბაბუაჩემი... ვერ გაგვასინჯებო?.. უნათდება სახე ბაბუაჩემს, იხსნის ამ გოდორს და ტორებით ამოაქვს მსხალი (მე კი არ მგავდა დაბალი — გოლიათი კაცი იყო), ჯერ ერთი ტორი, მერე მეორე... მერე ჯარის მთელი ნაწილი მოვიდა და დაცარიელდა გოდორი... აძალებენ ფულს, აიღეო, იკლავს თავს, არ იღებს... მივდივართ ცარიელები... მეუბნება ბაბუა, — ნუ გეშინია, ბაბუ, ერთი პარასკევი კიდო დარჩა სექტემბრამდე, წუღებს იმ პარასკევს გიყიდიო... მოვედით ახლა სახლში. დაიგვიანა ჩვენმა კოკინა ძროხამ. შეხვდა ბებიაჩემი და ელაპარაკება: არ გრცხვენია, ცავ შენ, ამდენ ხანს სად იყავი, გული რეიზა გამიხეთქეო? კაი ახლა და მეორეჯერ მაგი აღარ დაგემართოსო... გათენდა მეორე დილა. გადმოვიდა ჩემი მეზობელი ეზოდან და ასი მეტრი მისკენ რომ მოხვეტა გზა, ასი მეტრი მეორე მეზობლისკენაც დაგავა... მეორე დღეს გავიდა ბებიაჩემი და იმან ეზოდან კიდე უფრო შორს დაასუფთავა შარა: გამეივლის ვინმე და სირცხვილია, ნაგავი რო დეინახოს, იტყვის, რა ჯილეხი ხალხი ცხოვრებულა აქანე და თავი მოგვეჭრებაო..

**— სულ ჩვენ გვგვანებიან, სართულებიდან ეზოებსა და სადარბაზოებში რომ ვყრით ნაგავს...**

— ე, მაგის თქმა მინდოდა მეც... მოიარე, ნახე რა დღეშია სადარბაზოები, ეზოები... ეს საფუძველია სიგლახის, აშენდება ზედ ყოველგვარი უკადრისობა... ვითომ ამდენ უნამუსობას ჩაიდენდა ეს ხალხი, ისეთ მეზობლებში რომ გაზრდილიყო, ისეთი



*მოუარეთ საქართველოს*

> ქართველებს აყურებინებენ, როგორ ურტყამენ წაქცეულ კაცს წიხლებით... თქვენ არ გაგიგიათ, რომ საქართველოში წაქცეული კაცის ცემა თავის მოჭრად ითვლებოდა? როგორ უნდა შეეგუო ამ კაცთმოძულეობას, როცა იცი, რომ შენი ერის სიმდიდრე კაცთმოყვარეობაშია? ამ კაცთმოძულეობით იმისთანა ერი დავმახინჯდით, რომელმაც ყოველ წუთში შეიძლება გენიოსი დაბადოს...

საქართველო რომ ენახა, რაც მე ვნახე? მაშინ არ იკადრებდნენ, რომ მუშტი-კრივით მოსულიყვნენ პარლამენტში და თავისი ქვეყანა აბუჩად აეგდოთ...

**— ბატონო რეზო, მაგისთანა ქართველებზე თქვენ რომ გინდათ, ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამბობდა: ცხენზე შეჯდნენ და წარსულში გაჭენდნენო.**

— ილიას დროს ჯერ მთლად არ იყვნენ წარსულში გაჭენებულები... აბა, ნახე, ხომ უარყოფითი პერსონაჟია ლუარსაბ თათქარიძე, მარა მარტო ერთი-ორი აგური ჰქონდა იატაკიდან ამოგდებული, ახლა გაიარე, გზები რა დღეშია... ან როგორი მოსმენა იცოდა ლუარსაბმა? — ოღონდ გეთქვა რამე და თვალებით გისმენდა. რას ერჩი იმ ლუარსაბს, ვინ არის ახლა იმისთანა მომსმენი და ყურის დამგდები?.. აბა, ახლა ვიტყვი, რას ვფიქრობ, როგორ უნდა გავზარდოთ ბავშვები საღ ქართველებად და ვნახავ, ყურს თუ დამიგდებს ვინმე?

**— ვცადოთ...**

— როგორ და ამნაირად — ბავშვი პირველივე კლასიდან უნდა ვაზიაროთ ნამდვილ ხელოვნებას, ამით უნდა მოვიგოთ რუსებთან ომი და არა ნაპოლეონის ჯარებით (ან სად გვყავს ეს ჯარები?)... რას ჰგავს ის, რომ ბავშვს აკაკი წერეთლის ლექსს აღარ ასწავლი და ვიღაც, ჭიმჭიმელაშვილის ლექსებს აზეპირებინებ... ვინ არის ის ჭიმჭიმელაშვილი? იცი შენ, რომ ცინის ეპოქაში ხელისუფლებაში ჩინოვნიკად არ დანიშნავდნენ კაცს, პოეზიაში თუ არ ერკვეოდა... პოეტი ბოძი უი პროვინციის გამგებლად დანიშნეს და ააყვავა ის პროვინცია, იმიტომ, რომ ყველა საქმეს სულიერი ფასეულობის მიხედვით აკეთებდა... კაცო, ვინ ოხერი ხარ, „ვეფხისტყაოსანი“ არ წაგიკითხავს და ქვეყანას მართავ? იმის გაგებაში რომ არ ხარ, ვეფხვმა და კაცმა ერთმანეთი რომ დახოცეს, და კაცის დედა ვეფხის დედასთან სამძიმარზე წავიდა, სიძულვილს რანაირად მოერევი? მე „ღვინია გადაიჩეხა“ რომ მასწავლეს სკოლაში, მთელი ღამე არ მძინებია. მივედი სახლში და მივწექი ლაბაია ხართან, მუცელზე დავადე თავი, ადგა გგონია? ჰოდა, ასეთი რამეები ისევ უნდა ვასწავლოთ ქართველ ბავშვებს, თუ გვინდა იმათგან ხალხი დადგეს — მწერლობა, მუსიკა, პოეზია, მხატვრობა. მე მაქვს იდეა: მოდი, მთელი საქართველოს სკოლები საგამოფენო დარბაზებად ვაქციოთ...

**— და რა უნდა გამოვფინოთ?**

— გეტყვი ახლა, რაც უნდა გამოვფინოთ. ამას წინათ სამხატვრო აკადემიაში ვიყავი ნიკო ხერკელაძის გამოფენაზე — ამ კაცზე მერე გეტყვი — იცი რა ვნახე? ვნახე, როგორ აწვიმს აკადემიის შენობას და ინგრევა. როგორ ნადგურდება ის შედევრები, რამაც ეროვნული გენი უნდა გადაგვირჩინოს. იმ შენობაში კოკი მახარაძის 2 ნახატი ჰკიდია. პირველი, „სუვოროვის გადასვლა ალპებზე“ (23 წლისამ დახატა — ჯიბეში ჩაისვამს სურიკოვებსა და რეპინებს), მეორე — „ასპინძის ომი“. ვუყურე, ვუყურე ამ „ასპინძის ომს“ და გავგიჟდი: — აი, სად არის ქართველის ღირსების ფანტასტიკური გადმოცემა... რა სიკეთე გადმოდის, რა შინაგანი ძალა... იქვე ჰკიდია გაბაშვილის „მთვრალი ხევსურები“ — მოკლედ მთელი ის საშენი მასალა, რომლისგანაც ქართული გენი უნდა აიგოს, უქმადაა ჩამოკიდებული. ამდენი ადამიანის სულის წვა კედელზე თავისვისაა და არავის აინტერესებს... შე დალოცვილო, სკოლის დირექტორი ხარ თუ უმაღლესის მასწავლებელი, აიღე ეს „ასპინძის ომი“, „მთვრალი ხევსურები“, გადაიღე ასლი და აი, სკოლაში ბავშვი რომ ზის პირველ კლასში და „აი იას“ სწავლობს, იმას დაუკიდე, — უყურებდეს თავის წინაპრებს, თავის „ასპინძის ომს“ და იგრძნოს სამშობლოს სიყვარული... ხომ წარმოგიდგენია ერეკლე მეფისა და ინგილო ქალის ნახატს რომ შესცქერის ბავშვი, იმის მეხსიერებაში რაც ჩარჩება? აი ეს არის ჩემი იდეა, აბა, ვნახოთ ვინმე თუ დაუგდებს ყურს! თქვენც მომეხმარეთ, დაწერეთ ამ იდეაზე, გაიღეთ ხმა თქვე კაიდედმამიშვილებო... ვერ ხედავთ, ჭილყვავები დაეპატრონნენ საქართველოს?! აქეთ ტელევიზია წამლავს ქართველებს, უჩვენებენ საშინელებათა ფილმებს და აყურებინებენ, როგორ ურტყამენ წაქცეულ კაცს წიხლებით... ხომ ვიმეორებთ ახლა იმავეს? თქვენ არ გაგიგიათ, რომ საქართველოში წაქცეული კაცის ცემა თავის მოჭრად ითვლებოდა? როგორ უნდა შეეგუო ამ კაცთმოძულეობას, როცა იცი, რომ შენი ერის სიმდიდრე კაცთმოყვარეობაშია? ამ კაცთმოძულეობით იმისთანა ერი დავმახინჯდით, რომელმაც ყოველ წუთში შეიძლება გენიოსი დაბადოს... ვუპატრონოთ ამ დაუღალელ ნიჭიერებას და გაძლების ნიჭს! ვერ ხედავთ, შავ დღეში ვართ და მაინც ვაკეთებთ რაღაცას, წელან რომ გითხარი, ნიკო ხერკელაძის გამოფენაზე ვიყავი-მეთქი, ის ნიკო ამისთანა დროში იქცა მსოფლიო დონის მხატვრად... შენ წარმოიდგინე, მეც გადავიღე ფილმი...

**— კარგია რომ გამახსენეთ, ცნობილ რეჟისორთან კინოს გარდა, ყველაფერზე ვსაუბრობ.**

— ჰო, ათი წელი ვიღებდი. ფილმი-მისტერიაა. „ჭერი ანუ დაუმთავრებელი ფილმის მასალა“ ჰქვია. არ გინახავს?..

**— სამწუხაროდ, არა.**

— მაშ, არაფერი არ გინახავს ჩემი... უნდა ნახო: დიდი იმპულსებია... თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე კონკურს გარეშე აჩვენეს. ადგა ჟიურის თავმჯდომარე, სან-ფრანცისკოს ფესტივალის დირექტორი სკლარენი და თქვა: ჩემს მოვალეობად მიმაჩნია, ეს ფილმი მსოფლიომ ნახოსო. არასოდეს ვყოფილვარ ფესტივალებზე გაგიჟებული, მაგრამ ახლა ნამდვილად მინდა ეს ფილმი ყველგან ნახონ, ბევრი ტკივილია ჩადებული შიგ, რაც ამ 12 წელიწადში გამოვიარეთ... ნახონ, რა გაძლება შეგვიძლია...

**— ვითომ ბევრი შეგვიძლია? — არა მგონია... ამ წლების ტვირთი ვერც თქვენ გადაიტანეთ იოლად...**

— ჰო, ოპერაცია გავიკეთე. გულში ორი არტერია დაყრუებული იყო. მესამე ოცი პროცენტით მუშაობდა. აქაურ ექიმებს ვეხვეწებოდი, თქვენ გამიკეთეთ-მეთქი. ვერ გაბედეს. ამ გაჭირვებას თურქი ქართველები შემოესწრნენ და წავედი თურქეთში... მაგრამ კი არ მეშინოდა, მივფრინავდი სიკვდილთან შესახვედრად... გეუბნები, ოპერაციის შემდეგ ისეთი რამე ვნახე, უბედნიერესი კაცი ვარ...

**— რა ნახეთ ამისთანა?**

— სასწაული. არასოდეს ვიფიქრებდი, ამისთანა რამ თუ არსებობდა. იცი, რა განვიცადე? — უწონადობა — აი, ყველაფრის შეგრძნება რომ შეგიძლია, ყველაფერი შენთან არის და არც არის... შენია, მაგრამ უწონოა და ვერ იმორჩილებ. ეს იყო გრილი, უსუსხო სიცხე გამჭვირვალე სივრცეში... აი, მაღლა მთაში რომ არის, ისეთი სიმყუდროვეა, ჰაერის შრიალი გესმის და ყველაფერი სავსეა იმ შრიალით... შეუძლებელია ეს განიცადოს კაცმა და თუ ის სასტიკია, ლმობიერი არ გახდეს, თუ ქველმოქმედია, უფრო მეტად არ გაკეთილშობილდეს... ის ხალხი, ვინც მაშინ ჩემთან იყო, ის გახდა ჩემთვის, რაც სინათლე და ჰაერია ადამიანისთვის... და არა მარტო ის ხალხი, საერთოდ სხვანაირად დავუწყე ცქერა ადამიანს... რას გეტყვი იცი? — აღმოვაჩინე, რომ იმდენად ყველაფერზე მაღლა დგას ადამიანი, რომ ყოველივე რასაც აკეთებს, პრიმიტიული და მარტივია იმ სიმაღლესთან შედარებით... ხოლო თუ ცუდს აკეთებს, იმდენად არ შეეფერება მას და ამახინჯებს, კი არ მძულს, მეცოდება, რადგან არ იცის, რომ უმსგავსობით შეპყრობილ კაცთან შედარებით თვით საშინელი გველიც ულამაზესია და სანდო... აი, ასეთ რაღაცეებს მივხვდი... იცი, ღვთისმშობლის ხატი მქონდა თურქეთში, საწოლთან დადებული და არავის ხმა არ ამოუღია, ხომ ხვდები რატომაც?..

**— ისე ემოციურად ჰყვებით ყველაფერს, გული შემეკუმშა...**

— არ შეგეკუმშა, გაგინედლდა.. მე არ მინდა ვინმე დავამძიმო... მინდა ყველა კარგად ვიყოთ და ჩვენს ქვეყანას საშველი დაადგეს... სირცხვილი არ არის? ამისთანა სამშობლო გვაქვს და ასეთ შავ დღეში ჩავაგდეთ... ხან ერთი მხრიდან ვუკიდებთ ცეცხლს და ხან მეორიდან... ადრე მიკვირდა, პავლე ინგოროყვაზე რომ ამბობდნენ, რაც არ უნდა შეეკითხო, „მოუარეთ საქართველოს“ გაიძახისო... ახლა მისი მესმის... თუ არ გაგიგიათ მისი და შევარდნაძის ამბავი, მოგიყვები: იუბილე ჰქონია და შევარდნაძე უნდა მისულიყო მისალოცად ოჯახში, ჰკითხეს, ცეკას მდივანს რას სთხოვოო.... „მოუარეთ საქართველოსო“ — მისცა პასუხი და „ვეფხისტყაოსანში“ ჩარგო თავი. შეეხვეწა თურმე მისი სიძე, გუგული, ბინა სთხოვეო, — ძალიან ვიწროდ ცხოვრობდნენ ერთ ბინაში მგონი, ათი სული იყვნენ, — კაიო, დაუქნია თურმე პავლემ თავი. არ ენდო გუგული: — ახლა გავალ, დავაკაკუნებ და შემოვალ, ვითომ შევარდნაძე ვარ და ბინა მთხოვეო... გავიდა, შემოვიდა და ჰკითხა პავლეს, ხომ არაფერი გნებავსო... იმან ასწია თავი და უპასუხა: გუგულის არ უთხრათ, მარა მოუარეთ საქართველოსო... ასეა ახლა ჩემი საქმე, დავიწყე ძახილი. მოუარეთ საქართველოს-მეთქი... თუ გვინდა, რომ ამ მიწაზე ისევ ქართველები დაიბადონ, თქვენ, გაზეთებმაც ასე უნდა იძახოთ. წერეთ სამშობლოზე, ვითომ სხვა უკეთესზე რაზე დაწერთ?.. ისე წყლის ნაყვაა თქვენი ლაპარაკი... ვინც ამაზე არ ფიქრობს, იმ ჟურნალ-გაზეთების მთელი კორიანტელი ჩვენი წინაპრის ერთ სიჩუმედაც არ ღირს.

*ეთერ ერაძე*


**გჭირდებათ დახმარება მიწასა და უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სარგებლობის უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისას?**

**გსურთ მიწისა და უძრავი ქონების შეძენის წინ, წინასწარ გადაამოწმოთ ინფორმაცია და დარწმუნდეთ მის სიზუსტეში?**

**გესაჭიროებათ დახმარება მიწის ნაკვეთების შეძენისას, ან შეგექმნათ პრობლემა მიწის ნაკვეთის, ან ნებისმიერი უძრავი ქონების საკუთრებისა და ფლობასთან დაკავშირებით?**

**მოგვმართეთ - მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციას!**

**ასოციაცია გთავაზობთ შემდეგი სახის მომსახურებებს:**
- ✔ მედიაცია, ანუ მოდავე მხარეებთან მოლაპარაკება,
- ✔ იპოთეკა,
- ✔ მემკვიდრეობა,
- ✔ ყიდვა-გაყიდვა,
- ✔ კერძო არბიტრაჟი,
- ✔ სასამართლოში მხარის ინტერესების დაცვა.
- ✔ უფასო იურიდიული კონსულტაცია,

**ჩვენი დახმარებით დაზოგავთ დროს და ენერგიას, თქვენი უფლება კი გარანტირებულად იქნება დაცული.**

**დაგვიკავშირდით, თქვენ სამსახურშია ასოციაციის ცენტრალური და რეგიონალური ოფისები: თბილისი, გაგარინის I შესახვევი, №8,**
**☎ 877 458 651; 899 982 809, 912 159; 931 969; ქუთაისი, 899 587 094; გორი 893 336 683; ახალციხე 899 572 669, გურჯაანი 899 271 912.**

**მკითხველს ისევ მოენატრა ნამდვილ პოეზიასთან შეხვედრა. გვწერენ და გვთხოვენ, წიგნებზე ხელი არ მიგვიწვდება, გაზეთებში კიდევ პოლიტიკის და შოუბიზნესის გარდა არაფერზე წერენ... ლექსებით გაგვითბეთ სული...**

**ჩვენც კიდევ ერთხელ გადავფურცლეთ საყვარელი ლექსები, გამორჩეული სტრიქონები, ზეპირად ნასწავლი და მერე მივიწყებული სტროფები. რას ვიზამთ, დროა ისეთი, ლექსისთვის ვეღარ ვიცლით...**

**მაგრამ როცა ნიკო სამადაშვილის „ბუერა სევდამ" კიდევ ერთხელ შეგვახსენა თავი, როცა მედეა კახიძის „მე როცა ვუყვარვარ ვისმე" ხმამაღლა წავიკითხეთ, როცა გივი გეგეჭკორის „უდარდელ ალუბალს" შევავლეთ თვალი... როცა ანზორ სალუქვაძის იასამნების სურნელს მივაყოლეთ გულისცემა... კიდევ ერთხელ მივხვდით, რომ მართლაც დღესასწაულია პოეზიის სამყაროში ჩაძირვა...**

**დღეს გვგონია, რომ ყველაზე ნაკლებ გვჭირდება მხატვრული სიტყვა, არადა სწორედ ლექსის მადლი, ძალა და სითბო გვაკლია, ის სითბო, რომელიც სურვილს გაგვიჩენს, ვიმღეროთ მზის საგალობელი, გვიყვარდეს და ვუყვარდეთ ვისმე...**

## გაბრიელ ჯაბუშანური

### ხატობა მთაზე

რამდენი ლუდია. რამდენი მთებია. რამდენი მზე არი.
რამდენი ვაჟია. რამდენი ქალია. რამდენი ცთუნება.
გული და გუნება შეიქნა მეცხრე ცის ზიარი,
ვლოცულობთ, ვლხინობთ და გულღიად შევხარით ბუნებას.
ლუდისებრ ელვარებს თვალებიც ასულთა, ცბიერი,
ჩურჩული სიოსებრ, სიცილი-წყაროთა წკრიალი.
აგერა, მიღიმის ქალშავა-ვარსკვლავი ციერი,
თავის თასს მთავაზობს მაცდური ცქრიალით...
ვსაუბრობთ. ირხევა დალალი, გველისებრ მაცდური,
ლუდიან თასშიც ჩანს მზისფერი დალალი.
„– ქალბნელო, ამ ჩემს გულს იქნება შენ დასცე დასტური:
სად არის მზექალი?"
„– მზექალი არ არის! არ არის! არ არის!.."
აღარსად ქალები... აღარსად ვაჟები... აღარც მზე...
დაიქცა სასმელი... დაბნელდა გარემო და მთები...
დაეშვა ლაღობა მიმწუხრის მწუხარე დაღმართზე;
ავახმე, გაბრიელ, ღამდების... ღამდების... ღამდების...

### მზეწვია

იქ მთაწმინდაზე ერთი მზეწვია
ყოველ გაზაფხულს ვაჟას ჩასძახის;–
ადექი, ლუკა, მწვანე გვეწვია,
მთაშიც ხასხასებს ნაზად ბალახი!

არაგვმა უკვე ლახტი აიღო,
თეთრ მთასაც თოვლი ახუნდებაო,
და დაგიბარეს: – კაცო, რა იყო
ამდენ ხანს ბარში დაყუდებაო.

## ჯანსულ ჩარკვიანი

### ბეთანია

***ბეთანია – სახლი სათნოებისა და სახლი მორჩილებისა და სახლი დიდებისა.***

***საბა***

შენ არ გინახავს ჩემი ხელები,
ჩემი თვალები და ჩემი მხრები –
გადარეული თეთრი ცხენებით
და შორეული ზარების ხმებით.
შენ არ გინახავს ჩემი ნისლები,
მთიდან ქორების ფრთით მოტანილი,
თეთრი ქარებით როგორ ივსება
დღეები ლურჯი ქრისტეს ტანივით.
შენ არ გინახავს ფრესკის სიშორე,
ფერი ფასკუნჯის, ფერი ქედნების,
მირონის სურნელს როგორ იშრობენ
ჩემი სხეულის ძველი კედლები.
შენ არ გინახავს, მოდი და მნახე,
რომ ეს ტაძარი ჩემი ტანია!..
სათნოებისა ვარ შენი სახლი,
მორჩილებისა ვარ შენი სახლი,
შენი სხეულის ვარ ბეთანია!..

### შენი მერანის გზებით...

არც უფიქრია ჩემს სულს
დაჭკნობა,
შენგან გადმოსულს, არც უფიქრია
და ჩემი ფრთები ყოველ მაჭრობას
შენი მერანის ფრთებით მიჰქრიან.
შენს არემარეს, შენს მწუხრს მაისის,
რა უხდებოდა შენი წილობა,
შენ თუ ამიხსნი, შენ თუ ამიხსნი
საქართველოს ბედს და უძილობას.
გულთამხილავი, ჟამთა მოწამე,
ყრმათ საყვარელი და სანატრელი...
ავწიე ჯამი და გამოვცალე,
მე ვადღეგრძელე ყველა ქართველი.
„ჰოი, ნაპირნო", „ჰოი, ნაპირნო",
ამ შეძახილით თუ განვიმსჭვალე,
შენგან გაქცევას მე არ ვაპირებ,
ვენაცვალე შენს ატეხილ ჭალებს.
მეც ცხენს ვაძოვებ და თვალს
ვაპურებ
და ვერ ვაშორებ ანანურს მზერას,
შენი ვეება ჩრდილი დამყურებს
და საქართველოს ბედისა მჯერა.

## იზა ორჯონიკიძე

### ნუ...

ნუ დამპირდები,
ნუ,
ნურაფერს ნუ დამპირდები.
ჰგავს საჩხაკუნოს,
აკვნებზე შებმულს,
ვაშლის კვირტები.
ეს გაზაფხულიც,
გაპუწული
ყვითელქორჩორა,
დღეს ჩემი სულის ასაწეწად
მიწამ მოჭორა.
მიწამ მოჭორა
თეთრი მტრედი,
ზეცის ნაღები, დღემოკლე ჩრდილიც,
ეფარვიან რომელს გლახები:
გულისა ცემით
და შარაგზით გაბეზრებული
მეოცნებენი
მელექსენი –
გიჟთა კრებული!
ყველა, –
ვისაც კი
ქარიანი ცეცხლი ეკიდა.
მე ვწყევლი,
ვწყევლი,
ვინც სიყვარულს
მიმცა შეგირდად...
გესმის გრიალი?
გული გასკდა,
განა კვირტები!
ნუ დამპირდები,
ნუ,
გაზაფხულს ნუ დამპირდები...

### POSTSKRIPTUM

მე გამახსენდა
დღეს კარნავალი:
შენი ნიღაბი –
ჩემი ქონება...
აი, კვლავ მიმზერს
თვალი მრავალი,
ისე ფრთხილად რომ –
არც გეგონება...
ფარდის გრძელ ფოჩებს
დავწნავ და... გავშლი,
შეჰკივლებს ერთსაც
დაძრული გემი.
რად წიწკნის
ბოლოს ყვითელი თავშლის,
შენი ცოლი და
რაყიფი ჩემი?!

## ლია სტურუა

### ***

მერე რა, რომ ყველა კარია ღია,
მე გაქცევა მინდა, შენ არ გამიშვა;
გარეთ ცხელი დღეა,
მინატრე და შინდისფერ თმას
გავიშლი...
დედა ჯავრობს, ჯავრი რაა მერე.
იჯავრებს და დაყუჩდება მერე,
დაღამდება, გათენდება მერე,
გახუნდება ჩემი თმების ფერი –
უაზრო და შენთვის გამოგონილი...
მხევალივით მე ვიცეკვებ შენთვის
და ჩხრიალით ამევსება მკერდი
და თვალები გამიხდება სველი
და მძივები დამებნევა შენსას...
და თუ წავალ, მომიტევე მე,
ვერ ვიგუე ალბათ მძიმე ჭერი
და სიჭარბე შენი ნაცრისფერის...
იჯავრებ და დაყუჩდები მერე...
მე ხომ ყველა ქალში ვმეორდები
და შენს სახელს უსაშველოდ
თოვლში
ავაფარე შინდისფერი თმები –
ჩემი დიდი მარტოობის დროშა...

### ***

თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი
წლის შემდეგ,
ის არ იქნება მიწა ან წვიმა,
ის არ გადავა არც ერთ ქალში,
რომელიც მე მგავს,
და არც ერთ კაცში,
რომელიც უყვართ ბრმად და მწარედ
ჩემნაირ ქალებს.
ის არ გადავა არც ცხენებში ან
არწივებში,
რომელთა ხილვა
არ მასვენებდა მთელი სიცოცხლე...
თუ ჩემი სული დაბრუნდება ასი
წლის შემდეგ,
ის ჩასახლდება
აკანკალებულ და თბილ
კურდღელში,
რომელიც ყვირის, როგორც კაცი,
როდესაც კლავენ...

## ემზარ კვიტაიშვილი

### მიცნობ

არას მოგთხოვ, არც რას ვიტყვი,
რაც ვარ შენი, მიცნობ...
რა აღგითქვა ანდა რომელ
ხატზე დაგიფიცო.
ხატი თვით ხარ, რაა შენთან
მექა და მედინა;
ალალ იყოს, რაც მე შენზე
ცრემლი დამედინა.
მოკლულ გულზე რომ გადადის,
შენი არაგვია...
მაცოცხლებელ-მწამებელო,
საქართველო გქვია.

### ჟამთა დინებაში მოქცეული

რამდენს ასწრებს დღე, დღეზე
გადაკერებული,
საამოა ავდარი –
გადაკარებული.
ქალი უფრო გაგიჟებს
მიუკარებელი;
ვერ მიუდგეს ეშმაკი
და ვერც მარებელი.
ახლო იყავ მზესთან, ახლა
ხარ დაშორებული,
გაშრა სისხლი, გეშრიტება
მზერა ქორებული.
ურჩმა თვითონ აირჩიე
გზა სიზმარეული...
სამარეშიც უნდა ჩაგყვეს,
ჟინი მორეული.
მისდევს ფიქრი ქარის ქრიალს,
ტოტი ექანება...
გიყვარს მარტო დარჩენა და
გაკიდეგანება.



ბადრი ვადაჭკორიას ფოტოეტიუდი

## ნიკო სამადაშვილი

### ***

შენ ჩემში უსტვენ ვით საყდრის ჩიტი,
შენა ხარ ჩემი ნუგეშის დარი,
სულ კარგად მახსოვს შენ რომ გამიჩნდი,
გარეთ ძაღლივით ყმუოდა ქარი.
ვერ გიპატრონე მე ლაზღანდარამ,
შენ სხვა მხევალი უნდა გყოლოდა,
ზეცა სივრცეებს აზანზარებდა
და მზე ყვიროდა ქვეყნის ბოლოდან.
შენ გადარებდნენ ბინდების ჭრიჭინს,
თუმცა სულ მუდამ ტოტს გცემდა ქარი.
ავადმყოფობა ეგონათ, ბიჭო,
ლექსები ტანზე გამონაყარი.
ჩემი ძაგძაგი, თრთოლვა და სუსხი,
ტანის მერქანში თითქოს ძვლებსა ხრავს,
ღვინომორეულს, ოშხივარასხმულს,
ბინაში ბევრჯერ დამიკოცნიხარ.
იქამდე, სანამ დათეთქვილ ტუჩებს
არ გალხობიათ ბუერა სევდა,
შენ ძუძუს სწოვდი გაშლილ ალუჩებს
და ღვთისმშობელი აკვანს გირწევდა.
ლექსების ჯღაბნა წამებად გექცა,
სჯობდა ვენახის კვალი გებარა,
ვის რად უნდოდა ეს თვალთმაქცობა,
ნეტავი ქარში გადაგეყარა.
ქარები უფრო წაიკითხავდნენ,
ჩაბჟირდებოდნენ სადმე სიცილით;
ჩემი ცრემლებით ღამეს ხატავდი
და ბეთანიას მაისის დილით.
ვერ გაოკებდი, დაგდევდი კეტით,
ხან მელეოდა მუხლებში ძალა,
ზარივით გასკდა ამდენი რეკით,
ზედ რომ მამხია ეს თავის ქალა.
ვერ მოგიარე, რა გიყო, ძმაო,
ორივე შემკრთალ ბუჩქის ჩრდილს ვგავდით:
შენ კიდევ მაინც ფიქრში მძუნაობ
მე კი ბუწუწიც დამცვივდა დარდით.

## გივი გეგეჭკორი

### თასი

მე ვარ თასი... ორის ვარ თუ
სამის ვარ თუ რვა ათასის,
ეს ცა რახან დამანახვე,
მწყურია და წყალი მასვი.
ბნელში ვიჯექ, უსმელი ვარ,
მომიხადო უნდა ქვევრი,
არ ჩამქრალა, ისევ ბოლავს
ქართლში ცეცხლი საკურთხევლის...
ცაზე მიდის ღრუბლის ფთილა,
უზრუნველი მღერის ჩიტი.
იმზირება სერებიდან
გადმომდგარი სერაფიტი...
გარდასულა ბაბილონი,
გარდასულა ნინევია,
ეს რამდენი დრო გასულა,
ეს რამდენი მძინებია...

### ***

ვის რა ვუთხრა?
ვის შევჩივლო?
ანდა ვის რა დავუბარო?
შენა ხარ და შენც იცინი
უდარდელად, ალუბალო!..
დანგრეულა ეკლესია,
გარეშემო სახლობს უცხო,
აქ დამპყრობელს ჟინი თურმე
დრომ აქამდე ვერ დაუცხრო.
თოფის სროლით აფრთხობს მთავარ
ანგელოსს და ანგელოსებს,
ქვას და კრამიტს აცლის საყდარს
და იშენებს იმით ბოსელს.
ვის რა ვუთხრა?
ვის შევჩივლო?
ანდა ვის რა დავუბარო?
მე ცრემლები როცა მახრჩობს,
შენ იცინი, ალუბალო!..

## მედეა კახიძე

### მე როცა ვუყვარვარ ვისმე

მე, როცა ვაღმერთებ ვისმე,
ვარ ბედნიერი და ხალასი,
მიწიდან უენო ბალახის
ხმამაღალ ლაპარაკს ვისმენ,
შევცინი ცასა და ქვეყანას,
მე როცა ვაღმერთებ ვისმე.
მე, როცა ვუყვარვარ ვისმე,
ვმაღლდები, ვით ცაში სამრეკლო,
მსურს ცისკრის
ზარებად დამრეკონ,
ვიცინი ისევ და ისევ.
ვუღიმი გამვლელს და
გამომვლელს,
მე, როცა ვუყვარვარ ვისმე.
მე თავი მგონია მაშინ
ყველა ტკივილების მომრევი,
ვარ დიდი სიმღერის მორევი,
ვარ ენატიკტიკა ბავშვი
და ყველა ლამაზი სიმღერა
მე ჩემი მგონია მაშინ.
მე მინდა სიცოცხლის ბოლომდი
ვენდო ოცნებას და მოლოდინს.
დიდი სიმღერების ხალისი
გულს მენთოს ისევ და ისევ,
ვიმღერო მზის საგალობელი,
მიყვარდეს, ვუყვარდე ვისმე!

### ვედრება

შენ შეგთხოვ ღმერთო!
მაღალ ზენაარს,
არსთა გამრიგე რადგან შენა ხარ!
გვაშორე იმ წამს – ხახმატი, ხირსა,
სამშობლო მიწა ვიგულოთ სხვისად.
ნუ გააყოლებ იმედს ზენაქარს,
დედაბუდიან მტერს ნუ შეგვაკლავ!
ათასწლოვანი ცრემლი მოგვწმინდე,
ნუ ჩაგვიყენებ უცხოს მოწილედ,
თორემ ჩვენ ვგავართ იმ თოთო
კრაველს,
სიტურფის გამო რომელსაც კლავენ.
გვიბოძე კვლავაც ნესტანი, ცოტნე,
ნუ ჩამოღველფავ იმედებს მზიანს;
უფალო ღმერთო,
მუხლმოყრით შეგთხოვ,
ნურასდროს მოგვცემ
სამშობლოს ზიარს!

## ანზორ სალუქვაძე

### იასამანი

იასამანი სულია შენი,
შენ – ჩემი სურვილი...
გაზაფხული ხარ შენ და
ჩემი წყურვილი.
იასამანი ხარ შენ,
სულ მთლიანად
იასამანი ხარ,
მკლავს შენი სურნელი!
ან ჩემი სამარე ხარ,
ან ჩემი სავანე ხარ,
გაზაფხული ხარ შენ და
ჩემი წყურვილი...
შენ სხვა ხარ,
შენდარი ვინ არი?
შენ ზღვა ხარ, –
შენა ხარ მდინარე!
ცისფერი მდინარე,
იასმნის მდინარე...
იასამანი სულია ჩემი.
შენ ხარ სული ჩემი –
იასამანი!

### უხვაან[1]

სივრცე ისევ ბნელი არი,
რულს იჭვები აკრთობს.
დალი დადეშქელიანი
ელოდება სატრფოს.
ვიღაც დადის იდუმალი,
ფრთხილად სინჯავს კარებს,
ერთი თეთრი სასთუმალი,
ერთიც თეთრი მთვარე.
ნისლი ქვეყნის დაბლა სცურავს,
თვალი გაცვდა ცქერით –
გზაზე არ ჩანს აფხაზურა,
თამირ თარბას ცხენი!

1 უხვაან – ***მიუვალი, ფრიალო კლდეა, სადაც დალები ცხოვრობენ.***

CMYK

# „არ მინდა, ყვავილით ავის მაუწყებელი ვიყო...“



ბოლო ხანს საინფორმაციო პროგრამების წამყვანთა ორი კატეგორია გამოიკვეთა — აგრესიულები და მშვიდები. ამ უკანასკნელთ მიაკუთვნებენ ყოფილ პირველარხელ **დიანა** (მოფერებით დიკო) **ჯოჯუასაც**, რომელიც ამჟამად „ტელეიმედის“ საინფორმაციოს წამყვანია. მიუხედავად მშვიდი ტონისა დიანა თურმე საოცარი ენერგიულობითა და აქტიურობით გამოირჩევა, სწორედ ამიტომ ასწრებს ყველაფერს: კიდეც მუშაობს, კიდეც ერთობა და გამოძინებასაც მშვენივრად ახერხებს...

— **ამბობენ, ჟურნალისტი მეომარივით უნდა იყოს, უმძიმეს პირობებშიც უნდა შეძლოს მუშაობაო. შენ როგორ ფიქრობ, საველე პირობებში გაართმევდი თავს საქმეს?**

— თუ შენი საქმე გიყვარს და პროფესიონალიზმს წინა პლანზე აყენებ, იქ კომფორტზე და რბილი სავარძლებით დამშვენებულ კაბინეტზე კი არა, საქმეზე ფიქრობ. ჩვენ მართლა ჯარისკაცები ვართ. შეიძლება ერთ სკამზე იჯდე, წერდე, უსმენდე და გეძინოს კიდეც. მთავარია, მიზანს მიაღწიო... ისე კი კომფორტი ყოველთვის სასიამოვნოა...

— **ბოლო დროს ყოფილი ტელეწამყვანები: ზაალ უდუმაშვილი, გიორგი ახვლედიანი და სხვები, უკვე ტელეჟურნალისტების ამპლუაშიც გამოჩნდნენ. შენც ხომ არ აპირებ იმავეს?**

— მე პროფესიით ჟურნალისტი ვარ და ტელევიზიაში მოღვაწეობაც ასე დავიწყე. ვფიქრობ, საინფორმაციო გადაცემების ტელეწამყვანს გავლილი უნდა ჰქონდეს ტელეჟურნალისტის სკოლა, რადგან უამრავი ნიუანსია, რასაც თეატრალური უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ან სხვა პროფესიის მქონე წამყვანი ვერ ჩასწვდება. ისინი კარგად შეძლებენ რომელიმე შოუს ან სხვა პროგრამის წაყვანას. საინფორმაციოს წამყვანი კი, ვფიქრობ, აუცილებლად ჟურნალისტი უნდა იყოს. თუ დღეს ჟურნალისტის ამპლუაში არ ვარ, ეს იმიტომ, რომ ძალიან დაძაბული სამუშაო გრაფიკი მაქვს და პრაქტიკულად წარმოუდგენელია გადაღებებზეც ვიარო.

— **დღეს ტელეწამყვანებს აგრესიულებად და მშვიდებად ჰყოფენ, შენ რომელს მიაკუთვნებ საკუთარ თავს?**

— მშვიდს, ნეიტრალურს. ჩემი აზრით, არ შეიძლება ჟურნალისტმა თავისი პოზიცია წარმოაჩინოს, ან იყოს ტენდენციური. საზოგადოება, ხალხი ითხოვს ინფორმაციას და არა ჩვენს შეფასებას. მე ვახდენ ფაქტის კონსტატაციას და მსმენელი თავად შეაფასებს ამ ფაქტს. მეც, როგორც მაყურებელს, სულ არ მაინტერესებს რომელიმე საინფორმაციო გადაცემის წამყვანის პოზიცია. კიდევ ერთ რამეს ვისურვებდი — გამოსვლას ყოველთვის ვიწყებდეთ სასიხარულო, მშვიდობიანი ინფორმაციით. არ მინდა, ყვავილით ავის მაუწყებელი ვიყო მაყურებლისთვის.

— **არჩევნებში მიიღე მონაწილეობა?**

— სამწუხაროდ, მეც დაუზუსტებელი სიების ერთ-ერთი მსხვერპლი ვარ. იმდენი დრო კი არ მქონდა, რომ მებრძოლა კონსტიტუციური უფლების აღსადგენად. მერე მთელი დღე ეთერში ვიყავი და მაყურებელთან ერთად ვადევნებდი თვალს არჩევნების მიმდინარეობას. შეძლებისდაგვარად ვგულშემატკივრობდი ფავორიტ პოლიტიკურ სუბიექტს. ძალიან დაძაბული ვიყავი იმ დღეს...

— **მოდი, ყოფით საკითხებს „დავუბრუნდეთ“. გავიგე, რომ ასეთი დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, თურმე საყვარელი ბილიარდისთვის ველარ იცლი.**

— არასწორი ინფორმაციაა. მიუხედავად იმისა, რომ მართლა წარმოუდგენლად დაკავებული ვარ, ბილიარდისთვის მაინც ვიცლი და მეგობრებთან ერთად სიამოვნებით ვაქახუნებ.

— **რომანტიკული შეხვედრებისთვის გრჩება დრო?**

— აბა, მე ხომ სიყვარულით ვცხოვრობ. ყოველთვის მრჩება დრო საყვარელი ადამიანებისათვის. ეკრანიდანაც რომ გიყურებთ, მაშინაც მიყვარხართ, ვერ ამჩნევთ, როგორ მიბრწყინავს თვალები თქვენთან შეხვედრისას? მინდა სულ კარგი ამბები გახაროთ.

— **უშრეტი სიმხნევისთვის რაიმე განსაკუთრებული რეცეპტი გაქვს?**

— არაფერი. უბრალოდ ჩემს თავს ვეუბნები — გაიღიმე დიკო მაშინაც კი, როცა მძიმე წუთები დგას და ყველა აიძულე, მათაც გაიღიმონ. სევდა მეც მეპარება ხოლმე, მაგრამ კარს მაგრად ვურაზავ. ისე, ქანცის გაწყვეტამდე დაღლილიც რომ ვიყო, ერთი ფინჯანი ყავაც მყოფნის სიმხნევისთვის, თითქოს მეორე სუნთქვაც მეხსნება ამ დროს.

— **დიკო გათხოვებას აპირებსო.**

— არა, არა, ჯერჯერობით მსგავსი არაფერი დამიგეგმავს. ისე კი ამ ბოლო დროს ერთი-ორჯერ უკვე გამათხოვეს ჭორიკანებმა და თანაც ისე „ოსტატურად“, რომ უახლოესი მეგობრებიც კი მირეკავდნენ მოსალოცად. ისე, მადლობა ჭორიკანებს იმისთვის, რომ ბოროტად არ ჭორაობენ.

— **დაბოლოს, რას ეტყვი შენს მაყურებელს?**

— როგორც საინფორმაციოს წამყვანი, მართლა ვხედავ ქაოსის საშიშროებას და მინდა ყველას მოვუწოდო, რომ საღად ვიაზროვნოთ და მოვერიდოთ ჩვენთვის და ჩვენი შვილებისთვის სახიფათო რაღაცებს. ვიღაცების ამბიციებს არ უნდა გადაჰყვეს საქართველო და ჩვენი მომავალი. მინდა მშვიდობა იყოს.

**ეკა ლომიძე**




## 16 ნოემბერი — კვირა
## 15 ნოემბერი — შაბათი
## 14 ნოემბერი — პარასკევი
## 13 ნოემბერი — ხუთშაბათი
## 12 ნოემბერი — ოთხშაბათი
## 11 ნოემბერი — სამშაბათი
## 10 ნოემბერი — ორშაბათი



# „მთავარი ბანდიტი“ — დათო დარჩია



მსახიობის ცხოვრება ასეთია: დღეს ჰამლეტს თამაშობს, ხვალ- ბანდიტს. გუშინ სიკეთეს განასახიერებდა, დღეს ბოროტების თამაშით გვაოგნებს და ჩვენც, ორივე შემთხვევაში, ერთნაირად აღფრთოვანებულნი ვუკრავთ ტაშს. ის კი ტოვებს სცენას და კულისებში გასვლისთანავე უბრუნდება თავის ცხოვრებას...

**დათო დარჩიას** მაყურებელი სულ მალე ბანდიტის როლში იხილავს.

— ახალ ტელესერიალში „თენდება“, მთავარ ბანდიტს ვთამაშობ.

— **„პრაქტიკას“ სად გადიოდით?**

— უამრავი რამ შევითვისე დღევანდელი ცხოვრებიდან...

— **თეატრში მალე პრემიერა გექნებათ...**

— რობერტ სტურუა გია ყანჩელის მუსიკალურ თემაზე დგამს სპექტაკლს „სტიქსი“. პრემიერა ალბათ ათ-თორმეტ დღეში იქნება. ეს არის ჩემი უახლოესი სიახლეები.

— **გავიგე, რუსებს შემოუთავაზებიათ თქვენთვის ახალი როლი,**

— „მოსფილმიდან“ იყვნენ ჩამოსულები. სინჯები გადამიღეს. მხატვრულ ფილმს იღებენ. დამირეკეს ახლახან და მითხრეს — წონაში უნდა დაიკლო ცოტაო. ეს არ არის ძნელი საქმე. გამხდარს კიდევ ერთხელ მომიწევს სინჯების გადაღება. ფილმში ბევრი სხვადასხვა ეროვნების მსახიობი მიიღებს მონაწილეობას. ინტერნაციონალური ჯგუფი იკვრება, ოპერატორი იტალიელი ჰყავთ.

— **ამას წინათ ერთმა მაყურებელმა მითხრა, მსახიობი ტაკიმასხარაა — იგი ოდითგანვე ხალხს ართობს და ამიტომაც ყველაზე მეტად ეს სახელი მიესადაგებაო. თქვენი, როგორც მსახიობის პოზიცია როგორია ამ შეფასების მიმართ?**

— ვფიქრობ, ვინც ეგ თქვა, ალოგიკურად აზროვნებს, რადგან მსახიობი არა მარტო ართობს, არამედ თამაშობს დრამასაც და ტკივილით, სევდით ავსებს მაყურებელს. მაგის მთქმელს არ უყვარს ხელოვნება. ტაკიმასხარა შეიძლება მსახიობიც იყოს, ექიმიც, იურისტიც და პოლიტიკოსიც. მსახიობობა კი სპეციალობაა, პროფესიაა, რომელიც ჩვენ ავირჩიეთ. ისე კი თითოეული ადამიანი თავისთავად მსახიობია და თამაშობს იმ სცენაზე, რომელსაც ცხოვრების სცენა ჰქვია. ისიც მიფიქრია, როცა ამ პროფესიას ირჩევს კაცი, მთლად ნორმალური ვერ უნდა იყოს. ვთვლი, რომ მსახიობს თავისებურად გარეკილი აქვს, რადგან გამუდმებით სხვადასხვა პერსონაჟის სულში უწევს ძრომა და თამაში. ეს თავისებური სიგიჟეა, რომელიც ხალხს მოსწონს. კაი პროფესიაა მსახიობობა. იცით რატომ? მსახიობი იღვწის იმისთვის, რომ ბოლომდე დაიხარჯოს და ხალხსაც სიამოვნება მიანიჭოს.

— **პოეზიას სულის მუსიკას უწოდებენ. რა არის თეატრი და თუ ჰგავს იგი ჩვენი ცხოვრების მიკრომოდელს, სადაც ყველაზე უკეთ ჩანს და იგრძნობა სინამდვილე?**

— გეთანხმებით, თეატრი მართლაც ჩვენი ცხოვრების არსს გვაჩვენებს სცენაზე. არა მხოლოდ პოეზია, თეატრიც სულის მუსიკაა. უბრალოდ რომ ვთქვათ, პოეზიაც, მუსიკაც, თეატრიც და ხელოვნების სხვა დარგებიც მუზისაგან „შეწუხებული“ კაცის ჭიაა, რომელიც საშუალებას არ გაძლევს, რომ არ წერო, არ იმღერო, არ დაუკრა, არ ითამაშო.

— **როგორ ფიქრობთ, ცხოვრება უფრო ხშირად ჰგავს რომანს თუ ჩვენი რომანები ცხოვრებას?**

— რატომ? რაც ხდება თეატრში, განა იგივე არ ხდება ცხოვრებაში, ან პირიქით? რაც რომანში წაგიკითხავთ, განა ცხოვრებაში არ გინახავთ ან არ გსმენიათ? ჩვენი ცხოვრება რომანია და რომანებიც ჩვენი ცხოვრების მიხედვით იწერება. ყველა შემთხვევაში ადამიანია მთავარი, უბრალოდ სიტუაციებს ჰქვია სხვადასხვა სახელები. როგორც თეატრი, ისე რომანიც შელამაზებული სინამდვილეა. ცხოვრებაში აღარა ხარ ჰამლეტი, თუმცა, ჰამლეტივით კი გიწევს ზოგჯერ ყოფნა-არყოფნის ფილოსოფიაში ჩაძირვა.

— **ქალი და მამაკაცი ორი აკორდია, რომელთა გარეშე სამყაროს ჰარმონია წარმოუდგენელიაო, ვითომ? თუ ასეა, მაშინ დისჰარმონია რაღად ჩნდება ამ ორი არსების ცხოვრებაში?**

— დისჰარმონია? განა თქვენ ქალისა და კაცის წაკინკლავებას, წვრილმან ჩხუბს, დისჰარმონიას ეძახით? 60-70 წლის ოჯახები მინახავს, სადაც ჰარმონია და სიყვარული სუფევს მუდმივად. თუმცა, ცხოვრებისეული უსიამოვნო წვრილმანები მათ შორისაც ყოფილა. ქალი და კაცი ინი და იანია, რომელიც მართლა ჰარმონიას ქმნის სამყაროში.

— **რას ნიშნავს, გიყვარდეს?**

— პირველ რიგში იმას, რომ ღმერთის გწამდეს. ეს არის აუცილებელი. მაშინ შეგეძლება სიყვარულიც.

— **ამ ქვეყანაზე ყველაზე საშიშ იარაღად რას თვლით?**

— ტყუილი, ამპარტავნობა ცეცხლსასროლ იარაღზე საშიშია. მაგრამ ენაზე საშიში იარაღი არ არსებობს.

— **როცა ყველასთვის ნაცნობი გრძნობა, მოწყენა გეწვევათ ხოლმე, რით ებრძვით მას?**

— ჩემი ჰობით, მუსიკით ან ბავშვებთან ურთიერთობით. ორი შვილი მყავს. მათთან თამაში უსაზღვროდ მსიამოვნებს. ამ დროს მოწყენილობაც ვითომ გადამეყრება ხოლმე, მაგრამ მაინც მღრღნის და მას ყველაფრის მკურნალი დრო ერევა მხოლოდ.

— **გიყვართ ქუჩა, ხალხმრავალი ადგილები, სადაც გცნობენ, გიღიმიან, გეპრანჭებიან კიდეც, თუ გღლით ასეთი რამ?**

— ხალხმრავალი ადგილები არ მიყვარს, ქუჩა სხვაა — მზით სავსე, ხალისიანი და ცოტა ხალხით. ხალხმრავალი ადგილები ფართები, ტუსოვკები და ა.შ. ტინეიჯერობის დროს უფრო მხიბლავდა, ახლა ნაკლებად. მირჩევნია ვიწრო სამეგობროში ვიყო. ეს ძალიან კარგად მოქმედებს ჩემზე, არც მიტინგები მომწონს.

— **ტაში რას ნიშნავს თქვენთვის?**

— ბევრ რამეს. ადამიანები ეგოისტები ვართ და გვსიამოვნებს პატივი. ტაშიც პატივია. თუ ეს არ არის, მაშინ აღარ უნდა აკეთო აღარაფერი. ტაშით ფასს ადებენ შენს ნაღვაწს და თუ ეს არ შეგიძლია მიიღო, თუ შენ ვერ გრძნობ რომ ირგვლივ ხალხს ახარებ, ე.ი. საქმეში ხელი მოგეცარა და უნდა შეჩერდე, სხვაგან სცადო ბედი.

— **დაასრულეთ ფრაზა „წუთისოფელი ასეა...“**

— ანუ რა არის ცხოვრება? ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. რთულია ცხოვრება. ადამიანები ჩვენს თავში უნდა ვიხედებოდეთ მუდმივად და ვკითხულობდეთ, რის მაქნისი ვართ. როგორც ბარათაშვილი იტყოდა: „არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნვოს“. ალბათ ამგვარი ტვირთით უფრო კაცურად წავალთ ამ ქვეყნიდან...

**ეკა ლომიძე**

# მამულ-დედული

## ღვინო, კახურო!..



ღვინო ოდითგან იყო და არის უკეთილშობილესი სასმელი. ამიტომაც წარმოუდგენელია კაცმა ყურძნის წვენს ათასგვარი საშინელება გაურიოს და მერე ღვინო დაარქვას...

ნატურალური ღვინო შეიცავს: ნახშირწყლებს, ორგანულ მჟავებს, სპირტებს, ალდეჰიდებს, რთულ ეთერებს, ფენოლურ ნაერთებს, აზოტოვან, მინერალურ, კოლოიდურ და ღვინის ბუკეტის განმსაზღვრელ სხვადასხვა ნივთიერებას.

საქართველოში ღვინოს ამზადებენ კახური, იმერული და ევროპული მეთოდებით. ცნობილია აგრეთვე მესხეთის, შუა ქართლის და ქვემო ქართლის ტექნოლოგია, გურული მეთოდი და სხვა.

დიდი ხანია დაადგინეს მეცნიერებმა, რომ დღის განმავლობაში მცირე დოზით მიღებული წითელი ღვინო (არა უმეტეს 200-300 მლ-ისა), აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, გულის მუშაობას და სიცოცხლესაც ახანგრძლივებს...

ახლა, მოდით ჩვენს მარანში შევიხედოთ, საკუთარ კარმიდამოზე მოწეულ მოსავალს თუ ბაზარში ნაყიდ ყურძენს მივხედოთ, დავწუროთ და დავაღვინოთ...

მაშ ასე, ყურძენი ისე გადავარჩიოთ, დამპალი და დაზიანებული მარცვლები რომ არ შევაყოლოთ. დავწუროთ სპეციალური საჭყლეტით ან საწნახელში მამაპაპურად — ფეხით და მოვათავსოთ იმ ჭურჭელში (ხის კასრში, ქვევრში), რაშიც ვაპირებთ დადუღებას. დავაფაროთ სახურავი და დაველოდოთ ადუღებას. როგორც კი დუღილს დაიწყებს, ჭაჭა ზემოთ ამოიწევს, ისე ამოვურიოთ, რომ ჭაჭა წვენში ჩავაბრუნოთ. ეს ადვილია, თუ ხის ამოსარევს ბოლოში ჯვარედინად თითომტკავლიან ჩხირს გავუყრით. ამორევა აუცილებელია დილასაღამოს, მაგრამ რაც მეტჯერ ამოურევთ, მით უკეთესი.

დაწურვიდან მეცხრე-მეთერთმეტე დღეს მაჭარი დაშოშმინდება. უკანასკნელად დაურევენ და ჭაჭას ფსკერისკენ ჩააბრუნებენ. ამის შემდეგ კი ორ-სამ დღეში ღვინო უნდა გადაიღოთ. წითელი ღვინო, დადუღებისთანავე აუცილებლად უნდა მოაცილოთ ჭაჭას, რომ კლერტმა ფერი არ დაუკარგოს. თეთრი ღვინო, მაგალითად, რქაწითელი, შეგიძლიათ ერთ-ორ კვირას კიდევ დატოვოთ ჭაჭაზე. „ჭაჭაზე ღვინო კეთდება, მაგარიც არის და სათვალიოც". — ამბობენ კახელები.

წლის განმავლობაში ღვინოს ოთხ-ხუთჯერ მაინც სჭირდება გადაღება. პირველ გადაღებაზე ჭაჭას გამოვარიდებთ, შემდეგ ლექი უნდა მოსცილდეს. ღვინოს მეორედ ერთი თვის შემდეგ იღებენ, მესამე გადაღება აუცილებელია ადრე გაზაფხულზე, მეოთხე — ზაფხულში. ერთი სიტყვით, სანამ ლექი მთლიანად არ მოსცილდება, მანამდეა საჭირო გადაღება. „რაც ჩქარ-ჩქარა იღებენ, უკეთესია. ღვინო რომ იღლება, უფრო კარგი გამოდის" — ამასაც კახელები ამბობენ.

როცა კახური წესით დაყენებულ ღვინოს მიირთმევთ, არც იქაური სადღეგრძელო დაივიწყოთ: „მიწის ბარაქას, ცის ნამს, მშრომელი კაცის მარჯვენას და ხარის ქედს გაუმარჯოს!"

## ხოხობი — ფაუნის მშვენება

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ, კუს ტბის მიდამოებში ბუჩქნარიდან ფაუნის ულამაზესი წარმომადგენელი, ხოხობი ამოფრთხიალდებოდა თურმე და ბავშვები მის ბუდეებში 18-20 კვერცხსაც ითვლიდნენ. ერთი პერიოდი ისე მომრავლებულა თბილისის შემოგარენში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ელოდნენ ხოხბის ამოფრენასო. საუბედუროდ, ახლა ერთი ცალიც აღარ არის — გაგარეულებულმა, მაწანწალა ძაღლებმა გაანადგურეს კარგა ხანია.

ივრისა და ალაზნის ჭალებში, ხოხობი ჯერჯერობით ისევ ბუდობს.

ცნობილია ხოხბის 37 ქვესახეობა. საქარ-



თველოში გამოყოფენ 2 ქვესახეობას: კოლხურს და აღმოსავლეთ საქართველოს ხოხობს.

ხოხობი გავრცელებულია: ანატოლიაში, ირანში, შუა აზიის ქვეყნებსა და ავღანეთში, მონგოლეთში, ჩინეთში, ბირმაში, კორეაში, იაპონიაში.

აკლიმატიზებულია ევროპისა და ამერიკის მრავალ ქვეყანაში. საქართველოში გვხვდება მრავალ ადგილას, განსაკუთრებით ნაკრძალებსა და სამონადირეო მეურნეობებში.

პოლიგამიური ფრინველია — ერთი მამალი უწყვილდება 2-3 დედალს. ბუდობს მიწაზე. დებს 8-დან 22 კვერცხამდე. საინკუბაციო პერიოდი 23-24 დღეა. ახალგამოჩეკილი წიწილები 2-3 საათის შემდეგ დარბიან და კენკავენ კიდეც. ერთი თვის წიწილი მწყრისოდენაა. 2 თვისა იწონის 450-500 გ-ს, ზრდასრული მამალი ხოხობი 850-1300 გ-ს, დედალი — 750-950 გ-ს. სქესთა შორის მკვეთრი განსხვავებაა. მამალი გაცილებით ლამაზია დედალზე.

ხოხობი უამრავ მავნე მწერსაც ანადგურებს. სანადიროდაც ხომ პირველხარისხოვან ფრინველად ითვლება.

## „მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო"

ეს ანდაზაშია ასე, თორემ მელას რომ სირბილის დროს კუდი საჭის მაგივრობას უწევს, ცნობილია. მელა გავრცელებულია ყველგან, გარდა ანტარქტიდისა. არსებობს მისი 6 სახეობა და 18 ქვესახეობა, მათგან საქართველოში გვხვდება — 3. ბინადრობს ტყეებში, ბუჩქნარებში, ველებზე, მდინარის ნაპირებსა და ხეხილის ბაღებშიც. ბუნაგს იკეთებს კლდის ნაპრალში, წაქცეული ხის ფუღუროში ან სხვა ცხოველის მიერ მიტოვებულ სოროში. ზოგჯერ თავხედურად იჭრება მაჩვის სოროში, აბინძურებს და ბუნებით სუფთა მაჩვს აიძულებს მიატოვოს საცხოვრებელი. იგი საშუალო სიდიდის ნადირია, მისი სხეულის სიგრძე 90 სმ-მდეა, კუდი 40-60 სმ, იწონის 10 კგ-მდე.



მელა იკვებება მწერებით, თაგვებით, ხვლიკებით, კურდღლებით... შვლის ნუკრსაც ემტერება. არ იწუნებს არც ხილ-კენკრას და თხილს. დაუძინებელი მტერია მიწაზე დაბუდებული ფრინველებისა, ანადგურებს მათ კვერცხებსა და ბარტყებს. არცთუ ისე იშვიათად დაძრწის დასახლებული პუნქტების სანაგვეებზე, მაგრამ მისი ძირითადი საკვები მაინც თაგვები და თაგვისნაირი ცხოველებია. მელა რომ დანაყრდეს, 10-დან 20 თაგვამდე მაინც უნდა მიირთვას. მაძღარიც ნადირობს, იჭერს თაგვებს, ათამაშებს, ერთობა კატასავით, შემდეგ მსხვერპლს მარხავს — მეორე დღისთვის „იზოგავს".

მრავლდებიან გაზაფხულზე. შობენ 6-12 უსუსურ ლეკვს, რომლებიც ერთი თვის ასაკში გამოდიან სოროდან და მის ახლომახლო თამაშობენ.

მელიები არც ისე ჭკვიანები და ეშმაკები არიან, როგორც ეს გავრცელებულია ხალხში, უბრალოდ, დროთა განმავლობაში უმუშავდებათ სიფრთხილე, მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვა ცხოველებთან შედარებით ხაფანგშიც ადვილად ებმებიან და საწამლავის მსხვერპლნიც ყველაზე მალე ხდებიან.

მელას შესანიშნავად განვითარებული ყნოსვა და სმენა აქვს. მას დაახლოებით 100 მ-ის მანძილიდან ესმის თოვლქვეშ მყოფი თაგვის წრიპინი და ადვილად აგნებს მას. ადამიანს ყნოსვით უფრო შეიგრძნობს, ვიდრე მხედველობით.

მიუხედავად იმისა, რომ მელა დიდ ზარალს აყენებს სანადირო მეურნეობებსა და სოფლის მოსახლეობას, არანაკლები სარგებლობაც მოაქვს. ის ხომ უამრავ მავნე მწერსა და მღრღნელს ანადგურებს. მისი ბეწვიც ერთ-ერთი საუკეთესოა. გარდა ამისა, როგორც ირკვევა, მელიის ნაზი და გემრიელი ხორცი დიდი პოპულარობით სარგებლობს დასავლეთის ქვეყნებში.

## მოზაიკა

* * *

*კავკასიაში ცხოვრობენ ობობა — „გუგულები", რომლებიც კვერცხებით სავსე პარკებს სხვა ობობებს „მიუგდებენ" ხოლმე.*

* * *

*კუს სიცოცხლის მაქსიმალური ხანგრძლივობა 100 წელია.*

* * *

*ყარყატს დაუჯდომლად შეუძლია დღეღამეში იფრინოს 400 კმ, ეგვიპტურ ყანჩას კი — 600 კმ.*

* * *

*კენგურუ სიგრძეზე 8-12 მ-ზე ხტება.*

## საინტერესო ამბები

● მომავალი თაობისათვის თავგანწირვის შესანიშნავი მაგალითია ოკეანის თევზის პინაგორას საქციელი: როცა მდედრი ზღვის მიმოქცევის საზღვარზე ქვირითს ყრის, საკმარისია ტალღამ ქვირითი გააშიშვლოს, რომ მოდარაჯე მამრი საკუთარი სიცოცხლის რისკით, დროდადრო პირში დაგროვილი წყლით ასველებს ქვირითს.

● დედალ-მამალი ფუნაგორიები, გულმოდგინედ მიაგორებენ ნეხვის ბურთულებს სოროში. ეს ბურთულები მათ „ახალდაჩეკილი" მატლების საკვებად მიაქვთ.

● მერცხლები და ნამგალები ფრენანასწავლ ბარტყებს პირდაპირ ჰაერში კვებავენ, საკვებს ნისკარტიდან ნისკარტში აწვდიან. მოგვიანებით მწერს ბარტყის დასანახად ჰაერში უშვებენ, რომ დაიჭიროს და გამოიწვრთნას კიდეც.

● გველები მართალია, თევზებზე განვითარებული არსებები არიან, მაგრამ სრულიად არ ადარდებთ მომავალი თაობის ბედი. გამონაკლისია პითონი. მდედრი პითონი სიგრძით 9 მეტრს აღწევს, ეს უზარმაზარი ქვეწარმავალი საოცარი სიმსუბუქით ეხვევა კვერცხებს და ასე რგოლებად ახვეული „კრუხობს". იგი გაუნძრევლად წევს და ერთი წუთითაც არ ტოვებს კვერცხებს. მთელ ამ პერიოდში შიმშილობს. „კრუხობისას" მისი ტემპერატურა გარემოს ტემპერატურაზე მაღლა იწევს, ასე უვლის 30-40 კვერცხს. გამოჩეკილ წიწილებს მცირე ხანს ისევ დედა მზრუნველობს.

## ერთი სვეტი შეკითხვებისთვის

### როგორ გამოვიყვანოთ კაკლის ნერგი



**— სოფელში მიდგას ძალიან კარგი ჯიშის კაკალი. მაინტერესებს, მოისხამს თუ არა მის ნაყოფზე ამოსული კაკლის ხე ისეთივე ზომის ნაყოფს, რომელზეც აღმოცენდა?**

***ვახტანგ ჯანეზაშვილი***

— კაკლის პლანტაციის გაშენების ძირითადი ხერხია ნაყოფის თესვით გამრავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღმოცენებულმა ხემ უნდა მოისხას დათესილის ანალოგიური ნაყოფი. ითესება ახალი, იმავე წელს მიღებული, საგულდაგულოდ გადარჩეული, მსხვილი და ჯანმრთელი ნაყოფი. საუკეთესო აღმოცენების უნარს ავლენს ე. წ. სტრატიფიცირებული თესლი. ამისათვის ჭურჭელი, რომელშიც კაკალი უნდა ჩათესოთ, ფსკერზე რამდენიმე ადგილას უნდა გაიხვრიტოს, შემდეგ ჩაიყაროს მდინარის გარეცხილი ქვიშა და ჩათესოთ 10-15 სმ-ის სიღრმეზე კაკლები ისე, რომ წიბო (ამოზნექილი ნაწილი) მოექცეს ქვემოთ. ვედრო დადგით სარდაფში, სადაც იანვარ-თებერვალში ტემპერატურა 5-6 გრადუსია, მარტში დათბება და ფესვის განვითარებაც დაიწყება. როცა გალივებული, გახსნილი ნაყოფიდან ფესვის წვერი გამოჩნდება, რაც აპრილის დასაწყისშია მოსალოდნელი, გადაიტანეთ ღია გრუნტში და იმავე სიღრმეზე, იმავე მდგომარეობაში ჩათესეთ. ჩათესილი ადგილები მონიშნეთ პალოებით.

### ყველა სახეობის გოგრა სასარგებლოა

**— ხშირად ვკითხულობ, რომ გოგრა ძალზე სასარგებლოა. იქნებ მიპასუხოთ, რომელი სახეობის და რომელ რაიონში მოწეული გოგრაა უკეთესი. ამასთანავე, რომელი მეთოდით მიღებული გოგრის წვენი შეიცავს მეტ ვიტამინებს.**

***ნათელა სახვაძე***

— გოგრის ნატურალური წვენი შეიცავს ფოსფორმჟავა და ქარვისმჟავა მარილებს, შაქარს, პროვიტამინ A-ს და ვიტამინ C-ს. წვენს ახასიათებს შარდმდენი და მსუბუქი გამხსნელი (საფაღარათო) თვისებები. გამოიყენება თირკმლების სამკურნალოდ. სვამენ 1/2 ჭიქას (100 მლ-ს) დღე-ღამეში. წვენი შეიძლება შეიცვალოს გახეხილი უმი გოგრით. არანაკლებ სასარგებლოა მოხარშული გოგრა. სხვათა შორის, გოგრისგან მშვენიერ კერძებსა და მწნილსაც ამზადებენ (წვავენ ისე, როგორც ყაბაყს და ბადრიჯანს). რაც შეეხება იმას, თუ რომელ რაიონში მოწეული გოგრაა უკეთესი, როგორც ამბობენ, გემოვნებაზე არ დაობენ. — ზოგს გურული კვახი მოსწონს, ზოგს „თათრული" გოგრა, ზოგს კიდევ იმერული „ხოკორა". ყველა მათგანი ერთნაირად სასარგებლოა. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა.

## მკითხველის ფოტო



ზაფხულში ისევ ერთად ვიქნებით...

***გვერდი მოამზადა სწავლულმა აგრონომმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ფიტოთერაპევტმა ნიკოლოზ იოსებიძემ***

**რედაქციისაგან:**

**ბატონო მკითხველო! მოგვწერეთ ამ რუბრიკიდან გამომდინარე, რა გაინტერესებთ. გთავაზობთ აგრეთვე, გაგვიზიაროთ თქვენი პირადი დაკვირვება, გამოცდილება; მოგვაწოდეთ საკუთარ მამულ-დედულში გადაღებული უცნაური, საინტერესო ფოტოები (ამ ნომერში კიდევ ერთ ფოტოს გთავაზობთ).**

**წერილები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით და რუბრიკის მითითებით.**

CMYK

# კიდევ კარგი, დროზე გამჟღავნდა სიმართლე...

**შენთან საუბარი იმიტომ მინდა, რომ ყველამ (განსაკუთრებით კი მამაკაცებმა) გაითვალისწინონ, — სიმართლის დამალვა არ შეიძლება, მით უფრო მაშინ, როცა საქმე ბავშვს და მის მომავალს ეხება, — მითხრა ერთმა კოლეგამ და დაიწყო:**

— დედაჩემი სამეგრელოდანაა, სკოლის დამთავრების შემდეგ უნივერსიტეტში ჩაირიცხა ეკონომიკის ფაკულტეტზე და ბიძასთან ცხოვრობდა. მეზობლად, მის ტოლ გოგონებთან გაიცნო ამ გოგონების თანაკურსელი დავითი. ერთმანეთი შეუყვარდათ. როცა დედა გამოუტყდა, ბავშვს ველოდებიო, დავითი უცებ გაცივდა მის მიმართ, ბოლოს უთხრა: მე დანიშნული მყავს და გაზაფხულზე ჯვარს ვიწერო.

დედას თავის მოკვლაც კი უნდოდა თურმე. გარდა იმისა, რომ მართლაც ძალიან უყვარდა დავითი და მისგან არ მოელოდა უარს, მშობლების, ბიძისა და ბიცოლის ძალიან ერიდებოდა. რა გზას დასდგომოდა, არ იცოდა. ბოლოს, ბიძას გაენდო. ბიძამ გაუგო, დაამშვიდა აფორიაქებული, არც ის დაუძალებია, რომ ბავშვი მოეცილებინა... ასე გავჩნდი მე. დედამ თავის გვარზე დამწერა. ოთხი წლის მერე კი ძალიან კარგმა კაცმა ითხოვა. სწორედ ის მეგონა მამაჩემი. თუმცა 17 წლის რომ გავხდი, დედამ ყველაფერი მიამბო. თავდაპირველად მინდოდა მამა მომეძებნა. მაინტერესებდა, როგორ შემხვდებოდა, მაგრამ დედამ არ მირჩია — ჩვენთან ურთიერთობა რომ ნდომოდა, აქამდე გვიპოვიდა, ახლა კი ყველაფერი გვიანიაო. მეც ხელი ჩავიქნიე. გავიდა დრო. გავთხოვდი. შემეძინა გოგონა, რომელსაც დედის სახელი დავარქვი. მერე უბედურება დამატყდა თავს. მეუღლე ავტოავარიაში დამეღუპა. დავრჩი ორი წლის ბავშვით ხელში. ქმრის სიცოცხლეში არ ვმუშაობდი, მისი შემოსავალი გვყოფნიდა. შვილი გასაზრდელი მყავდა. დარდისა და ცრემლისთვის აღარ მეცალა, ამიტომ ტელევიზიაში დავიწყე მუშაობა. თავისუფალი დრო თითქმის არც მრჩებოდა. ბავშვი დედასთან იზრდებოდა, მამაჩემიც (დედის მეორე ქმარს ყოველთვის მამას ვეძახდი) მეხმარებოდა. ასე რომ, ამ მხრივ მშვიდად ვიყავი.

ერთი თანამშრომლის ოჯახში გავიცანი ირაკლი. მშვენიერი გარეგნობა ჰქონდა, 32 წლის იყო, უცოლო. შევატყვე, მოვეწონე, მაგრამ არ შევიმჩნიე. ჯერ ერთი, ჩემზე სამი წლით უმცროსი იყო, მეორეც, ცოტა გათამამებული იყო ქალებისგან, მე კი თავდაჯერებული მამაკაცები არასოდეს მომწონდა. ეტყობა, იგი არ მოელოდა ქვრივი ქალის „პირქუშობას“ და სიცივეს, ლამის გაგიჟდა, თავი დაკარგა, არავის ერიდებოდა, სულ ჩემ გვერდით უნდოდა ყოფნა. მის ბიჭურ ქცევებზე მეღიმებოდა. ირაკლის გატაცება თანდათან ნამდვილ სიყვარულში გადაიზარდა. ერთხელ შინ მესტუმრა. გვიანი იყო. უკვე, დაწოლას ვაპირებდი. იმდენი წითელი ვარდი ეყიდა, მკლავებში ძლივს ეტეოდა. გამიხარდა, მესიამოვნა. შემოვიპატიჟე. ყვავილები სხვადასხვა ლარნაკში ჩავაწყვე. წითლად ხასხასებდა მთელი ოთახი. ირაკლი ნასვამი ჩანდა. მთხოვა, ლაპარაკს ნუ გამაწყვეტინებო და დაიწყო: თავდაპირველად, მომეწონე, როგორც ლამაზი ქალი, მერე კი მივხვდი, რომ ძალიან მიყვარდი და უშენოდ ველარ ვძლებდიო. ეს რომ ჩემმა მშობლებმა გაიგეს, შენთან ურთიერთობა ამიკრძალეს, რა გაჭირვება გაქვს, ქვრივი, თანაც შვილიანი ქალი შეირთოო. ავუხსენი, ეს „გაჭირვება“ დიდი სიყვარულია-მეთქი. თითქმის ერთი თვე არ მელაპარაკებოდნენ. ბო-



ლოს, ისევ მამამ მითხრა: თუ ეს მართლაც ნამდვილი სიყვარულია და დარწმუნებული ხარ, რომ მსგავსი აღარ განმეორდება, მაშინ მოიყვანე ეგ ქალი ცოლად. ოღონდ, პატივი დაგვდე და ქორწილამდე გაგვაცანიო.

სახტად დავრჩი. ვიცოდი, რომ ირაკლის გულით ვუყვარდი, მაგრამ ასე მალე თუ გადაწყვეტდა ჩემს ცოლად მოყვანას, ვერ წარმოვიდგენდი. არადა ტყუილს ვერ ვიტყვი, მეც ძალიან მომწონდა იგი. უარი ვერ ვთქვი და დავთანხმდი, გამოგყვები მშობლების გასაცნობად-მეთქი.

მართლაც, ერთ საღამოს ირაკლისთან ერთად მივედი მის ოჯახში. მშობლები კარგად შემხვდნენ, სუფრა გაგვიშალეს. გულში ვნანობდი, დედაჩემისთვის რომ არაფერი მითქვამს. არც სხვა ახლობელმა იცოდა ჩემი და ირაკლის ურთიერთობის შესახებ. ირაკლის მამამ, ბატონმა დავითმა, ჩემი სადღეგრძელო დალია: ახლა კი მესმის ჩემი შვილის... ალბათ შენს სიყვარულს ელოდა ამდენი ხანი და ამიტომაც არ მოჰყავდა ცოლიო. ახალგაზრდობაში მეც კარგი ბიჭი ვიყავი, ბევრს მოვწონდი და მეც მომწონდა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგა, ირაკლის დედას ვერაფრით ვუღალატე, იმიტომ, რომ წრფელი გულით მხოლოდ ის მიყვარდაო. ირაკლის დედას გაეცინა: შენ არ იყავი, ერთი მეგრელი გოგო რომ გიყვარდა და ცოლადაც მოიყვანდი, დანიშნულები რომ არ ვყოფილიყავითო. დავითი გაეპასუხა: მერე, ხომ მაინც შენ გამჯობინე იმასო. თავში თითქოს კეტი დამკრეს. გაშეშებული, ელდანაცემი ვიჯექი. მხოლოდ ირაკლის დედის სიტყვები ხმიანობდა დაუსრულებლად — „ერთი მეგრელი გოგო რომ გიყვარდა...“

მერეღა ამოტივტივდა ნამდვილი მამის გვარი და სახელი. ირაკლის გაცნობისთანავე ვიცოდი მისი გვარი, მაგრამ მამა თვალითაც არ მენახა და ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ახლა გამოდიოდა, რომ მე იმ წუთებში მამის ოჯახში ვიყავი სტუმრად, როგორც სარძლო, ხოლო ძმა ჩემს ქმრობას აპირებდა. ცუდად გავხდი, თავბრუ დამეხვა, ყურებმა შუილი დამიწყო... შემომეხვივნენ, შეწუხდნენ, რა მოგივიდაო. ხან რა დამალევინეს, ხან რა. ისიც იფიქრეს, რომ ირაკლიმ ადრევე „იეშმაკა“ რაღაც და... ღვთის მადლით, გადავრჩი ამ საშინელებას. ჩემი და ირაკლის ურთიერთობა არ გადასულა ამაღლებული სიყვარულის ზღვარს. ახლა უკვე ყველაფერი ვიცოდი. ისღა მაწუხებდა, როგორ მეთქვა ირაკლისთვის სიმართლე.

როგორღაც თავი შევიკავე. მოვიბოდიშე, მოწამლული ვიყავი, შამპანური რომ დავლიე, ისევ ცუდად გავხდი-მეთქი. ირაკლიმ შინამდე მიმაცილა. მატყობდა, რომ დაზაფრული ვიყავი, მაგრამ ვერაფერს მეკითხებოდა. გამომშვიდობებისას ვთხოვე, ორი დღის მერე მოდი და ყველაფერზე ვისაუბროთ-მეთქი. ეს ორი დღე იმისთვის მჭირდებოდა, რომ სათქმელისთვის მომეყარა თავი... დედისთვის კვლავაც არაფერი გამიმხელია, ოღონდ დაწვრილებით გამოვკითხე წარსული. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ირაკლი ჩემი ძმა იყო!

**— ალბათ გაგიჭირდა ირაკლისთან საუბარი.**

— ძალიან. ასე იმ წუთებშიც არ მინერვიულია, როცა ქმრის სიკვდილის ამბავი გამაგებინეს. ის უეცარი ელდა იყო, ეს მეორე კი დიდი ტკივილი, რომელიც სათავეს წარსულიდან იღებდა და დასასრული არ უჩანდა.

**— ირაკლის რეაქცია როგორი იყო?**

— ძალიან იმოქმედა ამ ამბავმა. კარგა ხანს თავჩარგულმა მისმინა. წასვლისას თქვა: კიდევ კარგი, დიდ ცოდვაში არ ჩავდგით ფეხიო. მერე მამამაც მომინახულა. ერთიანად ცახცახებდა კაცი. შემეცოდა, რაღა უნდა მეთქვა, ან საყვედურს რაღა აზრი ჰქონდა? თვითონვე თქვა: ჩემი ბრალია ყველაფერი, არ უნდა დამემალა, რომ თინა (დედაჩემი) ჩემგან ბავშვს ელოდაო... გადამწყვეტ მომენტში შევშინდი, უკან დავიხიე, რადგან ნიშნობა გადახდილი გვქონდა, მთელ სანათესაოს გადავიკიდებდი, უარი რომ მეთქვა დანიშნულზე, არადა დედაშენი მართლა მიყვარდაო. მეგონა, რახან უარი ვუთხარი, ბავშვს აღარ გააჩენდა, შენ კი, ღვთის ნებით, მაინც გაჩნდი და კიდევ კარგი, დიდი ცოდვის მონაწილენი არ შევიქმენითო თან გულდაწყვეტილმა დააყტანა: ნეტავ, ერთხელ მაინც შემხმიანებოდა დედაშენი, ეთქვა, რომ ბავშვი გააჩინა, მერე ალბათ ასე თუ ისე, ურთიერთობაც აღდგებოდა და იქნებ, სასწაულიც მომხდარიყო და საბოლოოდ ერთად ვყოფილიყავითო.

**— ბატონმა დავითმა არ ისურვა დედაშენის ნახვა?**

— როგორ არა, მაგრამ დედამ ცივი უარი თქვა. მეც აღარ დავაძალე, რადგან არ მინდოდა მას გაეგო ბოლოდროინდელი სიმართლე, რომ ჩემს ძმას კინაღამ ცოლად გავყევი...

**— ახლა რა ხდება თქვენ შორის, შეძლებით დაძმური ურთიერთობის გაგრძელება?**

— კი. ირაკლი ძალიან თბილი ადამიანია. არც მას, არც მე ბრალი არავისთან მიგვიძღვის. დამნაშავენი ჩვენი მშობლები არიან, რომლებმაც თავის დროზე სიმართლე დამალეს, მერე კი არც მოისურვეს, რომ გამჟღავნებულიყო. ორივემ ცალ-ცალკე გადაწყვიტა, რომ იმ ტკივილისთვის მიწა მიეყარა, ის კი ველარ გაითვალისწინეს, რომ მომავალში შეიძლება „ქარიშხლად“ ამოვარდნილიყო ეს მიჩქმალული ამბავი. ახლა მამასაც ვნახულობ ხოლმე (თუმცა დედამ არ იცის ეს), მე და ირაკლის კი დაძმური ურთიერთობა გვაქვს. ამას წინათ საცოლე გამაცნო. მერე კი მაცინებდა: სანამ ინგაზე სერიოზულად ვიფიქრებდი, მამაჩემს გამოვკითხე ყველა იმ ქალის ვინაობა, ვისთანაც ოდესმე ურთიერთობა ჰქონიაო. როცა დავრწმუნდი, ინგა ჩემი ნახევარდა არ იყო, მერეღა გადავწყვიტე მისი ცოლად მოყვანაო... კი ვიცინოდით ამ საკითხზე, მაგრამ წუთით რომ დავფიქრდებით, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, მშობლებზე ძალიან ვბრაზდებით...

მინდა ეს შემთხვევა ყველამ გაითვალისწინოს. მსგავსი ამბავი ყოველთვის ასე კარგად როდი მთავრდება!

***მარინა ბაბუნაშვილი***

# გამოხმაურება
# შური საშინელი სენია

„წინა ნომერში წავიკითხე მკითხველის წერილი („დიდი შეცდომა“), ავტორი თავის შეცდომას ნანობს და სხვებსაც მოძღვრავს, ასე არ მოიქცეთო.

გიამბობთ ერთ ამბავს, რომელიც ჩემ თვალწინ დატრიალდა...

ძალიან კარგი მეზობლობა გვქონდა ერთ ოჯახთან. იქ იზრდებოდნენ ბიჭი და გოგო. მართალია, ეკაზე (მეზობლის გოგონა) 8 წლით უფროსი ვიყავი, მაგრამ რომ დაქალიშვილდა, ძალიან დავმეგობრდით. ულამაზესი გოგო იყო (ახლაც მშვენიერი ქალბატონია); ჩემთან არაფერს მალავდა, ყველაფერს დაწვრილებით მიამბობდა, დაუსწრებლად ვიცნობდი მის თაყვანისმცემლებსაც. ეკას ისეთი მშვიდი და ბედნიერი ოჯახი ჰქონდა, მათთან შესული ადამიანი მშვიდდებოდა და რაღაცნაირად ხალისდებოდა... თუმცა მათი იდილიური ცხოვრება დიდხანს არ გაგრძელებულა. ეკას ძმამ ცოლი მოიყვანა, ნინო 20 წლის იყო, მოხდენილი და კოხტა, მაგრამ ეკას ვერ სჯობდა. ჰოდა, რძალს შეშურდა მულის. თითქოს მეგობრობდა, მაგრამ თან ჯიბრში ედგა. ხშირად უკითხავს ჩემთვის: ეს კაბა მე უფრო მიხდება თუ ეკასო? არ ვაღიზიანებდი — ორივე ლამაზები ხართ და ორივეს გიხდებათ-მეთქი, მაგრამ ეკა ისეთი იყო, ტომარა რომ გადაგეცვათ, მაინც მოიხდენდა.

ეკას შეყვარებული ჰყავდა, ზაზა... გოგონა ისეთი გაცისკროვნებული დადიოდა, თითქოს ანათებდა. კიდევ უფრო დამშვენდა. მისი რძალი ბოღმით გასივდა, სახეც კი შეეცვალა, სულ გაღიზიანებული დადიოდა. ოჯახის წევრები ეფერებოდნენ, ყველაფერში ეხმარებოდნენ, ნინო კი მაინც სულ უკმაყოფილო გახლდათ.

ერთხელ, ნამტირალევი შემოვიდა ეკა და მითხრა: მე და ზაზამ ვიჩხუბეთო. რატომ-მეთქი. გაოცებულმა აიჩეჩა მხრები, — ვიღაცას დაურეკავს მისთვის და ვისაც კი ოდესმე მოვწონებივარ, ყველა ჩამოუთვლია, თან დაუმატებია, კარგი ოჯახიშვილი ხარ და არ მინდა უწესო გოგო მოიყვანო ცოლადო. ზაზამ იეჭვიანა. ძალიან გავნაწყენდი, ასე ადვილად რომ დაიჯერა ავი სიტყვა და მივატოვე. აღარც მგონია, თუ შევურიგდებიო.

შეყვარებულები მაინც შერიგდნენ, მაგრამ რძალმა ვერ მოისვენა. ეკას დაუჩემა — ჩემი ბიძაშვილის ძმაკაცს უყვარხარ. რა მოხდება, ჩემი ხათრით ერთადერთხელ შეხვდე, დაელაპარაკო და შენი პირით უთხრა, რომ საქმრო გყავს, თორემ ჩემი არ სჯერა. ველური ხომ არ ხარ, კაფეში შესვლაზე და ნორმალურ საუბარზე უარი უთხრაო. ეკაც დათანხმდა. ნინომ კი მის საქმროს „მოკეთის“ პირით გააგებინა „საყვარლების“ ადგილსამყოფელი. ზაზა თვალის დახამხამებაში დაადგათ თავს. ბრაზით თვალთ დაუბნელდა და... გასაშველებლად პოლიციის გამოძახება დასჭირდა კაფეს დირექციას...

ზაზა და ეკა ერთმანეთს სამუდამოდ დაშორდნენ, ნინოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

ეკა ბათუმელმა ბიჭმა ითხოვა ცოლად და ნინოც საბოლოოდ დაწყნარდა, ლამაზი მული რომ შორს გაისტუმრა. ისე გახარებული იყო ამ ამბით, რომ ერთ საღამოს ყველა თავისი ნამოქმედარი გადმომილაგა. შემზარა მისმა საქციელმა. ეკას და ზაზას დაკარგულ სიყვარულს რაღას ვუშველიდი, ნინოს კი კარზე მივუთითე და თან ვურჩიე, — მოინანიე მაინც-მეთქი...

ეკამ დღესაც არ იცის, რომ ნინოს მიუძღვის დიდი წვლილი მისი და ზაზას დაშორებაში. არც მე მითქვამს... ნინო კი დღემდე ლაღად გრძნობს თავს, სინანულზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი.

***თქვენი მკითხველი ლეილა.“***

# „აფორიზმები“

***— ყველა ქალს შეუძლია საიდუმლოს შენახვა, მაგრამ, ყველას — ერთად.***

***— ყველა ქალი ქალიაო, არ არის სწორი, ჩემი უარესია.***

# უთხარით ქალებს ლამაზი სიტყვები, ანდა კაქტუსი აჩუქეთ...

*ის იყო, მეტროს ესკალატორზე შევდექი, ვიღაც სანდომიანი ყმაწვილკაცი ამომიდგა გვერდით. მიღიმოდა, თან დროდადრო პატარა კაქტუსს დასჩერებოდა, რომელიც პატარა ქოთნითვე ხელში ეჭირა. უხერხულად ვიგრძენი თავი და საფეხურით დაბლა ჩავინაცვლე. ისიც ჩამომყვა, ასე გაგრძელდა მეტროში ჩასვლამდე. მერე უცებ წინ გადამიდგა, კაქტუსი გამომიწოდა და მითხრა, — იცით, ქუჩაში თქვენთან ერთად მოვდიოდი. შეგხედეთ, როგორ შეჩერდით ყვავილების გამყიდველთან. ისე უყურებდით კაქტუსებს, რომ მეგონა, მათი მოფერება გინდოდათ. ამიტომაც ვიყიდე აი, ეს ბუთხუზა. ძალიან გთხოვთ, გამომართვით და მოუარეთ, — კაქტუსი მომაჩეჩა და ზემოთ მიმავალ ესკალატორზე შევარდა...*

*ახლა მე და ჩემი კაქტუსი „მირა“ (ასე დავარქვი) ერთად ვცხოვრობთ. ვეფერები და ისიც ისე იფერებს და „იბერება“ სიამოვნებისგან, რომ ღიმილს ვერ ვიკავებ და ყოველთვის მაგონდება ის წუთები, — ვიღაც უცნობმა ყვავილი რომ მაჩუქა. იქნებ ვინმესთვის ეს არაფერს ნიშნავდეს, ვიღაცისთვის კი ძვირფასი საჩუქარი იყოს. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე მე და ჩემს რესპონდენტებს „გვეჭორავა“ თემაზე — „წამი, რომელმაც შეიძლება უბედნიერესი ადამიანი გაგხადოთ“.*

**ანა (26 წლის):** — შარშანწინ მამაჩემის ნაჩუქარი ახალთ-ახალი „გოლფით“ ზღვაზე დასასვენებლად გავეშურე. ისე მოხდა, რომ ჩემი მეგობარი ნანა, ვისთან ერთადაც უნდა წავსულიყავი, წინა დღით ნათესავებს გაჰყვა ქობულეთში და მე ჩემს ძაღლ „რემბოსთან“ ერთად მარტო დავადექი გზას, რიკოთთან მანქანა გამიფუჭდა. შავ დღეში ჩავვარდი. ავხადე კაპოტი და უმწეოდ დავჩერებოდი მანქანის „შიგნეულს“. უცებ გაჩერდა 200 მანქანა, უამრავი კაცი დამეხვია თავზე და მეგონა, ჩემი მანქანიანად ხელში აყვანილს ციმ-ციმ ჩამიყვანდნენ ქობულეთში. იცით, რა ბედნიერი ვიყავი? ეს ბედნიერება დღემდე გრძელდება. ბიჭი, რომელმაც მანქანა გამიკეთა, თბილისში ბრუნდებოდა მეგობრებთან ერთად. შეიძლება გზაში კიდევ გაგიჯიქდეს შენი „ფაქიზოო“, მითხრა და ბიჭებს მიუბრუნდა, — თქვენ წადით, მე ამას ქობულეთში ჩავაცილებ და ხვალ საღამოს დავბრუნდები თბილისშიო. ასე გავიცანი ჩემი მომავალი ქმარი.



**მაცაცო (32 წლის):** — მეგობრის შვილი წავიყვანე ზოოპარკში სასეირნოდ. ბევრი ვიხეტიალეთ. უცებ ფეხსაცმელზე ქუსლი მომძვრა... ჩემს უკან იდგა ვიღაც ყმაწვილი, ხელში ჩემი ფეხსაცმლის ქუსლი ეკავა და იღიმებოდა. საშინლად ავღელდი. დამაწყნარა. ჩემს პატარა მეგობართან ერთად კაფეში დამსვა. ფეხსაცმელი გამხადა და მთხოვა, აქ დამელოდეთო. გაოგნებული უსიტყვოდ ვემორჩილებოდი. დაახლოებით 20 წუთი დააგვიანა. მოვიდა, პარკიდან რაღაც კოლოფი ამოიღო, თავი ახადა და სახტად დავრჩი, წყვილი ახალი ფეხსაცმელი გამომწვევად მიყურებდა... ეს თქვენ, ქალბატონო კონკიავ, — მითხრა „კეთილმა ჯადოქარმა“. გავოგნდი. დამიჯერებთ, ის ბიჭი ისე წავიდა, ისე გაქრა, სახელიც კი ვერ ვკითხე. მას მერე სამი წელი გავიდა. სულ ველი მასთან შეხვედრას. ის კი არ ჩანს. არადა რა წუთები მაჩუქა...

**ნელი (56 წლის):** — 17 წლის ვიყავი. სკოლის დამთავრებისთანავე ჩავირიცხე უნივერსიტეტში. სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექი. გრძელი, ძალიან ლამაზი თმა მქონდა. სასექტემბროდ მოდურად შეჭრა გადავწყვიტე. წავედი საპარიკმახეროში. პარიკმახერი გაგიჟდა, ხელში ეჭირა ჩემი უკან შეკრული თმა და ეფერებოდა, — არა, გოგონა, ამის შეჭრა არ შეიძლებაო. დამვარცხნა, ძალიან ლამაზი თმის საბნევიც გამიკეთა და გამომიშვა. თან გამაფრთხილა, ვინც შენ თმას შეგჭრის, ხელებს დავაჭრიო. იცი როგორი გამოვედი იქიდან? ჩემზე და ჩემს თმაზე ლამაზი ქვეყნად არავინ და არაფერი მეგონა.

მას მერე დიდხანს, მრავალი წლის განმავლობაში ვატარებდი გრძელ თმას.

**მაკა (28 წლის):** — როცა ქათინაურს გეტყვის ქუჩაში ვინმე უცხო და თანაც ლექსად, შეიძლება ბედნიერი არ იყო? ასე ხდებოდა თურმე წინათ. ახლა კი თუ ეტყვიან, „აუ რა ნაშააო“, ქათინაური ჰგონიათ და გრძნობ, რომ ვიღაც „ხესთან“ გაქვს საქმე. ასეთი „ხეებით“ გაივსო ქუჩა და მივმართავ მათ. „ხეებო, დაკაცდით და უთხარით ქალებს ლამაზი სიტყვები ან აჩუქეთ თუნდაც ერთი პატარა ია, ამით სიყვარულს გააცოცხლებთ ქუჩებში“.





შინაური ექიმი, ექიმბაში

ბრაზილიელი კლასიკოსი მწერალი

NaCL

დასარგავად განკუთვნილი ნორჩი მცენარე

მადამ ბოვარი (სახ.)

პატარა ნაკადული

ილიუშინის თვითმფრინავის მარკა

წყლიანი ორმო

ქუთაისი ძველად

სიგრძის ერთეული აკუპუნქტურაში

შხამიანი გომბეშო

რაიონი თბილისში

ამერიკელი მსახიობი ... ნოლტი

ბრეხტის პიესის გმირი არტურო...

სახელმწიფოში შესვლის ნებართვა

მტკნარი წყლის კუ

ლატვიის დედაქალ.

მსხვილფეხა საქონლის სადგომი

ფილმი რენოსა და დე ნიროს მონაწილ.

იტალიელი ფერმწერი

საჭადრაკო ფიგურა

თაღი

გერმანიის პრეზიდენტი

რუსეთის სათათბირო

აბუ ალი იბნ ...

პერსონაჟი ოპერა „კარმენიდან“

გვარები საკლასო ჟურნალში



საჭმელი წვრილად დაჭრილი ხორცისაგან

გამოსახულებიანი ძვირფასი ქვა

თოვლის ბაბუა – „...-კლაუსი“

დესპოტიზმი

არაგვისპირელი

ბგერის გრაფიკული ნიშანი

დანიელ დეფოს რომანი „...ფლენდერსი“

ორნახშირმჟავა ნატრიუმი კულინარიაში

სასკოლო ავეჯი

გერმანელი მწერალი

მეფეთა დინასტია კორეაში

ქრისტიან. დღესასწ.

შიშველი სხეული მხატვრ.

ერთ-ერთი სახარების ავტორი

კავკასიის პერსონაჟი „ღვინის ქურდებში“

იალქანი

გამეორების თხოვნის შეძახილი თეატრში

ქართული დასარტყამი ინსტრუმენტი

ინგლისელი მწერალი (1903-66)

მოსწავლის და ფოსტალიონის ატრიბუტი

პურის საცხობი

სათოჯახო ხელსაწყო

ტელეფონის გამომგონებელი

ჩინური ჭადრაკი

დიდი მინდორი

ფრანგ მეფეთა სახელი (შემოკლ.)

ამერიკელი მსახიობი ... ტაილერი

სწრაფი ჭადრაკი

ბორჯღალი

„... ჭამა დიდად შესარგი“

ქართული ფილმი „განგაში“ (პერსონაჟი)

პერსონაჟი „კუკარაჩადან“

ქართული კინოფილმი

ნარჩენი სითხე კარაქის ამოყვანისას

კამათლის თამაში ფულზე






სიტყვათა წარმოთქმის მანერა

ვეტერანი ფრანგი ჩოგბურთელი

კლდეკარის ერისთავის სახელი

მდინარე ხრამი წალკის წყალსაცავამდე

კოშკის მუსიკალური საათი

**წინა სკანვორდის პასუხები:** 1. შოთა; 2. ლემა; 3. დრაჟე; 4. დო; 5. პო; 6. „პეჟო“; 7. კალთა; 8. ორმონდი; 9. წერტი; 10. რეზიუმე; 11. დუ; 12. სულა; 13. გრო; 14. )დენდი“; 15. ირემი; 16. მიმი; 17. ჩიკო; 18. ეტლი; 19. ესეი; 20. ბურიმე; 21. ლიმფა; 22. ლიანა; 23. ივო; 24. ბინდი; 25. მამული; 26. მაგია; 27. სიდრი; 28. ახსნა; 29. სეე; 30. ულიე; 31. დეგა; 32. ცუნამი; 33. ნამი; 34. „დელტა“; 35. ლუი; 36. ყანწი; 37. ერაყი; 38. კოლომბო; 39. ქორ; 40. მეა; 41. ბო; 42. ალგებრა; 43. ნერუ; 44. ცერი; 45. ლაო; 46. ილია; 47. უზბეკი; 48. „მუმია“; 49. წაბლი; 50. რუმბა; 51. რუ; 52. სვე; 53. ადლი; 54. გო; 55. ლე; 56. ბოა; 57. რემი; 58. მალარია; 59. ბომბეი; 60. ბეი.

1. შემოდგომის დესერტი. 2. არ გერჩივნა დაგელია. 3. ადრენალინის მაქსიმუმი. 4. მხოლოდ ერთი კოცნა. 5. მერკელის შტუცერი.

**პასუხები მოცემულია სკანვორდში კითხვების განლაგების მიხედვით, თანამიმდევრობით, მარცხნიდან მარჯვნივ.**

**ქვედა ხაზზე მოცემულია ფოტოების პასუხები.**

შეადგინა რამაზ ალანიაა

CMYK

# .com კომპიუტერი

palitra@kvirispalitra.com

## ვის უნდა, გახდეს აბრამოვიჩი?

ვინც კი ოდნავ მაინც არის დაინტერესებული ფეხბურთით, აუცილებლად გაგონილი ექნება ლონდონის „ჩელსისა“ და მისი ახალი მეპატრონის, რუსი ებრაელი ოლიგარქის, რომან აბრამოვიჩის შესახებ. ალბათ ბევრიც ოცნებობს, ცოტა ხნით მაინც, მისი ადგილის დაკავებას. ამის ნაწილობრივი შანსი კომპიუტერული თამაშის შემქმნელებმა მოგვცეს. თამაშ „Total dub manager-ში“ მოთამაშე ევროპის ნებისმიერი ლიგის, ნებისმიერი გუნდის მენეჯერი ხდება და საკუთარი შეხედულების მიხედვით ახორციელებს კლუბის სპორტული და კომერციული საქმიანობის კონტროლს.

თამაში კლუბის არჩევით იწყება. ფაქტობრივად, ნებისმიერ კლუბში უპრობლემოდ დაგიქირავებენ ხელმძღვანელ თანამდებობაზე, ოღონდ განსაზღვრული დროის შემდეგ, თუ შედეგებს არ აჩვენებთ, სამსახურიდან დაგითხოვენ. სამაგიეროდ, სანამ კლუბის მენეჯერი ხართ, ფაქტობრივად შეუზღუდავი უფლებები გაქვთ. ფეხბურთელთა ტრანსფერები, სტადიონის ბილეთები, სარეკლამო კამპანიები, კლუბის სიმბოლიკიანი სამოსის წარმოება და რეალიზაცია, ფეხბურთელებთან ურთიერთობა — ეს ყველაფერი, თქვენი გასაკეთებელი ხდება. შეგიძლიათ იყიდოთ ან გაყიდოთ ფეხბურთელები, შეუცვალოთ პოზიცია მოედანზე ან სულაც სხვა ამპლუაში ათამაშოთ. ასევე დაიქირავოთ დამხმარე პერსონალი კონკრეტული სფეროსთვის. რაც მთავარია, გაქვთ შესაძლებლობა, თამაშის მსვლელობისას (მატჩს მწვრთნელის პოზიციიდან უყურებთ) განახორციელოთ საკუთარი ჩანაფიქრი, შეცვალოთ ფეხბურთელები და ა.შ.

თქვენმა მონა-მორჩილმა „მილანის“ მენეჯერობა სცადა და სამწუხაროდ, ბევრი ვერაფერი გააწ-




ყო. სიმართლე გითხრათ, დამღალა, რივალდოსთან გაცდენილი ვარჯიშების გამო კინკლაობამ, პორტუგალიელი რუი კოშტას კაპრიზების ატანამ... თუმცა, კლუბში უსაზღვროდ დიდი ავტორიტეტის მქონე პაოლო მალდინი შეძლებისდაგვარად ძალ-ღონეს არ იშურებდა გუნდში ჯანსაღი ატმოსფეროს შესანარჩუნებლად. თავიდან თითქოს ყველაფერი კარგადაც მიდიოდა, გუნდი თამაშებს იგებდა, მისი ხაზინა კი ივსებოდა. თუმცა მერე და მერე ჩვენებური სენი შემეყარა, სატრანსფერო სიებში ქართველების ძებნა დავიწყე და კალაძეს რამდენიმე ჩვენებური ამოვუყენე გვერდით. სამწუხაროდ, ამან კარგი შედეგი არ გამოიღო და მათი გაყიდვა მომიწია. ისე, ამ თამაშის წყალობით, ევროპის ნებისმიერ ფეხბურთელზე ფაქტობრივად, სრულ ინფორმაციას მიიღებთ. ოჯახური მდგომარეობითა და სექსუალური ორიენტაციით დაწყებული და საყვარელი მომღერლებითა და კერძებით დამთავრებული.

ამ თამაშის შემხედვარე დავრწმუნდი, რომ რაც უფრო ადვილია ტელევიზორში ან ტრიბუნიდან მატჩის ცქერა და კომენტარების კეთება, მით უფრო ძნელია გუნდის ყოველი მატჩისთვის მომზადება. ვინც ამ თამაშს შეჰბედავს, არა გვგონია, მერე რომელიმე ძლიერი გუნდის მწვრთნელს ან ხელმძღვანელობას ჩაგდებული თამაშის გამო უსაყვედუროს.

*როგორც რედაქციის ფოსტიდან ჩანს, ჩვენი მკითხველის ერთ ნაწილს შინ ან სამსახურში ხშირად უხდება კომპიუტერთან ურთიერთობა. ამ მკითხველთა დიდი ნაწილი კომპიუტერს გასართობად ან სასწავლებლად იყენებს. სწორედ მათ ექმნებათ ყველაზე მეტი პრობლემა კომპიუტერულ ვირუსებთან დაკავშირებით. ინტერნეტში „მოძრომიალე“ მომხმარებლები ხშირად არად დაგიდევენ ოპერაციული სისტემის გამაფრთხილებელ სიგნალებს და იგნორირებას უკეთებენ მათთვის გაუგებარ საგანგაშო შეტყობინებებს. შედეგიც სახეზეა, უფრო სწორად, კომპიუტერშია. სწორედ ზემოაღნიშნული კატეგორიის მკითხველები გვთხოვენ მოვუთხროთ იმ ვირუსების შესახებ, რომელთა გამოც მათი „ერთგული“ კომპიუტერები ავადდებიან ან სულაც „გარდაიცვლებიან“ ხოლმე.*

## კომპიუტერული „ჭიების“ შემოტევა

**საუბედუროდ, ვირუსების შემქმნელები ყოველთვის წინ უსწრებენ „ანტივირუსოლოგებს“. ამიტომ ინტერნეტიდან ახალი „ავადმყოფობის“ „აკიდების“ შანსი ძალიან დიდია, რაც არ უნდა დაცული გეგონოთ საკუთარი კომპიუტერი.**

პირველი კომპიუტერული ვირუსები 1980-იან წლებში გაჩნდა. განსაკუთრებულად ნიჭიერ ვირუს-მეიკერებად ამერიკელი, რუსი და ბულგარელი სტუდენტები ითვლებოდნენ, თუმცა ინდური ვირუსებიც საკმაოდ მაღალი ხარისხით გამოირჩეოდნენ. თავიდან ამ სახის მავნებლობით მხოლოდ პროგრამისტები იქცევდნენ თავს, ახლა კი ხარისხიანი ვირუსის დამზადება საშუალოზე მაღალი დონის მომხმარებელსაც შეუძლია. ინტერნეტში მოიპოვება პროგრამები, რომელთა დახმარებითაც საზრიანი ადამიანი იოლად მოახერხებს ეფექტური კომპიუტერული „ჭიის“ დამზადებას, რომელსაც ადვილად შეეძლება ინტერნეტის საშუალებით ათასობით კომპიუტერის დაზიანება.



„ჭიებში“ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ვირუსი „I LOVE YOU“-ა, თუმცა „პოპულარობით“ მას არც „Ana Kournikova“ ჩამორჩება. წარმოიდგინეთ, რომ ფოსტით ნაცნობისგან იღებთ წერილს, რომელსაც თან ახლავს მშვენიერი რუსი ჩოგბურთელის სურათი, თუ საშინელი ქალთმოძულე არ ხართ, აუცილებლად გახსნით... ჰოდა, სწორედ მაშინ შეგეყრებათ „ანა კურნიკოვა“. ცნობილი „ანტივირუსოლოგების“ აზრით, „ჭიები“ არ გახლავთ უმაღლესი დონის ვირუსები, თუმცა აღიარებენ, რომ მათი გავრცელების მეთოდი საკმაოდ ეფექტურია. სულ სხვაა ის ვირუსები, რომლებიც აზიანებენ სისტემასა და ფაილებს. ასეთი ვირუსები ძირითადად მცირე ზომის პროგრამებია, კომპიუტერში მოხვედრის შემდეგ, ისინი ხშირად იცვლიან სახელს და ფაილების დიდ სიაში შეუმჩნევლები ხდებიან. ბევრ ვირუსს ახასიათებს თვითგანახლების უნარი. უმეტეს შემთხვევებში ვირუსი კომპიუტერში მოხვედრისთანავე იწყებს თავის შავ საქმეებს. თუმცა არსებობენ ვირუსები, რომლებიც გარკვეულ დრომდე არანაირ მოქმედებას არ ასრულებენ, მაგრამ როგორც კი „ჩამოჰკრავს ზარი“, მაშინვე იწყებენ თქვენი მანქანის განადგურებას. ასეთებში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილია „ჩერნობილი“. ეს ძველი ვირუსია, თუმცა დღესაც ბევრს ახსოვს მის მიერ მიყენებული ზიანი. რამდენიმე წლის წინ „კვირის პალიტრაც“ ახლოს გაეცნო „ჩერნობილს“. ეს ვირუსი ყოველი წლის 26 აპრილს (ჩერნობილის აეს-ის აფეთქების თარიღი) იწყებს მოქმედებას, აზიანებს ფაილებს და შლის სისტემას.

ყველაზე საშიშ ვირუსებად ითვლება ის „ჭიები“, რომლებიც გამანადგურებლის თვისებებს ფლობენ. თუმცა „ანტივირუსოლოგები“ დიდად არ ჩამორჩებიან ვირუსების შემქმნელებს და ყველა ვირუსის წინააღმდეგ „ვაქცინას“ ამზადებენ. ხშირად ეს ისე სწრაფად ხდება, რომ იბადება ეჭვი, თვითონ ანტივირუსების შემქმნელი კომპანიები ხომ არ ქმნიან ვირუსებს, რათა შემოსავლის გარანტირებული წყარო ჰქონდეთ.

ისევე როგორც ადამიანური ავადმყოფობების მკურნალობაში, კომპიუტერის დაავადების შემთხვევაშიც არსებობს მეთოდები, რომელთაც თამამად შეიძლება „ხალხური მედიცინა“ ეწოდოს. მაგალითად: ბევრი ვირუსი კომპიუტერში მოხვედრისთანავე ეძებს დირექტორია WINDOWS-ს და ავტომატურად ინერება სისტემაში. ასეთი ვირუსების მოტყუება ადვილად შეიძლება, ინსტალაციის დროს ოპერაციული სისტემის მთავარ დირექტორიას დაარქვით სხვა სახელი (მაგ, WIN98; WINWIN; ან თუნდაც Jumberi) და ასეთი ვირუსებისგან დაცული იქნებით. მსგავსი ეშმაკობების გაგება არ გაგიჭირდებათ რუსულ საიტებზე, სადაც 24 საათის განმავლობაში მიმდინარეობს ჩათ-ფორუმები, რომლებშიც თქვენც შეგიძლიათ მონაწილეობა, თქვენი პრობლემის განხილვა და საქმიანი რჩევის მიღება.

ჩვენი რჩევა კი ასეთი იქნება: უპირველეს ყოვლისა, მანქანაზე უნდა გქონდეთ რომელიმე ცნობილი ანტივირუსის ახალი ვერსია (სასურველია, ლიცენზირებული), რომელსაც ინტერნეტით ხშირად გააახლებთ. ყურადღებით უნდა გადახედოთ საკუთარ ფოსტას: გაუხსნელად წაშალოთ ყველა უცნობი ადრესატის მიერ გამოგზავნილი წერილი. რა თქმა უნდა, ამან შეიძლება გაუგებრობა გამოიწვიოს, მაგრამ თუ ვირუსი შეგეყარათ, რისკი ნამდვილად არ გაამართლებს. იმ ადრესატებთან კი, ვისთანაც მიმოწერა გაქვთ, დათქვით, რომ წერილს რაიმე განსაკუთრებულ მიმართვას დაურთავთ ხოლმე Subject-ში. ეს იმ შემთხვევაში გამოგადგებათ, თუ ვირუსი ნაცნობის კომპიუტერს შეეყარა და მისი ფოსტის საშუალებით თქვენი მანქანის დალაშქვრაც მოუნდება.

**კომპიუტერული ვირუსი** — არის მცირე ზომის პროგრამა, რომელსაც ახასიათებს უკონტროლო გამრავლების უნარი. ის თავისუფლად უერთდება სხვადასხვა პროგრამას, „აბინძურებს“ კომპიუტერს, აზიანებს სისტემურ და ინფორმაციის მატარებელ ფაილებს. მოკლედ რომ ვთქვათ, წარმატებულად უშლის ხელს კომპიუტერის მუშაობის პროცესს.

**კომპიუტერული „ჭიები“** — ვირუსების ნაირსახეობაა, რომლებიც ქსელში ვრცელდება. ძირითადად ეს ვირუსები კომპიუტერში ჩაწერილ ფაილებს არ აზიანებენ, თუმცა არსებობს ძალზე მავნე ჭიებიც. ეს ვირუსი ძირითადად ელექტროფოსტით ვრცელდება. თუ ასეთი ჭია ერთ-ერთ მანქანაზე მოხვდა ის ავტომატურად უგზავნის საკუთარ ასლს იმ ადრესატებს, რომელთანაც მომხმარებელს აქვს მიმოწერა. ამდენად, ამ ვირუსის გავრცელება კატასტროფულად სწრაფად ხდება.

palitra@kvirispalitra.com

## ცნობილმა ხაკერმა ძფბ-ს თანამოძმეები დააჭერინა

ცნობილმა ხაკერმა, დევიდ სმიტმა, რომელმაც 1999 წელს მრისხანე ვირუსი „მელისა“ შექმნა და ინტერნეტის მომხმარებლებს მრავალმილიარდიანი ზარალი მიაყენა, ძფბ-სთან დაიწყო თანამშრომლობა. როგორც „ასოშეიტედ პრესი“ იტყობინება, სმიტმა სპეცსამსახურებთან კავშირი დაპატიმრებისთანავე დაიწყო. მის მოვალეობაში სხვადასხვა ხაკერის ვირტუალური მეთვალყურეობა შედიოდა. ამ გზით მოხერხდა მრავალი „ვირუსმეიკერის“ გამოთვლა. კერძოდ, ჰოლანდიაში დაპატიმრებულია იან დე ვიტი, რომელმაც „მომხიბვლელი“ „ანა კურნიკოვა“ შექმნა. დიდ ბრიტანეთში კი საიმონ ველორს ჩაავლეს, მან ვირუს „Gokar“-ის საშუალებით მაიკროსოფტს არაერთხელ დაუფრთხო ძილი. ნიჭიერმა დევიდმა ძფბ-სთვის ახალი პროგრამა შექმნა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ნებისმიერი ელექტროგზავნილის გამგზავნის ვინაობის დადგენა. სასამართლომ გაითვალისწინა სმიტის დამსახურებები და 10-წლიანი სასჯელის მაგიერ 20-თვიანი აკმარა.

palitra@kvirispalitra.com

## „მაიკროსოფტი“ მოგებით რეკორდებს ამყარებს

პროგრამული უზრუნველყოფის მსოფლიო გიგანტმა საკუთარი ბალანსი გამოამზეურა. ა.წ. III კვარტალში „მაიკროსოფტის“ მიერ გაყიდული პროდუქციის საერთო ღირებულებამ, „სულ რაღაც“ 8 მილიარდ 215 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. აქედან მოგება 2 მილიარდ 614 მილიონია. ამ ფაქტმა პირდაპირ გააცოფა აშშ-ის საფონდო ბირჟის ექსპერტები, რომლებიც




კომპანიის შემოსავლების შემცირებას ვარაუდობდნენ.

მესამე კვარტალის მოგება რომ ფირმის აქციების რაოდენობაზე გადავიანგარიშოთ, თითოზე — 24 ცენტი გამოდის. ეს კი 28%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ პერიოდზე.

palitra@kvirispalitra.com

## დიდ ბრიტანეთში ინტერნეტ-პედოფილი დაიჭირეს

64 წლის დუგლას ლინდსელი, რომელიც ორი შვილის მამაა, საშინელ დანაშაულში ამხილეს. ეს ვაჟბატონი, ინტერნეტში პატარა გოგოს სახელით შედიოდა და 13-16 წლის გოგონებს უკავშირდებოდა, იგებდა მათ გულისთქმას. შემდეგ შეხვედრას უნიშნავდა და პაემანზე მისულებს სხვადასხვა სექსუალურ გასართობს სთავაზობდა. 18 თვის „საქმიანობის“ მანძილზე დუგლასი ბრიტანეთში 54 გოგონას, ხოლო ევროპის მასშტაბით, 18-ს დაუკავშირდა. ლინდსელი მას შემდეგ დააპატიმრეს, რაც 16 წლის მანჩესტერელ გოგონას საკუთარი ფოტო გაუგზავნა, სადაც შიშველი იყო გადაღებული. სურათზე დუგლასის მისამართი იყო მითითებული. პოლიციას პედოფილის ბინაში მრავალი ასეთი ფოტო დახვდა, რასაც ინტერნეტიდან გადმოქაჩული შიშველი ბავშვების სურათებიც დაემატა. პედოფილს სასამართლომ 3 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა და 16 წლამდე ასაკის ბავშვებთან კონტაქტი აუკრძალა.

palitra@kvirispalitra.com

## კომპიუტერის მიერ გამოწვეული დაავადება

კომპიუტერთან მუშაობა მხედველობას რომ აზიანებს, ეს საყოველთაოდ გავრცელებული აზრია. თუმცა, იაპონელმა მეცნიერებმა ერთ-ერთ კონკრეტულ დაავადებას მიაგნეს, რომელსაც „მშრალი თვალების სინდრომი“ ეწოდება. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, კომპიუტერთან მომუშავე ადამიანი დაახლოებით



5-8-ჯერ ნაკლებად ახამხამებს თვალს, ვიდრე ჩვეულებრივ პირობებში. ამის გამო თვალის გარსი მოკლებულია ცრემლის იმ მცირე დოზას, რომელიც ზედაპირს ანოტივებს და მასზე მოხვედრილ მტვრის ნაწილაკებს ჩამორეცხავს. ცრემლს მოკლებული თვალი კი შრება და ზედაპირზე მიკრობზარები ჩნდება, რაც ხელს უწყობს თვალის სხვადასხვა ინფექციის განვითარებას. იაპონელებმა 1052 კლერკი გამოიკვლიეს და აღმოაჩინეს, რომ 31,2%-ს უკვე ჰქონდა „მშრალი თვალები“, 43,8% კი ავადმყოფობის პოტენციური მსხვერპლი იყო.

რაც შეეხება მკურნალობის მეთოდებს, აქ იაპონელები სხვადასხვა ძვირად ღირებულ საშუალებას გვთავაზობენ, თუმცა როგორც თვითონვე აღიარებენ, თუ ადამიანი თავს გააკონტროლებს და ეცდება თვალი ხშირად ახამხამოს, ეს წამლები აღარ დასჭირდება.

palitra@kvirispalitra.com

## ანეკდოტი

* * *

სომხეთის რადიოს ეკითხებიან:

— კომპიუტერულ სამყაროში რომელია ყველაზე პოპულარული ადამიანი, ბილ გეიტსი?

— არა, დედამისი!

palitra@kvirispalitra.com

## კომპიუტერულ თამაშებში გერმანელებმა მოიგეს

კომპიუტერული თამაშების ოლიმპიადები უკვე ჩვეულებრივ ამბად იქცა და ასეთ ტურნირებში ტრადიციულად, აზიის ქვეყნების წარმომადგენლები იმარჯვებენ. ამჯერად ნავსი გატყდა და სამხრეთ კორეაში ჩატარებული ოლიმპიადის 5 ოქროს



მედალი გერმანიის ნაკრებმა მოიპოვა. თუმცა, მეორე-მესამე ადგილი მაინც ტაივანისა და სამხრეთ კორეის ნაკრებებმა დაიკავეს. ოლიმპიადის საპრიზო ფონდი 350 ათას დოლარს შეადგენდა. პროგრამაში კი 8 ყველაზე პოპულარული თამაში იყო, მათ შორის: Fifa 2003, Age of Mythology, Warcraft III და Hallo. სამხრეთ კორეის მთავრობამ სინანული გამოთქვა საკუთარი ნაკრების წარუმატებელი ასპარეზობის გამო და დაიქადნა, რომ მომავალ, 2004 წლის ოლიმპიადაზე, სან-ფრანცისკოში პირველობას არავის დაუთმობს.

# მედიცინა

## შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც უღრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვეცნობით და მასზე პასუხს უსათუოდ მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი გიწევთ.*

**სამი წელია, რაც გავთხოვდი. ჩემი მეუღლე სიფხიზლეში ძალიან თბილი და მოსიყვარულეა, მაგრამ მთვრალი აუტანელი ხდება — ბევრ სისულელეს სჩადის და მეორე დღეს მიმტკიცებს, რომ არაფერი ახსოვს.**
**მაინტერესებს, მართლა შეიძლება თუ არა ადამიანს არ ახსოვდეს სიმთვრალეში ჩადენილი საქციელი, თუ ამას იგი მხოლოდ თავის მართლების მიზნით მეუბნება.**

*ი.ო. თბილისი*

სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ სიმთვრალის მომენტში, ძლიერი ინტოქსიკაციისას, ნამდვილად შესაძლებელია, რომ ადამიანმა ვერ დაიხსომოს მომხდარი. რაც უფრო დიდხანს სვამს ადამიანი, მით მეტია შესაძლებლობა, რომ მისმა მეხსიერებამ შეწყვიტოს პათოლოგიური მოვლენების შეკავება. სმის მოყვარულებს თანდათანობით უქვეითდებათ ტვინის მიერ ინფორმაციის აღბეჭდვის უნარი. ამას ისინი მეხსიერების უხეშ დარღვევამდე მიჰყავს (ე.წ. კორსაკოვსკის სინდრომი). ასეთ ადამიანებს დარღვეული აქვთ მიმდინარე მოვლენების მახსოვრობა, ვერ იმახსოვრებენ თავს გადახდენილს. ადამიანი შეიძლება შეგხვდეთ, გესაუბროთ, მოგიკითხოთ, ხოლო ერთი წუთის შემდეგ ისე მოგაჩერდეთ, თითქოს მისთვის უცხო იყოთ.

**ტუჩებზე კანი მიშრება, მისკდება და მდის სისხლი. ექიმმა დამიდგინა სოკო. ვიმკურნალე ბევრნაირი პრეპარატით (ქაცვის ზეთით, ნისტატინის საცხით, ლამიზილით და სხვა), მაგრამ არაფერი მშველის. მირჩიეთ რამე?**

*ერთგული მკითხველი*

ხეილიტი (ტუჩების ანთება) სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. მოცემულ შემთხვევაში, როგორც ჩანს, საქმე სოკოვან ინფექციასთან გვაქვს — ეს კანდიდოზური ხეილიტია. იგი იწყება პირის კუთხეებიდან, სადაც ჩნდება ნახეთქები. შემდგომ დაავადება ტუჩების მთელ ზედაპირზე ვრცელდება, ტუჩები იქერცლება, ჩნდება ნადები. უნდა იმკურნალოთ სოკოს საწინააღმდეგო პრეპარატებით (დიფლუკანი, ფარკანი და სხვა. საშუალოდ 150 მლ, თითო კაფსულა კვირაში ერთხელ). სულ აუცილებელია 3 კაფსულის მიღება, ანუ სამკვირიანი კურსი. ტუჩებზე წაისვით პიამფუკორტი ან ტრიდერმი.

ასეთი მკურნალობა შედეგს გამოიღებს, მაგრამ რეციდივი რომ არ განვითარდეს, საჭიროა განისაზღვროს და დაიძლიოს ხეილიტის მიზეზი. მაგალითად, შაქრიანმა დიაბეტმა ან სხვა ენდოკრინულმა დაავადებებმა (ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიებმა) შეიძლება მოგვცეს გართულებები კანდიდოზის სახით. ასევე, ანტიბიოტიკების ხანგრძლივად მიღება, იმუნური სისტემის დასუსტება — ხშირად ააქტიურებს კანდიდოზურ ინფექციას.

**შესაძლებელია თუ არა, მოწვის შემდეგ, ნაწლავური პოლიპების ხელმეორედ გაჩენა? რამდენ ხანში შეიძლება ეს მოხდეს?**

*პატივისცემით თამაზ ბუთურიშვილი*

მსხვილი ნაწლავის პოლიპები კეთილთვისებიანი სიმსივნური წარმონაქმნებია. მაგრამ ისინი აუცილებლად საჭიროებს მკურნალობას, თუ პოლიპის ზომა 5მმ-ს აღემატება. მათი ელექტროკოაგულაცია (მოწვა) გამოიყენება, როგორც სამკურნალო მეთოდი. შემდგომში ისინი ისევ შეიძლება გაჩნდეს, მაგრამ პოლიპის რეციდივის განვითარების პროცენტი ძალიან მცირეა. პოლიპის ჰისტოლოგიური (უჯრედული) სტრუქტურის გამოკვლევის შემდეგ, სპეციალისტები იძლევიან დასკვნას, თუ განვითარების რომელ სტადიაზე იყო ეს წარმონაქმნი.

სწორედ ჰისტოლოგიური სტრუქტურის შესაბამისად ინიშნება პაციენტზე დაკვირვება მინიმუმ სამი წლის განმავლობაში. ყველაფერი დამოკიდებულია დაავადების სტადიასა და პოლიპის ზომებზე.

## კარაბადინი

**ვეხმაურები თქვენს მკითხველს, რომელიც ითხოვდა თმის ცვენის საწინააღმდეგო წამალს. ეს რეცეპტი ბებიისგან მაქვს ნასწავლი და ვიცი, რომ ბევრი ადამიანი კმაყოფილი დარჩა მისი გამოყენებით.**
**აიღეთ 100 გრამი ძირხვენის ნედლი ფესვი, დაასხით 200 გრამი მცენარეული ზეთი. დააყოვნეთ 1 დღე-ღამე, შემდეგ კი ხარშეთ 15 წუთით დაბალ ცეცხლზე და გაწურეთ. მიღებული მალამო უნდა შეიზილოთ თმის ძირებში. გაიჩეროთ 45 წუთი და შემდეგ თბილი წყლითა და საპნით ჩამოიბანოთ. ეს პროცედურა 10 დღის განმავლობაში ყოველდღიურად უნდა ჩაიტაროთ. შემდეგ შეისვენეთ ერთი კვირა და ისევ ჩაიტარეთ ათდღიანი კურსი.**

*ღრმა პატივისცემით იოსებ გაგაძე*

**ექიმის კომენტარი:** ძირხვენა ანუ ოროვანდი ხალხურ მედიცინაში უძველესი დროიდანაა ცნობილი. მკურნალობის მიზნით გამოიყენება ფესვი, რომელიც შეიცავს ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, დიდი რაოდენობის პოლისაქარიდ ინულინს, 12%-მდე პროტეინს, ეთეროვან ზეთს, პალმიტინის, სტეარინის მჟავებს, მთრთიმლავ ნივთიერებებს და სხვა.

სამედიცინო თვალსაზრისით, გამოსადეგია მხოლოდ ერთი წლის მცენარის ფესვები, რომელიც უნდა შეგროვდეს ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე, როცა ფესვი წვნიანი და ხორციანია. ცივ წყალში გარეცხვის შემდეგ აშრობენ ჩრდილში ღია წესით.

ოროვანდის ფესვი ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ძლიერ შარდმდენ და ოფლის მომგვრელ საშუალებად. ხმარობენ თირკმლების, ღვიძლისა და შარდის ბუშტის კენჭოვანი დაავადებისას, შაქრიანი დიაბეტის, ნიკრისის ქარის, ქრონიკული შეკრულობის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის კატარისა და წყლულოვან დაავადებათა დროს. იხმარება აგრეთვე გარეგან საშუალებად, მალამოს სახით ქრონიკული ეგზემის, ბუასილის, თმის ცვენის, ნივთიერებათა ცვლის მოშლის, რევმატიულ დაავადებათა სამკურნალოდ.

ოჯახურ პირობებში ნაყენი ასეთი წესით მზადდება: 1 ს/კ მშრალ, დაკეპილ ფესვს მომინანქრებულ ჭურჭელში ასხამენ 2 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, აყოვნებენ 12 საათს. წურავენ და მიღებულ გამონაცემს სვამენ 1 დღის განმავლობაში. ნახარშს კი, ასეთი წესით ამზადებენ: 2 სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ ფესვს მომინანქრებულ ჭურჭელში ათავსებენ, ასხამენ 0,5 ლ მდუღარე წყალს, ახურავენ სახურავს და ადუღებენ 30 წუთით. გაწურვის შემდეგ სვამენ ორ-ორი სუფრის კოვზის რაოდენობით დღეში 4-5-ჯერ ან მოიხმარენ, როგორც გარეგან საშუალებას. რაც შეეხება მკითხველის მიერ მოწოდებულ რეცეპტს, ხალხურ მედიცინაში არსებობს ოროვანდის ნაყენის (ექსტრაქტის) მომზადებისა და გამოყენების პრაქტიკა თმის ცვენის სამკურნალოდ. ასეთი ექსტრაქტი მზადდება ნუშის ან ზეითუნის ზეთით.

*მოამზადა თამარ მამაცაშვილმა*

## მკითხველი — მკითხველს

**ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ გულგრილნი არ დარჩებით და გულისხმიერებით მოეკიდებით ჩემს პრობლემას. გთხოვთ, გამოაქვეყნოთ ჩემი შეკითხვა გაზეთში, რათა იქნებ მსგავსი პრობლემით შეწუხებულმა მკითხველმა მირჩიოს რამე. უკვე რამდენიმე წელია გადაკეტილი მაქვს ცხვირი, მიჭირს სუნთქვა, განსაკუთრებით ღამით. ვიყავი ექიმთან (თანაც არაერთხელ), ჩავიტარე მკურნალობა, მაგრამ უშედეგოდ. ხომ არ არის თქვენთვის ცნობილი ეფექტიანი ხალხური საშუალება ასეთი შემთხვევისათვის?**

*პატივისცემით გულნარა ბარდაველიძე*

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი შეკითხვა მოდის. ყველა მათგანს ჩვენი რუბრიკა ვერ დაიტევს. ამიტომ გადავწყვიტეთ ზოგიერთზე პასუხი „კვირის პალიტრის“ დამატებაში — სამედიცინო ჟურნალ „ოჯახის მკურნალში“ მოგაწოდოთ. ჟურნალმა უკვე შეიძინა უამრავი მკითხველი და საკმაოდ ფართო გამოხმაურებაც ჰპოვა საზოგადოებაში. გავითვალისწინეთ მკითხველის ინტერესები და უფრო მრავალფეროვანი ინფორმაციის მიწოდების მიზნით ჟურნალის მოცულობა გავზარდეთ — ახლა იგი 60-გვერდიანია.*

## „მემარჯვენეები და მემარცხენეები“

ცაციები იყვნენ ცეზარი და ჟანა დ’არკი, ნაპოლეონი და ჩერჩილი, კაფკა და ინგლისის დედოფალი ელისაბედი. ცაციათა რიცხვი იზრდება. თუკი 1930 წელს ისინი მოსახლეობის მხოლოდ 3%-ს შეადგენდნენ, 1950 წელს ეს რიცხვი 5%-ით გაიზარდა. ამჟამად კი, ყოველი მეხუთე დედამიწელი ცაციაა. შვედი მეცნიერები ცაცია კაცობრიობის პროცენტულ ზრდას ტექნიკურ პროგრესს უკავშირებენ. მათ 179 ათასი ადამიანი გამოიკვლიეს და გამოარკვიეს, რომ ცაცია ბავშვის დაბადებას რამდენადმე ხელს უწყობს მომავალი დედების ხშირი სტუმრობა ულტრაგამოკვლევის კაბინეტში.

*ჯენტე*

## გენიალური შერეკილები

დისლექსიით დაავადებულები არასრულყოფილებად ითვლებიან, (უძნელდებათ კითხვა და გაჭირვებით მეტყველებენ), მაგრამ გამოკვლევამ ცხადყო, რომ ხშირად ისინი გაცილებით მეტს აღწევენ ცხოვრებაში, ვიდრე სრულყოფილი ადამიანები.



ჰოლივუდის ცნობილმა მსახიობმა კიანუ რივზმა დიდი გაჭირვებით ისწავლა წერა-კითხვა, ასოები ერეოდა, სიტყვებს დამარცვლით ძლივს კითხულობდა. თანაკლასელები „კრეტინს“ ეძახდნენ, მასწავლებლებს კი ხელი ჰქონდათ ჩაქნეული, რომ რამეს მაინც ასწავლიდნენ. კიანუმ ვერ დაამთავრა საშუალო სკოლა, და როცა მსახიობობა გადაწყვიტა, სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩნდა — დიდი ვაი-ვაგლახით სწავლობდა სცენარებს. ხელს არ ჰკიდებდა დიდი მოცულობის ტექსტებს, თავის რეპლიკებს ძლივს იმახსოვრებდა. გამოსავალი იპოვა — დაიწყო სცენარების შინაარსის ხატვა, ამ გზით სიუჟეტს უფრო ადვილად იმახსოვრებდა. სურათების ხატვისას კიანუს უკვე ესმოდა თავისი გმირის ხასიათი და როლში უკეთ შედიოდა. მალე ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და მაღალანაზღაურებადი მსახიობი გახდა. თუმცა, რეჟისორები მაინც უკმაყოფილონი იყვნენ — გადასაღებ მოედანზე შენელებული რეაქცია აქვს და სიტუაციებს მძიმედ აღიქვამსო. მსახიობი ამას განიცდიდა, მაგრამ მკურნალი ექიმისგან შეიტყო, რომ შტერი კი არაა, არამედ არის ადამიანი, რომელიც სხვაგვარად აზროვნებს.

დისლექტიკებს ძლიერად აქვთ განვითარებული ტვინის მარჯვენა ნახევარსფერო, რომელიც სწრაფ აზროვნებასა და ათვისებაზეა პასუხისმგებელი. ამის გამო დაზარალებულია მარცხენა ნახევარსფერო, რომელიც პასუხს აგებს მეტყველებასა და წერაზე. ამიტომ ისინი აზროვნებენ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, შეუძლიათ სწრაფი გადაწყვეტილების მიღება და უკეთ ორიენტირება გარკვეულ სიტუაციაში. თურმე, დისლექსიით მილიონერების 40% არის დაავადებული. კიანუს ძალიან გაუკვირდა, როცა შეიტყო, რომ დისლექსიით დაავადებულნი ყოფილან ტომ კრუზი, შერი და ვუპი გოლდბერგი. მეცნიერები მათ წარმატებას ხსნიან იმით, რომ ვინაიდან ისინი ღრმად ვერ სწვდებიან დეტალებს, უკეთ ხედავენ მოვლენას მთლიანობაში და შეუძლიათ ნამდვილად ორიგინალური იდეების წამოჭრა.

დისლექსიის მიზეზი შეიძლება აბსოლუტურად განსხვავებული იყოს. ცაცია ტომ კრუზს დისლექსია განუვითარდა იმიტომ, რომ აიძულებდნენ, ეწერა მარჯვენა ხელით. გამოკვლევის შემდეგ ექიმმა მას აღმოუჩინა დაბალი წნევა. რაც, შესაძლოა დისლექსიის ერთ-ერთი მიზეზი იყოს. ჰიპერტონიკების სისხლში არის ცილა, რომელიც არეგულირებს არტერიულ წნევას და სისხლის შედედებას. ასეთ ხალხს სისხლი ნელი ტემპით სდით, ეს კი, თავის ტვინის ფუნქციის ცვლას იწვევს.

რივზმა მკურნალობის კურსის ჩატარებისა და ლოგოპედთან სერიოზული მუშაობის (საჭიროა ბევრი კითხვა ხმამაღლა და თანაც ძალიან რთული ტექსტების) შემდეგ სამუდამოდ დაივიწყა თავისი დაავადება.

*ოკნა №40*

## რა ვიცით პიტნის შესახებ

**პიტნა შეიცავს ეთეროვან ზეთს, რომელიც შედგება მენთოლის, კატაბალახას, ძმრის, ლინოლენის და ოლეინის მჟავების, გლუკოზისა და რამნოზასგან (მონოსაქარიდი). ამ აქტიური ქიმიური ნივთიერებების წყალობით ის ფართოდ გამოიყენება მედიცინაში, საკვებში, როგორც სანელებელი და - პარფიუმერია-კოსმეტიკაში. მას იყენებენ ყველასათვის ცნობილი წამლის — ვალიდოლის დასამზადებლად. პიტნას შეიცავს ძალიან ბევრი ტკივილგამაყუჩებელი და დამამშვიდებელი წამლები.**
**გთავაზობთ ზოგიერთ რეცეპტს:**



**ჰიპერტონული დაავადების დროს:**
2ჩ/კ პიტნის ფოთოლს დაასხით 1 ჩ/ჭ მდუღარე და 30 წუთით ადუღეთ. მიიღეთ 1 ს/კ ნახარში 2-ჯერ დღეში — ორი კვირის განმავლობაში.

ჭურჭელს, რაშიც პიტნა ინახება ან ნახარში ასხია, თავი მჭიდროდ დაახურეთ, რათა არ აორთქლდეს ეთეროვანი ზეთი.

**ასთენიისა და გულის არეში არასასიამოვნო შეგრძნებების დროს:**
3-3 ს/კ პიტნისა და შროშანის ფოთოლს დაასხით 300 მლ მდუღარე, გააჩერეთ ცოტა ხანს. მიიღეთ 1 ჩ/კ ნაყენი 2-ჯერ დღეში.

**სტენოკარდიის სამკურნალოდ და პროფილაქტიკისათვის:**
3-4 ჩ/კ პიტნას, 3 ჩ/კ კამის თესლს ან ფოთოლს დაასხით 250 მლ მდუღარე. მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 2-ჯერ დღეში. მკურნალობის კურსია 2 კვირიდან 2 თვემდე, შეისვენეთ 2-3 კვირა.

**ვენების ვარიკოზული გაფართოების დროს:**
3 ჩ/კ პიტნას და 2 ჩ/კ ყვითელი ძიძოს ფოთოლს დაასხით 500 მლ მდუღარე წყალი. ნაყენის კომპრესი გაიკეთეთ 30 წუთის განმავლობაში — დღეში 3-ჯერ. მკურნალობის კურსია 3 კვირა.

ვარიკოზული გაფართოების ადგილებში შეიძლება შეიზილოთ პიტნის ზეთი დღეში 2-ჯერ.

**კუჭის მოქმედების ტრაქტის დარღვევისა და ფაღარათის დროს, მადის გასაუმჯობესებლად:**
2ს/კ პიტნას დაასხით 500 მლ მდუღარე და მიიღეთ 2 ს/კ ნაყენი 2-3ჯერ დღეში.

**ყაბზობის დროს:**
4 ს/კ პიტნასა და 20გ ხეშავს დაასხით 1ლ მდუღარე, გააჩერეთ 8 საათი და მიიღეთ 2ს/კ ნაყენი 4-ჯერ დღეში. ნაწლავების პერისტალტიკას აუმჯობესებს ასევე, თუ მიიღებთ 1ს/კ პიტნის ზეთს.

**გაციებისა და გრიპის დროს:**
პროფილაქტიკისთვის ცხვირში შეიზილეთ პიტნის ზეთი, ჩაიწვეთეთ მენთოლის წვეთები. კარგია პიტნის ინჰალაცია: 50გ პიტნის ფოთოლს დაასხით 1ლ მდუღარე, გააჩერეთ 20 წუთი და შემდეგ ისუნთქეთ 10 წუთი.

ინჰალაცია გაიკეთეთ დღეში 3-4-ჯერ.

**ლარინგიტისა და ფარინგიტის დროს** ყელში გამოივლეთ (10 დღის განმავლობაში) 40 წვეთი პიტნის ზეთისა და 1 ჩ/ჭ წყლის ნაყენი.

**ნევრასთენიის დროს:** 30 გ პიტნის ახალ ფოთოლს და ჟენ-შენის 2 ცალ ფესვს დაასხით 70%-იანი სპირტი და გააჩერეთ ერთი თვე. მიიღეთ 10 მლ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

**წელის არეში რადიკულიტის დროს:**
შეიზილეთ პიტნის ზეთი ან გაიკეთეთ მისი ფოთლების ნაყენის კომპრესი. 50გ პიტნის ფოთოლს დაასხით 300 მლ მდუღარე, გააჩერეთ 2 საათი და კომპრესი გაიკეთეთ ყოველ 2 საათში ერთხელ.

კომპრესის შემდეგ მტკივნეული ადგილი თბილად შეიხვიეთ.

**თირკმლების ტკივილის დროს:**
1). 1,5გ პიტნის, 20გ ჩვეულებრივი სუროს ფოთოლს, 15გ საგველიანი აბზინდის ფოთოლს და 12გ მხოხავ ჭანგას ფესვებს დაასხით 400მლ მდუღარე. გაჩერეთ 3 საათი და მიიღეთ 1 ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

2). 12გ პიტნას, 10გ ფშნის ეკალს, 15გ მოცხარის ნაყოფს და 10გ თირკმლის ჩაის დაასხით 300მლ წყალი, გააჩერეთ 4 საათი და მიიღეთ 1ს/კ ნაყენი 3-ჯერ დღეში.

*ჩასტნაია ჟიზნ №5*

# ფულის ლეიბ-საბანი მკურნალი ყოფილა

უჩვეულო ქვეშაგებს სთავაზობს შეძლებულ მყიდველს საწარმოო გაერთიანება „ღამე მშვიდობისას“ პატრონი ფელიქს რაზუვაევი. მისი ლეიბები, საბნები და ბალიშები მომხმარებელს ტკბილ ძილს, სიმშვიდეს და ზოგჯერ ხვრინვის შეწყვეტასაც ჰპირდება. ლოგინის მთელი საიდუმლო „შიგთავსია“: ბამბასთან, ბუნებრივ შალთან და ბუმბულთან ერთად შიგ მოთავსებულია დაქუცმაცებული საბჭოთა ფულის კუპიურები. „სამკურნალოდ“ საუკეთესოა ქაღალდის მანეთიანები, ეტყობა, ძველი სტაბილურობის გამო. ადამიანებს სიამოვნებთ ფულით გატენილ ლოგინში წოლა, თითქოს ფულში დაცურავდე, ეტყობა, იქიდან ბარაქიანი სამკურნალო ეფექტი იფრქვევა. ბევრი ითხოვს ბუმბულში ცოტა დაქუცმაცებული დოლარის ან ევროს შერევას, რათა ძილში უზრუნველი მომავალი იხილოს, მაგრამ ასეთი ნაწარმი გაცილებით ძვირია“, — ამბობს რაზუვაევი.

*მეგაპოლის-ექსპრესი* **№41**

# ჭამეთ... და არ გასუქდებით!



შიმშილი არა გსურთ, მაგრამ წონაში დაკლება გინდათ, ხომ ასეა?

არის გამოსავალი: შეეცადეთ მოატყუოთ კუჭი დაბალკალორიული საკვებით, მაგალითად: სალათებით, ბოსტნეულით, მოხარშული ხორბლით. ეს საკვები არა მარტო ავსებს კუჭს, არამედ აწესრიგებს საჭმლის მონელებას. თუ შიმშილის გრძნობა არ გასვენებთ, შეიძლება საუზმესა და სადილის შუალედში ახრამუნოთ სტაფილო ან კიტრი, ვახშმის წინ — პომიდორი. დაიცავით ეს წესები და წონაში დაიკლებთ. თანდათანობით გადაეჩვევით „მავნე“ საკვების მიღებას. გარდა ზემოთ აღნიშნულისა, შეიძლება კვირაში ერთხელ გამოყოთ განტვირთვის დღე ან ყოველი ჭამის წინ დალიოთ ჭიქა წყალი.

*ლიზა* **№43**

# პურის მოყვარულთა საყურადღებოდ



დაღერღილი ჭვავის ფქვილის პური არარეკომენდებულია კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობისას. უმჯობესია გამოირიცხოს ღვიძლის, ნაწლავების, ნაღვლის ბუშტის დაავადებების და წყლულის დროსაც. ამ დროს მიირთვით გაუფუებელი ლავაში (ხმიადი) ან უმარილო დიეტური პური. თირკმლის უკმარისობისას ჭამეთ ცილებით ღარიბი პური, ის არ გადატვირთავს თირკმლებს. კუჭის აშლილობისას არ შეიძლება ჭვავის და შავი პურის მიღება, სჯობს ჭამოთ ხორბლის პურის ორცხობილა.

ხმიადი გაცილებით სასარგებლოა, ვიდრე — ფუმფულა და გემრიელი. ბუტერბროდისთვის გაახმეთ პური ღუმელში ან ტოსტერში. პურის მთლიანად ამოღება რაციონიდან, არ შეიძლება. დაუშვებელია პურში შემავალი ვიტამინების მოკლება ორგანიზმისთვის.

*ოტდოხნი!* **№44**


**ვმკურნალობთ**

**ქრონიკულ პროსტატიტს**

– ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წთ-ში;
– ენდოსკოპია იაპონური აპარატურით;
– კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.

**მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.**



ჟურნალი მკურნალი

**თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის**



**რადიკულიტი, ოსტეოქონდროზი, სქოლიოზი, კიფოზი, მეწაღისებური და ქათმისებური გულმკერდი, სიმაღლეში ზრდა.**



**მრავალი წლის განმავლობაში ამ დაავადებებს დიდი წარმატებით მკურნალობს ცნობილი მანუალური თერაპევტი, ექიმი სოსო ფირცხალაიშვილი, საზღვარგარეთ დამუშავებული მეთოდებით: მანუალური თერაპია, სამკურნალო მასაჟი, სამკურნალო ფიზკულტურა, ტრენაჟორები.**

მობრძანდით 11სთ-დან 20 სთ-მდე
აღმაშენებლის 90/84 სად, სართ.
ტელ: 95-47-67; 899-26-51-08



*პირველად საქართველოში!*

**მამაკაცთა სექსუალური პრობლემების უნიკალური კომპიუტერული დიაგნოსტიკა ულტრათანამედროვე აპარატურით და მკურნალობა:**

სქესობრივი აქტის ჩატარების გამნელება ან შეუძლებლობა, აქტის ნაადრევი დასრულება ან გახანგრძლივება, იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება, ასოს სიმრუდეების კორექცია, ფიმოზი.

**ზუსტი დიაგნოზი და ჩვენი მრავალწლიანი გამოცდილება თქვენი მაქსიმალური გაჯანსაღების გარანტიაა!!!**

კ. ჩაჩავას სახ. პერინატალური მედიცინის და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი მ. კოსტავას 38, სექსოლოგიური სამსახური, მე-2 სართული, ტელ: **99 64 99**
მიღება 10-17 სთ-მდე, შაბათ-კვირის გარდა
**ანონიმურობა დაცულია!**


**იქნებ მოგვითხროთ ბავშვის განვითარების შესახებ 1-3 წლის ასაკში.**
*გ. გორგოშია, ქ. თბილისი*

ბავშვის ძირითადი უნარ-ჩვევებისა და ხასიათის ჩამოყალიბება პირველი სამი წლის განმავლობაში იწყება და მიმდინარეობს. ამიტომ არის, რომ ამ ასაკის ბავშვის აღზრდაში დაშვებული შეცდომების შედეგს მშობელი ხშირად მთელი სიცოცხლე იმკის.

**ტვინის განვითარება:** 1-დან 3 წლამდე ბავშვის ტვინი ძალზე სწრაფად ვითარდება, აქტიურად მყარდება ტვინის უჯრედებს შორის ე.წ. კავშირი; 3 წლისათვის უჯრედთა რიცხვი დაახლოებით 1000 ტრილიონს აღწევს. 11 წლიდან ის კავშირები, რომლებიც არ გააქტიურებულა, ქრება, ტვინი თავისუფლდება ზედმეტი უჯრედისაგან, ანუ ტვინი ვითარდება პრინციპით — „გამოიყენე, თორემ დაკარგავ“. ასე რომ, მშობლებზეა დამოკიდებული მომავალში ბავშვის მიღწევები, ათვისების უნარი, აზროვნებისა და შემეცნების, საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევათა განვითარება.

**ბავშვის წონა და სიმაღლე**: 1-დან 3 წლამდე ბავშვი კვლავ სწრაფად იზრდება. 2 წლამდე წონის მატება თვეში საშუალოდ 200-250 გრამია, წლის განმავლობაში — დაახლოებით 2-3 კგ. 2-დან 3 წლამდე კი წლიურად იმატებს 2 კგ-ს.

თუკი ბავშვი წონაში არ იმატებს, მიმართეთ ექიმს — ეს შეიძლება ბავშვის ავადმყოფობის ან არასრულფასოვანი, ერთფეროვანი კვების შედეგი იყოს.

2 წლამდე ბავშვი სიმაღლეში დაახლოებით 10-12 სმ-ს იმატებს, 2-დან 3 წლამდე 8 სმ-მდე.

**კბილების ამოჭრა:** სარძევე კბილების ამოჭრა 1 წლის ასაკის შემდეგ ინტენსიურად მიმდინარეობს. მე-12-13 თვიდან იწყება ზედა, ხოლო მე-13-15 თვიდან — ქვედა გვერდითი საღეჭი კბილების და შემდეგ ეშვების ამოჭრა. 2 წლის ბავშვს უკვე 20 სარძევე კბილი აქვს.

**კვება:** — ბავშვი ძუძუთი კვებეთ 2 წლამდე. 1 წლის შემდეგ თანდათანობით შეამცირეთ კვების სიხშირე და ხანგრძლივობა. 1,5 წლის ასაკიდან ბავშვი დედის რძეს დღეში ერთხელ მაინც უნდა იღებდეს, ვინაიდან იგი იცავს ბავშვს მრავალი დაავადებისაგან, ხელს უწყობს იმუნური სისტემის ჩამოყალიბებას.


**რჩევები**



**დედებს**


— ბავშვს დღეში 4-ჯერ აჭამეთ, შუალედებში — ხილი და ორცხობილა შესთავაზეთ;

— 1 წლის ბავშვის საკვები უნდა დაიჭყლიტოს, დაიკეპოს, რათა პატარამ ადვილად გადაყლაპოს;

დაუშვებელია ბავშვის კვება თამაშისა და სირბილის დროს;

— 1 წლის შემდეგ პატარა ცდილობს თვითონ დაიჭიროს კოვზი და ჭამოს. ხელი შეუწყვეთ მას ამ საქმიანობაში;

— თუკი პატარა უარს ამბობს ამა თუ იმ საკვებზე, არ დააძალოთ;

— იცოდეთ, რომ ამ ასაკში ბავშვის გამძაფრებული მადა თუ უმადობა, ასევე მის კვებასთან დაკავშირებული სხვა მრავალი პრობლემა სრულიად ნორმალური მოვლენაა;

— თუ ბავშვი გამუდმებით უარს ამბობს ჭამაზე და არ იმატებს წონაში, მიმართეთ ექიმს.

**მოძრაობის განვითარება:** 1-3 წლის ასაკის ბავშვი სწრაფად, სასაცილოდ დაბაჯბაჯებს... წონასწორობასაც უკეთ ინარჩუნებს.

**მოძრაობის უნარის განვითარების ვადებია:**

— ძირს დავარდნილ საგანს ისე იღებს, რომ აღარ ეცემა — 12-24 თვემდე;

— სავარძელზე აცოცებას ახერხებს — 12-24 თვემდე;

— საკმაოდ კარგად დადის — 24-30 თვემდე;

— საბავშვო სქელფურცლიანი წიგნის გადაფურცვლა შეუძლია 18-24 თვემდე;

— ხელში იჭერს კოვზს, ახერხებს ღილების შეკვრას — 24-36 თვემდე;

— შეუძლია ფანქრის ხელში დაჭერა და ხაზების მრუდედ გავლება — 12-36 თვისას;

— თავისუფლად დარბის, შეუძლია პატარა წინაღობებს გადააბიჯოს, მართავს ველოსიპედის საჭეს — 36 თვიდან.

**მეტყველების განვითარება:** დაახლოებით 1 წლის პატარას ესმის, რას ეუბნებით და პირველ სიტყვებსაც ამბობს. 3 წლის ასაკში უკვე ოჯახის ერთ-ერთი აქტიურად მოუბარი წევრია.

***გახსოვდეთ,*** რაც უფრო ხშირად ესაუბრებით პატარას, მით მალე ალაპარაკდება.

— ესაუბრეთ ბავშვს, როცა აჭმევთ, ბანთ, აცმევთ;

— ნუ დაასრულებთ ბავშვის მიერ დაწყებულ ფრაზას, მიეცით საშუალება, ეს თავად გააკეთოს;

— გახსოვდეთ, რომ ბავშვი ლაპარაკს მიბაძვით სწავლობს. ამიტომ ესაუბრეთ სწორად და გამართულად ისევე, როგორც მოზრდილს;

— ხშირად დაათვალიერებინეთ ნახატებიანი წიგნები, წაუკითხეთ ზღაპრები, მოთხრობები, ლექსები;

— ხშირად უმღერეთ. ბავშვი სიმღერით სიტყვებს უკეთ იმახსოვრებს.

*მაია მუხიგული*

# ბადრიჯანი — ვიტამინების საკუჭნაო



ბადრიჯანი ძალიან სასარგებლოა სისხლძარღვთა მოქმედების დარღვევისას, ათეროსკლეროზის პროფილაქტიკური მკურნალობისათვის. პექტინური ნივთიერებები, რომელსაც ის შეიცავს, ორგანიზმიდან განდევნის ქოლესტერინს და საგრძნობლად ამცირებს მის დონეს სისხლში. ეს ბოსტნეული მდიდარია მელონგენით, რომელიც ამარაგებს კაპილარებს კალიუმის მარილებით. ამიტომ, ექიმები ურჩევენ პაციენტებს, მიიღონ ბადრიჯანი გულის მუშაობის გასაუმჯობესებლად და ორგანიზმიდან სითხის გამოსადევნად. სპილენძის, რკინის, მანგანუმის და კობალტის დიდი შემცველობის წყალობით, ბადრიჯანი აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას, ამაღლებს ჰემოგლობინს და ხელს უწყობს ერითროციტების წარმოქმნას. ამიტომ, სასარგებლოა მისი მიცემა სისხლნაკლული ბავშვებისა და ქალებისათვის, რომელთაც მძიმე მშობიარობა გადაიტანეს.

დაკეპეთ უმი ბადრიჯანი და შეურიეთ რამდენიმე ცალი ფინიკი. ხარშეთ 30 წთ დაბალ ცეცხლზე 1 ლ წყალში. გაწურეთ და სვით. თითო მიღებაზე დალიეთ 0,5 ლ.

*ოტდოხნი!* **№43**

# ალატირი — ჯადოსნური ქვა



ბალტიის ზღვის კუნძულ რიუგენზე ოდითგან მოიპოვება ქვა ალატირი (ქარვა). მას ქურუმები ოქროზე ძვირფასად მიიჩნევდნენ. ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე იცოდნენ მისი სამკურნალო თვისებების შესახებ. ჰიპოკრატე მას უნიშნავდა თირკმლების, მუცლის, თავის ტკივილის, მოწამვლის დროს, აგრეთვე ჭლექით დაავადებულებს. ქარვა კურნავს ქალურ დაავადებებს, უნაყოფობას. ბავშვებს კი იფარავს „ავი თვალისაგან“. გამა-თერაპევტები (მინერალური ქვების შემსწავლელი) ამტკიცებენ, რომ ქარვა ანეიტრალებს მფლობელზე უარყოფითი ბიოველების გავლენას.

რეკომენდებულია მისი ტარება ყელზე — გულის, ქამარზე ან წელზე — ხერხემლისა და მუცლის დასაცავად. ეს ასე იხსნება: ქარვა ქვა კი არ არის, არამედ მილიონი წლების მანძილზე გაქვავებული წიწვოვანი ხეების ფისოვანი ნივთიერებაა.

ცნობილია ქარვის ზემოქმედება ჩიყვზე. ქარვისაგან იღებენ აგრეთვე D ვიტამინს.

ქარვისაგან გამოყოფილ ნივთიერებებს ამატებენ საპონს, კბილის პასტას, რევმატიზმის სამკურნალო საგანგებო დანიშნულების კრემებს, ამზადებენ მუნდშტუკებს სპეციალურად მწეველთათვის, რომელიც ფილტვზე უარყოფითი ზეგავლენის ხარისხს ამცირებს.

*მირ ნოვოსტეი* **№34**


**კლინიკური მედიცინის ცენტრი გთავაზობთ:**

- **დიაგნოსტიკურ განყოფილებაში პედიატრის, ენდოკრინოლოგის, ნევროპათოლოგის, თერაპევტის, კარდიოლოგის, ალერგოლოგის, ქირურგის, ტრავმატოლოგის, ოტოლარინგოლოგის, ოფთალმოლოგის, დერმატოლოგის, ექიმ-კოსმეტოლოგის (აგრეთვე ეპილაცია) მომსახურებას, ფიბროგასტროსკოპიულ, ულტრასონოგრაფიულ, რენტგენოლოგიურ (მამოგრაფიის ჩათვლით), კლინიკურ, იმუნოლოგიურ, ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევებს;**
- **ქალთა კონსულტაციას, რეპროდუქტოლოგიურ კაბინეტს, მომავალი მშობლების სკოლას;**
- **სამეანო განყოფილებას;**
- **ახალშობილთა განყოფილებას;**
- **გინეკოლოგიურ განყოფილებას;**
- **თავისა და კისრის განყოფილებას (თვალის სნეულებანი, ყელ-ყურ-ცხვირის ქირურგია, ყბა-სახის ქირურგია, ენდოკრინული და სისხლძარღვთა ქირურგია);**
- **ქირურგიულ-ორთოპედიულ განყოფილებას (ტრავმატოლოგია, ორთოპედია, ზოგადი ქირურგია, ნეიროქირურგია, უროლოგია, ენდოსკოპიური ქირურგია — ლაპარასკოპია);**
- **სტომატოლოგიურ განყოფილებას თერაპიული, ქირურგიული და ორთოპედიული მომსახურებით;**
- **რეაბილიტაციის სამსახურს(ფიზიოთერაპია, სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟოთერაპია).**

კლინიკაში პაციენტებისათვის შექმნილია საუკეთესო ოჯახური პირობები (ინდივიდუალური პალატები და სამშობიარო ბლოკები აბაზანებით, აუზი, გათბობა, ცხელი წყალი, ტელევიზორი სატელიტური პროგრამებით, ტელეფონი, კვება) და მაღალი ხარისხის სამედიცინო სამსახური თანამედროვე ტექნოლოგიური აღჭურვილობით.

**ვემსახურებით ყველას, განურჩევლად ასაკისა და სქესისა.**
**მობრძანდით, კმაყოფილი დარჩებით.**
**მადლობას გიხდით ნდობისთვის.**

*მის: ცოტნე დადიანის №255*
*(ყოფ. I სამშობიარო სახლი)*
☎ 66-73-70 71 72 73 74



**აშშ**

# ნიუ-იორკი დამშვიდდა

აშშ-ში გამოქვეყნდა გფბ-ს სენსაციური ანგარიში, რომელშიც ნიუ-იორკი ამერიკის დიდ ქალაქებს შორის ყველაზე უსაფრთხო ქალაქადაა დასახელებული. ეს დამსახურება მიეწერება მეგაპოლისის ამჟამინდელ მერს, მაიკლ ბლუმბერგს, თუმცა ცნობილია, რომ დამნაშავეობას მან კი არა, ყოფილმა მერმა რუდოლფ ჯულიანიმ მოუღო ბოლო. ჯულიანიმ მსოფლიოს წამყვან დედაქალაქებში კონსულტაციებიც ჩაატარა კრიმინალთან ბრძოლის საკითხებზე. მისი წინადადება საკმაოდ მარტივი აღმოჩნდა. ნიუ-იორკში წესრიგის დამყარება მან პორნომაღაზიების დახურვით დაიწყო, მეძავეებსა და უსახლკაროებს ქალაქის გარეუბნებში მიუჩინა ადგილი. ტაქსისტებისათვის ჯულიანიმ შემოიღო ახალი წესები და საჯარიმო სისტემა. ქალაქში დაიწყეს წესრიგის წვრილმანი დამრღვევების მიმართ მკაცრი სასჯელის გატარება (ციხეში ჩასმაც კი). მათ შორის ხვდებოდნენ მაგ., მეტროს უბილეთო მგზავრები ან ის, ვინც ქუჩას არასათანადო ადგილას გადაკვეთდა. როგორ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, ჯულიანიმ მიზანს მიაღწია — ნიუ-იორკი მშვიდ ქალაქად იქცა.

*ოგონიოკი №42*

**შრი-ლანკა**

# კუნძულ ცეილონზე საკონსტიტუციო კრიზისია

შრი-ლანკის პრეზიდენტმა ჩანდრიკა კუმარატუნგამ ისარგებლა თავისი მთავარი პოლიტიკური ოპონენტის — პრემიერ-მინისტრ რანილ ვიკრემასინჰეს აშშ-ში ყოფნით, გადააყენა სამი მინისტრი და შეაჩერა პარლამენტის მუშაობა.



პრეზიდენტი ჩანდრიკა კუმარატუნგა და პრემიერ-მინისტრი რანილ ვიკრემასინჰე

კაბინეტის ყველაზე გავლენიანი წევრების — თავდაცვის, შინაგან საქმეთა და საინფორმაციო საშუალებათა მინისტრების გადაყენება ჩვეულებრივი საქმე არ არის. პრეზიდენტის კანცელარიის განცხადებით, სახელმწიფოს მეთაური ამ გზით შეეცადა, ალეკვეთა უშიშროების თვალსაზრისით მდგომარეობის გაუარესება. პრეზიდენტ კუმარატუნგას გადაწყვეტილება იმის მომასწავებელია, რომ ქვეყნის თავდაცვას, შინაგან საქმეთა სამინისტროს და საინფორმაციო საშუალებებს თვითონ გააკონტროლებს. შრი-ლანკა საკონსტიტუციო კრიზისში ჩაეფლო. ქვეყნის უშიშროებას კი ახლა ნამდვილად შეექმნა საფრთხე — „ტამილელ ვეფხვებთან“ ძლივს შეკოწიწებული მშვიდობიანი ურთიერთობა ისევ დაიძაბა.

*ნიუზუიქი*

# პუტინს „დიდი რვიანიდან“ გაძევებით დაემუქრნენ



„ნეოიმპერიალიზმი უცხოეთში და ავტორიტარული კონტროლი ქვეყნის შიგნით“, — ასე დაახასიათა პუტინისეული რუსეთი ამერიკელმა სენატორმა ჯონ მაკ-კეინმა. მან განაცხადა, — ბუშმა არ უნდა მოიწვიოს პუტინი „დიდი რვიანის“ მომავალ სამიტზე, რომელიც 2004 წლის ივნისში შტატებში გაიმართებაო. ჩანს, სენატორი ფიქრობს, რომ იქ პუტინის ყოფნა ჩრდილს მიაყენებს დემოკრატიული ქვეყნების მეთაურთა შეხვედრას. მისი აზრით, რუსეთს აღარც კრედიტი უნდა მისცენ, რადგან „დემოკრატიული ძალებისა და საბაზრო კაპიტალიზმის წინააღმდეგ გალაშქრება რუსეთში, საფრთხეს უქმნის ამერიკა-რუსეთის ურთიერთობას და ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცივი ურთიერთობის ეპოქის წინამორბედია“. სენატორმა ილაპარაკა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ჩახშობაზე, ჟურნალისტებისა და საზოგადო მოღვაწეების მკვლელობაზე, ჩეჩნეთში მშვიდობიანი მოსახლეობის გაჟლეტაზეც. მაკ-კეინის აზრით, გამორიცხული არ არის, სიმართლეს შეესაბამებოდეს ისიც, რომ 1999 წელს მოსკოვში აფეთქებები თავად რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მოწყობილი იყოს, თუმცა ხელისუფლება ამაში „ბოევიკებს“ ადანაშაულებს. 2000 წელს ჩეჩნეთში ახალი ომი სწორედ ამ საბაბით დაიწყო.

მაკ-კეინის გამოსვლას რუსეთის მძაფრი რეაქცია მოჰყვა. აშშ-ში რუსეთის საელჩოს განცხადებაში ნათქვამია: — მაკ-კეინის გამოსვლა ცივი ომის სულისკვეთებითაა გაჟღენთილი. სენატორი ვითომ „იუკოსზე“, რუსეთში დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკის ბედზე ზრუნავს, სინამდვილეში კი რუსეთ-ამერიკის ახლანდელ და მომავალ სტრატეგიულ პარტნიორობას უთხრის ძირს.

*ნიუს რუ*

# ევროკავშირი მომავალ წევრებს პრეტენზიებს უყენებს

ევროკავშირის აღმასრულებელმა კომისიამ საბოლოოდ მოიწონა მის შემადგენლობაში კიდევ 10 სახელმწიფოს შესვლა. ეს უნდა მოხდეს 2004 წლის 1-ელ მაისამდე. თუმცა კომისიის წევრებმა ევროკავშირის პოტენციურ წევრებს მიუთითეს იმ ნაკლოვანებებზე, რომლებსაც სლოვენიას, მალტას, ჩეხეთს, სლოვაკიას, უნგრეთს, ესტონეთს, ლატვიას, ლიტვას, კვიპროსსა და პოლონეთს ხელს შეუშლის საერთო ევროპული პრივილეგიებით სარგებლობაში. თუ ეს ქვეყნები დაუყოვნებლივ არ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს, მათი მოქალაქეები ვერ ისარგებლებენ ევროკავშირის წევრის უპირატესობით, — ნათქვამია კომისიის მოხსენებაში.

პოლონეთმა, უნგრეთმა, ჩეხოსლოვაკიამ, მალტამ და ლატვიამ შენიშვნა კვების მრეწველობაში სავალდებულო სტანდარტების უქონლობის გამო მიიღეს. მანამ, სანამ ეს ქვეყნები შესაბამისობაში არ მოიყვანენ სტანდარტებს, მათ მიერ წარმოებული პროდუქტების გავრცელება შეზღუდული იქნება.

ევროსაბჭოს მომავალმა წევრებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ კორუფციასთან ბრძოლას, რადგან ამ ქვეყნებში კორუფციის დონე საკმარისად მაღალია.

*იზვესტია №202*

# „როდინამ“ ბასაევი „შეუკვეთა“

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ ამერიკის ადმინისტრაციამ უპირველეს ტერორისტად გამოაცხადა უსამა ბინ ლადენი. მერე ვაშინგტონმა დიდი ჯილდო დააწესა სადამ ჰუსეინსა და მის ვაჟებზე ინფორმაციისთვის. უდეი და ყუსაი თავისიანებმა გასცეს და გასამრჯელოც მიიღეს.

რუსეთში ჩეჩენი ტერორისტების ხელში ჩასაგდებად ჯილდო აქამდე არავის დაუწესებია, თუმცა ომი მეცხრე წელია გრძელდება და რუსეთმა დიდი მსხვერპლი გაიღო. ამ დღეებში ბლოკ „როდინას“ ინიციატივით მისმა ლიდერებმა — გლაზიევმა, როგოზინმა და შპაკმა თავიანთი წინასაარჩევნო ფონდიდან რუსეთის საზომით საკმაოდ დიდი თანხა — 15 მლნ რუბლი (ნახევარი მილიონი დოლარი) გამოყვეს. ამ ფულს მიიღებს ის, ვინც მოუხელთებელ შამილ ბასაევს მიაგნებს. გლაზიევის თქმით, ბასაევი დიდ საფრთხეს უქმნის ყველას. ფული, რომელსაც ინფორმატორს გადაუხდიან, ბანკში ბლოკ „როდინას“ ანგარიშზეა, მისი გადახდის ბოლო ვადა 2004 წლის 7 იანვარია. ანონიმურობა, რა თქმა უნდა, დაცული იქნება. ცხადია, სჯობს სამართალდამცავებს ცოცხალი ბასაევი ჩაუვარდეთ ხელში, რათა სასამართლოს გამართვა შესაძლებელი გახდეს.



ბასაევის გარდა, პასუხი უნდა აგონ სხვა ჩეჩენმა „ბოევიკებმაც“ — ასლან მასხადოვმა, რუსლან გელაევმა, აბუ ალ-ვალიდიმ და მოვლადი უდუგოვმა. იქნებ სხვა პარტიებმა ახლა მათ „თავებზე“ დააწესონ ჯილდო და რუსეთში ტერორიზმი სულაც უთავოდ დარჩეს.

*კომსომოლსკაია პრავდა №204*

# გვერდის ფოტო



შიდსი კოცნით გადადის? პრეზიდენტი ბუში დარწმუნებულია, რომ არა. შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდისათვის 15 მლნ დოლარის გადაცემის ცერემონიაზე მან უშიშრად აკოცა ამ საზარელი ავადმყოფობით ინფიცირებულ ზამბიელ პრინცესა ზულუს. ზამბიაში ყოველი მეხუთე ინფიცირებულია.

# მოკლედ

**ინგლისურმა** გაზეთმა „სანდი ტაიმსმა“ გამოაქვეყნა დიდი ბრიტანეთის უმდიდრეს მცხოვრებთა ახალი რეიტინგი. პირველი დასახელდა ჩუკოტკის გუბერნატორი, საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ მეპატრონე რომან აბრამოვიჩი. ის წელს 564 მლნ გირვანქა სტერლინგით გამდიდრდა. ქალებში ლიდერია — ჰარი პოტერის „დედა“, მწერალი ჯოან როულინგი.

**ახლო აღმოსავლეთში** დიდი ომის სუნი დატრიალდა: არაბულ ქვეყნებს გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არ გამოუჩენიათ ებრაელთა სახელმწიფოს მიმართ ასეთი აგრესია — ლიბანი და სირია ისრაელის წინააღმდეგ ერთობლივ ღონისძიებებს ამზადებენ.

**ტელეკომპანია** CBS-მა გამოიძია, რომ პალესტინის ავტონომიის თავკაცი იასირ არაფატი თავის მეუღლეს, სუხის ყოველთვიურად 100 ათას დოლარს უგზავნის ქვეყნის აღსადგენად გამიზნული სახსრებიდან. მოძიებული მასალებით გამოირკვა, რომ სუხის ანგარიშზე, რომელიც თავის გოგონასთან ერთად პარიზში ცხოვრობს, 800 მლნ დოლარზე მეტი დაგროვდა.

**აშშ** იმ რადიოელექტრონული დაზვერვის მსხვილი ცენტრის დახურვას გეგმავს, რომელიც ბად-აიბლინგშია (გერმანია) განლაგებული. სამხედრო ობიექტი 2004 წლის 30 სექტემბერს შეწყვეტს მუშაობას. ბად-აიბლინგის ობიექტზე 1,8 ათასი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე მუშაობს. მათ სხვა სამხედრო ბაზებში გადაიყვანენ. ცენტრი 3 ათეულ წელზე მეტია არსებობს და მას ამერიკის სხვადასხვა სპეცსამსახური იყენებს. ზოგიერთი მონაცემით, ის შედის გლობალურ სისტემა „ეშელონში“, რომელსაც ელექტრონული არხებით გადაცემული ინფორმაციისა და მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში სატელეფონო საუბრის დაჭერა შეუძლია.

**პაკისტანსა** და **დიდ ბრიტანეთს** შორის უსიამოვნება მოხდა. მიზეზი ლონდონში, პაკისტანის საელჩოში, ინგლისის კონტრდაზვერვის მიერ მოსასმენი აპარატურის დაყენების შესახებ „სანდი ტაიმსის“ მიერ გამოქვეყნებული მასალებია. პაკისტანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესმდივანმა განაცხადა, — დიდ ბრიტანეთს ყოველთვის ჩვენს მეგობრად მივიჩნევდით. ამ ამბავმა უსიამოვნო განწყობა შეგვიქმნა, მაგრამ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას არ მივიღებთო.

**რუსეთში** 1-ელ ნოემბერს „მანქანათმშენებელი ქარხნების გაერთიანების“ ხელმძღვანელი კახა ბენდუქიძე „ატომსტროიექსპორტის“ პრეზიდენტი გახდა. ეს რიგითი მოვლენა არ არის, რადგან „ატომსტროიექსპორტი“ საზღვარგარეთ ატომური ენერგოსადგურის მშენებლობის დარგში მონოპოლისტია და სწორედ ეს კომპანია აშენებს ირანის ატომურ სადგურს.

*გვერდი მოამზადა ნანა ანტონოვა-ილურიძემ*

**საერთაშორისო საქველმოქმედო ორგანიზაცია**
**SOS-Kinderdorf International-ის**
**ნამდვილი წევრი საქართველოს**
**SOS-ბავშვთა სოფელი**

***დაინტერესებულ პირებს გიწვევთ სამუშაოდ ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელისა (1 ვაკანსია) და პედაგოგის ( 2 ვაკანსია) თანამდებობაზე!***

❖ გსურთ გახდეთ საქართველოს SOS-ბავშვთა სოფლის ოჯახის წევრი?
❖ გსურთ გაუწიოთ დახმარება ობოლ და მშობელთა მზრუნველობას მოკლებულ მოზარდებს?
❖ გეძლევათ შანსი გქონდეთ სტაბილური ანაზღაურების მქონე სამუშაო ადგილი.

*ძირითადი მოთხოვნები:*
- 30-45 წლის
- უმაღლესი პედაგოგიური, სოციალურ-პედაგოგიური ან ფსიქოლოგიური განათლება
- ბავშვებთან/მოზარდებთან მუშაობის გამოცდილების მქონე (ახალგაზრდული ცენტრის ხელმძღვანელისათვის 3-5 წელი, პედაგოგისათვის 2 წელი)
- სოციალური უზრუნველყოფისა და საგანმანათლებლო სისტემის ცოდნა
- მოზარდებთან/ახალგაზრდებთან მუშაობის სურვილი, მზაობა სტრესულ პირობებში მუშაობისათვის
- გუნდური მუშაობის უნარი
- მოქნილობა, მოთმინებისა და მიმტევლობის უნარი
- საქმიანობისათვის საჭირო პროფესიული განათლების მიღებისა და მისი მუდმივი სრულყოფისათვის მზადყოფნა და სურვილი.

**დაინტერესებულმა პირებმა 2003 წლის 30 ნოემბრამდე უნდა გამოგვიგზავნონ ავტობიოგრაფია**

მისამართი: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის პრ. 11ა, 12-15 საათამდე;
ტელ: 37 31 75; 96 93 56
სასურველია დაკვიკავშირდეთ ელ. ფოსტით.
ელ. ფოსტა: sosgeo@gol.ge
საკონტაქტო პირი: ნინო ჩიტია



# დაისხომეთ ოლიგარქებო: რუსეთში ხელისუფლება იქნება თქვენი ზედამხედველი



*სტანისლავ ბელკოვსკი ნაციონალური სტრატეგიის საბჭოს გენერალური დირექტორია. იგი 1970 წელს დაიბადა რიგაში. მუშაობა დაიწყო კონსტანტინე ბოროვოისთან, იყო დაახლოებული ბორის ბერეზოვსკისთან. 1999 წელს თანამშრომლობდა სერგეი დორენკოსთან. ირწმუნება, რომ საბოლოოდ გაემიჯნა ბერეზოვსკის. ზოგიერთები მას პიტერის ჩეკისტების „რუპორად“ მოიხსენიებენ. სხვები ამტკიცებენ, რომ იგი — ნიჭიერი მისტიფიკატორია, რომელმაც თავად მოიგონა „როსნეფტის“ მეთაურთან, ბოგდან ჩიკოვთან სატელეფონო საუბრის ტექსტი იმის თაობაზე, რომ დროა „იუკოსი“ ჩაიძიროს (დაიბეჭდა ინტერნეტში, რასაც დიდი სკანდალი მოჰყვა).*

*როგორც არ უნდა იყოს, ბელკოვსკი ავტორია მოხსენებისა — „სახელმწიფო და ოლიგარქია“, რომლის შემდეგაც დაიწყო „იუკოს-ის“ საქმე.*

*გთავაზობთ ინტერვიუს ბელკოვსკისთან.*



**— რატომ არ გიყვართ ჩვენი ოლიგარქები?**

— არ მიყვარს? პატივისცემით ვარ მათ მიმართ გამსჭვალული. სამყარო, რომელიც თავის გარშემო შექმნეს, ეს ხომ არც ბურჟუაზიული საზოგადოებაა და არც კლასიკური კაპიტალიზმი. სულის სიღრმეში ჩვენს ოლიგარქებს მიაჩნიათ, რომ ისინი გამდიდრდნენ ბედისწერის წყალობით, მათ თავი ღვთის რჩეულებად მიაჩნიათ, ამიტომ მათთვის ფული — წმინდა სუბსტანციაა. ოლიგარქმა შეიძლება საკუთარ დაბადების დღეზე 2 მილიონი დახარჯოს, მაგრამ უჭირს შეეგუოს აზრს ქველმოქმედების შესახებ, რადგან ამ შემთხვევაში საკრალური სუბსტანცია (ანუ ფული), რომლის ქურუმიც თავადაა, გადადის გაუნდობელთა, პროფანთა ხელში.

ლოგიკის მიხედვით, ოლიგარქს სახელმწიფო სულაც არ სჭირდება. თითოეულ მათგანს ისედაც გააჩნია თავისი კერძო არმია, სპეცსამსახურები, მილიცია, ჯანმრთელობის დაცვა, განათლების სფერო. ყველა დანარჩენი კი, ვინც არ ხვდება ოლიგარქიულ ველში, შეიძლება მოისროლო ყინულოვან ოკეანეში ან გაასახლო უდაბნოში.

და ცხადია, ოლიგარქები დარწმუნებულნი არიან, რომ ქვეყნის მართვა მხოლოდ დიდი ფულის პატრონს შეუძლია — ზეციურ რჩეულებს.

**— როგორ ფიქრობთ, ვინ არის ყველაზე მსხვილი ოლიგარქი?**

— ყველაზე მთავარი ოლიგარქია რომან აბრამოვიჩი. იგია ოლიგარქიული სისტემის იდეოლოგი, მისი დროშა. დანარჩენ ოლიგარქებს ის არ უყვართ, მაგრამ იქცევიან მისგან მომდინარე ორიენტირების შესაბამისად.

**— ის რა, — წინასწარმეტყველია?**

— არა, ის უბრალოდ სრულიად ერგება მოლოქის ოლიგარქიულ რელიგიას. აი, ბერეზოვსკი და გუსინსკი — საბჭოთა წყობის შობილები არიან, ტიპური ინტელიგენტები, ერთი — თეატრის რეჟისორი, მეორე — მეცნიერი მუშაკი. და სწორედ იმიტომ მოეცარათ ხელი, რომ დიდი თავდადებით არ ემსახურებოდნენ „კურთხეულ ფულს“ და სხვა რაღაცებსაც უთმობდნენ ყურადღებას — პოლიტიკას, მასმედიას, ხელოვნებას. აბრამოვიჩს კი არ შეეხო რუსული საბჭოთა კულტურის გამხრწნელი გავლენა. სსრკ-ის კრახის მომენტში ის სულ 25 წლის იყო. მის თავში არაფერია ისეთი, რაც ხელს შეუშლიდა ოლიგარქიული დოქტრინის რეალიზებაში.

ბერეზოვსკი და გუსინსკი — იმის ნათელი მაგალითია, რა მოუვა ოლიგარქს, თუკი ის გადაუხვევს რუსეთის უმსხვილესი ბიზნესის საბაზო ღირებულებებს. ხოდორკოვსკიც იმავეს დემონსტრირებაა: იგი ოლიგარქიული კონვენციის წინააღმდეგ წავიდა, როცა გადაწყვიტა, კონტროლზე აეყვანა უმსხვილესი ოპოზიციური პარტიები. ვერ ვხედავ, რომ დიდი ბიზნესის რომელიმე წარმომადგენელი გამოსულიყო მის დასაცავად.

**— როგორ უყურებთ ოლიგარქიული რუსეთის მომავალს?**

— რაც დღეს ჩვენს ქვეყანაში ხდება, მაგონებს XX საუკუნის დასაწყისის რუსეთის იმპერიას ან სსრკ-ის მომწიფებული გორბაჩოვშინის პერიოდს. ჩვენ მივემართებით დაღუპვისაკენ. თუ პესიმისტური სცენარით ვიხელმძღვანელებთ, შესაძლოა 5-7 წლის შემდეგ რუსეთი საბოლოოდ დაინგრეს. ოლიგარქებმა ეს მშვენივრად უწყიან. შემთხვევითი არ არის, რომ ისინი ყიდიან თავიანთ აქტივებს ტრანსნაციონალურ კორპორაციებზე, რითიც ემიჯნებიან ქვეყნის პრობლემებს. აქტივების გაყიდვით ისინი იღებენ სახსრებს, რომელიც საკმარისია ლეგალიზაციისათვის დასავლეთში, სადაც ჩვენს ოლიგარქებს პირველი სიდიდის ვარსკვლავობა სურთ, ოღონდ არა პოლიტიკურ, არამედ ზეპურ ფენებში. აბრამოვიჩი, რომელმაც „ჩელსი“ იყიდა, ამ პროცესის პიონერად მოგვევლინა. რუსეთი კი მათთვის მიზანი და თავისთავადი ღირებულება კი არ არის, არამედ ზეშემოსავლის ამოღების ინსტრუმენტია. გამონაკლისი — ხოდორკოვსკია, რომელსაც გაუჩნდა პოლიტიკური ამბიციები. სწორედ ამიტომ დაისაჯა.

**— თქვენი გამონათქვამებით ოლიგარქებს მორალური ზარალი მიაყენეთ. ამისთვის ხომ არავის შეუწუხებიხართ, უბრალოდ რომ ვთქვათ, ხომ არ უცემიხართ?**

— მშვენივრად მესმის, როცა ოლიგარქების წინააღმდეგ გამოვდივარ, რაზე მივდივარ. შემხვედრიან, გულითადი საუბარიც გვქონია, აუხსნიათ, რა საშიში ხალხია ოლიგარქები... მაგრამ ყველანი კაცნი ვართ. არ ვაზვიადებ საკუთარ როლს ამ პროცესში. მე თუ არა, ვინმე სხვა გამოთქვამდა ამგვარ იდეებს. ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა ვებრძოლოთ ოლიგარქების მონოპოლიას ხელისუფლებაზე, მაგრამ ერთადერთი, ვისაც შეუძლია ებრძოლოს ამას ეფექტურად — პრეზიდენტია.

## ხოდორკოვსკი „იუკოსს“ ტოვებს

„იუკოსის“ თავმჯდომარე მიხაილ ხოდორკოვსკი თავის პოსტს ტოვებს. ამას იუწყება ინტერფაქსით გადაცემული მისი განცხადება.

„უახლოეს წლებში მიზნად მქონდა, ამეგო საერთაშორისო ენერგეტიკული კომპანია — გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი ლიდერი, მაგრამ დღეს შექმნილი სიტუაცია მაიძულებს, უარი ვთქვა კომპანიის განვითარებაში ჩემს მონაწილეობაზე. როგორც ხელმძღვანელი, ვალდებული ვარ, ყველაფერი ვიღონო, რათა ჩვენს შრომით კოლექტივს ავაცილო დარტყმა, რომელიც მომართულია ჩემკენ და ჩემი პარტნიორებისკენ. მე მივდივარ კომპანიიდან. დარწმუნებული ვარ, რომ გამოცდილი მენეჯერების მაღალპროფესიული, შეკრული გუნდი დირექტორთა საბჭოს მხარდაჭერით წარმატე-



ბით გაართმევს თავს „იუკოსის“ ბიზნესის გლობალიზაციის ამოცანას“, — ნათქვამია განცხადებაში.

„ჩემი პირადი სამომავლო გეგმები უკავშირდება რეგიონალური საზოგადოებრივი ორგანიზაციის, „ღია რუსეთის“ თავმჯდომარეობას... სადაც არ უნდა ვმუშაობდე, ყველაფერს გავაკეთებ ჩემი ქვეყნისთვის — რუსეთისათვის, რომლის მომავლისაც მტკიცედ მწამს“, — ვკითხულობთ დოკუმენტში.

დოკუმენტში აგრეთვე აღნიშნულია, რომ „ნავთობის კომპანია „იუკოსის“ წარმატებას ანალოგი არა აქვს რუსეთისა და საერთაშორისო ბიზნესში“. ბოლო შვიდი წლის მანძილზე ლიკვიდირებულ იქნა 3 მილიარდი დოლარის დავალიანება, ნავთობის მოპოვების თვითღირებულება კი 6-ჯერ შემცირდა. ბიუჯეტში შეტანილი ნებისმიერი დონის გადასახადები წელს 5 მილიარდ დოლარს გადააჭარბებს. 100 მილიონი დოლარი ყოველწლიურად მიმართულია ქველმოქმედებაზე.

„სამამულო საქმიან პრაქტიკაში პირველებმა ჩვენ შევქმენით ყველაზე ეფექტური კომპანია ქვეყანაში“ — ნათქვამია განცხადებაში.

## მილიონერის ახალი საკანი

მიხაილ ხოდორკოვსკი ახალ საკანში გადაიყვანეს, თანაც გენპროკურატურის მითითებით — „ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად“.

ოთხადგილიანი საკანი უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს; ხოდორკოვსკის და მისი ორი „კოლეგის“ კამერა 15 კვმ-ია, დგას მაცივარი, ტელევიზორი, რკინის საწოლები და ტუმბოები. უნიტაზი მეზობელ ოთახშია. მეორე მხრიდან, კედლის იქით — საშხაპეა. საკანში, ადრინდელი საკნიდან განსხვავებით, მუდმივად არ ანთია ნათურა — არის მორიგე სინათლე, რომელიც არ ჭრის თვალს. სურვილისამებრ შეუძლიათ, დრო შეამოკლონ შაშის ან ჭადრაკის თამაშით.

ციხის სიამაყე ბიბლიოთეკაა, სადაც ტუსაღებს სთავაზობენ საბჭოთა, რუსული და საზღვარგარეთული ლიტერატურის დიდ არჩევანს — კლასიკური რომანებიდან დაწყებული, „ბოევიკებით“ დამთავრებული. სხვათა შორის, „იუკოსის“ შეფმა უკვე მოინახულა „სულიერი ტაძარი“ და გაოცებულიც დარჩა წიგნების მენიუთი. ჯერჯერობით მუდმივი ან დროებითი მკითხველის ბარათი არ შეუვსია, თქვა, რომ ახლობლებმა და მეგობრებმა მიაწოდეს ბლომად წასაკითხი.

მაგრამ ჯერჯერობით ხოდორკოვსკი მხოლოდ გაზეთებს კითხულობს — გაზეთები დასტობით მოაქვთ მის ქვეშევრდომებს ყოველდღიურად.

ოლიგარქის განკარგულებაშია — სანიტარული ნაწილი, სადაც მაღალი კლასის ექიმები მუშაობენ. ძველი ადგილსამყოფლისგან განსხვავებით, საკვების ან ნივთების გადაცემა ნებადართულია არა თვეში ერთხელ, არამედ კვირაში ერთხელ. ხოდორკოვსკისთან ერთად ახალ საკანში სხედან „ბიზნესელიტის“ წარმომადგენლები: ერთი მათგანი ეჭვმიტანილია საბანკო სფეროს ეკონომიკურ მაქინაციებში, მეორე — საგადასახადო აფერაში. ერთი სიტყვით, ერუდირებული ხალხია. ისინი, როგორც ბადრაგმა თქვა, თბილად შეხვდნენ ახალმოსულ ხოდორკოვსკის, გამოთქვეს თანაგრძნობა, შემდეგ კი „სამი საათი ინტერვიუს იღებდნენ“.

თავიდან უსიამოდ შეექცეოდა ციხის საკვებს ოლიგარქი, ახლა კი ნელ-ნელა ეჩვევა. მოიწონა კიდეც საკვების ხარისხი და გემრიელად შეექცა თავის ულუფას.

რაც შეეხება ახლობლებისგან მიღებულ პროდუქტს, ოლიგარქი სიამოვნებით უმასპინძლდება თავისი საკნის ამხანაგებს (მაცივარი ძლივს იკეტება, იმდენი ნუგბარი ინახება შიგ).

რას უყურებს „იუკოსის“ მეთაური ტელევიზიით?

საკანში დგას ტელევიზორი „ფუნაი“ (ეკრანი დიაგონალით — 37 სმ), რომელიც კარგად იღებს JHN-ს, და YND-ს პროგრამებს. ტუსაღები ძირითადად ახალ ამბებს უცქერენ. ხოდორკოვსკის ნება დართეს, გაიკეთოს ყურთსასმენები, რათა ხელი არ შეეშალოს.

## PS.

*კომპანია „იუკოსის“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე გადამდგარ მიხაილ ხოდორკოვსკის შეცვლის სემიონ კუკესი. იგი აშშ-ის მოქალაქეა. ნავთობის გიგანტის სტრატეგიასა და განვითარებასაც ამერიკელი სტივენ ტიდი უხელმძღვანელებს. ხოდორკოვსკი რჩება „იუკოსის“ აქციონერად. გენერალურ პროკურატურაში თვლიან, რომ მიხაილ ხოდორკოვსკის თვითგადადგომა არანაირ გავლენას არ მოახდენს იმ კრიმინალური საქმეების გამოძიებაზე, რომელშიც ის ფიგურირებს.*


საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
8 ნოემბრიდან დაადგინა ლარის მიმართ უცხოური
ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,1200 |
| ევრო | 2,4202 |
| ინგლ. გირვანქა სტერლინგი | 3,5262 |
| რუსული რუბლი | 0,0711 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,4086 |


## ადვოკატებს მირილაშვილის გამართლების იმედი აქვთ

რუსეთის უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ პატიმრობის ვადა შეუმცირა ცნობილ პეტერბურგელ მეწარმეს მიხეილ მირილაშვილს.

შეგახსენებთ, რომ კონცერნ „პეტრომირისა“ და კორპორაცია „კონტის“ პრეზიდენტის, აგრეთვე მსოფლიოს ებრაელთა კონგრესის რუსეთის განყოფილების ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის კრიმინალური ისტორია 2000 წელს დაიწყო, როცა პეტერბურგში მოიტაცეს მამამისი. გამტაცებლებს — „კანონიერ ქურდებს“ — გოჩა ცაგარეიშვილსა და ავთანდილ კერვალიშვილს 5 მლნ დოლარის მიღება სურდათ, მაგრამ იძულებულნი გახდნენ, უფროსი მირილაშვილი უსასყიდლოდ გაეთავისუფლებინათ. უმცროსმა მირილაშვილმა არ აპატია გამტაცებლებს, მათ თანამზრახველებს — რ. დვალსა და კ. კაკუშაძეს მირილაშვილის დაცვამ ცემით ამოხადა სული. მ. მირილაშვილს მკვლელობა ვერ დაუმტკიცეს, ბრალდებად ადამიანების გატაცება და სხვის ბინაში შეჭრა წაუყენეს და 12 წელი მიუსაჯეს. ახლა კი ბრალდების ნაწილი მოუხსნეს და სასჯელი 8 წლამდე შეუმცირეს. ადვოკატები ამ განაჩენსაც ასაჩივრებენ და იმედოვნებენ, რომ მალე მიხეილ მირილაშვილის სრულ გამართლებას შეძლებენ.

***უცხოური პრესის მიხედვით***


ასლგადამღები აპარატები
1. იჯარა - ლიზინგი
უნივერსიტეტებს, ორგანიზაციებს, ოფისებს
2. იჯარა გამოსყიდვით
3. საერთო ბიზნესი
თქვენგან მოითხოვება საკუთარი ფართი
4. გაყიდვა გარანტიით
ტექნიკური მომსახურება და სერვისი

ქსეროასლები
შავ-თეთრი წითელი ლურჯი
2-დან 5 თეთრამდე
ტირაჟის, ფერის და ქაღალდის მიხედვით
ფერადი ქსეროასლები
კომპიუტერიდან ბეჭდვის შესაძლებლობით
აკინძვა, ლამინირება
პლაკატების, ბუკლეტების, ეტიკეტების, ლოგოების და მოსაწვევი ბარათების
მხატვრულ-დიზაინერული და კომპიუტერული გაფორმება

შ.პ.ს. კომპანია „ლიბკო“ LIBCO. Company LTD
თბილისი, დ. აღმაშენებლის №99/1, მოზარდ-მაყურებელთა თეატრი, ყოფ. შეროზიას ქ-დან, ტელ/ფაქსი: 96-32-89

„ტრანსტროისის“ ფირმის
მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
ძალიან იაფად
ფერები: თეთრი, ნაბლის ტექსტურით, მუხა, მუქი მუხა, მაკაგონი, წითელი ხე და ა.შ.
ჩვენი პროფილი — 3-კამერიანია
მის: წერეთლის 141 მ. „დიდუბის“ გვერდით
☎ 966-779; 61-32-37; 34-49-40; 899-51-51-09; 899-902-091

შპს „გეოკორი“ აწარმოებს

ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02

# ცხოვრებისეული კურიოზები

## წულა კოსტავა

ბათუმში ყველა იცნობს სტუმართმოყვარე, ენაკვიმატ, იუმორით სავსე კაცს, წულა კოსტავას. ეს ამბავი კომუნისტების დროს მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეულებისამებრ, წულას ოჯახში შეიკრიბნენ მისი ახლობლები და მეგობრები. სანამ თამადას დანიშნავდა, წულა იღებს ჭიქას და გაბრაზებული სახით იწყებს (გაოცებულები უყურებენ, ვერ გაიგეს რა ხდებოდა):

— ჩემო საყვარელო ხალხო, ამ ჭიქით მინდა გამოვთქვა ჩემი დიდი გულისტკივილი და გთხოვთ გვერდში დგომას (დაიძაბა სუფრა). მინდა ერთად ვადღეგრძელო ჩემი მეუღლე და ჩემი სამმართველოს უფროსი.

ყველა წულას უყურებს და გასუსული უსმენენ, ვერ გაუგიათ, რა ხდება. წულა კი აგრძელებს: — მეტი აღარ შემიძლია, ყველაფერს აქვს საზღვარი, მეც ჩემი თავმოყვარეობა მაქვს, დღეს უნდა გაირკვეს ყველაფერი.



მოკლედ, დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია. სუფრის ერთი წევრი წამოდგა და წულას ეუბნება: — ბოლოს და ბოლოს, გვითხარი რაშია საქმეო.

— ჰოდა, გეტყვით ახლავე (დიასახლისი და სამმართველოს უფროსი ფერდაკარგულები დგანან), საქმე იმაშია, რომ ვერც ჩემი უფროსი გავაძღე ფულით და ვერ ჩემი ცოლი!.. ერთიც უნდა გამოვცვალო და მეორეცო!..

***„ბათუმელი“***

## ჩაშლილი „გარიგება“

ჩემს მეგობარს, დედაბუდიანად ქუთაისელს, ქუთაისში ცნობილ კაცურ კაცს, ავსტრია-საფრანგეთში სტაჟირებულს, შესანიშნავ სტომატოლოგს ლევან კაკაბაძეს (მკითხველს ვთხოვ, რაც მოხდა არავინ დაიბრალოს) სამკურნალოდ მიადგა ზესტაფონელი ცოლ-ქმარი. ლევანმა ჯერ ცოლი გასინჯა, მერე ქმარი... დიდხანს იქნია თავი, ბევრი სამუშაოა, ძვირად ღირებული მასალები მჭირდებაო, კბილები იტალიიდან უნდა გამოვიწეროო...



— რამდენი დაგვიჯდება ყველაფერი ესო, — დაინტერესდა ქალი.

ოქროსხელება სტომატოლოგმა დაასახელა თანხა და პაციენტებს გადახედა. კაცი ჭერს უყურებდა გაოცებული, ქალმა კი იხტიბარი არ გაიტეხა და მკურნალთან „გარიგება“ დააპირა:

— მაგდენის საშუალება არა გვაქვს, ჩემო ბატონო, — ნახევარს მოგართმევთ თანხით, ნახევარს კიდევ ნატურით. ამაში შედის გოჭი, თიკანი, დედლები, ინდაური, წიწილები, ყველი და ფქვილი.

წამოვარდა ქმარი ზეზე და გაცეცხლებული ეუბნება ცოლს: — გადეირიე ქალო, შენე? კბილები მე იმიზა მჭირდება, შენ რო ჩამოთვალე, იგი შევჭამო, თვარა, აქანე ლევანიას სანახავად კი არ ჩამოვსულვარ!..

მკურნალობა ჩაიშალა.

***ვაჟა ჭყონია, ქუთაისი***



## შეკითხვა

შინდისფერი „ნივა“ მყავს, აგერ უკვე 5 წელია. ამას წინათ სვანეთში ვიქეიფე ბიძაშვილის ოჯახში. კარგად რომ შევთვერით, სიმღერა დავიწყე: „ყვავილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე...“ დივანზე ჩემი ბიძაშვილის შვილი, 10 წლის ბექა იწვა, თავი ასწია და მკითხა: — ე, ჯანო ბიძია, „ნივა“ გაყიდეე?!

ატყდა სიცილი.

***ჯანო ონიანი, ქუთაისი***

## ორიგინალური განცხადება:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს რეკლამა ინტერნეტში: „ვისაც გახდომა გსურთ, გახდით საქართველოს მოქალაქე“.

***თემურ ტუღუში, ლანჩხუთი***



# მკითხველის საყვარელი ანეკდოტი

მთელი 3 საათი ითამაშეს კალათბურთი ერთი ერთზე ბუჭუტიამ და ოთარიამ. ვერაფრით ვერ ჩააგდო ბურთი ვერც ერთმა, არის 0:0. მერე საჯარიმოები სტყორცნეს. ვერც ახლა ჩააგდეს — ისევ 0:0. როგორც იქნა, მიხვდნენ, რაშიც ყოფილა „საქმე“ — ბურთი უფრო დიდი იყო, ვიდრე... ფარები.

***შალვა ლომიაშვილი, კასპი***



სვანს გარდაეცვალა ტყუპი ძმაკაცებიდან ერთ-ერთი. დაკრძალვაზე ვერ წავიდა. ცოტა ხანში ქუჩაში შეხვდა ცოცხალი ტყუპისცალი და ეკითხება: — თუ ძმა ხარ, გამაგებინე, შენ მოკვდი თუ შენი ძმა?

***თეიმურაზ ვარდოსანიძე, თბილისი***





უყურებს ჭიჭიკია ტელევიზორს და ეუბნება შალიკიას. — ეს რა უბედურება სჭირთ ამ ნაციონალებს, ნაცემი და დალურჯებული მეძავებიც ერიდებიან ხალხში გამოჩენას, ესენი კი ისე გვიჩვენებენ სინიაკებს და გასივებულ თავებს, გეგონება, პოდიუმზე გამოდიანო.

***სულხან საბაშვილი, თბილისი***



ბაზარში გასაყიდად დადგმულ ღვინით სავსე ბოცას შემთხვევით შეეჯახა ახალგაზრდა ბიჭი. ბოცა დაიმსხვრა, ღვინო დაიღვარა და „დამნაშავემაც“ დაიძახა: — ვაჰ, ჩემი დედა!..

— მეეცა, შვილო, მეეცა! — მიაძახა დაზარალებულმა მიხომ.

***ირაკლი მარტყოფლიშვილი, თბილისი***

შალიკია კუკურიას:

— ბიჭო, გუშინ ჭიჭიკიამ ისე ჩქარა მოუხვია „მერსედესით“, თავისი უკანა ნომერი წაიკითხა!..

***დავით ბერიანიძე, გორი***



— მარო, გავიგე, შენმა ქმარმა მაცივარი იყიდა!..

— ნეტავ, რაში სჭირდება, რასაც ვაკეთებ, ქვაბშივე ამაითქვლეფავს ხოლმე!

***პაატა, ხაშური***



***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, ახალ სასაცილო ამბებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K

## მილოცვა



**გიორგი (გიგა) მახარაშვილს!**

ჩვენო პატარა ვაჟკაცო, გილოცავთ დაბადების დღეს! გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს და სიყვარულს. სასახელო ბიჭი გაზრდილიყავი.

*დიდი სიყვარულით შენი ნოდარი პაპა და ლია ბებო, გვანცა და ბესო გეწამეები*

**გრიგოლ კილაძეს და ცაცა მელაძეს!**

გაზაფხულივით ლამაზი 50 წელი გაიარეს ერთად გრიგოლ კილაძემ და ცაცა მელაძემ. 15 ნოემბერს მათ ოქროს ქორწილი აქვთ. გილოცავთ ამ ღირსშესანიშნავ იუბილეს, ჩვენო მარად ახალგაზრდებო. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ სიცოცხლის ბოლომდე; არაფერს დაეჩრდილოს 50 წლის განმავლობაში უსაზღვრო სიყვარულით გაცისკროვნებული თქვენი ცოლქმრული ცხოვრება. გკოცნით ბევრს!

*თქვენი შვილები და მათი მეუღლეები; შვილიშვილები: თაკო, ქეთი და ანი*

**ავთო კუჭუხიძეს!**

გილოცავ დაბადების დღეს, 9 ნოემბერს. ეს ის ღირსშესანიშნავი თარიღია, რომელსაც ადამიანის ცხოვრებაში „შუადღეს“ ეძახიან. გაუმარჯოს შენს ორმოცდაათ წლისთავს. გისურვებ ჯანმრთელობას, დიდი ხნის სიცოცხლეს. ღმერთმა დაგლოცოს და გაგაძლიეროს!

*კეთილისმსურველი*



**ბადრი ჯიქიას!**

გილოცავთ დაბადების დღეს! გაიზარდე ჯანმრთელი და სასახელო ვაჟკაცი. გისურვებთ ბედნიერ ბავშვობას და ნათელ მომავალს.

*პაატა, ემზარი, ირაკლი და მანანა*

**ზურაბ ქარჩავას!**

ზურა ბაბუ, გილოცავ 50 წლის იუბილეს და დიდ ჯილდოს – ღირსების ორდენს. იცოცხლე დიდხანს და ბედნიერად. შენხელა რომ გავხდები, მეც შენსავით სასახელო კაცი ვიქნები.

*შენი ერთადერთი და საფიცარი შვილიშვილი, 5 წლის ზუკა ქარჩავა*

პოლიციის დღეს ვულოცავ მთელი საქართველოს პოლიციელებს: საქართველოს შს მინისტრს ბატონ კობა ნარჩემაშვილს, აფხაზეთის შს მინისტრს გია ყურაშვილს, სამეგრელო-ზემოსვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსს ელგუჯა ჯამბურიას, ზუგდიდის შს სამმართველოს უფროსს მამუკა შონიას, მოადგილეს ოთარ ფიფიას, საგზაო პოლიციის უფროსს ფელიქს მამფორიას, მოადგილეს ბორის ჯიქიას, გალის საპასპორტო-სავიზო განყოფილების უფროსს ქალბატონ ქეთინო მალანიას, პოლიციელებს – გია ბიგვავასა და გაიოზ ქორთუას. ვუსურვებ ჯანმრთელობას და შემართებას საქართველოს საკეთილდღეოდ.

*სოხუმიდან დევნილი ტოჩკა დარცმელია*

თსსუ ცენტრალური კლინიკის ნერვულ სნეულებათა დეპარტამენტის ექიმს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატს, ქალბატონ **მარინა ქორთუაშვილს** ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობას და ოჯახურ ბედნიერებას, დაე, მისი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება სიკეთით მოხმარდეს იმედის თვალით შემყურე მის პაციენტებს.

*ენგული იობაძე*

## მადლობა

სიკეთის წილ სამადლობელო სიტყვები მინდა ვუთხრა სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ მენეჯერს, ბატონ **გიორგი კახიძეს**, მისივე თანამშრომლებს **მაია კუპრაშვილს, თამაზ კვინიკაძეს** იმ დიდი თანადგომისა და გულისხმიერებისთვის, რაც ჩემ მიმართ (ავადმყოფობის დროს) გამოიჩინეს. ღმერთო! უმრავლე საქართველოს თქვენებრ სათნო ადამიანები.

*პატივისცემით, ენგული იობაძე*

## გთავაზობთ სამუშაოს

კომპანია აწარმოებს თანამშრომელთა შერჩევას. ანაზღაურება – სტაბილური. აუცილებელია უ/გ, სასურველია რუსული ენის ცოდნა. ასაკი – 25-დან 45 წლამდე. ტელ: 96-72-10. ნანა

გვაქვს 4 ვაკანსია. სათანამშრომლოდ მივიღებთ განათლებულ, რუსულის მცოდნე ადამიანებს. ვმუშაობთ მსოფლიოში. საუკეთესო თანამშრომლებს ეძლევათ შანსი საზღვარგარეთ მუშაობისა (კომპანიის ხარჯებით). გამომუშავება 200-400$ აშშ სტანდარტებით. მიმდინარეობს შერჩევა. იჩქარეთ! მის. მ. „დიდუბე“, „სამთო ქიმიის ინსტიტუტი“, I სართ. ოთახი 6. ტელ: 34-02-38; 899 90-54-78; მენეჯერი: ბ-ნი დიმიტრი

GIJ – პირველი ქართული Au-pair-სააგენტო გთავაზობთ გერმანიაში Au-pair-პროგრამით გამგზავრებას. ასაკი – 18-25 წლამდე. შუამავლობა – უმოკლეს ვადებში. კონსულტაციები და ცნობარები უფასოა. საშუამავლო თანხა – 78-90 ევრო (წინასწარ – ნახევარი). ტელ: 34-66-02; 91-19-61

მუდმივ სამუშაოზე გვესაჭიროება ექიმები: ერთი პედიატრი, ორი ენდოკრინოლოგი, ერთი თერაპევტი, ერთი ნევროპათოლოგი. ტელ: 64-63-40; 893 28-25-59

კომპანიას ოფისში სათანამშრომლოდ ესაჭიროება უმაღლესი განათლების, რუსულის მცოდნე ადამიანები. სამუშაო კონტრაქტითაა, ანაზღაურება – მაღალი, მზარდი – $100-200. საუკეთესო თანამშრომლებს ფირმა საშუალებას აძლევს გაემგზავრონ და ითანამშრომლონ სხვადასხვა ქვეყანასთან. მიმდინარეობს შერჩევა. ტელ: 93-38-46; 893 94-61-17. მარიამი

იჩქარეთ! ამერიკულ-უნგრული ბიზნესცენტრი, რომელმაც ახლახან დაიწყო საქმიანობა ამიერკავკასიაში, საჭიროებს რამდენიმე პარტნიორს თბილისიდან და სხვა ქალაქებიდან. საქმიანობა პერსპექტიულია და მაღალანაზღაურებადი. ტელ: 877 71-69-35. მერაბი; 37-86-15. ფარვიზი

Требуется на постоянную работу: 1. Руководитель отдела; 2. Зам. руководителя; 3. Инспектор по кадрам; 4. Офицеры запаса с опытом руководителя; 5. Педагоги и психологи. Отбор на конкурсной основе. Высшее образование, возраст 24-50 лет. Тел: 95-33-47 (с10-13; с 20-23)

## მომსახურება

ვაკეთებ ეპილაციას ვოლფრამის ნემსით და ანესთეზიით, მორჩენის გარანტიით. მიღება ყოველდღე, ჩაწერით. სეანსების რაოდენობა ინდივიდუალურია: 1 სთ – 10 ლარი. მომსახურებით კმაყოფილი დარჩებით. მაქვს საკუთარი დენის წყარო. მის: ვარკეთილი-3, II მ/რ, IX კორპ, VI სად, III სართ, ბინა 109. ტ: 79-50-12; 899 90-44-93. ლიკა გიორგობიანი

ეპილაცია ვოლფრამის ერთჯერადი ნემსით, ანესთეზიით (ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე), 1 სთ – 6 ლარი; თმის მოცილება სხეულზე მცენარეული ნაყენით (გარანტიით), სახის გაწმენდა (კოსმეტიკური მასალები იაფად). წარბების კორექცია. საერთაშორისო სერტიფიკატის მქონე კოსმეტოლოგი ნ. ყიფშიძე. მის: მ. „300 არაგველი“, არამანცის საავადმყოფოს ზედა კართან, ახმეტის ქ. №15. მიღება წინასწარი ჩაწერით. ტ: 77-86-27

## მკურნალობა

თმის დაავადებები: ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), ტილები, წილები, ფრჩხილის სოკო; ფეხის ქუსლებზე ნახეთქები; ოსტეოქონდროზი, სკოლიოზი; კოსმეტიკა, ოფლის ლოსიონი. მის: ჭავჭავაძის გამზ. №2/2 (ჩაის სახლთან). სტომატოლოგიური პოლიკლინიკა. 11-18 სთ. ტელ: 30-94-73; 35-32-62; 22-27-95. ცაცო მჭედლიძე

ისრაელში შემუშავებული მეთოდიკით, გარანტიით იკურნება სკოლიოზი, კიფოზი, ოსტეოქონდროზი, ნევროზი, უძილობა, შაკიკი, დაურეა (კუჭის ქრონიკული აშლილობა), შიშები, რადიკულიტი, სუიციდის (თვითმკვლელობის) მცდელობები. მის: მ. „გურამიშვილი“, ძმები გარიშვილების №18. ანატოლი შავიძე. ტ: 61-65-03

პირველად საქართველოში! აკადემიკოს ლიხარიოვის მეთოდით გთავაზობთ მკურნალობას: ასთმა, ალერგია, ქრონიკული ბრონქიტი, ჩიყვი, სოკო, ფსორიაზი, უძილობა, ნევროზი, თავის ტკივილები, პრობლემური კანმები, პრობლემური კლიმაქსი, ვენების ვარიკოზული გაგანიერება, ინსულტის შემდგომი პერიოდი. ტელ. 99-75-90 (12-18 სთ); 899 22-13-66 (9-24 სთ). ლალი

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე ამზადებს თაფლის მუმიოზე მალამოებს, ხსნარებს და საფენებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს (მარილებს), სახსრებს, პოლიართრიტს, საშწვერა ნერვის ანთებას, დისკოზს, კისრის, მენჯ-ბარძაყის, მუხლსახსრის ართროზს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 8-10 დღეში. მკურნალობა გარანტირებულია. ტელ: 34-62-51; 899 20-19-66

უცხოური უახლესი მეთოდებით, უცხოური აპარატურით, ტრენაჟორებით და ჩინური ნემსებით, ყველა ასაკში სწრაფი შედეგებით – სრული გარანტიით ალვიდგენთ ხმისა და მეტყველების დარღვევებს – ენაბორძიკობას, ლოგონევროზს, ნევროზს, ფსიქოლოგიურ აშლილობებს, ენაჩლუნგობას (ტლიფინებს), პარეზებს, დცპ-ს – თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, თსუ-ის ფსიქოლოგიის კათედრის ასპირანტი ქ-ნი ინა კომახიძე. მიღება წინასწარი ჩაწერით: 899 55-05-75

მხოლოდ ჩვენთან! მეჭეჭების, პაპილომების, კონდილომების, ხალების, ლაქების, სვირინგების, ნაწიბურების და სხვა წარმონაქმნების მოცილება; ეროზიების, ლეიკოპლაკიის მკურნალობა უახლესი $CO_2$ ლაზერით. მხოლოდ ერთი სეანსი! მაღალი კოსმეტიკური ეფექტი! მის: ბახტრიონის ქ. №18. სამკურნალო ცენტრი „ლაზერი“. ტელ: 91-18-33; 877 41-50-30

სმენის აღდგენა აპარატისა და ოპერაციის გარეშე. ასაკს მნიშვნელობა არა აქვს. ვმკურნალობ სხვა დაავადებებსაც. მის: აღმაშენებლის გამზ. № 115 (ეზოს ბოლოში), კაბ. № 77. მიღება 9-14 სთ, წინასწარი ჩაწერით. ტელ: 95-83-54 (სამს); 53-44-39 (ბინა); 899 97-85-46

ყოვლად ბრძენი მკურნალობს სნეულებას მის გამოვლინებამდე, აწესრიგებს ორგანიზმს მის მოშლამდე – ამ ჩინური სიბრძნის საფუძველზე კორპორაცია „სატინში“ გთავაზობთ უნიკალურ საიმპერატორო პროდუქციას, რომელიც დაგეხმარებათ ორგანიზმის გაწმენდა-გაახალგაზრდავებასა და სიცოცხლის გახანგრძლივებაში. ტელ: 65-89-35; 99-57-35; 899 569-573. დიანა ჩაჩანიძე

## ვასწავლი

კომპიუტერული სტუდია „დაჯი“ კომპიუტერი გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების, უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიით, სწავლის დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. №1 („მაკდონალდსის“ უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

ფირმა „ქართი“ აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მალამოები), პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი). კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. აღმაშენებლის №115, კაბ. №20. ტ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახ.); 96-22-89 (ბინა)

„ელიტა-სკ“ შეგასწავლით პროგრამებს: WINDOWS XP, WORD (EXCELL, PHOTOSHOP) და ინტერნეტს. ფასი 120 ლარი. ცოდნის მიღება გარანტირებულია. ტელ: 30-39-20; 23-72-95

სიახლე! გაიხსნა კომპიუტერის შეკეთებისა და მოდერნიზაციის სპეციალიზებული 3-თვიანი კურსი, რომლის დამთავრების შემდეგ გენიჭებათ სისტემური ადმინისტრაციის კვალიფიკაცია, სათანადო ლიცენზირებული სერტიფიკატის გაცემით. ტელ: 893 230-240; 766-025 (საღამოს). გიორგი

მაღალკვალიფიციური ლექტორი მოამზადებს ინგლისურში აბიტურიენტებს, ყველა უმაღლეს სასწავლებელში ჩასაბარებლად. ტელ: 51-68-61; 899 53-10-08

## იყიდება

ხეხილის ნამყენი ნერგები, უწამლო ვაზები, ვარდები, კვიპაროსი, კედარი, ფიჭვი, ცაცხვი, ტირიფი, ტუია, ლუგუსტრუმი, იუკა, როზმარინი, იასამანი. გვყავს პროფესიონალი მებაღე-დეკორატორი. მის: სანერგე მეურნეობა თბილისის ზღვასთან. ტელ: 69-97-05; 899 16-93-15

სმენის აპარატები შეღავათიან ფასად, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტ: 95-95-22 (15-19სთ); 93-46-74 (20სთ-ის შემდეგ); 899-27-38-99

## სხვადასხვა

საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა საზოგადოება (GESAP) ატყობინებს ყველა კომპოზიტორს, მუსიკალური ნაწარმოებების (ნებისმიერი ფორმისა და ჟანრის) ავტორებს, ვისაც ჯერ არ წარმოუდგენია საზოგადოებაში საკუთარი რეპერტუარი, უახლოეს დროში წარმოგვიდგინონ ნაწარმოებების ჩამონათვლის სია: მუსიკის, ტექსტის, ავტორის, აგრეთვე პირველი შემსრულებლის სახელის/ინიციალების, გვარის, მუსიკალური გამომცემლის (ფონოგრამის მწარმოებლის) აღნიშვნით, რათა GESAP-ს, როგორც ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოების საერთაშორისო კონფედერაციის (CISAC) წევრს მიეცეს შესაძლებლობა, ჩართოს ეს ნაწარმოებები მსოფლიო მუსიკალური ნაწარმოებების სიაში და მონაცემთა საძიებო-საინფორმაციო WID/WWL ბაზაში. ავტორების, მემკვიდრეების, მუსიკალური გამომცემლობების და სხვა უფლებამფლობელების მონაცემები, რომლებიც გამოცხადდებიან საზოგადოებაში, შეტანილი იქნება ავტორთა, კომპოზიტორთა და გამომცემლობების აღრიცხვის საერთაშორისო მონაცემთა ბაზაში და ჩაერთვებიან დაინტერესებულ მხარეთა შორის ჰონორარების ურთიერთგადახდის CAE/IPI საერთაშორისო კომპიუტერულ სისტემაში. აღნიშნული მონაცემების წარმოდგენის გარეშე საზოგადოებას გაუძნელდება შეუგროვოს ქართველ ავტორებს კუთვნილი ჰონორარები საქართველოსა და მთელ მსოფლიოში მათი ნაწარმოებების ნებისმიერი სახით გამოყენებისათვის (საჯარო შესრულება – კონცერტები, რადიო, ტელევიზია, საკაბელო, კომპაქტ-დისკები, თეატრები, კინოთეატრები, სპექტაკლები, აუდიო-ვიზუალური ნაწარმოებები და სხვა). კონსულტაციები და მომსახურება უფასოა. მის: გმირთა მოედანი, მ. კოსტავას ქ. №63, II სად, II სართ. ტელ: 33-33-06, 33-31-93, 33-56-79; ფაქსი: 305 222; ელფოსტა: gesap@gol.ge, ვებ-გვერდი www.gesap.org.


# რათა ცხოვრება სიხარულად გექცეთ ! ! !

პირველი ხარისხის სიმსუქნე იწვევს შურს, მეორე – ღიმილს, მესამე – დაცინვას, ხოლო მეოთხე – სინანულს. მსუქნები ყველგან არიან, მაგრამ ყველას როდი ესმის, რომ სრულ და მით უმეტეს, მსუქან ადამიანებს საკმაოდ მძიმე ყოფა აქვთ, როგორც პირდაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით. ჭარბი წონა ხომ მრავალი დაავადების საწინდარია.



ვინაიდან ჭარბი წონის წარმოქმნის ძირითად მიზეზს წარმოადგენს არასწორი კვება, ამიტომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს კალორიების შემცირება.

ამავე დროს უნდა გახსოვდეთ, რომ გასახდომად არ არის საკმარისი მხოლოდ საკვებით მიღებული ენერგიის შემცირება, არამედ საჭიროა მისი ხარჯვის ზრდა – ანუ ფიზიკური დატვირთვა. ყველაზე მარტივი და ეფექტური ფორმა კი გახლავთ ჩვენი დროის სიახლე – გასახდომი ქამარი მიოსტიმულატორი **Abtronic Pro.**

**Abtronic Pro** საქართველოში სიახლეა, ევროპასა და ამერიკაში კი სრული ბუმია. ბუმია ქამარზე, რომელიც 21-ე საუკუნის ადამიანების ცხოვრების მეგზურად იქცა.

აბტრონიკის უამრავი ღირსებებიდან გაგაცნობთ სულ რამდენიმეს:



- იწვევს ღრმა კუნთურ შეკუმშვებს, ამაგრებს მოდუნებულ კუნთებს და აუმჯობესებს მათ ტონუსს;
- ამცირებს და შლის ცელულიტს;
- მართავს გახდომის პროცესს: პირველ რიგში მოქმედებს სხეულის იმ ნაწილებზე, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ გახდომას;
- აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას;
- აუმჯობესებს კანის სტრუქტურას;
- ეფექტურად ებრძვის ოსტეოქონდროზსა და სქოლიოზს.

ძვირად ღირებულ დარბაზებში სიარული მიუწვდომელია თქვენთვის? – მოირგეთ
არა გაქვთ დრო ვარჯიშისათვის? – მოირგეთ
გეზარებათ ვარჯიში? – მოირგეთ

**Abtronic Pro!**

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: ☎ (995 32) 33 30 63; (995 32) 36 49 45 ან დაგვიკავშირდით ინტერნეტ მაღაზიაში: **www.shopge.com.**
ჩვენი კურიერი მოგაწვდით შეკვეთას თქვენთვის სასურველ მისამართზე თბილისში. კურიერის მომსახურება უფასოა.



# რას გადაიხდით საკუთარ წარმატებაში?

## გრანდიოზული ფასდაკლება!



რეკლამა „სიტყვა და საქმეში“

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 გამოქვეყნება | -20% | 25 გამოქვეყნება | -40% |
| 10 გამოქვეყნება | -25% | 30 გამოქვეყნება | -45% |
| 15 გამოქვეყნება | -30% | 35 გამოქვეყნება | -50% + უფასო დამზადება |
| 20 გამოქვეყნება | -35% | | |

☎ 33-78-07

გაზარდეთ თქვენი შესაძლებლობები!

### გიოს!



მენატრები, გიო. ერთი წელია, ვეღარ გხედავ და მაინც სულ თვალწინ მიდგახარ; ერთი წელია, შენ ხმა აღარ გამიგონია და თითქოს სულ ყურში ჩამესმის... ძალიან მიყვარხარ, ჩემო პატარა მეგობარო, ჩემო ლამაზო, თბილო და მოსიყვარულევ, ჩემო საამაყო ბიჭო.

შენ ჩვენთვის — შენი დედიკოს მეგობრებისთვის პირველი დიდი სიხარული იყავი. რამდენი ლამაზი მოგონება დაგვიტოვე... ჩვენ თვალწინ იზრდებოდი, ვაჟკაცდებოდი, სიცოცხლეს გვიხალისებდი და გვილამაზებდი... შარშან ამ დროს კი, ისე მოულოდნელად დაგვტოვე, ვერც კი გავიაზრეთ, რა მოხდა, ასე უცებ რატომ გაგვიფრინდი. ალბათ თავისთვის გისურვა უფალმა. აკი გვითხრა კიდეც მოძღვარმა: თქვენი გიორგი ისეთი მადლიანი ბიჭი ყოფილა, უფალს თავის ანგელოზად ნდომებია... ასეა მართლაც!

გვეამაყებოდი, გიო, ახლაც გვეამაყები და ყოველთვის ვიამაყებთ შენით — შენ ხომ ყველასთვის ასეთი კარგი იყავი.

*შენი უფროსი მეგობრები*

### გიორგი ნაჭყებიას მონატრება



უშენოდ მოვიდა შემოდგომა, ჩვენო გიო, პირველად შევხვდით უშენოდ შენს დაბადების დღეს, რომელსაც დიდი სიხარულის ნაცვლად, მწუხარება გაეშუქებინა ჩვენს გულებში. მეხის გავარდნას ჰგავდა შენი ტრაგიკულად დაღუპვის ამბავი. შენ ხომ შენი უახლოესი ნათესავთან ერთად წახვედი მარადიულ სასუფეველში, გიორგობისთვის 10-ში. გიო! შენ ხომ უზომოდ კეთილი და ზრდილობიანი იყავი, შენ ირგვლივ მუდამ სითბო და სიმშვიდე იფრქვეოდა. გაუსაძლისია უშენობით გამოწვეული სიცარიელე, ყოველი დღე შენი მოგონებით იწყება ჩვენთვის. ჩვენი ოჯახი მუდამ ილოცებს შენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი და უმანკო სული.

*შენი ქეთო, ანზორი, მამუკა, სალომე და ბებია თამარი!*

### გოგა მირიანაშვილის გახსენება



ჩემო საყვარელო გოგა! მე და შენი თათუ დიდი გულისტკივილით გილოცავთ დაბადების დღეს. ძალიან მტკივნეულია, რომ დაბადების ორმოცი წლისთავი საფლავზე უნდა მოგილოცოთ, გოგა. ძალიან, ძალიან, გვენატრები და გვიყვარხარ. ნათელში იყოს შენი სული.

*ირმა და თამუნა (თათუ)*

### გოგა მირიანაშვილის მონატრება

გოგა, მოვიდა ტკივილიანი შენი დაბადების დღე — 8 ნოემბერი, ტკივილი, რომელსაც უშენობა ჰქვია, შენ საფლავზე გატარებული მწარე დღეები ჰქვია. ორმოცი წლის შესრულება არ გაცალეს — გაგიმეტეს და გაგწირეს. ეს დღე დღეიდან საფლავზე უნდა მოგილოცო, მაგრამ ვაი, რომ სანთლების, ყვავილებისა და ცრემლიანი სტრიქონების გარდა ვერაფერს გიძღვნი, ჩემო მუდამ ღიმილიანო, სათნოებით და სიყვარულით გულანთებულო, სულიერად და ფიზიკურად ლამაზო ვაჟკაცო. უსაზღვროდ მენატრები, მიყვარხარ. შენც ხომ ძალიან გიყვარდი, ბავშვივით რომ ამიტკბები, ჩამიკრავდი გულში და მეტყოდი: მამიდა, იცი როგორ მიყვარხარ?! ვინ წამართვა შენი თავი, ვინ წამართვა ის დიდი სითბო და სიყვარული, რომელსაც შენგან ყოველთვის ვგრძნობდი? სურათებს ვუყურებ და ვიკმაყოფილებ შენი მონატრების სურვილს. მინდა შეგეხო, მოგეფერო ისე, როგორც ბოლოს შენს გაცივებულ სხეულს ვეფერებოდი და ლამაზ სახეს გიკოცნიდი, მაგრამ მიუწვდომელი ხარ. ისღა დამრჩენია, ვილოცო შენთვის. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ნაადრევად წასული შენი კეთილი სული. ვიცი, შენც გულით ლოცავ იქიდან ყველას, ვისაც არასდროს დაივიწყებ.

*მამიდა, მამიდაშვილი*

### დომენტი აბრამიშვილის ხსოვნას!



15 ნოემბერს შენი გარდაცვალებიდან 2 წელი შესრულდება. ყოველი დღე შენი მონატრებაზე ფიქრით თენდება და ღამდება. წლების გასვლასთან ერთად უფრო მძიმე ხდება უშენობით გამოწვეული სევდა.

კაცურად იცხოვრე ამ ქვეყანაზე. შენი დიდი ცოდნა და გამოცდილება შენს საყვარელ საქმეს შალიე. პრინციპული, სიმართლის მოყვარული იყავი. მაღალი პროფესიონალიზმით, საგნის ღრმა ცოდნით მუდამ იდექი რესპუბლიკის მოწინავე პედაგოგთა შორის. წარმატებით მონაწილეობდი პედაგოგთა რესპუბლიკურ კონფერენციებში. მრავალჯერ დაგიმსახურებია გამარჯვებულის დიპლომი და განათლების სამინისტროს სიგელები. დაჯილდოებული იყავი „სახალხო განათლების წარჩინებულის" საკერდე ნიშნით. ახლის ძიებაში იყავი მუდამ. დაამთავრე ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურა. გამოქვეყნებული გაქვს ნაშრომები ქიმიის სწავლების მეთოდიკის აქტუალურ საკითხებზე. მრავალჯერ იყავი მიწვეული მისაღებ გამოცდებზე კომისიის წევრად უმაღლეს სასწავლებლებში. მუშაობდი თელავის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტში — ქიმია-ბიოლოგიის კაბინეტის გამგედ. მძიმე ავადმყოფობამდე უცვლელად ხელმძღვანელობდი ქიმიის სწავლებას შენი მშობლიური რუისპირის საშუალო სკოლაში, სადაც [illegible]

უძლური აღმოჩნდით განგების წინაშე. ვერც უსაზღვრო სიყვარულით გიშველეთ და ვეღარც მონატრებით. ვიხსენებთ იმ ბედნიერ წლებს, როცა ერთად ვიყავით. რამხელა ტკივილია ცხოვრება უშენოდ, მამა. როგორ გვაკლიხარ და გვენატრები. დედა ცრემლით სავსე თვალებით ეფერება შენს სურათებს და შვებას შენი საფლავის მოვლაში პოვებს.

ცხოვრება გრძელდება, მამა. შენს ოჯახში ბედნიერებაც მოხდა, რომელზეც ოცნებობდი, მაგრამ ვერ მოესწარი. მოხდა უშენოდ, მაგრამ მაინც შენთან ერთად. დადგება დრო, პატარა შვილიშვილები შენს საფლავზე „პაპას" წარმოთქვამენ, შენს სურათებს მოეფერებიან, პატარა ხელებით ყვავილებს მოგიტანენ და სანთლებს აგინთებენ. შენი ოჯახი მუდამ იამაყებს შენი წარსულით. ჟამთა სვლა ვერ განელებს შენდამი სიყვარულს ჩვენს გულებში. შენს სახელს მოწიწებით გავუფრთხილდებით. მუდამ იმ სიმართლის და სიკეთის გზით ვივლით, რომელზეც შენ დაგვაყენე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, ჩვენო ამაგდარო მამა!

*შენი ოჯახი*

### დალი ცქიფურიშვილ-ლოლაძეს!



ჩვენო დალი, დიდი ნაღველითა და გულისტკივილით გემშვიდობებით, რადგან ჩვენ გვერდით ვეღარ გიგულებთ. გაფრენილი წლების მიუხედავად, ერთმანეთისთვის „გოგონებად" დარჩენილებს, კარგად გვახსოვს შენი დინჯი, დამაჯერებლობით მონაყოლი გაკვეთილები. პედაგოგებიც ხომ ყველაზე გამორჩეულ მოწაფედ მიგიჩნევდნენ. ოქროსმედალოსანმა უნივერსიტეტში გააგრძელე სწავლა და შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის სამეცნიერო ხარისხიც მოიპოვე, დაწერე სამოცზე მეტი ნაშრომი, მოხსენებებით გამოდიოდი ჰელსინკსა თუ ბრიუსელში, სადაც კონფერენციის ვიცე-პრეზიდენტიც იყავი. სამწუხაროდ, ვეღარ მოესწარი შენი სადოქტორო ნაშრომის ფორმალურ აღიარებას. ადრეულ ასაკში გამოგეცალა ძმა — მერაბი, შემდეგ მშობლებითაც დაობლდი, მაგრამ განგება მაინც კეთილისმყოფელი აღმოჩნდა და შეგაუღლა დიდებულ ადამიანთან, ბატონ ვლადიმერ (ვოვა) ლოლაძესთან. თქვენი ურთიერთსიყვარული განაპირობებდა შეხმატკბილებულ ოჯახურ ცხოვრებას. საამაყო შვილები გყავთ: ვახტანგი წარმატებულ მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევა აშშ-ში, გიორგი წარჩინებული ეკონომისტია, ნინო — ასპირანტია მოსკოვში. ორი შვილიშვილიც თქვენი მშვენიერი მონაგარია.

ჩვენო დალი, ვიცოდით, რომ მრავალმხრივი ნიჭით იყავი დაჯილდოებული, მაგრამ შენი მხატვრულ-ისტორიული რომანი „ცივი მზე", დიდი აღმოჩენა იყო ჩვენთვის, რადგან ჩვეული თავმდაბლობით არ გვიმხელდი, რომ მწერლობასაც მისდევდი.

შენი სახით დავკარგეთ კეთილი, მაღალი ზნეობისა და აზროვნების ადამიანი. ვერასოდეს დაგივიწყებთ!

*შენი თანაკლასელები*

### თამაზ, თიკო და თამუნა ლომინაძეების მონატრება



მწუხრის ჟამია ლომინაძეების ოჯახში. 25 აგვისტო ჩვენი ოჯახის ტრაგედიის დღეა, ჩემო საყვარელო ქმარ-შვილო. ტირის მთელი კასპი. ტრაგიკულმა შემთხვევამ გიმსხვერპლათ სამივე.

ჩემო თამაზ, შენ ხომ შვილების გარეშე სიცოცხლე არ შეგეძლო და ამიტომაც ირჩიე ორ შვილთან ერთად წასვლა. მე კი იმედად თათია დამიტოვე.

ჩემო პატარა ფერიებო, თიკო და თამო, ცრემლით სავსე თასით დაბადების დღეს გილოცავთ. 12 ნოემბერს 16 წლისები გახდებოდით. 15 წლისებმა დაგვტოვეთ. ალბათ ღმერთმა რჩეულთა შორის მიგიჩინათ ადგილი, იმიტომ, რომ ყველასგან გამოირჩეოდით ბუნებით, სიკეთით და სიყვარულით.

მიუხედავად ხანმოკლე ბედნიერებისა, ჩემი ბედის ბორბალი უკან რომ დააბრუნა, ისევ შენ აგირჩევდი, ჩემო თამაზ და დაუფიქრებლად გიწილადებდით სამივეს ჩემს დარჩენილ სიცოცხლეს.

ჩემო ძვირფასებო, ყველა დალოცეთ, ვინც გაგიხსენებთ, სანთელს დაგინთებთ, თქვენს შესანდობარს ცრემლიანი თვალებით დალევს და თქვენს დაობლებულ ოჯახს ამ დარდიან წუთისოფელს გაატანინებს.

თამაზ, გპირდები, რომ შენს კაცურ ღირსებას ვერაფერი შებღალავს. თქვენს სახელებს სანთლად დაგინთებთ მე და თათია. დაე, ჩვენმა ლოცვამ გაგინათოთ სასუფევლის ის ბილიკი, რომელზეც თქვენ უნდა გაიაროთ. გჯეროდეთ, თქვენი წილი სანთელი ეკლესიაში მუდამ იციმციმებს.

ამ გაუსაძლის ტკივილს მხოლოდ რწმენა გვიმსუბუქებს, რწმენა იმისა, რომ ოდესღაც ერთად ვიქნებით, ჩემო ხატად ქცეულო ანგელოზებო.

*თქვენი გულმოკლული დედა და მეუღლე ირმა*

### ალექსანდრე (კუსო) თოხმაიძის გახსენება

ეს შემოდგომაც დადგა!...

ოცდამეშვიდე შემოდგომა დაგიდგებოდა, რომ არა... ის ბედუკუღმართი მარტის საღამო. მას შემდეგ, აი უკვე მეცხრედ მოგილოცავთ ცრემლიანი თვალებით შენი ამქვეყნად მოსვლის დღეს. დრო ყველაფრის მკურნალიაო — მართლაც ასე რომ ყოფილიყო, ჩემი გული შემსუბუქდებოდა, თვალებს ცრემლები შეაშრებოდა, დარდი წარსულს ჩაჰბარდებოდა, გონებას მოგონება დაეკარგებოდა და ბაგეს შენი სახელიც აღარ მოსწყდებოდა.



მაკლია შენი სითბო, სიცილი, ალერსი და ცხოვრებისადმი ულევი ლტოლვა. ხანმოკლე იყო შენი ცხოვრების გზა, მაგრამ ულევი იყო შენი სიკეთე, ვაჟკაცობა, უშიშრობა და სხვებისადმი შეცოდების შეგრძნება. სანამ ამქვეყნად დავიარები, შენ იარსებებ. ერთი იმედი შემომრჩენია: რომ დადგება დღე და შეიძლება ისევ გიხილო.

საღამომ, რომელმაც თავის წყვდიადში გშთანთქათ შენ და ზეზვა, გზააბნეული, გაურკვეველი კითხვა-პასუხი გვისახსოვრა და უპასუხოდ დაგვიტოვა კითხვები: რატომ? სად ხარ?

თვალცრემლიანი ვხვდები შენს დაბადების დღეს და ვიმედოვნებ, რომ ისევ გიხილავ.

*შენი დედიკო*

### ლალი დავითაიას!

2 წელი გავიდა, რაც ჩვენგან წახვედი, საყვარელო ლალი. არ ყოფილა დრო ყველაფრის მკურნალი. როგორ ვანუგეშო შენი გაუბედურებული მშობლები და ძმები?! უბედურმა შემთხვევამ გიმსხვერპლა და დატოვე ამქვეყნიური ცხოვრება, რომელიც ძალიან გიყვარდა და შეხაროდი. რამდენი რამ მაქვს სათქმელი, რამდენი — გასახსენებელი, ცრემლიანი თვალებით შევყურებ შენს სურათებს და მახსენდება შენი ბავშვობა, ჩვენი ერთად ყოფნის წლები.

ნუგეშად გვრჩება იმედი, რომ შენი უმანკო სული, სამარადისო სასუფეველში პოვებს ადგილს. ჩვენ ყველანი ვილოცებთ შენი სულის უკვდავსაყოფად.

გვიყვარხარ და გვენატრები.

*ნანა დეიდა*

### ანა ვახანიას მონატრება



შვილო ანა, 13 ნოემბერს, დილის 5 საათზე ოცდარვისა გახდებოდი და დაბადების დღეს სახეგაბადრული მოგილოცავდი. მე კი გატანჯულ-გაწამებული ვდგავარ შენს საფლავთან და ზეცას შევყურებ შენს ამაო ძებნაში, იმ ავბედითი 1993 წლის დეკემბრიდან, როცა შენ დილაადრიან გამაცილე მე, უსამართლოდ დევნილი, ეზოს ჭიშკრამდე, თურმე სამუდამოდ, რათა ამქვეყნად არასოდეს შევხვედროდით ერთმანეთს. იმ ადგილას ვქავადები, შვილო, ამიტომაც არ შემიძლია იქ ყოფნა და დარჩენა, სადაც ერთად გავატარეთ, ვინ იცის, რამდენი ტკბილ-მწარე დღე. მე კი, ღვთის განაჩენით, დავდივარ შენსა და ჩემს საქართველოში შენთან შეყრის მოლოდინში, რათა ჩემი და შენი სათქმელი მარტომ ვთქვა; გეთათბირები, გესაუბრები, ყველა გადაწყვეტილებას შენთან ერთად ვღებულობ და შენთან ერთად ველოდები, როდის მოხერხდება სისხლით მოსული ხელისუფლების გადაგორება ღვთის შეწევნითა და ქართველი ერის ძალისხმევით, რათა ვალმოხდილი წარვდგე შენ წინაშე, ჩემო ღვთის ანგელოზად ქცეულო, უმანკო შვილო.

*მამაშენი მურმან ვახანია*

### ნინო ტალახაძის მონატრება



10 ნოემბერს 17 წელი შეგისრულდებოდა. მოვალთ შენს საფლავზე, შვილო, ცრემლითა და ყვავილებით, მოგილოცავთ დაბადების დღეს. შვიდი თვე გავიდა მას შემდეგ, როცა შავი ღრუბელივით მოეფინა რუსთავს შენი დაღუპვის ამბავი. თავზარდამცემი და მოულოდნელი იყო შენი ამ ქვეყნიდან წასვლა. ყოველი დილის გათენება უშენოდ, ახალი სიკვდილია ჩვენს ოჯახში, ნინი, შვილო. გვენატრები, ნინიკო, გვიყვარხარ და გეფერებით, დედიკო. გვენატრება შენი ხმა, ღიმილი, ლამაზი სახე...

შენს ლამაზ სახეს, უბოროტო გულს ვერ ივიწყებენ შენი მეგობრები, დეიდა-მამიდები, დეიდაშვილ-მამიდაშვილები, ბიძაშვილები. უზომოდ ენატრები შენს ფატის, რომელმაც ეს სიტყვები შენ მოგიძღვნა.

*„წახვედი ჩემგან, მე დავრჩი კენტად,*
*ისევ და ისევ შენ მენატრები,*
*მინდა იცოდე, ისევ მიყვარხარ,*
*მთელი ცხოვრება შენ მენატრები".*

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი, სპეტაკი და უმანკო სული.

*დედა, მამა, ძმა — გიორგი*

### მერი ყოჩიაშვილი-ხუციშვილის მონატრება



ძვირფასო დედა! 1 წელია დაგვტოვე. 1 წელია სასაფლაოსა და ეკლესიის გზა გავითავისე. რაც დრო გადის, მით უფრო ძნელია, დედიკო, ჩემი უშენოდ ყოფნა.

დედა, რად გაამწარე შენი საფიცარი ვალერი?! იცი, დედა, მე და ვალერი ერთმანეთს რომ ვხვდებით, ვეკითხებით, — დედა სიზმარში ხომ არ გინახავს-თქო? რად გვექეცი სიზმრად, დედა? რამდენჯერაც გნახე სიზმარში, ვიწერ ნანახს — რომ არ დამავიწყდეს და მას ვეფერები მერე. დედიკო, ტკბილად გიგონებენ შენი გაზრდილები: გიორგი, გურო და მარუნა. პატივისცემით გიხსენებს მაია. მართლა გულით გცემდა პატივს შენი სიძე — ავთო. დედა, დაკრძალვიდან რომ ოჯახში დავბრუნდით, სულ უკან ვატრიალე შენი ცხოვრების სურათები. სამოთხეში მოხვდება თუ არა დედა-მეთქი? — ვფიქრობდი. არც ერთი ბოროტება არ მახსენდება, შენ ვინმესთვის გაგეკეთებინოს. ორი ობოლი გყავს გაზრდილი. ღმერთის წინ მადლად ისიც გეყოფა. რა ძნელი ყოფილა ობლობა. დედა, შენ ხომ პატარა დაობლდი, ამდენი როგორ გადაიტანე? დიდი შრომით დაღლილო დედა, დაისვენე და განისვენე. მე კი სანამ ვიცოცხლებ, ჩემს ოჯახში ყოველდღილით აინთება სანთელი, რომელიც შენი სულის ნათელში ყოფნას შესთხოვს ღმერთს.

*„რაც ჩვენთვის სიმღერა გითქვამს,*
*რაც ჩვენთვის ოფლი გდენია,*
*დედაშვილობას ვფიცავართ*
*მუქთად არ ჩაგვილევია".*

მსუბუქი იყოს შენთვის ზემო ბოდბის მიწა.

*შენი დალი*

### გია (გიორგი) ხორნაულის მონატრება



ერთი წელი გავიდა, რაც შენმა ლამაზმა სულმა მარადისობაში დაიმკვიდრა ადგილი. ჩემო საყვარელო, ლამაზო და სიცოცხლით გაუმაძღარო ძმაო, ნაადრევად წახვედი ამ ქვეყნიდან. ჩვენ კი უდიდესი ტკივილი, მწუხარება, ცრემლი დაგვიტოვე, რომელიც გაუსაძლისია. ძალიან გვაკლიხარ და გვენატრები. უშენოდ ყველაფერმა დაკარგა ფასი. ძნელია, მაგრამ ამ ყველაფერს ვეგუებით, რადგან ასე ინება ღმერთმა. ერთი ისღა დაგვრჩენია, უფალს სანთელი ავუნთოთ და ვევედროთ, რომ შენი ლამაზი სული ნათელში ამყოფოს. გია, შენ ჩემს გულში ყოველთვის ცოცხალი იქნები.

*შენი საყვარელი დაიკო ლია*

### დალი რუხაია-ბერიას მოსაგონარი



დრო სწრაფად გადის. 5 წელი გავიდა უკვე, რაც შენ ჩვენთან აღარ ხარ, დალი ბებია. 57 წლის ასაკში წაგვართვა ულმობელმა სიკვდილმა ჩვენი საყვარელი, თბილი და კეთილი ბებია. 11 ნოემბერს მოვალთ შენს საფლავთან, საყვარელო ბებია და კიდევ დავანთებთ წმინდა სანთელს. ღმერთმა ნათელში ამყოფოს თქვენი წმინდა სული. მსუბუქი იყოს თქვენს მკერდზე დაყრილი საქართველოს მიწა.

*რუსუდან და გიორგი ბერიები*

### გოგუცა ყუბუსიძე-ჩოგოვაძის გახსენება



13 ნოემბერი შენი დაბადების დღეა. თვალცრემლიანი გილოცავ, ჩემო ტკბილო, უერთგულესო, ჩემზე ფიქრსა და ზრუნვაში დაღლილო დედიკო. მეხუთედ ვხვდები ამ დღეს უშენოდ, რომ იცოდე, როგორ მაკლიხარ და მენატრები. ძალიან მიჭირს უშენობა. არაჩვეულებრივი დედა იყავი — თბილი, ტკბილი, ყველას მოსიყვარულე... ჩემს ცრემლებს, მონატრებას, გაუსაძლის ტკივილს მხოლოდ შენთვის დანთებული სანთლებითა და შენზე აღვლენილი ლოცვით დავიამებ. ღმერთმა ნათელში გამყოფოს, საყვარელო დედიკო.

*შენი შვილი ლიანა*

### თამილა ფარულავას ხსოვნას!



ძვირფასო თამილა! საოცარია წუთისოფელი — როგორ ვეგუებით უშენობას. უფრო სწორად — ვცდილობთ შეგუებას. ისე უეცრად გამოგვეცალე ხელიდან, რომ წესიერად გააზრებაც ვერ მოვასწარით. მხოლოდ შემდეგ დღეებში გავაცნობიერეთ შენი დაკარგვის მთელი სიმძიმე, მთელი სიმძაფრით შევიგრძენით ის ტკივილი, რომელიც მოგვაყენე.

გამუდმებით ერთი კითხვის გარშემო ვტრიალებთ — რატომ ასე მალე? განა ვინმე იტყოდა შენზე, რომ ავად იყავი, თანაც საშინელი სენით?! მუდამ ისეთი ღიმილიანი და ხალისიანი, სიკეთით სავსე გულით დადიოდი ამქვეყნად. სიცოცხლე გიყვარდა და ამ სიყვარულით იცხოვრე — შენეული სიცოცხლის წყურვილი გადამდები იყო. არასოდეს დაგკარგვია ადამიანების ნდობა — ეს მუდამ მისაბაძი იყო და იქნება. ყველას ტკივილი გტკიოდა, ყველას ბედნიერებით ხარობდი. თავდადადებული და ერთგული მეგობარი იყავი. საუბედუროდ ეს ყველაფერი უკვე წარსულია. და კიდევ: კეთილშობილი და დიდსულოვანი თურმე ისეთი მარტოსული ყოფილხარ!

საყვარელო ადამიანო, ყველამ გულწრფელად დაგიტირა. ყველამ უშურველად გაიმეტა შენთვის ცრემლი. თავად გულწრფელი, ყველამ გულწრფელად გაგაცილა უსასრულობისაკენ.

შენი სპეტაკი, სუფთა სულით იქიდანაც გაგვანათებ და შეგვეწევი.

გეფერებით... ძალიან გვენატრები...

*შენი ახლობლები და მეგობრები*

### ზაალ მდინარაძის მოსაგონარი



ათი-თერთმეტი წლის იქნებოდა ზალიკო, „ჯაყოს ხიზნებს" რომ ვესწრებოდით. სპექტაკლის დასასრულს ფეხზე მდგარ მაყურებელთა შორის ისიც აღტაცებული უკრავდა ტაშს მსახიობებს. ყველაზე ბოლოს, როგორც წესია, პიესის მთავარი მოქმედი პირი თეიმურაზ ხევისთავი (მსახიობი ნოდარ მგალობლიშვილი) გამოვიდა სცენაზე. ტაშმა იმატა... ზალიკომ მისი დანახვისას ტაშის დაკვრა შეწყვიტა, ხელები მომუშტა და მთელი ხმით მრისხანედ დასჭყივლა: „ბრინკა"! შემცბარმა და შეშინებულმა მიმოვიხედე, სცენისკენ გავიხედე. ტაშის ახალმა ტალღამ გადაუარა დარბაზსა და სცენას... ბატონ ნოდარს თვალით ზალიკო ეპოვა და კეთილად უღიმოდა... შვებით ამოვისუნთქე.

ბავშვის გულიდან ამომსხვარი, ერთი შეხედვით შეურაცხმყოფელი სიტყვა მისი არტისტული გამარჯვება იყო. მან განახორციელა მიხეილ ჯავახიშვილის ჩანაფიქრი და ადამიანებში კაცური ღირსებისა და თავმოყვარეობის გრძნობა გაალვიძა.

მე და ზალიკო, ჯერ კიდევ მის ბავშვობაში ერთად ვმღეროდით „კაპიტან ბუხაიძეს"... მე შევაყვარე ვეფხვთან მორკინალი მოყმე და სურამის ციხის კედელში ჩატანებული ზურაბი. მაგრამ აფხაზეთის ომში არ ვუშვებდი, ვერ გამოვდექი ის ქართველი დედა, შვილს ხმალს რომ მიაწვდიდა და ომში მიმავალს გზას დაულოცავდა...

22 წლის ზალიკო თვითონ წავიდა აფხაზეთში და ჩემთვის დატოვებულ წერილს ხელი ასე მოაწერა: „შენი ჭკვიანი შვილი ზაალი". ამითაც ცდილობდა მივეხვედრებინე, რომ მისი ეს „დედის დაუკითხავად" გადადგმული ნაბიჯი ჭკვიანური იყო...

1993 წლის 9 ივლისს, სოფელ ტამიშთან ბრძოლაში, როდესაც 150 მედესანტე გაანადგურეს და ალყაში მოქცეული სოხუმი გაათავისუფლეს, ზალიკომ, ორმოცკილოგრამიანი რაციით მხარზე უშიშრად გაირბინა ფრონტის ხაზი და რაცია მიუტანა ალყაში მოყოლილ თანამებრძოლებს. მაგრამ თავად... მან თავისი ერთი სიცოცხლით ორმოცდარვა სიცოცხლე გადაარჩინა.

ზაალი თავდადებისთვის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოვდა (სიკვდილის შემდეგ). ლანჩხუთის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩას მისი სახელი ეწოდა.

მერე, რა მოიგო ამითო?.. — მეკითხებიან დღევანდელი „ბრიკები", „ჯაყოები", ფულისმოყვარე არაკაცები.

რა და — დიდ ბოროტებასთან მებრძოლი პატარა საქართველოს ღირსეული შვილის, ვაჟკაცის სახელი!..

*ზაალის დედა ზეინაბ მდინარაძე*

## ნეკროლოგი

ღრმა მწუხარებით ვიუწყებით, რომ გარდაიცვალა

### ლუიზა (ლულუ) ბეჟანიშვილი



მძიმე იყო გასული კვირა ოჯახისათვის, ახლობლებისა და მეგობრებისათვის. უიმედოდ ვანუგეშებდით დადარდიანებულ შენს შვილებს, თუმცა არანაკლები დღე გვადგა ჩვენც. დიდი სიყვარული იცოდი და უზომოდ დიდ სიკეთეს თესდი, ჩვენო მოურჩენელო ტკივილო. ნათელში იყოს შენი სული, ჩვენ კი უამრავი სანთლით გზას გაგინათებთ მარადიულ სასუფეველში.

*მეჯვარე დალი პაპუაშვილი ოჯახით*

ნათელა, ზაირა, ავთანდილ, დიმა ცანავები, მაია, ვალერი ურუმაშვილები იუწყებიან

**ოთარ დიანოზის ძე ცანავას**

გარდაცვალებას.

# მისანი ბოჩოლა



დიტოს ძალიან უყვარდა ბოჩოლა. ხშირად მას მიჰყავდა ხოლმე ჭალაში საბალახოდ. ვიფიქრე, ალბათ ბიჭი ამ ადგილზე ჯდებოდა და ახლა პატრონის სუნს ან რაღაც ამგვარს ეძებს-მეთქი. აბა, ბალახს რიყეზე რა უნდოდა! იმ ადგილზე მდინარეში წყალი ძალიან ღრმა იყო და მორევი ისე თუხთუხებდა, კაი მოცურავეებიც ვერ ბედავდნენ შიგ შესვლას. თავში დამკრა — აქ არ უძებნიათ ბიჭი-მეთქი. ოჯახს გავუზიარე ნაფიქრი. ბათუმიდან მყვინთავები ჩამოვიყვანეთ.

— შარშან ზაფხულს ჩემი 15 წლის დისშვილი, დიტო, მდინარეში დაიხრჩო. ლამის ფოთამდე გადავჩხრიკეთ რიონი, მაგრამ გვამს ვერაფრით მივაგენით. უბედურებისგან ჭკუაზე კინაღამ შევიშალეთ.

ერთკვირიანი ამაო ძებნის შემდეგ ჩემი ყურადღება მიიქცია ჩვენმა ბოჩოლამ, რომელიც ერთი კვირის მანძილზე, მას შემდეგ, რაც ბიჭი დაიღუპა, უჩვეულოდ იქცეოდა. მოვიდოდა, დადგებოდა სახლის კართან და ძაღლივით ყმუოდა! ზუსტად ერთი კვირის თავზე კი ბოჩოლა გაქრა. გადაატრიალეს მეზობლის ბავშვებმა სოფელი და ჭალაში ნახეს — თურმე მდინარის პირას იწვა და ტიროდა. შინ რომ მოიყვანეს, ერთიანად სველი იყო. დედაჩემმა ამოიკვნესა — ესეც ხვდება ჩვენს უბედურებასო.

არ მომასვენა ფიქრმა — ნეტავ რას ყმუოდა ეს ბოჩოლა, ან მდინარის პირას რამ ჩაიყვანა, ან კიდევ საქონლის ტირილი რას უნდა ნიშნავდეს-მეთქი.

მეორე დღეს ბოჩოლა ისევ გაქრა, ამჯერად ბევრი აღარ უძებნიათ. ისევ იმ ადგილზე ნახეს, სადაც წინა დღით იყო დაყუნტული. ისევ ნამტირალევი ჩანდა. დილით ბოსელში რომ არ დამხვდა, გიჟივით გავვარდი ჭალაში. საბრალო პირუტყვი მუშტისხელა გამხდარიყო, იწვა რიყეზე, ტიროდა და თან სუსტი ხმით ყმუოდა ძაღლივით.

იმავე საღამოს იპოვეს ბიჭის გვამი...

გულდამდუღრებულებს ბოჩოლა აღარც გაგვხსენებია. მხოლოდ მესამე დღეს მოისაკლისა ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც პირუტყვს უვლიდა. ჭალაში გავარდნენ ბიჭები — ისევ იქ იქნება საწყალიო. მართლაც ძველ ადგილზე ნახეს, მაგრამ უცნაური, მისნობის თუ რა ვიცი, რა გრძნობით დაჯილდოებული ბოჩოლა ცოცხალი აღარ დახვდათ. საბრალოს სულ ერთიანად სველი ჰქონდა თურმე სახე და თვალები.

მერე, ჩემი ძმა იხსენებდა: — იმ ავბედით დღეს ბიჭები საცურაოდ რომ მიდიოდნენ მდინარეზე, დიტოს ბოჩოლა ახალი მოყვანილი ჰყავდა ჭალიდან, კარგა გამძლარი იყო. ამიტომაც გამიკვირდა, ბღავილით რომ დაედევნა ბიჭს. ეტყობა, გული უგრძნობდა უბედურებასო.

არ ვიცი, რას გრძნობდა ჩვენი ბოჩოლა, მაგრამ ერთი კია, ის რომ არ ყოფილიყო, დიტო ალბათ დღესაც მდინარის ფსკერზე იწვებოდა. მყვინთავებმა გვითხრეს, გვამი 7 მეტრ სიღრმეზე იყო, წყალქვეშა ლოდს წამოსდებოდაო.

***ეკატერინე ჯიხვაშვილი***

„საზალდო-სალაღო“ გვერდის

**I. აბა, გამოიცანი:**

1) — ბ); 2) — გ); 3) — ბ); 4) — ა); 5) — დ); 6) — ბ); 7) — ბ); 8) — ა).

**II.** 1-ელი და მე-3 ფოთლები „ბ“ ტოტიდან, მე-2 და მე-5 — „ა“ ტოტიდან, მე-4 და მე-6 „გ“ ტოტიდან.

## ჩვენ გვწერენ

# სიკვდილის სუნი

— არ ვიცი, პირველად როდის ვიგრძენი სიკვდილის სუნი. ალბათ ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ვიდრე არ ვიცოდი, რა იყო სიკვდილი, ვერც იმას ვაცნობიერებდი, რისი მომასწავებელი იყო ის სუნი.

რამდენჯერმე სულ უცხო ქუჩაზე, უცხო სახლთან ჩავლისას მიგრძნია ეს და თავის შესამოწმებლად მეორე-მესამე დღესაც გამივლია იქით. უკვე ხალხმრავლობა დამხვედრია სადარბაზოსთან.

ორი წლის წინ ჩემს სადარბაზოში ვიგრძენი ეს სუნი. მთელი კვირა ველოდი ცუდ ამბავს. შიშით მეზობლებს ვერ ვუყურებდი თვალებში. ვიცოდი, ერთი მათგანი მძაფრად აფრქვევდა ამ სუნს. მართლაც, ერთი კვირის შემდეგ მეზობელი გარდაიცვალა.



განსაკუთრებით ცუდად ვგრძნობ თავს, როცა ტრანსპორტში თავშეყრილ ადამიანებს შორის ერთ-ერთ განწირულს შევიგრძნობ. რასაკვირველია, ისევ და ისევ სუნის მეშვეობით. და აი, ამბის მოყოლა რატომ გადავწყვიტე. ახლახან სამარშრუტო ტაქსიში ერთ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა კაცს დასტრიალებდა თავს ეს საბედისწერო სუნი. გული შემიქანდა. იცით, თვითონ სუნი ნამდვილად არ არის ამაზრზენი, ანუ ცუდი, რაღაც განყენებული უფროა, ვერაფერს მიამსგავსებ. ეს კი არის, რომ ჩემთვის შემაძრწუნებელი და გულისგამაწვრილებელია მისი შეგრძნება. საყელო შევიხსენი, ცივი ოფლით დამეცვარა შუბლი. ძალიან მეჩქარებოდა, ამიტომ სამარშრუტო ტაქსიდან ჩამოსვლაც არ შემეძლო. არადა ჯოჯოხეთურ ტანჯვას განვიცდიდი. ის, ვისაც ეს უბედურება სჭირდა, რა თქმა უნდა, ვერაფერს ხვდებოდა, თანამგზავრს ელაპარაკებოდა ხალისიანად, რაღაცაზე იცინოდნენ. როგორც ჩანს, ძალიან დამეტყო მოუსვენრობა. ალბათ იმ უცნობსაც უცნაურად ვუყურებდი. უცებ გვერდით მჯდომი ასაკოვანი კაცი გადმოიხარა, ყურთან მომიტანა ტუჩები და ძალიან ხმადაბლა მკითხა:

— თქვენც გრძნობთ, არა?

უხერხულად შევიშმუშნე. მივხვდი, მან კარგად იცოდა, რასაც ვგრძნობდი. შევხედე. არც მას ადგა კარგი დღე. ისევ ხმადაბლა გადმომილაპარაკა:

— ამან გამტანჯა 70 წელია, ამან შემირყია ჯანმრთელობა, თორემ რა მომერეოდა, რკინის მკვნეტელივით ვიყავი! შენ არ იცი, როგორ მშურს ამათი, — თვალი სხვა მგზავრებს მოავლო, — რომ ეს სუნი არ იციან, რა არის!

ხმას ვერ ვიღებდი, გული გამალებით მიცემდა. კიდევ კარგი, ის საცოდავი ახალგაზრდა მალე ჩავიდა. შვებით ამოვისუნთქე. ჩემმა თანამგზავრმა განაგრძო:

— შემოგხედე თუ არა, მივხვდი, რომ შენც ჩემსავით გრძნობდი სიკვდილის სუნს. ძალიან მწარეა, შვილო, ძალიან მწარე! როგორია, წინასწარ იცოდე შენი ახლობლებიდან ვინ როდის გარდაიცვლება. ათი წლის წინ ჩემს ვაჟს აუვიდა ეს საბედისწერო სუნი. რა უნდა მექნა?! ჯერ ვიფიქრე, თავს მოვიკლავ-მეთქი. ვეღარც შვილის სიკვდილს მოვესწრებოდი და ამ საშინელებისგანაც დავიხსნიდი თავს სამუდამოდ, სიკვდილის წინათგრძნობა რომ ჰქვია. მერე ვიფიქრე, იქნებ შეიძლებოდეს ამ უბედურების აცილება-მეთქი. ყველაფერს თავი დავანებე, სამსახურში აღარ წავედი და ყელგამოწვდილმა ვთხოვე შვილს, — მოდი, მომეხმარე, შინ დარჩი, კარები მაქვს შესაღები-მეთქი. გაგიჟდა — რა დროს კარების შეღებვააო, მაგრამ ხათრი არ გამიტეხა. ეცინებოდა საცოდავს! იმედი მქონდა, ჩემთან მეყოლებოდა, თვალს არ მოვაშორებდი, თანაც საღებავის მძაფრი სუნი იმ დაწყევლილ სუნს გააქარვებდა. ეჰ! ის აცეტონის სუნიც ვერ მოერია სიკვდილის სუნს! ფარ-ხმალი დავყარე. გულის ჩხვლეტა დამეწყო. ცუდად გავხდი. ნერვიულობდა ჩემი ბიჭი, — რა უცნაური ხარ, რად გინდოდა კარების შეღებვა, სული შეგეხუთაო...

მე რა მიჭირდა! ის უბედური იყო განწირული. იმ ღამით გული გაუხდა ცუდად. სასწრაფო გამოვიძახეთ. მე ვიცოდი, აზრი არ ჰქონდა! მოვიდნენ. უკვე გვიან იყო. თავი მძულს, თავი! ველოდები, ვიგრძნო, მე როდის ამივა სიკვდილის სუნი, მაშინ მაინც ხომ გავთავისუფლდები ამ სასჯელისგან...

თანაგრძნობით გავუღიმე. დავემშვიდობე და ტაქსიდან ჩავედი.

მართლა რა ბედნიერია ყველა, ვინც არ იცის, რა არის სიკვდილის სუნი...

***ლელა ჯანყარაშვილი***






# „მილიციელი“ თუთიყუში

ერთმა კიეველმა გადამდგარმა მილიციელმა თუთიყუში შეიძინა და მთელი წელი ცდილობდა მისთვის ლაპარაკი ესწავლებინა. შრომამ ამაოდ ჩაიარა — თუთიყუში ხმას არ იღებდა.

ერთხელ, თუთიყუშის პატრონი რამდენიმე წუთით შინიდან გავიდა სიგარეტის საყიდლად. დაბრუნებულს ბინაში ორი უცნობი მამაკაცი დახვდა. ორივენი იატაკზე იწვნენ და ხელები თავზე შემოეწყოთ. ისინი მძარცველები იყვნენ. როცა დაინახეს, ბინის პატრონი წავიდა, შევიდნენ ბინაში და... მოესმათ ბრძანება: „სდექ! გავისვრი გაუფრთხილებლად, პირდაღმა დაწექით და ხელები თავზე შემოიწყვეთ!“ შეშინებულმა ქურდებმა მაშინვე შეასრულეს ბრძანება. მათ, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ, რომ ეს იყო მილიციელის თუთიყუში, რომელიც ექსტრემალურ სიტუაციაში ალაპარაკდა.

***ინტერპოლ-ექსპრესი №39***

# ბრიტანელ ცოლ-ქმარს მტრედების დაპურება აუკრძალეს

ბრიტანული ქალაქის ნოტინგემის მუნიციპალურმა სასამართლომ თავისი გადაწყვეტილებით შეზღუდა ცოლ-ქმარ ბუტების მეტისმეტი სიყვარული მტრედების მიმართ. ცოლ-ქმარი მრავალი წლის მანძილზე უყრიდნენ საკენკს თავიანთი სახლის წინ მტრედებს. ათასობით ფრინველი აბინძურებდა ქუჩას მეზობლების სახლების წინაც. მტრედების მასობრივი მიგრაცია ბუტების სახლთან, მეზობლებს აღიზიანებდათ, რადგან ხმაურობდნენ და ჰაერიც საშინლად ყარდა. ბუტებს სასამართლოში უჩივლეს, რადგან მტრედების გამოკვებისას მეზობლები ვერ აღებდნენ ფანჯრებს და იძულებულნი იყვნენ შემდეგ დიდხანს ეწმინდათ ქუჩა და ფანჯრის რაფები. სასამართლომ ცოლ-ქმარი დამნაშავედ ცნო და განაცხადა, რომ ისინი ზღუდავენ მეზობლების უფლებებს. დამნაშავეებს დაეკისრათ ჯარიმა ₹2.920-ის ოდენობით, გარდა ამისა, მათ აეკრძალათ მტრედების გამოკვება ხუთი წლის მანძილზე.

***დენგი №42***

# თვითმკვლელობის სანქცია

ინდოეთის შტატის მადჰია-პრადეშის ფინანსთა მინისტრის მოადგილემ ვინოდ შაკლამ განაცხადა, რომ მას აღარ შეუძლია კორუფციისა და ბიუროკრატიზმის ატანა: „ყელამდე ვარ არსებული სისტემით. წესიერ ჩინოვნიკებს აღარ შეუძლიათ ასეთ ხელმძღვანელებთან მუშაობა. მორალურად მზად ვარ, თავი მოვიკლა“. პატიოსანმა ჩინოვნიკმა აგრეთვე განაცხადა, რომ მან შტატის გუბერნატორს და პრემიერ-მინისტრს გაუგზავნა ოფიციალური მიმართვა, რომლითაც მოითხოვა, ნება დართონ თვითმკვლელობა უშუალოდ სამუშაო ადგილზე აღასრულოს. შტატის ხელმძღვანელობამ შაკლას მოთხოვნა გადაუგზავნა შინაგან საქმეთა და ფინანსთა სამინისტროებს, რომლებმაც უნდა მიიღონ ერთობლივი გადაწყვეტილება იმის თაობაზე, აქვს თუ არა უფლება ჩინოვნიკს, თავი მოიკლას რეგიონის ადმინისტრაციის შენობაში. გუბერნატორის გადაწყვეტილებას აცნობებენ განმცხადებელს.

***ნიუ ზუიქი***



# ინგუშეთის პრეზიდენტისა და ჰოლივუდის ვარსკვლავის რომანი

ჟურნალისტებმა არაერთხელ მიანიშნეს იმ მეგობრულ ურთიერთობაზე, რომელიც აკავშირებს ინგუშეთის პრეზიდენტ მურატ ზიაზიკოვს და ანჯელინა ჯოლის.

ანჯელინა ჯოლი ცოტა ხნის წინ ესტუმრა რუსეთს კეთილი ნების ელჩის სტატუსით და ერთ-ერთ მიღებაზე შეხვდა ინგუშეთის პრეზიდენტს. ამბობენ, რომ მათმა ურთიერთობამ ოფიციალობის ზღვარს გადააჭარბა და ქალიც აღარ მალავდა თავის სიმპათიებს. უკანასკნელი ცნობების თანახმად, ახლახან ქმარს გაცილებული ანჯელინა ჯოლი ისევ აპირებს რუსეთში ჩასვლას და ინგუშეთის მონახულებას, ხოლო ზიაზიკოვის გარემოცვა ჩურჩულებს — პრეზიდენტმა გულმოდგინედ მოჰკიდა ხელი ინგლისური ენის შესწავლასო.

***ვერსია №39***

# „საქმეზე“ წასული პირს ნუ დააღებ!

ინდიანის შტატის ქ. მანსის დეტექტივები გამოიძახეს ერთი სახლის გაქურდვის გამო. შემთხვევის ადგილზე მისულებმა დანაშაულის ვერავითარ კვალს ვერ მიაგნეს. მაგრამ მეორე დღეს, მოსამსახურე ქალმა ოთახის დალაგებისას დივანის ქვეშ იპოვა კბილის პროთეზი, რომელიც სასწრაფოდ პოლიციაში წაიღეს. როგორც ჩანს, მძარცველს „საქმის“ დროს მოსძვრა პროთეზი, დივანის ქვეშ შეგორდა და მან სიბნელეში და სიჩქარეში მისი პოვნა ვერ მოახერხა.

უიღბლო მძარცველი იმავე დღეს დააპატიმრეს. საქმე კი იმაში გახლავთ, რომ ინდიანის შტატის კანონის თანახმად, დანტისტები ვალდებულნი არიან, პროთეზის უკანა მხარეს ამოტვიფრონ მისი პატრონის გვარი.

***მეგაპოლის-ექსპრესი №35***

# ბანდიტებს გული აუჩუყდათ...

ჰოლანდიაში ტერორისტებმა მატარებელი გაიტაცეს და მგზავრები მძევლად აიყვანეს. მას შემდეგ, რაც ხელისუფლებასთან მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, გამტაცებლებმა ერთ-ერთი მძევალი გამოიყვანეს და უნდა დაგხვრიტოთო, განუცხადეს. სიკვდილის წინ კი ნება დართეს ახლობლებისთვის გასაგზავნი წერილი ეკარნახა. სიკვდილმისჯილი საათზე მეტხანს კარნახობდა და თავისი უბედური ცხოვრების მოთხრობით ბოროტმოქმედებს გული ისე აუჩვილა, რომ გაათავისუფლეს.

***შტერნი***



# მადონა — წვერიანი ნიმფა

პოპმომღერალმა მადონამ აღმოაჩინა, რომ წვერი ეზრდება. მომღერალს ძველმა სენმა — ჰიპერპილოზიტმა (ჭარბთმიანობა) შეახსენა თავი. ყველაზე საშინელი ის არის, რომ ამჯერად თმიანობა სახეზე დაეწყო. ჰიპერპილოზიტი — ხმელთაშუა ზღვის შავგვრემან ქალებში გავრცელებული დაავადებაა. მადონას კი ძარღვებში იტალიური სისხლი უჩქეფს და მისი ქერა თმა ჰოლივუდის დამსახურებაა.

პირველად ეს ანომალია მადონამ ათი წლის წინ შენიშნა — მაშინ თმიანობა მკერდსა და მუცელზე ჰქონდა, თუმცა ექიმების დროულმა დახმარებამ იხსნა. ამ დროის განმავლობაში გათხოვდა და ორი შვილიც ჰყავს. დაავადება თუ თავს შეახსენებდა, ვერ წარმოედგინა და ჰორმონალური პრეპარატები აღარ მიუღია. ახლა კი მადონამ აღარ იცის, რა ქნას — სამართებელი მოიმარჯვოს თუ პრეპარატები გამოიყენოს. მით უმეტეს, რომ ექიმებმა იმედი გადაუწურეს — სწრაფ შედეგს ნუ ელიო.

***ოკნა №40***

# ძროხები და ოზონის ფენა



საძოვარზე გაშვებულ ძროხაზე უწყინარი არაფერია ამქვეყნად, მაგრამ თურმე საქმე სულ სხვაგვარადაა...

ოქსფორდის უნივერსიტეტის ცნობილმა ბიოლოგმა რობერტ სტინგლიმ დაადგინა, რომ ძროხები ეკოლოგიური კატასტროფის მთავარი დამნაშავენი არიან.

სტინგლიმ გამოითვალა, რომ ყველა ძროხა ერთად „გამოიმუშავებს“ ატმოსფეროში მოხვედრილი მეთანის 20%-ს. ეს მავნე გაზი ძროხის მუცელში გამოიყოფა საჭმლის გადამუშავების დროს. შემდეგ ის გადადის სისხლში, იქიდან ფილტვებში და სუნთქვისას გარეთ გამოდის. ყოველდღიურად თითოეული ძროხა ამოისუნთქებს 450 ლ გაზს. ნახშირორჟანგთან და აზოტთან რეაქციაში შესული მეთანი კი იწვევს „სათბურის ეფექტს“, ანუ ყოველი ამოსუნთქვით ჩვეულებრივი ძროხა ნელ-ნელა, უნებურად შლის პლანეტის ოზონის ფენას.

გამოსავალი? ამაზე პასუხი ჯერჯერობით არ ჩანს. ფიქრობენ, ძროხები აირწინაღებით აღჭურვონ, მაგრამ...

***ჟენსკიე დელა №11***

# კაციჭამიობა მოინანიეს

136 წლის წინათ, ფიჯის არქიპელაგის ერთ-ერთი კუნძულის მცხოვრებლებმა მოკლეს, შემდეგ შეწვეს და შეჭამეს მისიონერი ტომას ბეიკერი იმის გამო, რომ მან გაბედა და ტომის ბელადს თმიდან სავარცხელი ამოაძრო. საბრალო ბეიკერმა არ იცოდა, რომ ადგილობრივი კანონი მკაცრად კრძალავდა ყველა ბელადის შეხებას.

ეს რიტუალი კი ჩაატარეს, მაგრამ წლების მანძილზე განიცდიდნენ ამ საქციელს და სჯეროდათ, რომ ინგლისელი მისიონერის მკვლელობის გამო მათი გვარის ყველა შთამომავალი დაწყევლილი იყო.

რათა გამოესყიდათ დანაშაული და თავიანთი გვარისთვის საუკუნოვანი წყევლა მოეხსნათ, იმ სოფლის ბელადმა მოიწვია ტომას ბეიკერის შთამომავლები და ჩაატარა სპეციალ-



ური „მოსაბოდიშებელი და მოსანანიებელი ცერემონია“.

***ინტერპოლ-ექსპრესი №39***

# ყველაზე გრძელი ტაქსა

წელიწადში ერთხელ პოლონური ქალაქის, კრაკოვის ქუჩებში უამრავი ტაქსა დასეირნობს — აქ ამ ჯიშის ძაღლების ტრადიციული დათვალიერება ეწყობა.

ძაღლების ჩვეულებრივი გამოფენისაგან განსხვავებით, ამ დათვალიერების ჩემპიონებს ექსტერიერისა და ნადირობის უნარის მიხედვით არ ირჩევენ. კრაკოვში პრიზს ძაღლის ამ ჯიშის ყველაზე გრძელ წარმომადგენელს აძლევენ. წელს ჩემპიონი გახდა ტაქსა, სახელად ფილიპი, რომლის სიგრძე 115სმ-ს შეადგენს.

დათვალიერება-მარშის დროს, კოსტიუმებში გამოწყობილი ტაქსების მეჯლისიც ეწყობა. საუკეთესოდ ჩაცმულ ტაქსას გულუხვად ასაჩუქრებენ. წელს პირველი ადგილი მგლის კოსტიუმში გამოწყობილ ტაქსას, მეორე კი „ბუტერბროდის“ კოსტიუმიანს ერგო.

***ეხო პლანეტი №40***

# სათვალე-მაღვიძარა

ავარიები გზებზე ხშირად იმიტომ ხდება, რომ მძღოლი საჭესთან ჩათვლემს ხოლმე. ცნობილმა მეცნიერმა, ალექსეი ბურაკოვმა გადაწყვიტა, მოევლო ამ პრობლემისათვის.

მის მიერ შექმნილი ხელსაწყო ჩვეულებრივ სათვალეს მოგაგონებთ. სათვალის რკალში მაგრდება მიმღები, რომელიც თვალს ადევნებს თვალის ხამხამის სიხშირეს. ფხიზელ მდგომარეობაში ადამიანი წუთში 32-40-ჯერ ახამხამებს თვალებს. როგორც კი ხამხამის სიხშირე აჭარბებს ამ პარამეტრს, ხელსაწყო უსიამოვნო ხმის, ძლიერი ხმაურის გამოცემას იწყებს. სურვილისამებრ შეგიძლიათ მასზე ჩაწეროთ ნორმალური ადამიანისთვის გამაღიზიანებელი სხვა ხმებიც: მაგ. მაღვიძარას ხმა, ანდა პოლიციის მანქანის სირენა.

— ამ ხელსაწყოს მუშაობის პრინციპს კატებზე ჩატარებული ცდებით მივაგენი. ყურადღება მივაქციე თვალის კუნთების აქტივობას, — ამბობს ალექსეი ბურაკოვი, — როცა კატას ეძინება, ის უფრო ხშირად ახამხამებს თვალებს.

ჯადოსნური სათვალე-მაღვიძარა ჯერჯერობით ერთადერთი ეგზემპლარია და გამომგონებელს იმედი აქვს, რომ ამ მეტად საჭირო აღმოჩენით წარმოებაც დაინტერესდება.

***ექსპრეს-გაზეტა №39***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში დავით კლდიაშვილის სიტყვებს ამოიკითხავთ.**




**დ.** სამეცნიერო ხარისხი; **ა.** მსოფლიოში ყველაზე გრძელი ჩანჩქერი; **ი.** სუფთა მოგება ძიუდოში; **ს.** ტბა სომხეთში; **ვ.** ბურბონთა დინასტიის ერთ-ერთი რეზიდენცია; **ე.** მამაკაცისადმი ზრდილობიანი მიმართვის ფორმა მუსლიმანურ ქვეყნებში; **ნ.** დინამიტის გამომგონებელი; **ე.** დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; **კ.** ზაპოროჟიელ კაზაკთა სამხედრო მეთაური; **ვ.** ბალტიისპირელი მომღერალი ქალი; **ი.** სიქა, ღონე, არაქათი; **რ.** სახელგანთქმული ქართველი მოჭიდავე; **ი.** ბრაზილიელი „მონა“ ქალი, რომლის ბედსაც მთელი საბჭოთა კავშირი დასტიროდა; **ს.** საპორტო ქალაქი ესპანეთში; **პ.** ჯილდო რაიმე შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის; **ა.** დებულება, რომელსაც დამტკიცება არ სჭირდება; **ლ.** ფრაზის ავტორი: „აქა ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს“; **ი.** კუნძული, რომელზეც მდებარეობს ინდონეზიის დედაქალაქი ჯაკარტა; **ტ.** ამერიკელი მოკრივე; **რ.** იტალიელი კომპოზიტორი, „სევილიელი დალაქის ავტორი“; **ი.** მგალობელი ფრინველი; **ს.** შეჯიბრი მთიდან თხილამურებით სწრაფდაშვებაში მიხვეულ-მოხვეული გზით; **ფ.** ძალიან რბილი, ფაფუკი; **ე.** „ნატვრის ხის“ პერსონაჟი, უღარიბესი გლეხი, რომელიც მთელი ცხოვრება ოქროს თევზს, ოქროს კვერცხისმდებელ ქათამს, ნატვრის თვალსა და ნატვრის ხეს ეძებდა; **რ.** რისამე დამზადების წესი; **ე.** სახელმწიფოს მიერ ქაღალდის ფულის გამოშვება; **ბ.** მსუბუქი, ვერანდებიანი შენობა ინდოეთში; **შ.** შექსპირის „ვენეციელი ვაჭარის“ ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი; **ი.** აღა მაჰმად-ხანის სამშობლო.

***წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:***

**დ.** დოცენტი; **ა.** აუდი; **ი.** იპონი; **ს.** სიმენსი; **ვ.** ვაიმარი; **ე.** ეკლერი; **ნ.** ნოე; **ე.** ერბო; **თ.** თეირანი; **პ.** პასტორი; **ა.** ალაფი; **ლ.** ლუდვიგი; **ი.** იკაროსი; **ტ.** ტაძარი; **რ.** რეალი; **ი.** იალაღი; **ს.** სლალომი; **ფ.** ფიდე; **ე.** ეზოპე; **რ.** რობერტი; **თ.** თხილი; **ა.** აქსიომა; **გ.** გინეა; **ა.** ათაბაგი; **მ.** მერანი; **ა.** ამერიკა; **შ.** შოვი; **ი.** ისინდი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ცდომილებისა და ძალადობის ნარევი.**

## ვახტანგ რჩეულიშვილის ფოტო ნაცნობმა «ფანმა» იყიდა

— არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე მოეწყო საქველმოქმედო აუქციონი, რომელზედაც გაიყიდა საქართველოში ცნობილი პოლიტიკოსების ფოტოები. ყველაზე ძვირად გაიყიდა ვახტანგ რჩეულიშვილის ფოტო (ყოველ შემთხვევაში, ასე გააშუქეს ტელევიზიით). მაინტერესებს, იცნობს თუ არა რჩეულიშვილი ამ გოგონას და ნამდვილად გოგონამ გადაიხადა ფოტოში 500 ლარი?

*სოსო უგრეხელიძე*

კითხვაზე უპასუხებს **ვახტანგ რჩეულიშვილი.**



— ბევრ საზოგადო თუ პოლიტიკურ მოღვაწეს ჰყავს ე. წ. „ფანების“ გუნდი, ჰოდა, არც მე გახლავართ გამონაკლისი. ახალგაზრდების დიდ ნაწილს ვუყვარვარ. ეს გოგონაც სწორედ მათ რიცხვს მიეკუთვნება. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. მართალია, ამ გოგონას ვიცნობ, მაგრამ ეს არ ყოფილა წინასწარ დაგეგმილი სპექტაკლი. ჩემი „ფანი“ მუშაობს მაღალანაზღაურებად სამსახურში — „მაგთიკომში“ და ფულის გადახდის საშუალება ნამდვილად ჰქონდა. სამწუხაროა, რომ ასეთი შეძლებული და დასაქმებული ახალგაზრდები ბევრი არ გვყავს. არ დაგიმალავთ და ძალიან მესიამოვნა, ვინაიდან ეს ჩემთვისაც მოულოდნელი გახლდათ. კარგია, როდესაც ადამიანები ერთმანეთს სასიამოვნო სიურპრიზებს უძღვნიან. ღმერთმა ქნას, რომ ყველა ახალგაზრდას ჰქონდეს საქართველოში კარგი სამსახური, მაღალი ხელფასი და შეეძლოს თავისი სურვილის და გრძნობების თამამად გამოხატვა.

P.S. ბ-ნი ვახტანგ რჩეულიშვილი უკვე მესამედ ხდება პარლამენტარი. ქართველ ახალგაზრდებს კი ისე „ტოვებს“ ღმერთის იმედად, თითქოს უმაღლეს ხელისუფალთა მოვალეობა მარტოოდენ პარლამენტში „მყარად“ ჯდომა იყოს...

## სიტყვათა კონა

**დორ-დოშაკი** — დორი და დოშაკი — ბალიში და ლეიბი.

**დოსტი** (სპარს.) (ძვ. საუბ.) — ამხანაგი, მეგობარი.

**დოსტაქანი** (სპარს.) (ძვ.) — დიდი სასმისი, დიდი თასი.

**დოსტოლრივ** (კუთხ.) — პირდაპირ, შეუპოვრად, ჯიქურ.

**დოლრიალა** (საუბ.) — ვინც საიდუმლოს შენახვა არ იცის. 2. ღრიალა, მყვირალა.

**დოყი** — ახალამოყრილი, ქორფა, ნორჩი, მაგრამ თამამი, მსუქანი ყლორტი.

**დოყ-დოყი** — ძალიან ქორფა, ნორჩი.

**დოში** — ზუთხის, ორაგულის და ზოგი სხვა თევზის ლორად გამოყვანილი გვერდი.

**დრაფი** (ფრ.) — სქელი და მკვრივი ქსოვილი მატყლისა, გამოიყენება საპალტოედ.

**დრაჰკანი** (სპარს.) (ისტ.) — ოქროს ფულის ერთეული, იწონიდა ოთხ გრამს.

**დრეიფი** (ჰოლანდ.) — მავალი გემის აცდენა გზიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით. 2. ყინულების მოძრაობა წყლის დინების გამო.

**დრემლა** — ცხვრის კურკლი.

**დროგი** — გრძელი, ოთხთვლიანი უძარო საზიდარი, რომელშიც ცხენებს აბამენ; ფორანი.

**დროშიონი** (ძვ.) — სალოცავში მიმავალი ხალხი, რომელსაც წინ დროშის მზიდველი ხევისბერი ან ხატის მსახური მიუძღოდა (ფშავში).

**დუბელა** — თბილი, უგემური წყალი.

## არჩი ფურცელაძე დაწუნებული სასიძოა

— — გავიგე, რომ არჩი ფურცელაძეს და ბუკა მანაგაძეს ერთმანეთი ჰყვარებიათ. იმასაც ამბობენ, რომ შეყვარებულების მშობლები წინააღმდეგნი იყვნენ მათი შეუღლებისა. რამდენად სწორია ეს ყოველივე?

*თიკა გოგოლაძე*

კითხვაზე უპასუხებს **არჩი ფურცელაძე.**



— მე ბუკა მართლაც მიყვარდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს ცალმხრივი სიყვარული იყო. ჩვენ შეყვარებულებად ვითვლებოდით, ყოველ შემთხვევაში ასე მეგონა. ჩვენი დაახლოება ოჯახების მეგობრობამ განაპირობა. 2 წლის მანძილზე ჩემს და ბუკას ოჯახებს შორის მჭიდრო და თბილი ურთიერთობა არსებობდა ჯერ კიდევ მანამ, სანამ ჩვენ გავიცნობდით ერთმანეთს. მოგვიანებით, როდესაც ჩვენმა მეგობრობამ სხვა სახე მიიღო, ბუკა ამას ხმამაღლა ვერ აცხადებდა. დღესაც ჩემი სახელის ხსენება მანაგაძეების ოჯახში „ალერგიას“ იწვევს. ამჟამად ბუკასთან არანაირი ურთიერთობა არა მაქვს და ეს მხოლოდ ბუკას მშობლების „წყალობით“. რაც შეეხება დედაჩემს, იგი ამ საკითხში არც ჩარეულა... ბუკას მშობლები კი, როგორც ჩანს, ჭორების გავლენის ქვეშ მოექცნენ. მიუხედავად იმისა, რომ პირადად გავუმხილე ჩვენი გრძნობის შესახებ, მაინც არაფერმა გაჭრა. ალბათ ჩემმა სოციალურმა მდგომარეობამ თუ პიროვნებამ ვერ დაიმსახურა მანაგაძეების მოწონება. ხშირად უსაყვედურიათ ჩემთვის, თუ გიყვარს გოგო, დაბრკოლებების გადალახვაც უნდა შეგეძლოსო. თუმცა მცდელობა არ დამიკლია, მაგრამ საკუთარ თავმოყვარეობას არავის გავათელვინებ, რა აღარ მაკადრეს, ამ ყველაფრის გახსენებაც კი მზარავს. ბუკა მშობლების გავლენის ქვეშ მოექცა და ჩვენი ურთიერთობა შეწყდა. იმედს ვიტოვებ, რომ ბუკა ცოტათი მაინც გაიზარდა და მომავალში ასეთ შეცდომას აღარ დაუშვებს, რადგანაც არის საკითხები, სადაც მშობლების აზრის უგულებელყოფა ჯობია, ვიდრე შემდგომში წარსულზე სინანული (მე ამ ფრაზაში სულაც არ ვგულისხმობ საკუთარ თავს).

P.S. რაც შეეხება ბუკა მანაგაძის კომენტარს, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, მასთან დაკავშირება და გასაუბრება ვერ შევძელით.

## ნობელის პრემიის ლაურეატები არიან...

— რუბრიკა „ანიდან-ჰოემდეს“ ვთხოვ მოგვითხროს თუ როდიდან იწყება ნობელის პრემიით დაჯილდოების ისტორია. ასევე გთხოვთ ჩამოგვითვალოთ ის დარგები, რომლებშიც ჯილდოვდებიან მსოფლიოს გამოჩენილი მოღვაწეები. აგრეთვე მაინტერესებს ლაურეატების ზუსტი რიცხვი?

*მალხაზ მურღულია*

— ყოველწლიურ საერთაშორისო პრემიას სახელი მისი დამაარსებლის, შვედი ინჟინრის, ქიმიკოსის, გამომგონებლისა და მრეწველის — ნობელის პატივსაცემად ეწოდა.

ნობელის ანდერძის მიხედვით, მისი გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი კაპიტალით უნდა შექმნილიყო მისივე სახელობის პრემიის ფონდი. პრემია ენიჭება ყოველი წლის 10 დეკემბერს სტოკჰოლმსა და ოსლოში ფიზიკის, ქიმიის, მედიცინის და ფიზიოლოგიის, მხატვრული ლიტერატურის დარგში მნიშვნელოვანი და უახლესი მიღწევებისთვის. ნობელის პრემია შედგება ოქროს მედლისგან (რომელზედაც გამოსახულია ნობელი), დიპლომისა და საბანკო ჩეკისგან. თანხის ოდენობა საკმაოდ სოლიდურია და სადღეისოდ მილიონ დოლარსაც აღწევს. გთავაზობთ ჩამონათვალს, სადაც მითითებულია, თუ რომელ ქვეყანას რამდენი ლაურეატი ჰყავს.

| | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 276 | შვეიცარია | 22 |
| დიდი ბრიტანეთი | 103 | საბჭოთა კავშირი | 19 |
| გერმანია | 76 | ნიდერლანდები | 15 |
| საფრანგეთი | 49 | იტალია | 14 |
| შვედეთი | 30 | | |

აქვე დავძენთ, ნობელის პრემია ქართველებს ჯერ არ მიუღიათ, თუმცა თავის დროზე წარდგენილები იყვნენ: ვასილ ვარაზაშვილი (ბიოლოგია-ფიზიოლოგიის დარგში), იური მალაშხია (მედიცინის დარგში) და გრიგოლ რობაქიძე (ლიტერატურის დარგში). ახლო წარსულში ლიტერატურის დარგში წარდგენილნი ყოფილან ჭაბუა ამირეჯიბი და ოთარ ჭილაძე. ამბობენ, რომ დისიდენტობის პერიოდში ნობელის პრემიაზე წარდგენილები იყვნენ ზვიად გამსახურდია და მერაბ კოსტავა.

P.S. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ნობელის პრემიაზე წარდგენილთა არქივი იხსნება ამ წარდგენიდან 50 წლის შემდეგ. ასე რომ, კარგა ხანს მოგვიწევს ლოდინი, სანამ ზემოთ დასახელებულ ქართველ მოღვაწეთა შესახებ ზუსტ ცნობებს შევიტყობდეთ...

## რა ღირს პატარების ჯირითი იპოდრომზე?

— ძალიან მაინტერესებს, ამჟამად, იპოდრომზე თუ ასწავლიან პატარებს ცხენით ჯირითს და თუ ასწავლიან, რა ღირს ეს სიამოვნება?

*მაიკო ნიკოლეიშვილი*

კითხვაზე უპასუხებს **ლაშა ჯაიანი**, შპს „ჟოკეი კლუბის“ გენერალური დირექტორი.



— ჩვენს კლუბში არსებობს როგორც სპორტული, ასევე მოყვარულთა ჯგუფი. სპორტული ჯგუფი უფასო გახლავთ, პატარა სპორტსმენების შერჩევა ხდება მხოლოდ 12 წლიდან. თუ ბავშვს ნიჭი და სათანადო მონაცემები არა აქვს, მაშინ ამ სასწავლო ჯგუფში ვერ მოხვდება. რაც შეეხება მოყვარულთა ჯგუფს, — ვინც უკვე იცის ცხენით ჯირითი, — ასაკის მიუხედავად, 1 საათი 5 ლარი ღირს, ხოლო თუ მშობელს სურვილი აქვს, შვილს ასწავლოს ცხენზე ჯდომა, პატარას კი ელემენტარული ცოდნაც არა აქვს, მაშინ მათ დასჭირდებათ ბერეიტორი და კორდიანი ცხენი (თოკზე გამობმული ცხენი, რომელსაც ბერეიტორი წრეზე ატრიალებს). ასევე ინსტრუქტორის ზედამხედველობა და სწავლება, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. თუმცა აქვე აღვნიშნავ, რომ ეს ხარჯები არც ისეთი საგანგაშოა.

## ნალექებისა და უნალექობის მსოფლიო რეკორდები

— გთხოვთ გვაცნობოთ, როდის დაფიქსირდა მსოფლიოში ყველაზე უხვი ნალექი და დიდი სიცხე.

*ზვიად ცხადაია*

— აშშ-ში, ვაშინგტონის შტატში, რეინირის მთაზე 1971 წლის 19 თებერვლიდან 1972 წლის 18 თებერვლამდე (მთელი წლის განმავლობაში) ნალექებმა თოვლის სახით 31102 მმ-ს (ანუ 31 მეტრზე მეტს) მიაღწია.

კალიფორნიის შტატში, მთა შასტაზე 1959 წლის 13-19 თებერვალს დაფიქსირდა 4800 მმ ნალექი თოვლის სახით.

ყველაზე უხვი ერთდღიანი თოვა კვლავ კალიფორნიაში, სილვერლეიკში, 1921 წლის 14-15 აპრილს იყო. ერთი დღე-ღამის განმავლობაში თოვლის საფარმა თითქმის 2 მეტრს — 1930 მმ-ს მიაღწია.

თოვლის საფრის რეკორდული სისქეც (11460 მმ) კალიფორნიაში, ტამარაკში 1911 წლის მარტში აღინუსხა.

ბანგლადეშში, გოპალგანჯის რაიონში 1986 წელს მოსული სეტყვის მარცვლები დაახლოებით 1 კგ-ს იწონიდა.

ფლორიდის შტატის ქალაქ სანქტ-პიტერსბერგში 1967 წლის 9 თებერვლიდან 1969 წლის 17 მარტის ჩათვლით, დაფიქსირდა ზედიზედ 768 მზიანი დღე.

ინდოეთის ოკეანეში, კუნძულ რეუნიონზე 1952 წლის 15-16 მარტს, 24 საათის განმავლობაში რეკორდული რაოდენობის ნალექი მოვიდა — 1870 მმ. რაც 1 ჰექტარზე 18652 ტ წვიმის წყლის ეკვივალენტურია.

წლიური ნალექის რეკორდული რაოდენობა რეგისტრირებულია ინდურ ქალაქ ჩერაპუნჯში (მეგხალაიას შტატი), სადაც 1860 წლის 1-ელი აგვისტოდან 1861 წლის 31 ივლისამდე 26461 მმ ნალექი მოვიდა. ამავე შტატის ტერიტორიაზე მდებარეობს ყველაზე ნესტიანი წერტილი მთელ პლანეტაზე — მაისური, სადაც ნალექის საშუალო წლიური მაჩვენებელი 11873 მმ-მდე აღწევს.

ჩრდილოეთ ჩილეში მდებარე უდაბნო ატაკამა უნალექობით გამოირჩევა. აქ ას წელიწადში რამდენჯერმე, ალაგ-ალაგ თუ გადაივლის წვიმის ღრუბელი.

## რა უნდა იცოდეს მეწარმემ თუ ზეგეგმური შემოწმებით ეახლებიან?

— ერთ-ერთი შპს 2002 წელს შეამოწმა საგანგებო ლეგიონის ბრიგადამ საგადასახადო ინსპექციიდან მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით. სასამართლო გადაწყვეტილებით შემოწმება უნდა გაგრძელებულიყო 2002 წლის 1-ელიდან 15 მაისამდე. მაგრამ შემოწმება მოხდა 18-დან 27 მაისამდე ანუ სასამართლოს გადაწყვეტილებით მითითებული ვადის გასვლის შემდეგ, რაც დაფიქსირებულია შემოწმების აქტში. აღნიშნული აქტი გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს და მათ მიერ მოკვლეული მასალები განიხილა სასამართლომ. მაინტერესებს, ჰქონდა თუ არა იურიდიული საფუძველი სასამართლოს მიეღო ასეთი საქმე განსახილველად, რადგან შემოწმების თაობაზე სასამართლოს მიერ გაცემული გადაწყვეტილება ვადაგასული იყო (შემმოწმებლის მიერ რევიზიის უფლებაზე ვადის გაგრძელება სასამართლოში ოფიციალურად არ მომხდარა). გვაქვს თუ არა უფლება, საოლქო სასამართლოში გავასაჩივროთ აღნიშნული ფაქტი?

*პატივისცემით, შპს-ის კოლექტივი*

კითხვაზე უპასუხებს **მედეა დემეტრაშვილი,** იურისტი.

— ამ საკითხს აწესრიგებს 2001 წლის 8 ივნისის საქართველოს კანონი „სამეწარმეო საქმიანობის კონტროლის შესახებ“, რომლის მიზანია მოახდინოს საქართველოში ბიზნესის განვითარება და ლობირება. ზეგეგმური შემოწმების დროს, როდესაც კომპეტენტურ მაკონტროლებელ ორგანოს გააჩნია დასაბუთებული და საფუძვლიანი ეჭვი მეწარმის მიერ კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების შესახებ, იგი ვალდებულია, მიმართოს სასამართლოს შემოწმებაზე ნებართვის მისაღებად. ამისათვის მაკონტროლებელი ორგანო აღძრავს სასამართლოში შუამდგომლობას, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მეწარმის მონაცემები, შემოწმების ვადა, ხასიათი და შემოწმების მიზანი. 24 საათის განმავლობაში სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას ბრძანების ფორმით (თუ აძლევს მაკონტროლებელ ორგანოს თანხმობას შემოწმებაზე), ან დადგენილების ფორმით (თუ პასუხობს უარით). მოსამართლის ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო ინსტანციაში 24 საათის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ბრძანების ასლი შემოწმების შესახებ ჩაჰბარდება საწარმოს კანონიერი წარმომადგენელს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე საჩივარს ინკამერის წესით იხილავს, ანუ დახურულ სხდომაზე, ერთპიროვნულად.

როგორც წესი, მაკონტროლებელ ორგანოს ზეგეგმური შემოწმებისთვის აქვს 15-დღიანი ვადა. ამ ვადის გადაცილების შემთხვევაში, ანუ თუ მაკონტროლებელმა ორგანომ ვერ შეამოწმა საწარმო სასამართლოს ბრძანებით გათვალისწინებულ ვადაში, მან უნდა მიმართოს კვლავ სასამართლოს ახალი შუამდგომლობით, სადაც უნდა ახსნას მიზეზი და მიუთითოს იმ გარემოებებზე, თუ რატომ ვერ შეძლო საწარმოს შემოწმება დადგენილ ვადებში. ამის საფუძველზე მოსამართლე იღებს ახალ ბრძანებას. კანონის დარღვევით განხორციელებული შემოწმების შედეგად მიღებულ მტკიცებულებებს იურიდიული ძალა არა აქვს და იგი ბათილია. თუ მაკონტროლებელმა ორგანომ საწარმოში აღმოაჩინა არსებითი დარღვევები, იგი ვალდებულია შეადგინოს ოქმი, რომელიც გადაეგზავნება ბრძანების გამცემ რაიონულ სასამართლოს, ხოლო ეს უკანასკნელი კი მის ხელთ არსებული მასალის საფუძველზე, დადგენილების სახით, უწესებს საწარმოს სახდელს, მაგალითად, ჯარიმას ან სხვა. ბრძანების დადგენილების გასაჩივრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე და 276-ე მუხლების თანახმად ხორციელდება (სააპელაციო სასამართლოში სასამართლოს თავმჯდომარესთან, 10 დღის ვადაში მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდება საწარმოს კანონიერი წარმომადგენლებისთვის). სამწუხაროდ, წერილის ავტორებს გაშვებული აქვთ, როგორც მოსამართლის ბრძანების გასაჩივრების ვადა, ასევე მაკონტროლებელი ორგანოს ოქმის საფუძველზე სასამართლო დადგენილების ვადა. ასევე დაგვიანებულია სააპელაციო ინსტანციაში მაკონტროლებელი ორგანოს შემოწმების შედეგის ბათილობის კანონმდებლობით დადგენილი ვადები.

ძვირფასო მკითხველო, „ანიდან ჰოემდე“ ეცდება თქვენი შეკითხვები უპასუხოდ არ დატოვოს, და ყველა მათგანზე კომპეტენტური პასუხი გასცეს...

*რუბრიკა მოამზადა რუსუდან ჟორჟოლიანმა*

# რეკორდი, „ჩელსის“ ბენეფისი და ჩვენებურთა პერსპექტივები

## ჩემპიონთა ლიგა, IV ტური

ჩემპიონთა ლიგის მეოთხე ტურში მოიხსნა ლიგის ადრინდელი რეკორდი. აქამდე ყველაზე დიდი ანგარიში 7:2 იყო დაფიქსირებული. ასეთი შედეგით დასრულდა 2000 წლის 24 ოქტომბერს მატჩი ფრანგულ „პსჟ-სა“ და „რუსენბორგს“ შორის.

მონაკოში „ლუი მეორის“ სტადიონზე


რეკობას გოლმა ინტერს ვერ მოაგებინა

მართლაც რომ შთამბეჭდავი სპექტაკლი გათამაშდა. თერთმეტი გატანილი გოლი კარგი სანახავი იყო. 8:3 — ასეთი ანგარიშით სძლია „მონაკომ“ ესპანურ „დეპორტივოს“. ამავე მატჩში ფრანგმა პრსომ ოთხი გოლი გაიტანა და მესამე ფეხბურთელი გახდა, ვინც ჩემპიონთა ლიგის მატჩებისას პოკერის შესრულება შეძლო. ადრე ანალოგიური შედეგი ჰქონდათ მარკო ვან ბასტენსა და სიმონე ინძაგის.

ერთგვარად მოულოდნელი იყო მადრიდის „რეალის“ მოკრძალებული შედეგი ბელგრადის „პარტიზანთან“. სამეფო კლუბმა ჯერ კინკილა გოლით იმარჯვა „ბერნაბეუზე“, საპასუხო შეხვედრისას კი, უგოლო ფრეს დასჯერდა, რითაც გაინაღდა მერვედფინალში გასვლა.

უცნაურ შედეგებს აჩვენებენ ინგლისელი „არისტოკრატები“. ჯერ იყო და „ბეშიქთაშთან“ საკუთარ მოედანზე განცდილი მარცხი იყო მოულოდნელობა, ასეთივე მოულოდნელობად უნდა ჩაითვალოს „ჩელსის“ მიერ რომის „ლაციოს“ განადგურება რომში.

„მილანმა“ წინა ტურში განცდილი მარცხის შემდეგ ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა და მინიმალური ანგარიშით სძლია „ბრიუგეს“. აღსანიშნავია, რომ „როსონერო“ დაახლოებით 60 წუთი ათი კაცით თამაშობდა. პირველ ტაიმში ნესტას აუფრიალეს წითელი ბარათი.

სენსაციად შეიძლება ჩაითვალოს მიუნხენის „ბაიერნის“ მარცხი საკუთარ მოედანზე ფრანგულ „ლიონთან“.

„ლოკომოტივს“ კვლავ ვერაფერი მოუხერხა მილანის „ინტერმა“. მოსკოვში ნაჩვენები შედეგის შემდეგ, გულშემატკივრები „ინტერისაგან“ „ლოკოს“ განადგურებას ელოდნენ, თუმცა ამაოდ.

**მიხეილ აშვეთია:** „ჩვენ არაფერი გვქონდა დასაკარგი, ვთამაშობდით თავისუფლად და ამით შედეგს მივაღწიეთ. ჯერ კიდევ მოსკოვური მატჩისას გამოჩნდა, რომ იტალიელთა დაცვა არცთუ ისე შეუვალი იყო და სწორედ ამაზე ავაგეთ ჩვენი შეტევები. იტალიელები კი მიუხედავად იმისა, რომ მედგრად გვიტევდნენ, საკმაოდ არადამაჯერებლად მომეჩვენნენ. მათ შეტევებს სწორედ შემართება აკლდა. ასე რომ, ის შედეგი, რასაც „ინტერთან“ მივაღწიეთ, ვფიქრობ, კანონზომიერია. ახლა კიდევ ორი მატჩი გვაქვს სათამაშო. მომდევნო შეხვედრა ბევრს გადაწყვეტს. „არსენალთან“ გასვლითი მატჩი ურთულესი იქნება. ახლა „არსენალი“ გამოუვალ სიტუაციაშია, მას აუცილებლად სჭირდება მოგება და ბუნებრივია, უკან არ დაიხევს, მაგრამ არც ჩვენ გავალთ მოედანზე განწირულის ფსიქოლოგიით. მიჭირს იმის თქმა, თუ რა შედეგით დასრულდება ეს მატჩი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ყველაფერი მოსკოვში გადაწყდება, ბოლო ტურში ჩვენ კიევის „დინამოს“ ვმასპინძლობთ. ამ მატჩის მოგება ალბათ მომდევნო ეტაპზე გასვლის საშუალებას მოგვცემს.“

ამავე ჯგუფში ლონდონის „არსენალმა“ რევანში აიღო კიევში განცდილი მარცხისთვის უკრაინის ჩემპიონთან, კიევის „დინამოსთან“, „მეთოფეებმა“ ერთადერთი გოლი თამაშის დასრულებამდე ორიოდე წუთით ადრე გაიტანეს.

მანჩესტერში „ოლდ ტრაფორდზე“ მარცხი განიცადა შოთა არველაძისა და ზურა ხიზანიშვილის „რეინჯერსმა“. მატჩის შედეგი, ისევე როგორც წინა შეხვედრაში — სწრაფმა გოლმა განაპირობა.

**შოთა არველაძე:** „ამ მატჩში „მანჩესტერ იუნაიტედი“ მობილიზებული გამოვიდა. მათ მეორე ტურში „შტუტგარტში“ წააგეს მატჩი და ახლა მხოლოდ მოგებაზე უნდა ეთამაშათ. გამოჩნდა მანჩესტერელთა კლასი — მათ შეძლეს უპირატესობის მოპოვება, პირველი ტაიმის მიწურულს ნისტელროოის გატანილმა მეორე გოლმა დამთრგუნველად იმოქმედა ჩვენზე. მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმის დასაწყისში შევუტიეთ მეტოქეს, ამას შედეგი არ მოჰყოლია. მესამე გოლის შემდეგაც ვიბრძოდით, ზურა ხიზანიშვილს ჰქონდა კარგი მომენტი თამაშის მიწურულს, მაგრამ ბურთი მცველს მოხვდა. ამ მარცხის შემდეგ მართალია, რთულ სიტუაციაში ვართ, მაგრამ არის მცირე შანსი, რომელიც შეიძლება გამოვიყენოთ. საქმე ისაა, რომ „შტუტგარტი“ მომდევნო ტურში მანჩესტერში თამაშობს. არა მგონია, რომ ინგლისელებმა გერმანელებს ის წაგება შეარჩინონ. ასე რომ, თუკი ჩვენ „პანათინაიკოსს“ მოვუგებთ საკუთარ მოედანზე, მაშინ ყველაფერი ბოლო ტურში „შტუტგარტთან“ გასვლითი მატჩისას გადაწყდება.“

### A ჯგუფი

ბაიერნი - ლიონი 1:2
სელტიკი - ანდერლეხტი 3:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 4 | 2 | 1 | 1 | 4-4 | 7 |
| სელტიკი | 4 | 2 | 0 | 2 | 6-4 | 6 |
| ბაიერნი | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| ანდერლეხტი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |

### B ჯგუფი

ინტერი - ლოკომოტივი 1:1
არსენალი - დინამო 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| დინამო | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 1 | 2 | 1 | 4-3 | 5 |
| არსენალი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |

### C ჯგუფი

მონაკო - დეპორტივო 8:3
ეინდჰოვენი - აეკი 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 4 | 3 | 0 | 1 | 14-4 | 9 |
| დეპორტივო | 4 | 2 | 1 | 1 | 7-9 | 7 |
| ეინდჰოვენი | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| აეკი | 4 | 0 | 1 | 3 | 1-8 | 1 |

### D ჯგუფი

სოსიედადი - იუვენტუსი 0:0
ოლიმპიაკოსი - გალათასარაი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-4 | 10 |
| სოსიედადი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-5 | 7 |
| ოლიმპიაკოსი | 4 | 1 | 0 | 3 | 4-4 | 3 |
| გალათასარაი | 4 | 1 | 0 | 3 | 3-7 | 3 |

### E ჯგუფი

პანათინაიკოსი - შტუტგარტი 1:3
მანჩესტერი - რეინჯერსი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10-2 | 9 |
| შტუტგარტი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-4 | 9 |
| რეინჯერსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| პანათინაიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-11 | 1 |

### F ჯგუფი

პარტიზანი - რეალი 0:0
პორტუ - მარსელი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-3 | 10 |
| პორტუ | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| მარსელი | 4 | 1 | 0 | 3 | 7-8 | 3 |
| პარტიზანი | 4 | 0 | 2 | 2 | 1-5 | 2 |


არსენალი - დინამო 1:0

### G ჯგუფი

ლაციო - ჩელსი 0:4
ბეშიქთაში - სპარტა 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 4 | 3 | 0 | 1 | 7-3 | 9 |
| ბეშიქთაში | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| სპარტა | 4 | 1 | 1 | 2 | 4-5 | 4 |
| ლაციო | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |

### H ჯგუფი

სელტა - აიაქსი 3:2
ბრიუგე - მილანი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 4 | 2 | 1 | 1 | 2-1 | 7 |
| აიაქსი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-4 | 6 |
| სელტა | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 5 |
| ბრიუგე | 4 | 1 | 1 | 2 | 2-4 | 4 |

# იღბლიანი დებიუტი



ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში ქართველი კალათბურთელის ზაზა ფაჩულიას „ორლანდოს“ ხელმძღვანელობის მხრიდან ოთხმატჩიანი უცნაური იგნორირების შემდეგ, „ორლანდო მეჯიქის“ მთავარმა მწვრთნელმა დოკ რივერსმა გუნდის ქართველი ახალწვეული მოედანზე გაიყვანა. ეს გადაწყვეტილება მართლაც რომ საუკეთესო იყო „ორლანდოს“ გუნდისთვის, რადგანაც ფაჩულიამ 16 წუთში 7 ქულა, 6 მოხსნა, 2 ჩაჭრა, 1 პასი და 1 დაფარება მიითვალა. თავად „ორლანდო მეჯიქმა“ კი ექვსქულიანი სხვაობით დათმო მატჩი „ჩიკაგო ბულსთან“ 100:106.

თამაშის შემდეგ დოკ რივერსმა ასეთი შეფასება მისცა ჩვენებურის დებიუტს: „ვფიქრობ, რომ ზაზა ფაჩულიამ „ჩიკაგოსთან“ ფენომენალურად ითამაშა. მისი თავდადებული თამაში ერთადერთი ნათელი წერტილი იყო „ორლანდოს“ მოქმედებაში“.

მიუხედავად ასეთი შეფასებისა, საგულისხმოა ისიც, რომ ზაზა ფაჩულიას სადებიუტო მატჩამდე საკმაოდ დიდი ბატალიები გადახდა თავს.

**ზაზა ფაჩულია:** „ოთხი მატჩის განმავლობაში არ მომიწია მოედანზე გასვლა. არადა, მზად ვიყავი იმისთვის, რომ მეთამაშა. ძალზე მაღიზიანებდა ის, რომ ცენტრის პრობლემა აშკარად ჰქონდა ჩვენს გუნდს და ასეთ დროს ხდებოდა ჩემი იგნორირება. ვეღარ მოვთოკე ნერვები, საკმაოდ მწვავე საუბარიც მქონდა, ვერ დავიოკე ემოციები... ბუნებრივია, ამან დოკ რივერსის ყურამდეც მიაღწია და მან მეორე მწვრთნელის პირით შემომითვალა — „ჩიკაგოსთან“ მოემზადე, ითამაშებო...

დავალება მქონდა, ყურადღება დაცვაზე გამემახვილებინა. რომ შევედი, მოედანზე მეტოქე ჯარიმებს ისროდა. მეორე ჯარიმა ააცილეს და ის ბურთი მე მოვხსენი ფარიდან....

მიუხედავად იმისა, რომ დებიუტანტის კვალობაზე ცუდი შედეგი არ მქონია, ვგრძნობ, რომ ეს კიდევ არ არის ჩემი საუკეთესო თამაში.. მატჩის შემდეგ რივერსმა შემაქო, განსაკუთრებით სწრაფი თამაში მომიწონა. მგონია, რომ ახლა ნავსი გატყდა და მომდევნო თამაშებისას უფრო მენდობიან. ვფიქრობ, დავამტკიცე, რომ სათადარიგოთა სკამზე დასაჯდომად არ ჩამოვსულვარ... ბუნებრივია, კონკრეტული მიზანიც მაქვს — მინდა რომ სეზონის დასრულების შემდეგ NBA-ს ახალბედების „ოლ სტარზში“ ვითამაშო...

# ნანა ძაგნიძე მსოფლიო ჩემპიონია




საბერძნეთში დასრულდა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში იუნიორთა შორის. მსოფლიო ჩემპიონის ტიტული თამაშდებოდა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. 18 წლამდელთა შორის წარმატებას მიაღწია ქართველმა მოჭადრაკემ ნანა ძაგნიძემ, რომელმაც არავის დაუთმო პირველობა და დამაჯერებლად გაიმარჯვა. ნანამ თავიდანვე მოიპოვა უპირატესობა. საუკეთესო რეიტინგის გამო, უშუალო კონკურენტებს — ჩინელ ძიან ჰუანსა და უკრაინელ ნატალია ზდებსკაიას ტურნირის დასკვნით ეტაპზე შეხვდა, მაშინ, როცა საგრძნობლად იყო დაწინაურებული.

ერთი სიტყვით, ნანა ძაგნიძემ წელს მეორედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. რამდენიმე თვის წინ ნანა საუკეთესო იყო ნახჭევანში გამართულ 20 წლამდე გოგონათა მსოფლიო ჩემპიონატზე. ძაგნიძის ამგვარი შთამბეჭდავი შედეგების გამო ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა განაცხადა, რომ ძაგნიძეს ნებას დართავს, რომ მან იასპარეზოს უფროსებში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც, სავარაუდოდ მომავალი წლის მაის-ივნისში თბილისში გაიმართება.

მსოფლიო ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა ცხრა წლის ნაზი პაიკიძემ, რომელმაც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. ანალოგიურ წარმატებას მიაღწია 16 წლამდელთა შორის სალომე მელიამ.

# უეფამ ფული გაანაწილა

უეფას აღმასკომის გამსვლელმა სხდომამ კიევში საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. ამ თავყრილობაზე დაადგინეს, რომ ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული მიიღებს 27 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს. ევროპის ჩემპიონატის საპრიზო ფონდი კი შეადგენს 200 მილიონ შვეიცარიულ ფრანკს.

დაადგინეს ის მექანიზმი, რომლითაც ეს საპრიზო ფონდი განაწილდება. 7,5 მილიონს მიიღებს გუნდი, რომელიც გავა ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ასევე განისაზღვრა, რომ თითოეული მოგებული მატჩისთვის გუნდების ბიუჯეტი მილიონი შვეიცარიული ფრანკით გაიზრდება, ფრედ დამთავრებული მატჩის შემთხვევაში კი, გუნდები მილიონს ერთმანეთში გაინაწილებენ. მეოთხედფინალისტები დამატებით მიიღებენ სამ მილიონ შვეიცარიულ ფრანკს, ნახევარფინალისტები კიდევ ოთხ მილიონს დაიმატებენ, ფინალში გასული გუნდი კი ბიუჯეტს 6 მილიონი შვეიცარიული ფრანკით გაამდიდრებს. ფინალში გამარჯვებული კიდევ 10 მილიონს დაიმატებს.

## უეფას თასი 132 ფინალი, პირველი შეხვედრები

| | | | |
|---|---|---|---|
| დინამო (ხორვატია) | — | დნიპრო (უკრაინა) | 0:2 |
| ბორუსია (გერმანია) | — | სოშო (საფრანგეთი) | 2:2 |
| მანჩესტერ სიტი (ინგლისი) | — | გროცლინი (პოლონეთი) | 1:1 |
| პანიონისი (საბერძნეთი) | — | ბარსელონა (ესპანეთი) | 0:3 |
| ბენფიკა (პორტუგალია) | — | მიოლდე (ნორვეგია) | 3:1 |
| სლავია (ჩეხეთი) | — | ლევსკი (ბულგარეთი) | 2:2 |
| ვალენსია (ესპანეთი) | — | მაკაბი (ისრაელი) | 0:0 |
| რუსენბორგი (ნორვეგია) | — | ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) | 0:0 |
| სპარტაკი (რუსეთი) | — | დინამო (რუმინეთი) | 4:0 |
| გაზიანთეფი (თურქეთი) | — | ლანსი (საფრანგეთი) | 3:0 |
| შალკე (გერმანია) | — | ბრონდბიუ (დანია) | 2:1 |
| პერუჯა (იტალია) | — | არისი (საბერძნეთი) | 2:0 |
| უტრეხტი (ჰოლანდია) | — | ოსერი (საფრანგეთი) | 0:0 |
| ვილიარეალი (ესპანეთი) | — | ტორპედო (რუსეთი) | 2:0 |
| ვოლერენგა (ნორვეგია) | — | ვისლა (პოლონეთი) | 0:0 |
| რომა (იტალია) | — | ჰაიდუკი (ხორვატია) | 1:0 |
| ბორდო (საფრანგეთი) | — | ჰართსი (შოტლანდია) | 0:1 |
| სტიაუა (რუმინეთი) | — | ლივერპული (ინგლისი) | 1:1 |
| პაოკი (საბერძნეთი) | — | დებრეცენი (უნგრეთი) | 1:1 |
| ბაზელი (შვეიცარია) | — | ნიუკასლი (ინგლისი) | 2:3 |
| გენჩლერი (თურქეთი) | — | სპორტინგი (პორტუგალია) | 1:1 |
| ზალცბურგი (ავსტრია) | — | პარმა (იტალია) | 0:4 |
| კოპენჰაგენი (დანია) | — | მალიორკა (ესპანეთი) | 1:2 |
| ფეინოორდი (ჰოლანდია) | — | ტეპლიცე (ჩეხეთი) | 0:2 |

განმეორებითი შეხვედრები შედგება 27 ნოემბერს

*გვერდი მოამზადა გიგა ხირსელმა*

## №44 (370) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 528 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 208 ქალმა და 317-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„პირველ რიგში ვის ეტყოდით „კმარა?“**

როგორც შედეგებმა გვიჩვენა, რესპონდენტთა უმრავლესობას — 79-ს დიდი სურვილი აქვს პრეზიდენტს უთხრას — „კმარა!“ **6.98** საშუალო ქულით პრეზიდენტი პირველ ადგილზეა. მინიმალური — 1 ქულით ეს გრაფა მკითხველთა 1-მა შეაფასა.

შემდეგ ადგილზეა „მთავრობა, ჩინოვნიკები“. საშუალო ქულაა 6,91. რესპონდენტთა 14 პირველ რიგში სწორედ მათ ეტყოდა „კმარას“. „ენერგომამები“ მესამე ადგილზეა საშუალო ქულით 5,52.

აღსანიშნავია, რომ „პოლიცია“ არც ერთმა რესპონდენტმა არ შეაფასა მინიმალური — 1 ქულით, თუმცა, უნდა ითქვას, რომ მხოლოდ ხუთმა მკითხველმა (1) დაუწერა მას 8 ქულა.

„კმარას“ აქტივისტები“ რეიტინგში მეხუთე ადგილზე არიან. მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით კი — მესამეზე. რესპონდენტთა დაახლოებით 2 სწორედ „კმარას“ აქტივისტებს ეტყოდა — „კმარა!“

ყველაზე ცოტა რაოდენობის მაქსიმალური ქულით (0,6) „მსხვილი ბიზნესმენები“ შეფასდნენ. ყველაზე მეტი მინიმალური ქულა კი „ჟურნალისტებმა“ (47) დაიმსახურეს.

საინტერესოა, რომ ჩვენი გამოკითხვა სწორედ პოსტსაარჩევნო პერიოდს დაემთხვა. პერიოდს, როცა ყველაზე მეტადაა გამწვავებული პოლიტიკური სიტუაცია და სწორედ ახლა, ცხელ გულზე დააფიქსირა ჩვენმა მკითხველმა, თუ ვისთვის კმარა და ვისთვისაც — არა.




საპრიზოს ზუსტად 8 ბარათი რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებულები არიან თბილისელები: 39 წლის **მარინა ბერიშვილი,** 29 წლის **შორენა სოფრომაძე,** 56 წლის **თემურ სირბილაძე,** 43 წლის **გელა ოზაშვილი;** 34 წლის სოხუმელი **რევაზ ბანძელაძე,** 18 წლის კასპელი **დათო გეჯაძე,** 20 წლის ჭიათურელი **შორენა კაციტაძე,** 19 წლის ხაშურელი (ჩუმათელეთი) **თამუნა ლომიძე**.

საპრიზო ფონდი — 100 ლარი მათ შორის თანაბრად განაწილდება.

გამარჯვებულებს პრიზის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 12 ნოემბერს, 17 საათზე.

## №45 (371) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

„კვირის პალიტრა“ თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის რეიტინგსა* და **მკითხველის პრემიაში.**

**№45 (371) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში მოათავსეთ ოთხშაბათის, 12 ნოემბრის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 13 ნოემბრის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №45 (371) — ღირსეული ქცევა

**რომელი პოლიტიკური ძალის ქცევა მიგაჩნიათ ყველაზე ღირსეულად არჩევნების შემდგომ პერიოდში** (ჩამოთვლილთაგან)? დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№45(371) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | | ქულა |
|---|---|---|
| 1 | მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს | |
| 2 | ბლოკი — ბურჯანაძე-დემოკრატები | |
| 3 | ბლოკი — ახალი საქართველოსთვის | |
| 4 | ლეიბორისტული პარტია | |
| 5 | დემოკრატიული აღორძინების კავშირი | |
| 6 | ახალი მემარჯვენეები | |
| 7 | სააკაშვილი — ნაციონალური მოძრაობა | |
| 8 | პოლიტიკური გაერთიანება — ერთობა | |

**მკითხველის რეიტინგი**

**არჩევნების შემდგომ პერიოდში ვისმა საქციელმა გაგაღიზიანათ ყველაზე მეტად?**

*(დაასახელეთ მაქსიმუმ სამი)*

1. ____________________
2. ____________________
3. ____________________

**მკითხველის პრემია**

**დაასახელეთ ნომრის საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევარი**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________

ასაკი ________ ტელეფონი ________

რეიტინგის ბარათები პარალელურად იბეჭდება ჟურნალ „რეიტინგშიც“. თქვენ შეგიძლიათ ამოჭრათ ისინი, შეავსოთ და მითითებულ ვადებში გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. აღნიშნული ბარათებით ისევე მიიღებთ მონაწილეობას კონკურსში, როგორც „კვირის პალიტრიდან“ ამოჭრილი ბარათებით.

**ყურადღება! თუ საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგში მონაწილეობის მისაღებად რამდენიმე ბარათს ავსებთ, გთხოვთ, „მკითხველის რეიტინგსა“ და „მკითხველის პრემიაში“ მხოლოდ ერთხელ (ერთ ბარათში) დააფიქსიროთ თქვენი აზრი.**

### დამატებითი კითხვის შედეგები

**შეესწარით თუ არა დარღვევებს თქვენს საარჩევნო უბანზე?**




*დამატებით კითხვას 451-მა რესპონდენტმა უპასუხა.*

## • ფოტოპალიტრა • ფოტოანტიკვარი ©

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

რას დაარქმევდით?

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



ედუარდ შევარდნაძე, ზურაბ ჟვანია

**„ფოტოანტიკვარის“ მონაწილეთა უმრავლესობამ სწორად გამოიცნო ამ მშვენიერი გოგონას ვინაობა. უთუოდ მინიშნებაც დაეხმარებოდათ — „ვარსკვლავებს დღესაც ვეთამაშები...“ მკითხველთა 61% არ შემცდარა, მაკა ასათიანი რომ დაასახელა.**

**დასახელდნენ ასევე, მაია ნადირაძე (8%), ლელა წურწუმია (6%), ნინო ბურჯანაძე, მაკა მახარაძე, ნანული შევარდნაძე, ნესტან კირთაძე, თამარ გვერდწითელი, ნინო დარასელი, ირინა სარიშვილი-ჭანტურია, ნანა დევდარიანი... ხოლო, ვარსკვლავებს მათგან რომელი ეთამაშება, თავად განსაჯეთ...**





*ზურა ნიკოლაიშვილის მეგობრული შარჟი*



მაკა ასათიანი, შვიდი წლის

# ფოტო კომენტარით

დიდბრიტანელი კრისცლი მსოფლიოში ყველაზე დიდი კურდღლია. ის 12 კგ და 200 გ-ს იწონის და ნამდვილი რეკორდსმენია





## ცეკვის გაკვეთილები — ბრიტნისთან ერთად

მადამ ტიუსოს მუზეუმი (ლონდონში) დროს კვალდაკვალ მიჰყვება. მუზეუმის სიახლეა პოპ-ვარსკვლავ ბრიტნი სპირსის ფიგურა. მომღერალი ცეკვავს სტრიპტიზისთვის განკუთვნილ ძელზე. აღსანიშნავია, რომ ცვილის ბრიტნი მუსიკის ხმაზე სუნთქავს კიდეც. მსურველებს შეუძლიათ შეეჯიბრონ მომღერალს, გაიმეორონ მისი მოძრაობები.

9/XI ● **სავსე მთვარე**

**მაგნიტური დღეები:**
13/XI 16-დან 19 საათამდე
15/XI 14-დან 17 საათამდე

• ერთმა იაპონელმა გიჟმა მაღაზიებიდან უკვე მოიპარა 640 ცალი... მამაკაცის მარცხენა ფეხის ფეხსაცმელი.

* * *



ახალ ქართველს მობილურზე შვილი ურეკავს: „მამი, სასწრაფოდ შეყარე აფრიკაში თეთრი დათვები, თორემ გეოგრაფია ორიანს მიწერს."

* * *

— მიხო, შენი ძროხები სიგარეტს ეწევიან?!
— სიგარეტს არა, ყალიონს!
— ჰოო, მაშინ შენი ბოსელი იწვის!

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები





**თარაზულად:** 1. სხეული, რომელიც სხვა სხეულებს იზიდავს; 4. ინგლისელი პოეტი — რომანტიკოსი, ლორდთა პალატის წევრი; 6. ბუნების ამა თუ იმ ძალის განმასახიერებელი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 7. პერსონაჟი ჯონ გოლსუორთის რომანისა „ფორსაიტების საგა"; 8. ბახუსი, ანუ...; 9. ქართველი კომპოზიტორი და მომღერალი ... გურგულია; 10. ჯინსის საღებავი; 13. მონარქთა გრძელი მდიდრული მოსასხამი; 16. ქალის სამკაული; 18. ნიკრისის ქარი მეცნიერულად; 19. ძვირფასი ქვებით გაწყობილი ღია საშუბლე გვირგვინი; 20. მწერის განვითარების ბოლო სტადია; 22. იუდეველთა ღმერთი იახვე ძველებრაულად; 23. ხელოვნური თმა თავზე; 25. ჯეკ ლემონის პერსონაჟის თვითშერქმეული სახელი ფილმში „ჯაზში მხოლოდ ქალიშვილებია"; 27. დიდი მტაცებელი ძუძუმწოვარი ცხოველი; 28. ღვინის სასმისი; 29. ინგლისის უმაღლეს თავად-აზნაურთა მემკვიდრეობითი ტიტული; 30. ტყვიაზე რბილი იშვიათი ლითონი; 31. აღმოსავლური ზღაპრის გმირი, რომელიც 40 ყაჩაღს გაუსწორდა.

**შვეულად:** 1. ფრანგი ფერმწერი, რომლის სურათი „კრისტის" ბოლო აუქციონზე 26 მილიონ დოლარად გაიყიდა; 2. უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირი; 3. მევენახეობის სპეციალისტი; 4. წაგრძელებული სწორფეხა უგუმბათო ტაძარი; 5. იავა, ბორნეო, სუმატრა, ცელებესი და ა.შ. (სახელმწიფო); 11. მე-18 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი-განმანათლებელი; 12. ამ ბალჩეულის წონამ 267,6კგ-საც მიაღწია; 14. სავარჯიშო პოზა იოგაში (ზოგადად); 15. იგივეა, რაც ველოდრომი; 16. გერმანელი მწერალი, ავტორი ევროპასა და აზიაში მრავალჯერ ეკრანიზებული რომანებისა ინდიელ „ვინეტუზე"; 17. ერთ-ერთი ხელოვნური ენა, ესპერანტოს ვარიანტი; 21. თანდათან ამაღლებული ადგილები საკონცერტო დარბაზში; 22. წამალი, რომლის მთავარი კომპონენტებია ასპირინი და კოფეინი; 24. ზედა სასუნთქი გზების მკურნალობა ორთქლად ქცეულ სამკურნალო ნივთიერებათა შესუნთქვით; 25. საჭადრაკო ფიგურა; 26. იტალიის უდიდესი ავიაკომპანია.

შეადგინა რამაზ ალანიამ



# ცუდად იცნობთ ლაიზას!



ლაიზა მინელი 3 თვის წინ დაშორდა ქმარს, დევიდ გესტს, მაგრამ გაყრაზე სარჩელი მხოლოდ რამდენიმე დღის წინ აღძრა. ვარსკვლავი თურმე ძალიან შეურაცხყოფილია — მიტოვებულ ქმარს საქვეყნოდ განუცხადებია, — ლაიზა თუ გაბრაზდებოდა, თავში მუშტებს მიბრაგუნებდაო. ერთხელ უზარმაზარი ბრაც კი დალეწაო.

გესტი ამტკიცებს, ლაიზამ ისე მცემა, რომ ტვინის ტრავმა მივიღე და მას შემდეგ ვუჩივი თავის ტკივილს, თავბრუსხვევას და უძილობასო.

ასე რომ, დაზარალებული ქმარი კომპენსაციის სახით 10 მილიონ დოლარს ითხოვს.

...ეტყობა, ცუდად იცნობს მინელს. ლაიზამ განაცხადა, — ჩემი ადვოკატები დაელაპარაკებიან მატყუარა გესტს, ხოლო რაც შეეხება ფულს, ერთ ცენტსაც ვერ მიიღებსო.

ყურადღება: „კვირის პალიტრის" (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©

## 45 უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა — 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით) გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№45 თბილისში ქვითარი „კვირის პალიტრის" ყუთებში ჩააგდეთ 13 ნოემბრის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

*„კვირის პალიტრის" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები განლაგებულია: თბილისში – მეტროს სადგურებთან და ხალხმრავალ ადგილებში, აგრეთვე, ქალაქებსა და რაიონებში: მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, სამტრედია, აბაშა, სენაკი, ხობი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ვანი, წყალტუბო, ბაღდათი, ხონი, ბანძა, თერჯოლა, ტყიბული, ამბროლაური, ონი, ბორჯომი, ახალციხე, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ახმეტა, დედოფლისწყარო.*

*„კვირის პალიტრისა" და „სიტყვა და საქმის" საფოსტო ყუთები იცლება თბილისში — სამშაბათს, ხუთშაბათს, კვირას 13 საათიდან; რაიონებში — ოთხშაბათობით, 10 საათიდან.*

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის მოსაზრებებს.
რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან გადმოთარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე, სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
**რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.**
**მთავარი რედაქტორი ლალი გუნთაიშვილი**
**მთ. რედაქტორის მოადგილეები ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი**
**სარედაქციო კოლეგია**
მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)
ტელ: რედაქცია: 33-39-54
რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44
palitra@access.sanet.ge
www.opentext.ge/kvirispalitra
სარეგისტრაციო ნომერი ©1518
„კვირის პალიტრა" გამოდის ორშაბათობით
გაზეთი დაიბეჭდა გამომცემლობა „კოლორში".